

14
953/2

საქართველოს
ბიბლიოთეკა

გნათობა

4

აწილი



1953

მნათობი

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე



4

★

ს ა კ ი ლ ი

19

სახელგამი
თბილისი

53

საქართველოს
ბიბლიოთეკის
სამეცნიერო
ცენტრის
განყოფილება

გაზაფხული



ბავშვობიდანვე მიყვარდა ღია ფანჯარასთან ჯდომა და ყურისგდება, თუ როგორ ჩათვლემდა ქუჩა...

აი, ქოხში სინათლე ანთია, დედაჩემი ვედროების ხმაურით დადის, ხოლო ქუჩაში საღამოს მყუდროება მეფობს.

ახლაც ფანჯარასთან ვზივარ, ფოთლებდასერეტილი გერანიც დგას ფანჯარის რაფაზე, ფარდაც მელამუნება, ხოლო პირდაპირ თავის ბაღიანში ნათლიაჩემი დადის და დარაბებს ჯოხით კენტავს.

მხარკეშად, გზის გადაღმა, გამგეობის შენობის ფანჯრები განათებულია. კრება დამთავრდა: ისმის, როგორ ჯახუნობს კარი, პარმალზე როგორ იცინიან, საუბრობენ ადამიანები და სხვადასხვა მხრით მიემართებიან.

ვზივარ და ვისმენ. მწვავე ქარი დროგამოშვებით შემოიჭრება ხოლმე ოთახში, გერანის ფოთლები კი პირს არიდებენ მას.

აი, კიბეზე მამაჩემი ამოვიდა და ფეხებს აბაკუნებს, ტალახს იცილებს ჩექმებიდან, და იმის მიხედვით, თუ როგორ აბაკუნებს ის ფეხებს, მივხვდი, რომ იგი გულმოსულია. მამა შემოვიდა ოთახში, ჩუმად ჩამოჯდა ძელსკამზე და ჯიბიდან ნახევარლიტრიანი ამოიღო. დედამ ამოიოხრა და სარდაფში ჩავიდა კიტრების მოსატანად.

ჩაიარა შინისკენ მიმავალმა უჯრულა ხილაბანდიანმა ლიოლკამ — ვეტერინარმა ქალმა. იმის შიშით, ტალახში არ გაივსვაროო, იგი ისე ფიხაკრეფით მიიღოდა, როგორც კატა. წინათ ის თავის

უჯრულა ხილაბანდს დღესასწაულებისა და საუბრების დროს წამოისხამდა ხოლმე, ხოლო ეს უკანასკნელი კვირაა, რატომღაც არ იშორებს მას. მან ჩაიარა, გოგოებს ესაუბრებოდა, და მე გავიგონე, რომ მამა თავმჯდომარეობიდან მოუხსნიათ დღეს.

მამაჩემს მალულად შეეხედე.

მან დაისხა არაყი თრაშულ ჭიქაში, დალია, დაყნოსა პურს, კიდევ გადაჰკრა. დედაჩემი კი დგას მაგიდასთან, ხელები წინსაფარკვეშ ამოუღევს, და შესცქერის მას სევდიანი თვალებით.

— მოიტათ გაზეთი! — თქვა მამაჩემმა. — ყველამ ისმინეთ!

მას დიდიხანია, რაც დასჩემდა: როცა დაღვეს — ხმამალა უნდა იკითხოს გაზეთი, სულ ერთია, როგორი, ახალი თუ ძველი. დედამ და მე კი უნდა ვუსმინოთ და ხელი არ შევეშალოთ.

აი, ახლაც აიღო მან გაზეთი პატარა მრგვალი მაგიდიდან, გაიკეთა სათვალე, მიუჯდა ლამფას და კითხვას შეუდგა: „პირველი მრავალი წლის განმავლობაში იყო... იყო... რეაქციული პარტიის... პარტიის... „მინსეიტოს“... ლიდერი.

— გასაგებია? — გვეკითხება მამა, თან თითქოს სარკენად იმარჯვებს ჭალარა თავს და სათვალის ზემოდან გვიცქერის.

— გასაგებია ჩვენო მარჩენალო, გასაგებია, — უპასუხებს დედა, თან თვალთ ზომავს ბოთლს, კიდევ რამდენი დარჩაო შიგ.

— შენთვის... გასაგებია?

— გასაგებია, მამა, — ვუპასუხებ და

ყურს ვუგდებ, ქუჩაში როგორ მოდიან ბიჭები, მათი ხმები როგორ ეფინება მიდამოს. ბიჭები ლაპარაკობენ და უცებ, ყველანი ერთბაშად, თითქოს ბრძანებისამებრ, იცინიან ხმაშალა. აი ისინიც დაიმაღლნენ, მიჩუმდნენ, და გავიგეთ მათი საუბრიდან, რომ ახალ თავმჯდომარედ ვასკა იქნება, კარბ საველიჩის ვაჟი.

— გასაგებია? — აღწევს შეკითხვა ჩემამდე და ვპასუხობ: გასაგებია, მამილო, — ხოლო იმაზე ვფიქრობ, რომ აწი თავმჯდომარედ გვეყოლება სწორედ ის ვასკა, რომელიც ახლა ქუჩაში იცინოდა. ერთი კვირის წინათ დაბრუნდა იგი არმიიდან, და მაშინ საველიჩი თითქმის მთელი დღე დასდევდა ქათამს დასაჭერად.

ვასკა ტანდაბალი ყმაწვილია, ჩემი სიმაღლისა, არაფერი მასში საინტერესო არ არის, უბრალო სახე აქვს, ძვალმსხვილია. ცხვირი აპრეხილი აქვს, ნიკაბიც — ასევე, თითქოს მის სახეზე ქვემოდან ზევით აუტარებიათ ხელი და ასე დარჩენია სამუდამოდ. დაუღეგარი ყმაწვილია: როგორღაც ერთხელ, ომამდე, ასულეყო ნათლიაჩემის სახლის სახურავზე, ბუხრის მიღში აესულევიტ და ეწყო საშინელი სიტყვების ძახილი. ნათლიაჩემი მაშინ ლუმელთან მდგარიყო, ქუჩა კინალამ დაჰკარგა. აბა, რა თავმჯდომარე იქნება?

მამაჩემმა კიდევ იეითხა გაზეთი ცოტახანს, შემდეგ კი დაიძინა. ჩვენც წავედით დასაძინებლად. მე დიდხანს ვბორგავდი საწოლში, თავი მტკიოდა, სწორედ ამიტომ არ წავედი კრებაზე. ბოლოს დავეითბუნე თავი და ნაშუალამევს ჩამეძინა. და ერთბაშად ისე მომეჩვენა, თითქოს დაძინებისთანავე, ფანჯრის დარბაზზე დააკაყუნეს.

— რაო, ხომ არ გაგიცდნენ ეს მეღამეები! — წამოდგა დედაჩემი. თურმე, განგობაში მეძახდნენ. მოვეწყე და გავიქეცი.

გამგობის ვიწრო ოთახში დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. მამაჩემის ადგილზე იჯდა ვასილ კარპოვიჩი, რომელიც ახლა ყველანი უწოდებდნენ მას. როცა მე შევედი, გოგობმა ჩუმად ჩაიციინეს: ალბათ ნამძინარევი სახე მქონდა. შემოვიდა მეზობელი ბრიგადის მესამბურე ძია ივანე. მას კალოშები ეცვა, და მახარის ქვემოდან ვარდისფერზოლებიანი ნიღბავი უჩანდა.

— გამარჯობათ, — უთხრა ვასილ კარპოვიჩმა ძია ივანეს. — გაიხადეთ. გოგობმა კვლავ გაიციინეს.

— რა არის, რომ არ გვაძინებ? — თქვა ძია ივანემ და კარს მიეყარნო. — ახალი მოდა შემოგილიათ — შუალამისას ხალხის შეკრება.

შემდეგ მოვიდა პაშა, ტრაქტორისტი ქალი ემტეცისიდან. ისე საღად გამოიყურებოდა, თითქოს არც კი სძინებიაო.

— ხომ არავინ გვაკლია? — იეითხა ვასილ კარპოვიჩმა.

— არავინ, — უპასუხა ზორბამ და განიერ მხარბეკიანმა ლიოშამ, ჩემი ბრიგადის წევრმა. იგი ფრთხილად შემოიშართა კარებში, — ოღონდ მოკლედ მოსკერი.

— კარგი, მოკლედ გეტყვით, — თქვა ვასილ კარპოვიჩმა. — რატომ ვთესავთ ასე ცუდად, ამხანაგებო? რატომ ასრულებთ დღეში ნახევარ ნორმას? მერე რაღას ფიქრობთ ა? იენისამდე ვთესოთ? კი? პურის მოსავალი კი იანვარში ავილოთ? აბა, თქვით ერთი, გააღვიძეთ ტამარკა.

ჯერ დუმდნენ, მერე ყველა ზედიზედ მოჰყვა ლაპარაკს, ილაპარაკეს ერთ საათზე მეტხანს, ჯერ საქმიანად, შემდეგ კი ილანძლებოდნენ. მეც შემახურეს. ყველაზე მეტი მლანძლა ვასილ კარპოვიჩის მამამ — საეილიჩმა, რომელიც ჩემს ბრიგადაში მუშაობს. იგი სამოცი წლისაზე მეტია, თვითონ მან ისურვა კომკავშირლებთან მუშაობა, ახლა კი, დამიხედეთ, ილანძლება. მე ლიოშა გა-



მომექომაგა, ყველაფერი აირია, უკვე მუშაობაზე კი აღარ ლაპარაკობდნენ, არამედ ხალხის განსჯას შეუდგნენ.

მე მინდოდა მეთქვა, ჩემი ბრიგადის მთელი უბედურება ის არის, რომ დისციპლინა მოისუსტებს, რომ აუცილებლად ორი-სამი კაცი სამუშაოდ არ გამოდის, ჩვენი საქმე კი აღამიანთა სრულ კომპლექტს მოითხოვს-მეთქი. მსურდა ყოველივე ეს მეთქვა, მაგრამ ხელი შემიშალეს, დავიბენი და დავეჯექი.

— კმარა, — თქვა ვასილ კარპოვიჩმა, — თქვენსას ვერაფერს გაიგებს კაცი. აბა, შენ რას გვეტყვი, ძია ივანე.

— ძია ივანემ ფარაჯა შემოიხვია და ჩაფიქრდა.

ამ ცოტა ხნის წინათ მის შესახებ დაიწერა რაიონულ გაზეთში, და მას აქეთ თვითონვე უკვირდა საკუთარი თავისა.

— აი, შეილებო, საქმე რაშია, — დაიწყო მან ჩაფიქრების შემდეგ. — ნიუშკა თავის კომკავშირლებიანად, რა თქმა უნდა, ცუდად მუშაობს. სანამ მამამისი იყო თავმჯდომარედ, უხერხული იყო ამის თქმა, ახლა კი უნდა ვთქვათ. უღიმღამოდ ამოძრავებენ ხელს, უღიმღამოდ მოქმედებენ... მერე და ამ ნორმის საქმეც ვერ არის რიგზე. აი, ნაგალითად, ჩვენი ბრიგადა კოსოი კლინზე თესავს, ჩვენთვის ნორმად მოცემულია ორმოცდაორი წუთი ჰექტარზე, საათი და ოცდაოთხი წუთი ორ ჰექტარზე, და ასე შემდეგ... მათი ბრიგადა კი ბექობზე მუშაობს შერჩევით, ტრაქტორს უჭირს, ყოველ წუთს უნდა დაამუხრუჭოს, თითქოს ბუქნას უვლისო, — რა ნორმაა დაწესებული? ისეთივე ორმოცდა ორი წუთი ჰექტარზე, და ასე შემდეგ.

შორიდან მოისმა ორთქლმავლის გაბმული, ორმაგი საყვირის ხმა. კედლის იქით მამალმა იყიელა, და ყველას გაეცინა იმიტომ, რომ მიხვდნენ, მძინარე მამალმა საყვირის ხმა მამლის ყვირილში აურიო.

— კარგი, კმარა ღრეკე... თქვა ძია ივანემ. — აი, მამასადამეკ ლორწოც და ორი წუთი ჰექტარზე... მე ასე ვფიქრობ, საჭიროა ნიუშკამ თავის გოგოებს უფრო მაგრად მოჰკიდოს ხელი და ცოტაოდენი ნორმაც უნდა მოვეუკლოთ.

— საქმეს ასცდი, ძია ივანე, — უთხრა ვასილ კარპოვიჩმა.

— თქვენ რომ ერთნაირი ნორმები გაქვთ, ეს ცუდია. ერთი, გააღვიძეთ ტამარკა. ჩვენ ნორმას გავზრდით კოსოი კლინზე...

ატყდა ხმაური. მაგრამ ვასილი ადგა, დაიწყო ლაპარაკი და ყველანი დაჩუმდნენ. მას დიდხანს არ ულაპარაკია, მაგრამ მისი სიტყვა საქმიანი იყო, თითქმის ჩვენი კოლხეურნეობის მთელი საქმეები მისთვის ცნობილიაო. სიტყვა ასე დაამთავრა: „დილის ზუთ საათზე ყველანი ზარბაზნის გასროლასავით მინდორში გაჩნდით. თუნდაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოგვიხდეს მუშაობა, ოღონდ დღიური დაეალება უნდა შესრულდეს. ნიუშა სწორად ლაპარაკობდა, მაგრამ დაიბნა. მე თვითონ ვიტყვი, მის მაგივრად: მთელი ბრიგადა უკლებლივ უნდა გამოვიდეს მინდორად ზუთი საათისათვის. მაშ, ასე. კომკავშირლებთან კი მე თვითონ მივალ დილიდანვე, დავეხმარები. ენახე, რაშია საქმე“.

— საჭირო არა ხარ ჩვენთვის, — უთხრა პაშამ. და როცა ქუჩაში გამოვედით, მე ვუთხარი ვასილ კარპოვიჩს, რომ ჩვენ დახმარება არა გვჭირდება, რომ ძია ივანეს ბრიგადა ვაკე ადგილზე ჩვენზე ოდნავ მეტს აკეთებს.

— ჩვენ კი ბუქსირზე ჯერ არავის აუუყვანივართ და არც არავის მივცემთ ნებას, რომ აგვიყვანოს, — დასძინა პაშამ.

— კარგი, რა გაეწყობა, — უბასუხა ვასილ კარპოვიჩმა, — ძია ივანესთან წავალ, რადგან თქვენ ასე ამაყნი ხართ. თქვენ კი ნიუშა, ორი დღის შემდეგ აუ-

ცილებლად უნდა დაეწიოთ გრაფიკს. ზარბაზნის გასროლასავით.

იგი გაგვშორდა. მე მოვუხმე ჩემი ბრიგადის წევრებს, საველინს, და იქვე, გზაში შევთანხმდით — დასაძინებლად ნუ დაეწევებით, წავიდეთ, დაენაყრდეთ და მაშინვე სამუშაოდ გავიდეთ მეთქი.

თითქოს ჯიბრზე, თავიდანვე ვერ მოვებით საქმეს თავი. „ნატიკს“ რალაც დაემართა. პაშამ იტორა კიდეც. შემდეგ ვნახეთ, რომ ერთ უბანზე ხვდა არ იყო დამთავრებული. ერთი სიტყვით, მუშაობა მხოლოდ შუადღიდან მოწესრიგდა.

კვირადღეს ჩვენ პირველად უფრო მეტი დავთესეთ, ვიდრე ძია ივანემ და მისმა ბრიგადამ. დაახლოებით ექვსამდე ვიმუშავეთ, გოგობმა საუბარი გააბეს და საღამოჟამს დაიშალნენ. მარტო პაშა დარჩა და დუმილით მოცულ მინდორში აჩხაკუნებდა ხელსაწყოებს ტრაქტორთან, და პაშას ძმა, ცხრა წლის გარასკა, ტრიალებდა იქვე, მის გვერდით. მე გავზომე ნამუშევარი და მათთან მივიდი:

— მოდი, პანკა, აბა, რომელი უფრო ადრე მოუტერს შიგაწეის ხრახნს, — თქვა გარასკამ.

— მომაშორე, ერთი, ეს ბიჭი, ნიუშა, — მთხოვა პაშამ, — მთელი დღეა ბუზივით მეკვრის.

მე დავბირდი გარასკას, პატეფონს და გაკერევილებ-მეთქი, და ერთად წავედით სოფლისკენ.

არ ვიცი, იმის გამო, რომ მოწმენდილი და ხალისიანი დღე იყო პირველად მთელი გაზაფხულის მანძილზე, თუ იმიტომ, რომ ძია ივანეზე მეტი ვიმუშავეთ, — ბექობზე ისე იოლად ავედით, როგორც ბანაობის შემდეგ. როცა გორაკის თავს მოვეჭყეცით, შორს გამოჩნდა ყოველმხრივ გადაშლილი მინდვრები, ფართო გზა, სოფელი. ტყის იქით პირდაპირ მიწას გაჰკროდნენ სქელი ღრუბლები, ხოლო თავს გვადგა მთლად მოკრიალებული ცა, და ისეთ ლურჯ შუქს აფრქვევდა, რომ თვალს მოგპრიდა მისი ცქერა, ხოლო

ქილყავები ამ შუქმფინარ ცაში ნახშირით შავები მოჩანდნენ.

— მოდი, პირველი ვინ მიირბენს გზატკეცილამდე ასკინკილა, — თქვა გარასკამ.

მე დავეთანხმე, მაგრამ ვასილ კარპოვიჩი შევნიშნე და არ გაქცეულვარ.

ვასილი შოლიოდა შარაზე, ფარაჯამოლელილი, კეპი ეხურა და გარღვეული ხელთათმანები ეცვა. მან დაგვინახა და გზაჯვარედინზე შეჩერდა. მე ვიფიქრე, რომ ვასილმა უკვე იცის, რამდენიც ვიმუშავეთ და ჩემი ამხანაგი გოგოების შექება სურს-მეთქი.

გარასკა მოწყდა ადგილიდან და თავქვე დაეშვა გორაკიდან, თითქოს შურდულიდან გასროლილი ქვა ყოფილიყოს. ველარც მე მოვითმინე და დავედევნე.

— თქვენთან რალაც სათქმელი მაქვს, — მითხრა ვასილ კარპოვიჩმა, როცა შევდექი, სული მოვითქვი. და იმის მიხედვით, რომ მან „თქვენობით“ მომმართა, მაშინვე მივხვდი, იგი რალაც საყვედურის თქმას აპირებდა. და მე უკვე ვნანობდი, რომ ბავშვივით მივირბინე მასთან...

— ხართ თუ არა საქმის კურსში, — განაგრძო ვასილ კარპოვიჩმა, — რომ თქვენს უბანზე დაწუნებულია ექვსი ჰექტარი დახული მიწა?

მე ვუთხარი რომ კურსში ვარ-მეთქი.

— სამი თითის დადებით ნაკლებ სიღრმეზეა მოხსნული. აბა, რას უყურებთ? თქვენ ხომ კომკავშირელი ქალიშვილი ხართ. ხომ გესმით, რას ნიშნავს ექვსი ჰექტარის ხელმეორედ გადახვნა?

მე ვუთხარი, რომ მესმის-მეთქი. მაგრამ ვასილ კარპოვიჩის ყველაფერი არეოდა. უფროს აგრანომს დაუწუნებია ის უბანი, რომლის შემოწმება ევალეზობდა ტამარკას და არა მე, და რომ მე აქ არაფერ შუაში ვიყავი. ყოველივე ეს ისე მეწყინა, რომ ტუჩი ჩავიკეციტე და გავჩუმდი, იმიტომ, რომ, თუ თავისმართლებას დავიწყებდი, აუცილებლად აე-

ღრიადღებოდი. მთელი გზა განუწყვეტ-
ლივ მისაყვედურებდა იმის გამო, რომ
თქვენ თვითონ იყისრეთ კომკავშირული
საკონტროლო საგუშაგოს ჩამოყალიბება
და არაფერს აკეთებთ, ზანტად მუშაობ-
თო, მე ჩემად მივყვებოდი, და საშინ-
ლად შეურაცხყოფილი ვიყავი, რომ
იგი საყვედურებით მავსებდა და „თქვე-
ნობით“ მომმართავდა. შემდეგ კი,
როცა დავინახე, რომ გარასკას, პატარა
ბიკს, ვებრალეები და ისე მიცქერის,
თითქოს ავად ვიყო, უკვე ვიღარ შეე-
ძელი გაჩუმება.

— როგორც ჩანს, გეწყინათ, რომ
დღეს ჩვენ თქვენს საშეფოებზე მეტი
დავთესეთ, — ვუთხარი მე, — და თქვენც
ამიტომ ამავესეთ საყვედურებით!

— სულელურად ლაპარაკობთ! — მი-
პასუხა მან.

— როგორც შემძლია, ისე ვლაპარა-
კობ. თქვენ, ვასილ კარპოვიჩ, გუშინ-
დელი გამომცხვარი თავმჯდომარე
ხართ, ამიტომ იმის ნაცვლად, რომ
ხელთათმანი ჩაგეცვათ, ჯერ კარგად
უნდა გარკვეულიყავით, რაშია საქმე.

მან მიპასუხა. მაგრამ არც კი მინდა
იმის თქმა, თუ რა მიპასუხა.

— ნუ კი მაშინებთ, — ვუთხარი მე. —
მე თქვენ ნათლიაჩემი არ გეგონოთ, სა-
კვამლე მილიდან რომ აშინებდით!

ამასობაში გამგეობის შენობამდეც მი-
ვალწიეთ, და ვასილ კარპოვიჩმა მითხრა,
შიგ შევეყოლოდი. მეც შევეყვი, რა მე-
ნადვლებოდა გარასკაც შეგვეყვა.

ვასილ კარპოვიჩმა ხელთათმანები წა-
იძრო და მაგიდაზე დაყარა.

„ხედავ, როგორ ბრაზობს!“ გავიფიქ-
რე მე.

— მაშ ასე, უკანასკნელად გაფრთხი-
ლებთ... — დაიწყო ვასილ კარპოვიჩმა,
მაგრამ ამ ღროს ტელეფონმა დარეკა.

— დიახ... დიახ... — ჩასძახა მიღში
ვასილ კარპოვიჩმა. — რაიკომიდან? დი-
ახ ვიცი. თქვენსმეტე კი არა, ექვსი. დიახ
ექვსი ჰექტარი. მერე, რა მოხდა? გამო-

ვასწორებთ. რაო? ხმაამალა თქვით, არა-
ფერი ისმის! — ვასილ კარპოვიჩმა კვლავ
ჩაპბერა, თითქოს აგრილებდა მილაკს.

— ვინ? მე ვარ დამნაშავე. მერე, რა
ვეუყოთ, რომ უფროსი ვარ! ხდება ხოლ-
მე, რომ უფროსიც არის დამნაშავე.
რაო? აი როგორც კი მუშაობა შეგვიმსუ-
ბექდება, ჩამოვალ... არაფერი ისმის.
ერთი, მიხურე კარი... — ეს მან გარასკას
უთხრა, ხოლო შემდეგ დიდხანს ლაპარა-
კობდა ტელეფონით და იქნევდა თავისუ-
ფალ ხელს.

შემდეგ მან ჩამოკიდა მილი და და-
ვიწყდა, ხელი ჩამოელო ტელეფონიდან.
იგი იჯდა და ფიქრობდა, ხოლო მისი
ხელთათმანი ჩამოკიდებული იყო მაგი-
დის კიდეზე და მე რატომღაც გამახსენ-
და, რომ იგი და მამამისი მარტოხელად
ცხოვრობენ, რომ სახლი მუდამ დაულა-
გებელი აქვთ და იატაკი, წარმოიდგინეთ,
შობის შემდეგ არ მოურეცხიათ. და გა-
მახსენდა კიდეც, როცა ის არმიიდან და-
ბრუნდა, თვითონ მამამისი როგორ დას-
დევდა ეზოში ქათამს დასაქერად.

„მაინც რა სულელი ვარ, — გავიფიქ-
რე. — უნდა გავჩუმებულიყავი“.

— აბა, წადით, — მითხრა ვასილ კარ-
პოვიჩმა, რომელსაც ჯერ კიდეც ფიქრ-
ბისაგან თავი ვერ დაეღწია.

უნდა წავსულიყავი, მე კი ვიდექი.

— შენ გული ნუ მოგდის, — დაფიქ-
რების შემდეგ მითხრა ვასილ კარპოვიჩ-
მა. — თუ კომკავშირელი ხარ, ყველა
კუნჭულში უნდა შეიხედო. ყოველდღე
ისე უნდა იმუშაო, როგორც დღეს მუ-
შაობდი.

— ვასილ კარპოვიჩ, თქვენი ხელთათ-
მანები გარღვეულია, — ვუთხარი მე და
თვითონვე გამოიკვირდა, რატომ ვთქვი ეს.

— აბა, სად? — ვასილ კარპოვიჩმა
დახედა ხელთათმანს და გაიციანა. — არა
უშავს! ტროტუარზე ხომ არ ვსეირნობ.

— მომეცით, ამოვენმსავე.

— რა საჭიროა. აბა, რად მინდა! შენ
გარღვეული სამუშაო გაკერე...

მთლად დამწვა სირცხვილმა. საჭირო იყო წავსულიყავი, ხოლო მე კვლავ ვუთხარი: „მომეცით-მეთქი“, თითქოს ამ ხელთათმანების გარეშე ქვეყნად არ მეცხოვრებოდა.

— კარგი, აიღე, თუ ასე გსურს!

მე ავიღე და გარასკასთან ერთად შინისაკენ გავწიე.

ერთი საათის შემდეგ ჩემთან გოგოები მოვიდნენ და მეხვეწნენ, სამასლაათოდ წაველოდი მათ ძია ივანესთან. მე თან წავიღე ამონემსილი ხელთათმანები და წავეყვი გოგოებს, თუმცა დაღლილობისგან წელი მტკიოდა. ძია ივანეს ქოხი ყველაზე ფართოა, და საუბრებს უფრო ხშირად მასთან ვაწყობდით. მისი ცოლი, ლუკერია ილინინა, ნათლიაჩემი, ალერსიანად შეგვეგება, მაგრამ, როცა შეიტყო, სასაუბროდ ვიყავით მისული, უცბად გაჯავრდა.

— არ შემოგვივებთ,— გვითხრა მან,— ბოში დაშეცეს თუ შემოგინებათ. აბა, ამისი ნება როგორ დაგროთ ჩემმა ქმარმა?

მე ხვეწნა დავუწყე ნათლიაჩემს, გოგოებმა კი, დრო რომ არ დაეკარგათ, ტიხარს იქით ზიდვა დაუწყეს მაგიდას, საწოლს, კამოდს...

— მანდ ნუ ღვამთ, თქვე ცხენებო! — ყვიროდა ნათლიაჩემი. — აბა, როგორ მიეწედე თაროზე კოკობს? კარგი, თვითონ მოვიდეს, ვაზშამიც თვითონვე გაიწყოს, რადგან ასეა. მე ახლა მეზობლებში გადავალ, რადგან ასეა. მაგიდა კი გვერდულად გაიტანეთ, ასე არ გაეტევა კარებში...

ჩვენ ყველაფერი გავიტანეთ და ოთახი მთლად დაცარიელდა, მხოლოდ მრუდე სარკე, რომელიც კამოდის ზემოთ, კედელზე ეკიდა, როგორღაც უშნოდ მოიღრცა. დამფრთხალი ხოცო აქეთ-იქით აწყდებოდა სარკის ქვეშ. ჩვენ მოვრეცხეთ იატაკი, შიგნიდან ფანჯრებზე შუამდე ფიცრები გავაკართით, რომ ხალხს უნებლიე მიყრდნობით მინა არ გაეტეხა,

ავაესეთ კასრი ანკარა სასმელი წყლით, წინკარში ჩალა დაეყარე.

— რად გინდოდათ ამდენი ლამაზი რომ მოგიტანიათ?! — გვიყვიროდა ნათლიაჩემი. — სახლის გადაწვას ხომ არ აპირებთ?... სად გავგონილა, თქვენი ქირიმე, ხუთი ლამაზი ერთად? წავალ და დაგაბეზლებთ, რადგან ასეა. რას შერებით, ხუთივეს რომ ერთ კუთხეში ჰკიდებთ? იმ კუთხეში ხომ სიბნელე იქნება.

ცხრა საათისათვის იწყეს თავისმოყრა ჩვენმა სოფლელებმა. ყველაზე ადრე ბავშვები, მოსწავლეები მოგროვდნენ. ისინი მოეწყვნენ იატაკზე, ლუმელთან, და მყისვე მოჰყვნენ ცეკქობას, ისროდნენ ქუდებს, სარმას უღებდნენ ერთმანეთს. შემდეგ სამუშაოდან დაბრუნდა ძია ივანე, ნათლიაჩემმა ოდნავ შეახტრა იგი და ტიხარს იქით ვაზშამის გაწყობას შეუდგა. მოვიდა ლიოლკაც — ვეტერინარი ქალი, თავისი უჯრულა ხილბანდით, მოვიდა ჩვენი ლიომა; მას თავისი სამხედრო ქამრის თითბრის ბალთა ოქროსავით გაეპრიალეზინა. როცა ხალხი ბლომად მოგროვდა, დაიწყეს თამბაქოს წევა, მზესუმზირას ტკაცუნი, შეიქნა აურზაური და ჰაერი შეიხუთა. ლიოლკა გავიდა პარმალზე, მეც მოვემზადე შინ წასასვლელად. მაგრამ მოვიდა გრიშა ბაიანით, დაუკრა „ოგონიოკი“ და „რიბინა“. დაიწყეს სიმღერა, და მეც დავრჩი. მე სევდამ შემიპყრო. გააღეს ფანჯარა. წყალივით ცივი ჰაერი შემოიჭრა, ფარდა ააფრიალა და მე ყური მოვკარი ლაპარაკს, რომელიც პარმალზე ხდებოდა. მე არც კი მიფიქრია დამეყურადებინა. ვიჯექი ჩემთვის იმ ფანჯარასთან, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს იყო პარმალთან.

საუბარი ასეთი იყო:

— შემდეგშიც ახლანდელი ტემპებით რომ შევძლოთ მუშაობა, თესვას გრადიკზე ერთი დღით ადრე შევასრულებთ. ზარბაზნის გასროლასავით. ოღონდ აბ



უნდა შევეფერხდეთ... ხვალ წავალ და ვნახავ, ნიუშა როგორ მუშაობს.

— თქვენ სულ მიწაა და სასუქებზე ლაპარაკობთ. ზოგჯერ სამსახურებრივ საქმეებსაც უნდა მოსწყდეს კაცი. წავსულიყავით, გვეცეკვა მაინც.

— არ ვიცი ცეკვა. ომამდე, სანამ ბიჭი ვიყავი, მრცხვენოდა ცეკვა მესწავლა, ომის დროს — არა მცალოდა, ახლაც, დაგვიანებულია.

— რას ამბობთ, რატომაა დაგვიანებული თქვენ ალბათ ოცდაათი წლისაზე მეტის არ იქნებით.

— ოცდახუთისა ვარ. ოცდაორში ვარ დაბადებული.

— აი, ზომ ხედავთ. მთლად ახალგაზრდა ყოფილხართ, მაგრამ რალაც, როგორ გითხრათ, მიუკარებელი ხართ... ამაყი. ქალიშვილებს არ ელაპარაკებით.

— დიახ, ქალიშვილებთან ურთიერთობაში, მოუხერხებელი ვარ, თვითონაც არ ვიცი, რატომ. აბა, სიამაყე რა სათქმელია! ზოგჯერ მე თვითონ ბრაზი მომდის ამის გამო. სხვა ბიჭები ოხუნჯობენ, იცინიან, მე კი არაფრის თქმაც არ შემიძლია. არ ვიცი, რაზე ვილაპარაკო, განსაკუთრებით, ქალიშვილი თუ მშვენიერია, ენა დამებმის ხოლმე.

— უცნაური ხართ. ჩემთანაც გეპით ენა?

— არა, თქვენთან უფრო თავისუფლად შემიძლია ლაპარაკი. ხოლო, როგორც ჩანს, გოგოებს ეშინიათ ჩემი. აი, ამას წინათ — ოღონდ, არავის არ უთხრათ — რალაც კუბლეტებიანი წერილი მივიღე. გამართულად არის დაწერილი, ისე, როგორც წიგნშია ხოლმე. ხელმოწერა ასეთი აქვს: „თქვენი მეზობელი ქალიშვილი“. რომელიღაც ჩვენი ქალიშვილის დაწერილია. მაგრამ ვინ არის, არ ვიცი. კარგადაა დაწერილი, კუბლეტებიც კარგია.

— მაშ ცუდი იქნება? ციტატები ბლოკიდან იყო...

— მერე, ვინ იცოდა, რომ ეს ბლოკიდან იყო...

მეტი ვერაფერი გავიგონე, იმიტომ რომ ბავშვები გააბრძანეს ოთახიდან, ბავშვები სკამებს ქვეშ, ფეხებში ძვრებოდნენ. ატყდა ხმაური. როგორც იყო, ბავშვები გარეკეს და კართან ლიოშა დააყენეს წკებლით ხელში. როცა ოდნავ მიწყნარდნენ, მე კვლავ მომესმა:

— მერე და, როგორ უნდა მივხედარილიყავი?

— უნდა მიხედარილიყავით...

— როგორ შემეძლო...

და ორივე ხმა ისე ასმოდა, თითქოს მოსაუბრენი დამნაშავე ყოფილიყვნენ ერთმანეთის წინაშე. ახლა ჩემთვის გასაგები გახდა, თუ ლიოლა, ვეტერინარი ქალი, რატომ ატარებდა უჯრულა ხილბანდს სამუშაო დღეებში.

ვიფიქრე, საკიროა წასვლა-მეთქი, მაგრამ მაინც ვიჯექი გაუნძრევლად. ხელში მეჭირა სხვისი ხელთათმანები და ვიციროდი, როცა სხვებიც იცინოდნენ.

გრიშამ დაუკრა „ბოშაქალი“. ლიოშამ გინასტურა გაისწორა, გაისწორა თმები, გაიმართა, თითქოს ერთი გოჯით გაზრდილიყოს, გაშალა ხელები, თითები აატაკუნა და ძელსკამებს შორის წრეს ჩამოუარა სწრაფი, მოკლე ნაბიჯებით. ისინი, ვინც გასაღელში იდგნენ, კედლებს მიაწყდნენ, ხოლო ვინც ისხდნენ, ფეხები შეიკეცეს. ლიოშამ ჩამოუარა წრეს, ოდნავ აბაქუნებდა იატაკზე ქუსლებს, მერე კვლავ გაშალა ხელები, ჩაბტქნა, შეხტა და ისე დაიწყო იატაკზე ბაქუნი, რომ ყველა ლამპის ალი ერთბაშად, თითქოს უბრძანესო, ატორტმანდა.

— წინარად, შე გიყო, — აყვირდა ნათლიაჩემი. — წყნარად! ნუ ხტიხარ, შე შეჩვენებულო, იატაკი ჩატყდებ! ისედაც დამშალა იატაკის საყრდენები! მაგრამ ლიოშას შეკაიება უკვე შეუძლებელი იყო. მეგარმონივამე, ბაიანზე მიკრდით დაყრდნობილმა. ვეღარ შეიკავა თავი. არავინ ყურს არ უგდებ-

და ნათლიაჩემს. ძია ივანემ გამოიხედა ტიხარს იქიდან.

— ერთი შეხედეთ, შეხედეთ, რას სჩადის! — ხელებს ასავსავებდა ნათლიაჩემი. — გეყოფა!... ყველას გაგყრით, რადგან ასეა...

ბიჭებმა ტაში ააყოლეს მუსიკას, და გრიშას თეთრი თითები ხტოდნენ კლავიშებზე, მხოლოდ პატარძლები იდგნენ კარებში, შეეხვიათ პალტოში ძუძუთა ბავშვები და სერიოზულად უცქეროდნენ ლიოშას.

ლიოშა დიდხანს ცეკვავდა და მე მომწყინდა.

ბოლოს იგი უკანასკნელად შემოტრიალდა, ცალი ფეხით ჩაბუქნა, მეორე წინ გაიშვირა და გაქვევდა. ყველამ გაიცინა და ტაში დაუკრა. ნათლიაჩემმა ჩაიცინა, თან თავსაფრის ყურს იფარებდა. მხოლოდ პატარძლები და ძუძუთა ბავშვები ერთნაირი სერიოზულობით უცქერდნენ მას, თითქოს იგი მოხსენებას აკეთებდა.

— ხომ იცით, სად ვცხოვრობთ? მაშ, მოხვალთ, არა? — მომესმა საუბარი პარმლიდან.

— რვა საათზე, ზარბაზნის გასროლასავით.

მე შევახსენე ჩემს ამხანაგ გოგონებს, რომ ისინი დილის ოთხ საათზე მინდვრად გამოსულიყვნენ, ვთხოვე ტამარკას, გადაეცა ვასილ კარპოვიჩისათვის ხელთათმანები და შინისაკენ გაეწიე.

შოქუფრული ცა, რომელზედაც ერთი ვარსკვლავიც არა ჩანს, თავს დასწოლია სოფელს, და ისმის, რა გულსაკლავად ქრის ქარი ჩვენი ბაღის ტიტველ ბუჩქებში, როგორ მოფრატუნებს დედაჩემი ჩაბნელებულ წინკარში ჩემთვის კარის გასაღებად, და ნათლიაჩემის სახლში გრიშა კვლავ როგორ იწყებს დაკრას, ხოლო ჩვენი ბიჭები და გოგონები როგორ ლაზღანდარობენ და ხორხოცობენ, თითქოს სხვა საქმე არაფერი ჰქონდეთ.

როცა სამუშაოდ გავედით, ჯერ ისევ ბნელოდა. ჩემს ხელზე ცხენში დიფრთხინა — ეს ლიოშა მოსულა და მარცვლეული მოუტანია. პაშამ ჩართო მანქანის შუქი. ლაფშას გამობურთული თვალი ელექტრონივით აენთო. საველიჩი, რომელიც მანქანის უსიცოცხლო შუქში გაეხტა, ფქვილში ამოგანგლულივით თეთრად მოჩანდა, და მისი ჩრდილი აღმართულიყო პაერში, თხელნისლში.

ჯერ გათენებული არც კი იყო, რომ ჩვენი საქმე მარჯვედ წავიდა. ტრაქტორი მაშინვე ამუშავდა. ზედიზედ მოდიოდნენ საზიდები. გოგონებმა სათესში მარცვალი ჩაყარეს. საველიჩი, რომელსაც თამბაქოს წვევა უყვარდა, ამჯერად არ ჩამორჩენია ტამარკას. როცა ინათა, ჰექტარნახევრამდე იყო დათესილი.

— დაე მოვიდეს, ნახოს, — იცინოდა საველიჩი და ფეხმონორთვილი დარბოდა ვედროთი ურმიდან სათეს მანქანამდე, — დაე, ისიამოვნოს ჩვენი საქმის კეთებით, ოღონდ თქვენ მე გამიგონეთ.

დილის ექვსი საათი იქნებოდა, როცა თემჯდომარე მოვიდა. ცაზე მთვარეც იყო და მზეც.

— ერთი შეხედე, შეხედე, — ეშმაკურად ჰუტავდა თვალს საველიჩი, — იქნებ რაიმე მითითებებს მოგვცემთ, ახანაგო თემჯდომარე?

ვასილ კარპოვიჩს ხმა არ ამოულია და ტრაქტორს გააყოლა თვალი. სათესი მანქანა სწორად ღისცურავდა მიწის შავი ბელტების გასწვრივ, დროგამოშვებით დიდი ბორბლის სალტე ბრწყინავდა ნაჯახივით, და ჰილყავები უკან ხტუნვით მიჰყვებოდნენ როგორღაც ირიბად, თითქოს ქარს გაუტაცნიაო. ჩვენ შემოვტრიალდით და კვლავ გავუსწორდით ვასილ კარპოვიჩს.

— აბა, რას იტყვი? — ტრაბახობდა, საველიჩი. — რატომ არაფერს ამბობთ?

— არ ვარგა, — თქვა თავმჯდომარემ.

— რაო, რატომ არ ვარგა? — საველიჩი დაიბნა.

— არ ვარგა თქვენი განლაგება. ლიოშას ფრონტზე მარტო დაჰქონდა „მაქსიშკა“, ხოლო თქვენთან დიაცის სამუშაოს ასრულებს, ცხენით სეირნობს, გოგოები კი ჯახირობენ, სწორედ ამიტომ უნდებით ათ წუთს სათესი მანქანის აესებას.

ვასილ კარპოვიჩმა განკარგულება გასცა, ტამარკა და საველიჩი ცხენებზე შეესვათ. ბიჭები კი სათესის ასაესებად დაუყენებინათ.

საველიჩს ეწყინა.

— არ წავალ, — თქვა მან, — რაო, უნარდაკარგული ხომ არ...

— წადი, მამაჩემო, შენთვის უფრო იოლი იქნება.

— ვთქვი, არ წავალ-ზეთქი, მაშასადამე, არ წავალ. შენ, ვასკა, უმჯობესი იქნება ჩვენს საქმეში არ ჩაერიო. გამგობაში წადი და სწერე!

— ნუ მედავები, მამაჩემო, რაკი თავმჯდომარედ ამირჩიე, კიდევ უნდა გამიგონო.

— თავმჯდომარე! მე აგირჩიე და მევე უნდა გაგიგონო? მე შენ გიჩვენებ — თავმჯდომარეობას! შენ ჩემი შვილი ხარ და არა თავმჯდომარე.

— მართალია, შვილი ვარ, მაგრამ თუ არ წახვალ, სამუშაოდან ზოგხსნი.

— რაო?

— სამუშაოდან მოგხსნი.

— შენ?.. მე?.. — საველიჩს სუნთქვა შეეკრა. — სამუშაოდან მომხსნი? შენ ვის უბედავ მაგას?

— აბა, ყმაწვილებო, რას დამდგარხართ? — თქვა ვასილ კარპოვიჩმა. — იბუშავეთ. აქ ოჯახური საქმეა...

— აა,მაშ ასე, ხომ... დამაცა... — საველიჩმა მამალი ინდაურით შემოუარა ირგვლივ შვილს, შემდეგ ხელი ჩაიჭნია და თქვა:

— კარგი, ჩაშალე მუშაობა!

ჩვენ კვლავ შევუდექით თესვას. ლიოშამ გადაწყვიტა, ვეღარცერთს კი არა, ტომრებით ეწარმოებინა დატვირთვა; შემდეგ სცადა, სათესი მანქანის შეუჩერებლივ დაეტვირთა იგი; მისი მეგობარი, მეწყვილე მხარში ძლივს მიჰყვებოდა.

საქმე გაიჩარხა, მაგრამ ამა სუკეთესი შედეგი არ მოჰყოლია. დატვირთვა ისე სწრაფად ხდებოდა, რომ საზიდები ვერ ასწრებდნენ მარცვლის მოტანას. ტამარკაც სჩიოდა, რომ ბელლებთან მძიმედ მიღის დატვირთვა, გოგოებს უკირთ ტომრების აწევავ. საერთოდ, ტრაქტორმა კვლავ იწყო შეჩერება, ელოდებოდა საზიდებს, და წინანდელზე უფრო გაუარესდა საქმე.

ასე გავიდა ერთი საათი. აქა-იქ, მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა თხელი ღრუბლები, და ერთ-ერთ ზათვანში გამოკრთოდა მზე. შორეულ სერზე გადმოდგა ჭოკივით გრძელი ძია ივანე.

— გვიცქერის, — მოლუშვით თქვა პაშამ, — გვიცქერის, ჩვენზე მეტი ხომ არ გაუკეთებიათო.

ძია ივანე ერთხანს იდგა და წავიდა, თითქოს მიწამ შთანთქაო. ჩვენთან კი სწორედ ამ დროს უმოკმედოდ იდგა „ნატიკი“. მე გავჯავრდი ცხენებზეც, პაშაზეც, ვასილ კარპოვიჩზეც. აქ კიდევ საველიჩი წამოსკუბულა რკინის კასრზე და იცინის.

— ხომ არ შეიძლება, რომ ტორფიდან ერთი საზიდი მოვხსნათ? — შემოიტანა წინადადება ლიოშამ.

— იმ საზიდებზე ფიქრს თავი დაანებე, — უთხრა ვასილ კარპოვიჩმა. — ტორფის გვემაც ჩაფუშულია. სემიონი სად არის?

— ალბათ, ისევ „გაზიკის“ ქვეშ წევს.

— როდესაც მე არმიიდან დავბრუნდი, მაშინაც „გაზიკის“ ქვეშ იწვა. ახლაც წამოვავადებ.

— ალბათ არაფერი არ გამოვა! აბა სად შეუძლია იმ დრანდულეტს, ასეთ

გზატყევილზე გავლა! ორი დღის წინათ ჩვენი გზატყევილი ქათამსაც ვერ უძლებდა.

— ორი დღის წინათ სხვა იყო, ახლა სხვა არის!

— ამბობენ, — არ ვიცი, მართალია თუ არა, — ეს ჩვენი გზატყევილი ჯერ კიდევ პოტიომკინის გაუყვანია ეკატერინესათვის. ხელიდან წასულია...

— გაივლის. დაგაიფყდა, უკრაინის მესამე ფრონტზე როგორ დავდიოდით?

— რა თქმა უნდა, გაივლის, — დაეთანხმა ლიოშა. — წადი. მაგრამ მას აკუმულატორი არა აქვს.

მაგრამ ვასილი კარპოვიჩი, წინ წახრილი, უკვე სოფლისაკენ მიაბიჯებდა, და მე ვუცქეროდი, როგორ იშლებოდა მისი ფარაჯის კალთები ორივე მხარეზე, და რატომღაც გავიფიქრე, რომ „გაზიკი“ მაინც გაივლის, თუმცა არც გზა გამშრალიყო ჯერ და აკუმულატორიც არ ჰქონდა. და მართლაც, ჯერ კიდევ არ გვექონდა დამთავრებული მეორე სერული, რომ პირამდე ტომრებით სავსე ტონანახვერიანი მანქანა ამობობდა სერზე, და ვასილ კარპოვიჩი, ტალახში ამოთხვრილი, გადმოხტა კაბინიდან.

შუაღლე ახლოვდებოდა. ღრუბლები გაითანტა. მზე აცხენებდა. თიხნარის ამობურთულ ბელტებს წყაროს წყალივით ანკარა, გამჟვირვალე ორთქლი ასდიოდა. შორს ხნულში რაღაც თვალისმომპრეკლად აბრკვეიალდა, თითქოს იქ სარკე დაედგათ.

— შეხედე, ჩვენი თავმჯდომარე ნამდვილად ღმერთს ევედრება, — გაიცინა პაშამ.

მე მუდამ მიკვირს, რა მახვილი თვალი აქვს პაშას. ტრაქტორიც სწორ ხაზზე დაჰყავს და ყოველ მხრივ ყველაფერს ხედავს. მე გავიხედე: ვასილ კარპოვიჩს დაუჩოქია და ზომავს, რა სიღრმეზეა თესლი ჩაყრილი. გაზომა, გადაათვარა მარცვალს მიწა, ჩამოიბერტყა მუხლის თავები. აბა, როგორ წავე ასეთი ფარა-

ჯით ლიოლკასთან დღეს სტუმრად, არ ვიცი.

— მარცვალს კი არა, ემაწვილო, საკუთარ სულს აბარებ მიწას, — გაიცინა ლიოშამ, როცა ჩვენ ერთმანეთს გავუსწორდით, და მე დავინახე, თუ რა ბრკვეიალებდა შორიდან საარკესავით, ფრჩხილისოდენა შუშის ნატეხი.

— სამუდამოდ ხომ არ ვაბარებ, — გამოეხმაურა ვასილ კარპოვიჩი. — დაიცა, ზაფხულში მოისმენ, როგორ აშრი-აღდება ჩვენი სული ამ მინდორზე... რას იგინება ნეტავი სემიონი?

ტონანახვერიანი მანქანა ჯერ კიდევ არ იყო წასული. მის ახლოს იდგა სემიონი, თავივით გაწუწული, და იგინებოდა.

— ხომ ვამბობდი, რომ აკუმულატორი წაუხდა მეტეი, — თქვა ლიოშამ. — ახლა მორჩა და გათავდა.

— რა მორჩა და გათავდა. აბა, წავიდეთ!

ვასილ კარპოვიჩი წინ წაიხარა, თითქოს პირქარის წინააღმდეგ და სერისაკენ გაეშურა. მე რატომღაც კვლავ გავიფიქრე, რომ თუმცა აკუმულატორი წახდა, „გაზიკი“ მაინც ამუშავდება-მეთქი.

— ისევ შესამოწმებლად მოვიდა, — თქვა პაშამ.

— დაე, შეგვემოწმოს, ახლა კი ღირს ჩვენი ნამუშევრის ნახვა, — ვუპასუხე მე. და თან გამიკვირდა, როგორ შესძლო პაშამ დაენახა ძია ივანე ზურგიდან.

სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით, ვასილ კარპოვიჩი და ლიოშა მიაწვენენ მანქანას და დასძრეს გორაკიდან, მანქანა ამუშავდა.

— მაშ, მე შინ მივდივარ! — დაიძახა სემიონმა.

— როგორ თუ შინ? განაგრძე ზიდვა!

— როგორ უნდა ვზიდო? თვითონვე ხედავთ, ვერ ვქოქავ, მანქანას.

— შენც ნუ ჩააქრობ.

— მერე და რომ გადაიწვას, პასუხს ვინ აგებს?

— მე ვაგებ. აბა, გაუტეი!

ვასილ კარპოვიჩმა ორივე ხელით მოყუდა ვედრო და წყლის სმა დაიწყო. თავი უკან გადასწია, წვეთები მძივებით ეცემოდნენ მის ფარაჯას და შემდეგ — მიწას. ისინი კვალსაც არ ტოვებდნენ ფარაჯაზე, და მე შემშურდა, რომ ის ასე მოიქცა. მეც დამებადა სურვილი ასე საამურად მოქანცვისა, მომინდა ოფლი მომეწმინდა შუბლიდან და დაეწათებოდი წყალს, რომელსაც სველი რკინის სურნელი ასდის.

— აბა, მე სად დავდგე? — გულმოსულად ჰკითხა ვასილ კარპოვიჩს საველიჩმა.

— სადაც გიბრძანე, იქ დადექი, — უბასუხა ვასილ კარპოვიჩმა, — და მეტს ნულარ იჭირვეულე.

— შენ კი თავს ნუ გაგდის! მამა ვარ შენი, თუ არა?

მოსალამოვდა. დროა უკვე, რომ ვასილ კარპოვიჩი ლიოლკასთან წავიდეს სტუმრად, მაგრამ იგი ისევ დარბის ნახნავში ხან სხვა მიმართულებით ჰგზავნის ცხენებს, ხან ცდილობს ჯაჭვები მოარგოს სატვირთო მანქანას. და მე რატომღაც ვამეცინა, როცა გავიფიქრე, როგორ ზის ახლა თავის უჯრულა ხილაბანდით მორთული ლიოლკა და ხელების ფშვინებით დახედავს ხოლმე ოთხკუთხა პატარა საათს. მე სიცილის გუნებაზე ვიყავი მთელი საღამოს განმავლობაში, ვიდრე ვმუშაობდით და, ალბათ, შეღიმებოდა, იმიტომ რომ პაშამ გადმომძახა ტრაქტორიდან:

— შენ ისეთი სახე გაქვს, თითქოს ფეხისგულში გიხიციანებენ.

მე პირდაპირ მოაცხეს პაშა, როგორ ხედავს იგი ყველაფერს, რაც კი მის ზურგს უკან ხდება.

შინ გვიან წავედით. მთვარე ანათებდა, ვასილ კარპოვიჩი ჩვენთან ერთად მოაბიჯებდა, და მისი ფარაჯის კალთები ორივე მხრივ იშლებოდნენ, და ცალი კალთა ოდნავ ელამუნებოდა ჩემს ხელს.

ჩვენ შევედით სოფელში. ყველაფერს — გზასაც, საფენურქებსაც, ღობეებსაც, სახურავებსაც — თანხმად ეფრქვეოდა მთვარის შუქი, თითქოს სოფელში ცისფერი თოვლი მოსულაო. ლიოლკას ფანჯარაში ლამპის შუქი ჩანდა. ვასილ კარპოვიჩმა გვერდი აუარა მის სახლს და მე, როცა პარმალზე ავედი, მომესმა, როგორ უბრაზუნებდა ფეხს თავის კარებს.

მე შევედექი პარმალზე, ხოლო როცა გავიგონე, როგორ გაუღო საველიჩმა კარი ვასილ კარპოვიჩს, და მათმა ურდულმა ტკაცუნა მოადინა, შევედი სახლში.

ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტს ვთესდით. მუშაობის დამთავრების შემდეგ ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით როგორ მიდიოდა საქმეები. კომკავშირის კრებაზე ყოველთვის გვესწრებოდა საველიჩი და ყველაზე მეტს ის ჰყვებოდა. თესვა კარგად დაამთავრეთ, თითქმის პირველნი ვიყავით მთელ რაიონში.

ვასილ კარპოვიჩი ყოველდღე მოდიოდა ჩემს ნაკვეთზე, მაგრამ უკვე აღარ მბრძანებლობდა, და არც ჰქონდა რაიმე სამბრძანებლო. ხალხი განაწილებული იყო იმ სამუშაოებზე, როგორც მან მიგვითითა, ცხენები ისე ეზიდებოდნენ მარცვალს, როგორც მან ბრძანა. „გაზი-კი“ მუშაობდა.

მას უკვე აღარ შევეუხებებოდი, ხოლო ერთხელ, როცა ყური დაუგდო, თუ როგორ ვასწავლიდი ტამარკას, მითხრა:

— სწორად მართავ საქმეს, ლოყა-წითელავ. შენ... — მას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ აღარ დაამთავრა, შებრუნდა და ერთბაშად გამშორდა. და მახსოვს, მაშინ დიდხანს ვუყურებდი მიმავალს და ასეთი ფიქრი მაწუხებდა: ნეტა რისი თქმა სურდა მეტქი, მაგრამ ვერაფერი გაეარკვიე. შინ რომ მივედი. სარკეში ჩავიხედე. მართლაც, ლოყები წითელი მქონდა. ჭარხალივით. რატომ აღრევე არ შემიმჩნევია ასეთი რამ?

შეუმჩნევლად დადგა ზაფხული.

ერთხელ მამაჩემს საველიჩი ესტუმრა.

— აი მოწყობილი ოჯახი ეს არის, — უთხრა მან მამაჩემს, და თან ირგვლივ იცქირებოდა, ქუდი სად დაედო. — სულიერად ისვენებს კაცი. ჩემსას კი, აბა, რაა? მაგიდის უკრას რომ გამოვწევ, ბუზები ამოფრინდებიან ხოლმე. სიპართლე რომ გითხრა, ჩემს ქოხში ცხოვრება არც კი შეიძლება. ისეთი სუნი დგას, როგორც სადგურში, მომბეზრდა ასეთი ცხოვრება...

მე ვიწევი, დედა ჩემი ძროხის მისახედვად წავიდა, მამაჩემი და საველიჩი ბნელში ისხდნენ. ღუმელს უკან კრიკინა კრიკინებდა. მამაჩემმა და საველიჩმა თამბაქო გააბოლეს.

— დიასახლისია შენსას საჭირო, — უთხრა მამამ.

— მეც მაგას ვამბობ, დიასახლისია საჭირო, — სიტყვა ჩამოართვა საველიჩმა. — რამდენჯერ ვცადე ვასკასთვას მეთქვა ამის შესახებ, იგი კი სულ ბანზე მიგდებს სიტყვას, ხან ნორმებზე მტყუვის რამეს, ხან ინვენტარზე. ვერაფერს გაუგებს კაცი.

— არა სცალია, ალბათ?

— როგორ არა სცალია. დროს ატარებს, ლიოლკასთან. აი, იმასთან. ვიტყვინარი ქალი რომ არის, ხომ იცი? მესამე თვეა მას დასდევს, მაგრამ აბა ამას რა აზრი აქვს.

— იქნებ არ მოსწონს ის ქალი?

— თუკი არ მოსწონს, მაშინ რატომღა დანის მასთან? ამბობს, წიგნის საკითხავადო. ჰა — საველიჩმა ტაში შემოკრა, და წეკოს ეფემატი იატაკზე მოაბნია.

— წიგნის საკითხავად! ყმაწვილი ოცდახუთი წლისაა, ქალ-შვილი ლამაზია, ნასწავლი, დამოუკიდებელი, ხოლო ის ბიჭი წიგნებს კითხულობს. მე მას შევეკითხე, მან კი მიპასუხა, რომ ეს როდია აღამიანში მთავარი სილამაზეო. „ერთი

ამას დამიხედე, — გავიფიქრე, — რა ღრმად მსჯელობს-მეთქი!

— ახლანდელი ახალგაზრდობისაა ვერაფერს გაიგებს კაცი, — უთხრა მამაჩემმა.

— აი, მეც მაგას ვამბობ, ახალგაზრდებს ვერაფერს გაუგებ. რა არის მთავარი სილამაზე აღამიანში? აი, ჩემს თავზე ვიტყვი, როგორ დავნიშნე ჩემი განსვენებული ცოლი. ვისეირნე მასთან, ვისეირნე, როგორც წესი და რიგია. რასაკვირველია, დადგა დრო — ან სულ უნდა მიმეხებებინა თავი, ან ცოლად შემერთო. მამაჩემმა მიბრძანა, შეირთყო. რაღა გეწყობოდა, წავედი მათთან, როგორც წესი და რიგია, მოველაპარაკე მის დედას, დამეთანხმნენ, მომგვარეს ქალიშვილი. მართო დაგეტოვეს და რას ეხედავ: პირდაპირ სასწაულია! არ მომწონს ქალი. როცა ერთად ვსეირნობდით, კარგი იყო, როცა საქმე ცოლად შერთვაზე მიდგა — აღარ მომწონს! ცხვირი ერთი ბეწო აქვს, ტუჩები, რასაკვირველია, მსხვილი, როგორც არაბს, და, რაც მოავარია, როცა გაიცინებს, მთელი ზედა ღრძილი უჩანს, ღრძილი კი ღურჯი ფერისა აქვს მაშინ პირდაპირ გავოცდი, ეს როგორ მომივიდა, მე სულელს, ამდენი ხანია მას დაედევდი, ასეთი ნაკლი კი არ შემიმჩნევია-მეთქი? ერთხელ კიდევ შევხვდი, — არა, გავიფიქრე, ვერ დავთანხმდები-მეთქი! მივედი შინ — ხმას არ ვიღებ, ვერაფერს თქმას ვერ ვუბრუნებ. მხოლოდ, გარდაიცვალა ბიძამისი — მეწისქვილე, და მთელი წისქვილი ქალის მამას დარჩა. ერთი კვირა კიდევ დავიცადე, მერე ისევ წავედი მის სახლში. რას ეხედავ — ცხვირი არც თუ ისე პაწაწეინტელა აქვს, ტუჩებიც როდია მსხვილი, რაც შეეხება იმას, რომ სიცილის დროს ღრძილს აჩენს, არც ეს არის დიდი უბედურება: როცა ჩემთან იცხოვრობს — არცთუ ისე ხშირად გამოაჩენს-მეთქი. აი როგორ შენობრუნდა საქმე. ამით მივხვდი, რომ აღამიანს სიმდიდრე აძლედა სილამა-

ხეს! ადამიანის მთავარი სილამაზე სიმღიდრე იყო. ახლა კი რა არის ადამიანში მთავარი სილამაზე?

ისინი გაჩუმდნენ, და ოთახში, მაგიდის ახლოს აინთებოდა და ჩაქრებოდა ხოლმე პაპიროსების ორი წითელი თვალი.

— თვითონაც არ იცის, რა სურს, — კვლავ ალაპარაკდა საველიჩი. — აი წავალ ახლა, — წითელმა თვალმა ჰაერში რვიანი შემოხაზა, — წავალ და ვეტყვი, დაე, შეირთოს ქალი. მარტო მამაკაცები ვერ გაუძღვებიან ოჯახს.

— მერე-და, რომ არ ისურვოს?

— თუ არ მოისურვებს, — სიტყვა ჩამოართვა საველიჩმა, — თვითონ მე შევირთავ ქალს!

თქვა თუ არა ეს, შეეშინდა. მაგრამ დადგირდა, და გაიმეორა:

— მაშ რა გგონია, შევირთავ კიდევ! ჩემი წუთისოფელი ხომ არ დასრულებულია ჯერ?

— მერე და ვის შეირთავ? — ჰკითხა მამაჩემმა.

— სულ ერთია, ვინც იქნება. აი, თუნდაც გრიგორიენას მოვიყვან. ვერც ის ცხოვრობს ჩემზე უკეთესად, მარტოხელაა. ახლავე წავალ და ვეტყვი ჩემს თავმჯდომარეს.

საველიჩმა ძელსკამზე ხელისგული მოაფათურა, ქუდს ეძებდა. იგი დაეშვიდობა მამას, გავიდა და კარი მჭირლოდ მიიხურა, მამაჩემი კი ისევ იჯდა მაგიდასთან, და წითელი თვალი ხან ჩაქრებოდა, ხან აინთებოდა სიბნელეში; ოთახში ჩამოჩუმდნენ არ ისმოდა, ოღონდ კრიჰინა კრიჰინებდა ღუმელს უკან ისე მომამებრებლად, რომ სურვილი დამებდა, გამესროსა იგი.

მოვიდა დედაჩემი. ვახშმის გაწყობას შეუდგა და იკითხა, ძმარი სად არისო. ჩვენ ვივარდით და დაეწიჩით. ზარამ კრიჰინა მაინც ისევ კრიჰინებდა, მე ნაშუალამედ არ დამეძინა და ვბრაზობდი საველიჩზე იმის გამო, რომ მას, თითქმის ძალით, როგორც მეფის დროს

იყო, სურს თითქმის იძულებით შეერთებისთვის ქალი ვასილ კარპოვიჩს.

გავიდა ერთი დღე, გავიდა მეორე, მე კი მაინც ვერ შევიტყე, რაზე შეუთანხმდა საველიჩი თავის ვაჟს. მესამე დღეს კი, საღამოთი, ჩაიარა ლიოლკამ, მე ველარ მოვითმინე და დავუძახე მას.

— გამარჯობათ, — მითხრა ლიოლკამ და შეჩერდა. მე აღარ ვიცოდი, მეტი რა მეტყვა, ხოლო ლიოლკა იდგა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეწია და მუდუდებოდა.

— ამბობენ, რომ თქვენ ბევრი წიგნი გაქვთ. — ვუთხარი მე, რამე რომ მეტყვა. — მათხოვეთ ერთი წიგნი!

— კარგი. წავიდეთ ჩემსას, ამოარჩიეთ.

მე გავყვეი ლიოლკას, ვუცქეროდი მას და მშურდა, რომ იგი მსახიობი ქალივით ლამაზი იყო. დაახლოებით შუაგზა გვექნებოდა გველილი, რომ ლიოლკამ მითხრა:

— წიგნების შესახებ კი ხომ, ვასილ კარპოვიჩმა გითხრათ?

— არა. რა აქვს მას ჩემთან სალაპარაკო!

— არა? მე კი გგონია, რომ თქვენ და ის მეგობრები ხართ.

— აბა, ჩვენ რა მეგობრები ვართ! მე მას მხოლოდ მინდორში ვხვდავ.

— არ გირჩევთ მასთან მეგობრობას. არაფერი მასში კარგი არ არის. კარგად გავიცანი. მე იგი მუარშიყებოდა. დავუწყებდი თუ არა ლაპარაკს, იგი იჯდა, მაგიდის საფარს კმუტნიდა, და მხოლოდ ამას თუ გაიგონებდი მისგან: „ზარბაზნის გასროლასავით“.

ლიოლკას ოთახი ისე დალაგებული და სუფთა იყო, რომ კაცს პირდაპირ შეეშინებოდა, რამეს მიჰკარებოდა. მან თაროდან ლევ ტოლსტოის წიგნი „კახაკები“ გადმოიღო და მომამოწოდა.

— დაჯექით, ნიუშა, — მითხრა ლიოლკამ. — მე მეგონა, რომ მას აქ, ოთახში, რცხვენოდა, და ერთხელ სასეირნოდ წავიყვანე. იგი ისეთი სახით გამოიყვანე, თითქოს ამას ჩემი ხატრით სჩადიოდა.

მასხოვს, კარაბანს გაცვდით, დაბლობში ჩავედით, იქ, სადაც კობოხეებია. მე ვუამბობდი მას ჩემი ცხოვრების შესახებ, იგი კი დღემდა, ბუჩქებს ათვალევრებდა, ორმოებს ჩექმის ცხვირით ჩიჩქნიდა, პირდაპირ უზრდელად ეჭირა თავი. საუცხოო საღამო იყო. ბულბულები გალობდნენ. ბოლოს მასში რაღაც ამოძრავდა და ყოველგვარი ზარბაზნების გარეშე დაიწყო ლაპარაკი. მე გამოვივრდა, და ვიფიქრე, როგორც იქნა, ერთმანეთს გავუგეთ-მეთქი. მე ვუკითხავდი მას ბლოკს, და იგი გულდასმით მისმენდა. და უცებ, ხომ გესმით, გაქვავებულივით შეჩერდა რომელიღაც ორმოსთან. შემეშინდა კიდევ. შემომხედა, როგორც არანორმალურმა, და, წარმოიდგინეთ, დაიყვირა: «გაიქეცი ძია ივანესთან, ბარი მომიტანე! ოღონდ სწრაფად, ზარბაზნის გასროლასავით. მე ყველაფერზე უფრო აღმავფოთეს ამ სიტყვებმა: „ოღონდ სწრაფად!“ თითქოს ჯარისკაცი ვყოფილიყავი, ის კი — ლეიტენანტი. რა თქმა უნდა, შევეტრიალდი და შინისაკენ წამოვედი.

— მერე-და, რად უნდოდა ბარი? — ვკითხე მე.

— თურმე იმ ადგილას მან ტორტი დაანახა. კინალამ ჰკუთ დაკარგა სიხარულისაგან. მერე, მართალია, მოვიდა ბოდინის მოსახდელად და მთელი საათი მცმასპინძლდებოდა საუბრით იმის შესახებ, რომ სასუქი აღმოაჩინა გზიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, აქამდე კი ტორტს ბილიყებით ეზიდებოდნენ თვრამეტი კილომეტრიდანო. თავი ისეთი განიხადა, რომ...

— რატომ? ეს საინტერესოა!...

— აბა, რა არის აქ საინტერესო!

— როგორ არა. რამდენი ცხენი განთავისუფლდა სხვა სამუშაოსათვის. მანამდე კი...

— აი ახლა თქვენ დამიწყეთ კიდევ ახსნა-განმარტებას, — ლიოლკას გაეღიმა.

— არა ახსნა-განმარტებას არ დაიწყო.

ყებთ. მან კი კარგი საქმე გააკეთა. თვითონაც კარგი აღმოჩინა, ^{კარგულში}

— სხვათა შორის, გვსთქვენზე სულ სხვა აზრისაა, — მითხრა ლიოლკამ.

— რა აზრისა?

— დაგცინით.

— რატომ უნდა დამცინოდეს? — ვკითხე მე, და თითქოს რაღაც ჩამწყვდამკერდში.

— ძნელია ამის თქმა. აი, თქვენ ალბათ, გახსოვთ, გუშინწინ რომ ამხანაგი ჩამოვიდა რაიკომიდან. აი, ვასილ კარპოვიჩმა ის ამხანაგი მინდორში წაიყვანა — პურის ყანის დასათვალიერებლად, მოკლილი ვიყავი და მეც თან წავყვე. იარეს, დიდხანს იარეს, მე საშინლად დავიღალე. ბოლოს თქვენს ნაკვეთს მიადგენ, და ვასილ კარპოვიჩმა დაიწყო ლაპარაკი თქვენს შესახებ კომიკური ტონით.

— მერე და რატომ კომიკურით? ვკითხე მე. — იგი კრებებზე ხომ ამბობდა, რომ მე კარგად ვმუშაობ...

და მე აღარ გამოვინია, რა მიპასუხა ლიოლკამ, მგონი არც კი დავშვიდობებდევარ და მხოლოდ გზაში, შინისაკენ მიმავალს გამახსენდა, რომ მაგიდაზე წიგნი დამავიწყდა. მაგრამ უკან არ მივბრუნებულვარ. მივედი შინ, მაშინვე დავეწქი დასაძინებლად და დიდხანს ვტიროდი მალულად.

მეორე დღეს კი ვოლოგდაში გამგზავნეს სოფლის მეურნეობის სტახანოველთა თათბირზე. საღამო ეამს, როცა უკვე მანქანაში ჩავეჯექი, რომ სადგურში წავსულიყავი, მოვიდა ვასილ კარპოვიჩი. ის პირდაპირ მოადგა კაბინის კარს, მიმოიხედა, თითქოს უთვალთვალდნენ, როგორღაც საცოდავად ჩაიციინა, ყვავილი გამომიწოდა და ხმადაბლა მითხრა:

— ხომ გინდა?

— არა, არ მინდა, ამხანაგო თავმჯდომარე, — ვუპასუხე მე განგებ ხმა-მალა, რომ სიომკა შოფერსაც გაეგონა. — ბევრი ეკალი აქვს თქვენს ყვავილს. პატრონს ჰგავს ყვავილიც.



ჩვენ დავიძარით. მე გავიჭერიტე უკანა სარკმელში, მაგრამ მტერის ბულში ვასილ კარპოვიჩი ვეღარ გავარჩიე.

ვოლოგდაში ოთხ დღეს დავყავით. უკანასკნელ დღეს მე ვილაპარაკე ჩვენი მუშაობის შესახებ. ჩემი გამოსვლის შემდეგ, შესვენებისას, ჩემთან რაიკომიდან მოვიდა ის ძია, რომელიც ჩვენს კოლმეურნეობაში იყო სტუმრად. თურმე, იგი კარგად იცნობდა ვასილ კარპოვიჩს, ისინი წელიწადზე მეტხანს ყოფილან არმიაში ერთ ნაწილში. ძია მხიარული კაცი აღმოჩნდა, და, როცა ომის შესახებ დაიწყო ლაპარაკი, ყველაფერი სასაცილოდ და არა საშინლად ჩანდა მის ნათქვამში. მერე კი სინანულით აღნიშნა, რომ კოტახანს დავრჩი თქვენს კოლმეურნეობაში, ხოლო მე და ვასილ კარპოვიჩმა სამოყვართან (ზუსტად ასე თქვა) ვეღარ მოვასწარიით საუბარიო.

— ომის შემდეგ როგორ ცხოვრობენ შინ, ვასიასთან? — მკითხა მან. — საინტენდანტო ხომ რიგზე აქვს? კოვზი, ქრაჭი, ტანსაცმელი?

მე ვუთხარი, რომ ვასილ კარპოვიჩი კარგად ცხოვრობს, ოღონდ ომის დროს დედა გარდაეცვალა, და ახლა მას და მამასისს უჭირთ ოჯახის გამართვა-შეთქი.

— ასეთი გაჭირვება უბედურება არ არის! მალე დაეაქორწინებთ ყმაწვილს.

— ვისზე?

— თქვენ უფრო კარგად გეცოდინებათ. ვინ არის თქვენთან ის კომკავშირელი ქალიშვილი, რომელიც დღეში სამ ნორმას ასრულებს? მე და ვასილი როცა ბინდორში დავდიოდით, იგი პტრის ყანებს მაჩვენებდა და თავისი ხალხით ტრაბახობდა, ისე...

— იმ ქალიშვილის შესახებ კი რა თქვა?

— შეაქო, საერთოდ მან ბევრი ვინმე შეაქო, მაგრამ სხვებს, ასე ვთქვათ, პროზაულად აქებდა, იმ ქალიშვილის შესახებ კი თითქმის უფიქრობდა და იმეორებდა ლაპარაკი, თითქმის ცერებრულად.

ძიამ ჩაიციხა და თვალი მოხუტა, რაღაც გაახსენდა.

— იმ ქალიშვილმა კი, რომელიც ჩვენ დავეყვებოდა, შურისაგან თავისი ქალაქური ხილაბანდის კენეტა დაიწყო თეთრი კბილებით. ხომ ყველაფერი გასაგებია?

ეს მან ხმადაბლა, აღუჩარებლად წარმოთქვა და ისე შემომხედა, რომ შემეშინდა და აღარ განვაგრძე მასთან ლაპარაკი, თორემ ჩემგან იმასაც შეიტყობდა, რისი გაგებაც მისთვის არ იყო საჭირო.

მე აღვიჭურვე მოთმინებით და თათბირის დასრულებას მოვუცადე. მეყო მოთმინება მშვიდად დავლოდებოდი მტარებელს, მაგრამ როცა ჩვენს სადგურში ჩამოვბტი, ვეღარ დავუწყე ძებნა სოფლისაკენ მიმავალ მანქანას და ამიტომ ფეხით დავადექი გზას.


სოფელს ღამით მივადწიე. ჩვენი სახლის ფანჯრებში შუქი ჩანდა. მე ოთახში შევედი. მამაჩემი და საველიჩი სვამდნენ. დედაჩემი თაროსთან ფათურობდა და ილანძლებოდა, ვიდაცას ძმარი სულ მთლად დაუცლიაო. მე არაფერი მითქვამს დედაჩემისათვის, თუმცა ძმარს მე ვსვამდი მთელი თვის განმავლობაში, და ვსვამდი იმისათვის, რომ წითელი ფერი დამეკარგოდა სახეზე. არაფერი მითქვამს, რომ მოთმინება აღარ მყოფნიდა, მენახა ვასილ კარპოვიჩი, რომ მას გული არ მოსვლოდა ყვავილის გამო.

უკვე თერთმეტი საათი იყო. ასე უმიზეზოდ მასთან წასვლა უჩებრულად ჩავთვალე, მაგრამ რაღაც საქმე მოვიმიზეზე.

— სად მიდიხარ? — მკითხა დედამ.

— ახლავე დაბრუნდები. წერილი უნდა გადამეცა პეტრე კარპოვიჩს.

— არ პეტრე შენს ძმარს იკარპოვიჩი. — მკითხა დედაჩემი. — ყვედიხანდა და გადაეკრა.



მე გული შემეკუმშა.

— როგორ თუ არ არის?

— ისე, არ არის. დააწინაურეს. რაიონში დაუძახეს დღეს. ხომ კარგი თავმჯდომარე იყო? — როგორც ჩანს, ამ სადამოს პირველად როდი ჰქონდა მიცემული ეს შეკითხვა მამაჩენისათვის, როგორც ჩანს, მამაჩემიც პირველად როდი უპასუხებდა: — სწორედ კარგი თავმჯდომარე იყო!

მე ხილბანდი მოვიხეიე და ქუჩაში გავიქეცი. მთვარე ანათებდა. მთელი სოფელი მოჩანდა თავიდან ბოლომდე. ღრმა ღუმილი სუფევდა. ძაღლები არ ყფდნენ, ხეები არ შრიალებდნენ. ძესულიერი არ ჩანდა ქუჩაში, თითქოს ჩენი კოლმეურნეები უკლებლივ წასულიყვნენ რაიონში. მე ხან მივრბოდი, ხან მივლიოდი, ხან მივრბოდი და ბოლოს მღვალწიე საველიჩის ქობამდე. დარბები ღიად იყო. მე მივეკარ ფანჯარას, შიგნიდან მთვარე რკალივით მიცქეროდა, თითქოს ზეკითხებოდა: „რა გესაქმება აქაო?“ მეორე და მესამე ფანჯრიდანაც იგივე მთვარე თითქოს დაცინვით მომჩერებოდა. მე დაეფიქრდი და ეზოში შევედი. პარმალზე ზანტად ირხეოდა თოკზე დაკიდებული ნისკარტიანი ხელსაბანი. მოაჯირზე მჩვარი იყო გადადებული. მე ავედი კრაკუნა საფეხურზე და კარზე დიდი ბოქლომი დავინახე.

არა, ალბათ, მართალი უთქვამს საველიჩს.

გული შემეკუმშა. შიგნურე უძმკარი და თითქოს სიზმარში ვიყავი, ისე გავედი სოფლის განაპირას. გავიარე გზატკეცილი, მივალწიე იმ გზაჯვარედინს, სადაც ვასილ კარპოვიჩი მისაყვედურებდა ექვსი ჰექტარის გამო, ავედი გორაკზე და შევდექი იმ ქვასთან, რომლის ახლოსაც ვასილ კარპოვიჩმა წყალი დალია, როცა დაიქანცა.

ყოველი მხრით, გადაშლილი ტყის პირამდე, ოდნავ ირხეოდა თავთავაყრილი პურის ყანა. ნიავე აქანავებდა მშიმე, მკვრივად შეკრულ თავთავებს. და ჩუმი შრიალი, ნაზი წკრიალი, საამო სტვენა გაისმოდა უკიდვანო მინდორში. ვერცხლისფერი, მთვარის სხივდაფენილი ბილიკი ლაპლაპებდა თავთავებს შორის. და ანაზღად დავმშვიდდი, სიამე ვიგრძენი.

— ვასია, არ გამოიჯავრდე იმ ყვაელისათვის! ეს სისულელით მომივიდა, — ეთქვი მე და, მგონი, ავტირდი კიდევ.

პურის ყანას კი ნაზი სტვენით გადაურბინა მკვრივმა ტალამ, დაიხლართა გვერდულად, ჩემსკენ მოაშურა და მოზვაებული თავთავები მოიწევდნენ ჩემი ხელებისაკენ.

თარგანი კმბრა ბახტურიძისა

ახალი ლექსები



ღმას ტრიბუნაზე

1

მშვიდად ავიდა ის ტრიბუნაზე
და მიმოავლო დიდ დარბაზს თვალი,
გაშუქდა უმაღლესი სიამაყით
საესე წარსული და მომავალი.

ხედავს არწივებს, თვით რომ დაზარდა,
გული ყველას რომ დაუნაწილა,
ყოველ მათგანში მისი აზრი და
მისი ოცნება ცოცხლობს და ბრწყინავს.

განა ტაშია! ეს გრიგალია,
ეს სიყვარულის ბობოქრობს ქარი,
და აფრქვევს ღიმილს
თანამებრძოლებს
აქ უკვდავება ფეხზე დამდგარი.

წუთი წუთს ფარავს, მქუხარ დარბაზის
ზეიმს, სიხარულს არა აქვს ზღუდე,
ასე ტორტმანობს და იწევს მაღლა,
თითქოს მომწყდარა ზღვა თავის
ბუდეს..

ტაშის ზეიმი, გულის ზეიმი
ასეთი არსად ჯერ არ ნახულა.
სწამთ, რომ შენობას, მისგან აგებულს,
თვითვე დაადგამს ნათელ სახურავს.

აი, მიყუჩდა მყის ქარიშხალი,
შეჩერდა ტაშის მომსკდარი ზეაი.
დაიწყო სიტყვა... უფრო გადიდდა,
უფრო გაბრწყინდა კრემლის
ვარსკვლავი.

ეს რა ძალაა დაუშრეტელი,
ბნელ სამყაროს რომ გადაეღობა.
უსმენს დარბაზი სულგანაბული
სიშართლის მამას, ხალხთა მეგობარს.

ისმენს ტორეზი, ისმენს ბერუტი
და დოლორესი ამ ნანატრ სიტყვებს.
აღეთქებული, ამაღლებული
გული სიხარულს მათი ვერ იტევს.

ყოველი სიტყვა არის ნიშანი,
მათში მომავლის ბრწყინავს ნათელი.
თითქოს დარბაზმა ბედნიერებას
აქ ჩამოართვა მხურვალე ხელი.

ხედავს პოლიტი და ვილჰელმ პიკი
მათ ქვეყნებშიაც შესულ განთიადს.
სახელოვანი — ხალხთა იმედი
ღმას ტრიბუნაზე დიდი პარტია.

ჩვიდმეტი წელი



ჩვიდმეტი წელი, ჩვიდმეტი წელი...
იმ წლის ქარბუქებს რა დამაიწყებებს.
იქედან მოდის ქვეყნის ნათელი,
და მეც ცხოვრებას იქედან ვიწყებ.

ფინლიანდიის მახსოვს სადგური,
იქ ბედნიერმა ლენინი ვნახე.
ნასში ღელავდა რუსეთის გული,
მასშა ბრწყინავდა მოუხვენარი

რევოლუციის გენიის სახე.
ეს მან წარმოთქვა პირველმა სიტყვა,
მილიონებს რომ სინათლით არხევს.
მახსოვს ის სიტყვა... ქუჩებში ქროდა
და ხალხს აძლევდა თავის დიდ სიტბოს.
რა ანდამატი, რა ძალა ჰქონდა,
თვით დედამიწა შეტოვდა თითქოს.
ის იყო სიტყვა რომ შემოიქრა
როგორც გრიგალი ჩემს ცხოვრებაშიც.

მეც დავინახე, დიდი სიმაართლე
რომ ლაღადებდა მის მზიურ ხმაში.

ო, ის დღე რა წამს მომაგონდება
ფეთქვას დაიწყებს სხვა ძაღლი გულს.
ლენინს ესმოდა ხალხის გოდება,
ლენინს ესმოდა მიწის გუგუნო.
ის იყო წუთი — წუთი ისეთი,
რაც ცხოვრებაში არ მეორდება.

ჩვიდმეტი წელი... იმ წლის აპრილი,
მომავლის ფურცლებს შუქით რომ
შლიდა.
მშვიდობა მისცა ლენინმა ხალხებს,
ლენინმა იხსნა ხალხი ომიდან,
როგორც გრიგალი ქუხდა ლენინი,
მას უკვდავება დაუძმობილდა.

ს ა მ შ ო ზ ლ ო ს

★

აღარ მშორდება შენი მშვენება,
შენზე ოცნება აღარ მასვენებს.
გული სავესე მაქვს, შენი ფართო ცის
სიცოცხლის ცვარი მეც რომ მასველებს.
დიდი კავშირის სამკაულია
მზით დაკოცნილი შენი ბალები,
შენი ბელლები, ლალის მარნები
და ვაეკაცები გულჯანსაღები.
აუ, რამდენი ყაყაჩო ელავს,
როგორც შორს მგზავრთა გზის
ჩირაღდნები,
როგორც პატარა ბაირაღები.

ვინ ჩამოთვალოს მახვილთა ცემა,
შენ რომ გინახავს — ენით უთქმელი.
ნაგრამ ბრწყინავენ დღესაც ძლიერად
შრომის, ყინწვისის ქვის ჩუქურთმები
და გუგუნებენ ისევე მდგრად
მათში ჩარჩენილ გრიგალთა ხმები.
ჩემო ქვეყანავ, მშვენების გულო,
ბედნიერების მზით ავსებულ!

ვიცი, როდია შენი დიდება
მხოლოდ წარსულით შემოფარგლული!

წარსულის ყველა შექმნე მერტია
ის ერთი სახლი — სამყაროს გული,
ის ერთი ქოხი — სამყაროს ფუძე,
ხალხის ტრფილით შემოსაღებული.
ჩემო ქვეყანავ, სიბრძნის მშობელო,
სიცოცხლის წყაროვ, დაუშრობელო!

ჩემი ოცნება ჩემი ფიქრები,
მთელი არსება შენსკენ იხრება.
რა ლამაზი ხარ, დღეს რომ ყვავილობ
და შენს მინდვრებზე დოლის თავთავთა
ვრცელი ტალღები ხარობს, ირხევა.
შენ სივრცეებზე ერთ სახეს ვხედავ,
თავისუფლების მშრომელო დედა!

რა მიხარია, რომ მხარს უმშვენებ
თხუთმეტ თანასწორ ძმას შენც
ჩჩეული,

მთელი ნუგეში და ძლიერება
ამ მშობაშია შიგ ჩახვეული.
შენ თავდადებას, ურყევ სიყვარულს
და გმირობას ხარ მარად ჩვეული.

მე შენი ხილვა მწყურია მარად —
და არ მიტაცებს სხვა საჩუქარი.
ოღონდ გულს მომხვდეს, ნუ
მომაკლდება
შენი ცის ნამი, შენი ცის ქარი.

როგორ იზრდები, როგორ მშვენიერად
შენ დიდ კავშირის ერთი ცისკარი,
დიდო კავშირო, სამყაროს თვალო,
ხალხთა იმედო, მზეც ჩაუვალო.

ვიზნი სიცოცხლის



არა, არ მიყვარს ბურუსი ღამის,
შვეტრფი ყოველთვის დღის გათენებას,
რომ გავილუმპო ბაღებში ნამით,
ვეუცქირო ჩემი ქვეყნის მშვენიერებას.

ვეუცქირო შეჭით გამოღვიძებულ
დიღის ნიავს და სიცოცხლის ფერებს.
თავდავიწყებით გავყვე, გავსდიო
მზის ცხელ ნიაღვარს, დღის
სიმღერებს.

ვეუცქირო ჩემს ცას, ჯეჯილებს,
მინდვრებს,
კრძალვით საღამო მივეც ყვავილებს —
ჩვენში პატივი რომ დაიმკვიდრებს
და სურნელოვანს ხატავენ ჩრდილებს.

რომ სიხარულით მოვავლო თვალი
გაფურჩქვნილ ვაზებს, ველებს
ნაპურაღს

და ცაში შეჭრილ ტანაყრილ ქარხნებს;
ვიხილო ხე და სახლი ახალი,
მზე იქნება თუ წვიმა შხაპუნა,
მე დიდ სიყვარულს რომ მიკარნახებს.

რომ მოვისმინო ახალ ქალაქთა
ანდა სამგორის არხების ენა,
ვეუცქირო დონის, ვოლგის მნათობებს
ახალ ხმელეთის, ზღვების გაჩენას.

რა სასოების მესხმება ფრთები,
ამ დიდ შენებას ვეუცქირო ოდეს.
გულს, გულს რა ვუყო, ამდენ
სინათლეს
ან ცის სილურჯეს როგორ მოშორდეს.

მაგრამ რა არის! მწამს რომ შემდეგაც,
როცა სქელ ბურუსს მივეფარები,
შენში ვიცოცხლებ და კვლავ შევხედავ
ამ სიღამაზეს შენი თვალებით,
ცელქი თვალებით.

ორი ძალბატი



მიყვარს თბილისი, ჩემი თბილისი,
მაგრამ მოსკოვსაც წუთით ვერ
დავთმობ.
ორივე ჩემი სიყვარულია,
ორივე თანაბრად მახარებს, მათბობს.

ერთში ბავშვობას და მეორეში
ჩემს გატაცებას ლხენით უვლია.
ერთი თუ ქართველის გულისცემაა,
მეორე მთელი ქვეყნის გულია.

ვახსენებ თბილისს, თან მოსკოვისას
 გულში ვატარებ რა ერთგულებას,
 ხალხთა ოცნება, ხალხთა იმედი,
 სიცოცხლის ძალა იქ მეგულვება.
 იქედან მოდის მშვიდობის შუქი,
 და სიბრძნის წყარო იქ ჩქეფს
 უღვევად.

დიდზე დიდია ჩემი ქვეყანა,
 ყოველ ხალხს ამკობს თავის იერი.
 წმინდაა მისი ყველა ადგილი,
 სადაც კი დავდგამ ფეხს ბედნიერი.
 მაგრამ მოსკოვი... მაგრამ თბილისი,
 იქით არყისზე, აქეთ იელი.
 რა ექნა, ამათი აღარ მამშვიდებს
 მე სიყვარული უფრო ძლიერი.

არა, ვერ დავთმობ თბილისის ბაღებს,
 ვერც მის ლაყვარდში ქარს მოთამაშეს.

მაგრამ მოსკოვი? იგიც ჩემია,
 არც მინდა სუნთქვა მე მის გარეშე.
 იქ ძვირფასია ყოველი ქუჩა,
 წმინდა ადგილი — მავზოლეუმი,
 უქრობ მნათობად რომ აღმართულა.
 რა უნდა ენახო მოსკოვში მართლაც,
 რომ არ მიყვარდეს მტკიცედ,
 ქართულად.

თბილისი ჩემი არის აყვანი,
 მოსკოვი ქვეყნის დროშად დარჩება.
 ორივე ერთია, ორივე ძვირფასი
 და ვერ მოვახდენ მათში არჩევანს.

ბედნიერი ვარ მათი შენების,
 დიდების ხილვა მეც რომ მელირსა!
 ჩემთვის ორივე რძედაუმზრალი
 წმინდა ძუძუა ერთი დედისა.

თბილისო ჩემო!

★

გტოვებ დროებით, თბილისო ჩემო,
 მაგრამ ოცნება მრჩება კვლავ შენთან.
 ჩემში ხალხის ცეცხლის გამჩენო,
 როგორ ჩაქრება ის სიყვარული,
 შენს რიყრაყებთან რომ შემეერთა.

სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის
 გულში იჭროლებს შენი ქარები,
 შენა შექსავსე მუდამ დროშები,
 ამიტომ არის, შენი ბაღების
 და ცათა ხილვას რომ ვეჩქარები.

ჩემო თბილისო, აშენებულო,
 დამშვენებულო, მთებმოხატულო,
 შენი სიერცენი რაირც განათდა,
 და სილამაზე შენს მიდამოთა
 დღითიდღე უფრო ღვივის, მატულობს.

როგორ შევამყო იმის მარჯვენა,
 ვინაც სიცოცხლე შენი გვაჩუქა,
 ვინაც მშვიდობა შენი დაიცვა

და გაზაფხული მზით და ხმაურით
 შენს ლაყვარდებში შემოაშუქა.

იმ მკლავს სიცოცხლე, იმ მკლავს
 დიდება,

შენი გენია ვინაც არწია.
 ვინაც მტკვარს მისცა მშვიდი დინება
 და კომუნისმის ხარაჩოები
 დადგა, აშენა, მალლა ასწია.

ჩემო მშვენებავ, ბერიას ხელით
 დამშვენებულო, მთებმოხატულო!
 როგორ გვახარებს ჩვენ ეს სახელი,
 ჯა რაც დრო გადის, ტრფობა მისდამი
 ჩვენში დღითიდღე უფრო მატულობს!

გტოვებ დროებით, ოცნებავ ჩემო,
 მაგრამ სულ მალე ვიხილავ ისევ,
 შენ ჩემი გულის ცეცხლის გამჩენო,
 ვერც კი ვავიგე, შენს სიყვარულში
 დავებრდი ისე!

ქვიშეთი

დიდო მოსკოვო



★

ჩემო მოსკოვო, დიდო მოსკოვო,
რარიგ გაიდგი ჩემს გულში ფესვი!
ფიქრით შენთან ვარ და შენით ვხარობ,
მარად მწყურია შენი ალერსი.

შენ ხომ ერთი ხარ მანათობელი,
და ველარ ვიტან შენგან შორს ყოფნას.
რომ დავტკბე შენით — ვგრძნობ —
დარჩენილი
სიცოცხლის დღენი აღარ მეყოფა.

მავზოლეუმი, კრემლის სინათლე
მთელი სამყაროს ფიცი, ფიქრია.
აყვავებულა, მშვიდობის დროშავ,
შენ სილამაზის დიდო სტიქიავ!

შენი მხარგაშლა მზიბლავდა მუდამ,
სხვა საოცნებო არც კი მქონია.
შენზე დიადი მე არ მინახავს,
არც არასოდეს გამიგონია.

შენ ხომ რვაასზე მეტი წლისა ხარ,
სიკაბუქეში კი ახლა შედი.
ახლა დაიწყე სიცოცხლე — სახეც
გმირობით, შრომით და შარავანდელით.

შენით ვამაყობ და შენით ვსუნთქავ,
მე შენში მზიბლავს მზიური ფერი.
შენთან ქრის ჩემი ფიქრი, ოცნება
და სიყვარული განუყოფელი.

დიდო მოსკოვო, ხალხთა იმედო,
ხსნას შენგან ელის მთელი სამყარო!
მშვიდობასთან გაქვეს მარად კავშირი,
შენ, კომუნიზმის სინათლის წყაროვ!

შენსკენ ვისწრაფვი, ჩემი ქვეყნისაც
გამარჯვებანი რომ მოგახარო.
შენ, ბედნიერო, როგორც სიმღერავ,
შენ, სიყვარულო მუდამ ახალო.

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი

★

ლენინგრადი, ლენინგრადი... სტუდენტობის წლები
შრიალებენ ჩემს ხსოვნაში, ვით არწივის ფრთები.

გზა ყოველი, ყველა ქუჩა ნევის პროსპექტს ერთვის,
ლენინგრადი ქარიშხლების აკვანია ერთი...

მახსოვს, სმოლნი, ტორტმანობდა როგორც გემი ზღვაში,
ახლაც ვხედავ ნაცნობ ქუჩებს, ლალ დროშებში გაშლილს.

ახლაც ვხედავ, აერორიდან რომ ავარდა ბოლი
და ყუმბარამ გაატარა ბნელში თეთრი ზოლი.

ლენინგრადო, ეს შენა ხარ დიდ საქმეთა კერა,
შენ ანთე ეს ცხოვრება ნაირნაირფერად.



მენატრება შენი ცის და თეთრ ღამეთა ცქერა,
ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის ეტიუდთა ჟღერა.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ შენს ტრფობას ვბედავ,
შენ აპრილის ყვავილების, აჯანყების დედავ!

შენთან იყო, დიდ ლენინის ოცნება რომ ვცანი,
იმ ოცნებამ მოიარა ხმელეთი და ცანი.

ის აზრია, დღეს რომ ყველგან ვულკანივით ბორგავს,
დონის წყალი შექმფინარი უძმობილა ვოლგას.

დიდი ქვეყნის ტრამალებზე რომ დღეს ახალ ზღვებად,
მისი ძალით სალი კლდენი ფოლადად რომ ლღვება.

ის აზრია, რომ შრიალებს უზარმაზარ ბაღად,
კომუნისმის მწვერვალისკენ რომ მიეყვართ ლაღად.

ლენინგრადი ამ გენიის სახებაა სრული,
ყველაფერში, ყველგან ცოცხლობს დღეს ლენინის სული.

ლენინგრადი... იქ ვიგრძენი დიდი ხალხის გული,
იქ ვიგრძენი დიდი ხალხის ამბოხება ბრძნული.

მენატრება ნელი ნევა და პუშკინის ბაღი,
ბაღში მჩქეფი შადრევნები, ხეივნების თაღი.

რუკაზედაც როცა გხედავ, მიხარია მეტად,
სიზმარშიაც ხშირად გხედავ — შენთან ვიყო ნეტა!

ლენინგრადი — ქვეყნისათვის მოვლენილი ბედად,
სიკბუტის ოცნებათა საყვარელი დედა.

ქ უ თ ა ი ს ი



ქუთაისო, ქუთაისო, ვარდნარო და შზიანო,
სიჭაბუკის აღსარებაჲ, სილამაზის ზიარო.

გიგონებ და გული ხარობს ისევ შენი ტრფიალით,
მიყვარდა და უფრო მიყვარს შენი ქარის შრიალი,
მენატრება ისევ შენი ვარსკვლავების ციალი.

მახსენდება საფიჩხია და ოცნება პირველი.
მგონია, რომ სიყვარული თუთის ხესთან მიმელის,
ახლაც მესმის გულის ის ხმა ნეტარი და ძლიერი.

ქუთაისო, შენი შვება ზენა ქარმა მახარა,
ახლაგაზრდამ მიგატოვე, გიბრუნდები ქალარა,
მესმის, მესმის შენს ქუჩებში კომუნისმის ნალარა.

ვხედავ, სულ თან დამყვებიან გვერდით შენი ბაღები,
ქარხნის მიღებს დაუსერავს ცის მაღალი თაღები
და შენს მკერდზე გაწოლილან კრემლის შუქის ტაღები.

ვისწრაფოდი, რომ მშვეენება შენი კიდევ მენახა,
ვარდების და ავტოების ერთი კერაც შენა ხარ,
ირგვლივ სივრცე გახვევია აყვავებულ ვენახად.

რა ბეღია! მოგველინა შენ მზრუნველი მგზნებარე,
მისი სიტყვა, ისე ბრწყინავს ვით იმედი მჩქეფარე,
მწამს, რომ უფრო აყვავდები შენს წალკოტში მღებარე.

შენ აყვავდი, შენ იხარე, წმინდა ფიქრთა ალაგო,
შენ — სტალინის სიჭაბუკის და ოცნების ქალაქო.



უკრაინაში



ფიქრები გურამიშვილზე

დავით გურამიშვილი მკათათვეში დაატყვევეს.

„ქვეყნის წარხდენის მიზეზით“ ლამისყანაში გადახვეწილ პოეტს ხელფები გაუტრეს და ილტოზის ბილიკით დალესტნის მთებშიაკენ გაიტაცეს. მას არ დასცალდა ერთხელ კიდევ მოესმინა ქართლელი გლეხების საყვარელი „პოპუნა“ და „ჰეკა-ოკა“.

უნებურად მახსენდება ძველი ხალხური ლექსი:

„ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა“...

იქნებ გულმოკლული დავით გურამიშვილიც დუდუნებდა ამ სიტყვებს და თვალი ქსნის პირებზე ახლადშემოსული, დაპურებული ყანებისკენ რჩებოდა.

ახლაც გახურებული მკათათვეა საქართველოში. მშვიდობის პურს იმეის ქვეყანა. ყველგან ახლადგალეწილი ხორბლისა და ნამუჯის სურნელი ტრიალებს.

და, განა მართო საქართველოში? სამგორის ახალი მიწებიდან მოკიდებული, რომლებსაც ჩვენმა თვითმფრინავმა გუგუნით გადაუფრინა, ყველგან, საქართველოში თუ საქართველოს გარეთ, ჩვენი დიდი სამშობლოს ვერცელ ველზე მოჩანს ოქროსფერი ნოხებივით გაფენილი ყანები.

ექვსიოდე საათის შემდეგ კიევს მივალწევთ, კიდევ ექვსი საათი მირგოროდამდე მანქანით და დავით გურამიშვილის საფლავთან ვიქნებით. სულ თორმეტიოდე საათი...

დავით გურამიშვილმა კი გზას — ასტრახანიდან მოსკოვამდე, — როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ერთი წელი თუ არა, ექვსი თვე მინც მოანდომა.

სამაგიეროდ უცხო მიწაზე ბედის უკუღმართობით გამოწვეულმა შთაბეჭდილებებმა და მოგონებებმა უშრეტი სათავე მისცეს მის მდიდარ პოეტურ ტალანტს. მისი ხელით ანთებული ლამპრის სხივი ჯერ კავკასიონის მთებს გადმოსცდა და საქართველოს მშობლიური გული გააშუქა, შემდეგ კი, ჩვენს დროში, უფრო მეტად გაძლიერდა, გაიზარდა და რუსი, უკრაინელი და ქართველი საბჭოთა ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

არც ერთ ქართველ პოეტს არ გაუვლია თავის სიცოცხლეში ტანჯვა-წამების ისეთი ვრცელი გზა, როგორიც დავით გურამიშვილს არგუნა ბედმა; სამაგიეროდ არც ერთი პოეტის შემოქმედებას არ ხვდომია წილად სიკვდილის შემდეგ ასეთი ფენიქსებრ განახლება. ამის მიზეზი პოეტის შემოქმედების სათავეებში უნდა ვეძიოთ. ეს სათავეები ქართული და უკრაინული ხალხური პოეზიიდან მომდინარეობენ. გურამიშვილის ხმა მუდამ ნათელი, სადა, ამასთან მუდამ მაღალპოეტური იყო.



იმავე თვითმფრინავით, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, უკრაინას მივმგზავრე-

ბა თბილისელ სპეციალისტთა ჯგუფი. ისინი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მიდიან, წყალსაცავის ფართობის ნიადაგების შესასწავლად. მათ გურამიშვილის ამბებიც აინტერესებთ, და რადგანაც ჩვენი მოგზაურობის გეგმაში კახოვკის მშენებლობის დათვალევრებაც შედის, ჩვენს შორის მალე მყარდება მეგობრული ატმოსფერო... თვითმფრინავის დაშვებისთანავე ერთად ვიკრიბებით, გაცხოველებით ვსაუბრობთ.

ჩვენ მათ ვეკითხებით, ისინი ჩვენ.

— იმედია კახოვკაში ჩამოგვისწრებით და ახალ ამბებს ჩამოგვიტანთ... ჩვენც ვეცდებით ბევრი რამ ახალი დაგახვედროთ! — გვეუბნება გამოთხოვებისას ჯგუფის ხელმძღვანელი ვასო დოლიძე. თვითმფრინავი კიევისკენ გაეშურა.

ისევ ოქროსფერი სტეპები... ალაგ-

ალაგ მოჩანს შავი ნაბდებივით გაშლილი ნაკვეთები. როგორც ჩანს, სადაც მოსავლის აღების საქმე კარგად აქვთ, უკვე საშემოდგომო ხენას შედგომიან და იქ, სადაც გუშინ კომბაინი გუგუნებდა და პურს ლეწდა, უკვე ტრაქტორებს ამუშავებენ.

ასე მგონია, თითქოს ჩვენმა თვითმფრინავმა ახლა სწორედ იმ ადგილებს გადაუფრინა, სადაც ოდესღაც ყუბანელი გლეხები ძველებურ კალოზე პურს ლეწავდნენ, სადაც დავითმა დიდიხნის შიმშილობის შემდეგ პირველად გაიგონა სანატრელი რუსული: „დაი ზლებათ, ლაზარი“, სადაც გულმართალმა კაზაკებმა ტყვეობიდან თავდახსნილი ქართველი შაბუკი იძმეს და დააპურეს.

საოცრად ლამაზი მოჩანს ეს უნაპირო, დაუღვევლი ქვეყანა; მდიდარი, უხვი და ღონიერი.

კ ი ე მ უ ი

უკრაინის დედაქალაქში სულ სამ დღეს დავრჩით, მაგრამ ბევრი რამ ვნახეთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ გაგვაოცა გერმანელ ოკუპანტებისაგან დანგრეული ქალაქის სწრაფმა აღდგენამ და გამშვენიერებამ.

შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლის ახალი შენობებით არის დამშვენებული ქალაქის ცენტრალური უბანი „კრეშჩატიკი“. ამ შენობების საშენი მასალა თეთრი ფერის ტუფია, რომელსაც ოდნავ მოყვითალო იერი დაჰკრავს და თვალსა და გულს ასიამოვნებს თავისი სისპეტაკით.

ფართო, სუფთა მოედანს გადასცქერის ლენინის ძეგლი... მუქი — მოწითალო, პრიალა მარმარილო... ლენინისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის საყვარელი ფერი.



კიევის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარ-

მოადგენს უკრაინის დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს მუზეუმი. მუზეუმს ჯათობილი აქვს დიდი შენობა, რომლის ნათელ, ლამაზად გაფორმებულ დარბაზებში გამოფენილია ტ. შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ძვირფასი ექსპონატები.

დიდი პოეტი, წრფელი უკრაინული სიტყვის ოსტატი — ტარას შევჩენკო, ჩვენს თვალწინ წარმოდგა როგორც ფერწერის დიდი ოსტატი, რომელიც თავისი უკვდავი ფუნჯით ასახავდა უკრაინის ლამაზ ბუნებას, თავისუფლებისმოყვარე-ადამიანებს. ტარას შევჩენკოს ყალმის დამახასიათებელი ფერებია ყველა უკრაინელისათვის საყვარელი ალუბლისფერი, მწვანე და ყვითელი ღია ფერები.

მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში ჩვენი ყურადღება მიიბყრო ტილომ, რომელზეც გამოხატულია ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი. ახოვანი ქალარა აკაკი სიტყვას წარმოსთქვამს თბილისში გა-

მართულ ტარას შეეჩენოს საიუბილეო საბლომაზე.

შეეჩენოს მუზეუმის დათვლიერების შემდეგ ისევ ქალაქში გამოვედით. ვნახეთ ძველი რუსული არქიტექტურული ძეგლი, „ოქროს კარები“, რომელიც ამ უძველესი ქალაქის ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენს და აშენებულია 1037 წელს კიეველი მთავრის იაროსლავ ბრძენის მიერ.

„ოქროს კარების“ პირდაპირ მოჩანს ხარაჩოებში ჩამჯდარი სოფლის ტაძრის მაღალი, წითელი ფერის სამრეკლო. სოფლის ტაძარიც ძველი უკრაინული არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს.

განახლებულ კიევეში ჩამსვლელს ყველაზე დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს დნებრის სანაპირო უბნის დათვლიერება. ეს გრძელი სანაპირო, თავისი მწვანით დაბურული ბაღებით, სკვერებით და ახალი შარავით გამოყენებულია მოსახლეობის საზაფხულო გასართობ და დასასვენებელ ადგილად. ამ მყუდრო, ჩრდილიანი ადგილების მშვენიერებას აგვირგვინებს დნებრის სანაპირო სადგურები და მდინარის მარცხენა ნაპირზე მოწყობილი პლაჟი, სადაც მთელი ზაფხულის განმავლობაში კიეველები გრილდებიან დნებრის ტალღებში.

დნებრის ქვემო სანაპიროზე მრავალი გასართობი მოწყობილი. აქ კაცი ნახავს მწვანე თეატრს, მწვანე რესტორანს, კომუნისმის დიად მშენებლობათა მწვანე რუკას.

შარავის პირას, მწვანე ბალახითა და ფერადფერადი ყვავილებით დაფარულ მოლზე ჩვენს თვალწინ გადაიშალა მარცხნივ შავი, ხოლო მარჯვნივ კასპიის ზღვა, უფრო ზევით აზოვისა და არალის ზღვები. ზღვები, რა თქმა უნდა, მინიატურულია, თვითიული დაახლოებით

ერთი-ორი ნაბდის გაშლის უღუნა, ამ ზღვებისკენ მოემართებოდა. შადრევნიდან ამომდინარე ნამდვილი ნაკადულები: ვოლგა, დონი, დნებრი, ამუ-დარია... მოჩანს მდინარეებზე აგებული ქაშახლები, არხები, აგებული და აუგებელი ელექტროსადგურები. მწვანე რუკის ცენტრში სტალინის მონუმენტი აღმართული, ხოლო შორს, ჩრდილოეთით, თავისუფლების ვარსკვლავით დამშვენებული მოსკოვის კრემლის კოშკები მოჩანს.

ეს ცოცხალი, თვალსაჩინო მწვანე რუკა გამეღელთა თვალს იზიდავს, მის ირგვლივ დაინახავთ მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ჩამოსულებს, ადგილობრივებს, ბავშვებს.

აქვე მახლობლად, ბაღში ჩვენ დავათვალიერეთ ასკოლდის საფლავეზე დადგმული თეთრად შეღებილი უზარმაზარი კოლონადა.

ასკოლდი — ნახევრად ლეგენდარული პიროვნებაა (მე-9 საუკ.), რომელიც კიევის ერთ-ერთი დამაარსებელია და მისი დაცვისათვის ბრძოლაში მოკლულ იქნა დნებრზე, ვარიაგებისაგან.

ასკოლდის საფლავის ირგვლივ მოთავსებულია საფლავები საბჭოთა კიევის თავისუფლებისათვის მებრძოლები, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ. საფლავებზე მარმარილოს მომცრო დაფები ალმართული უკრაინული წარწერებით. ვინც ამ წარწერებს ყურადღებით წაიკითხავს, დაინახავს, რომ უკრაინის განთავისუფლებისათვის ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ერის წარმომადგენელს დაუღვრია სისხლი.

ერთ საფლავს ასეთი წარწერა აქვს: Герой радицкого Союза старшина Гогичаншвили М. Г. 1945“.



ჩვენი მსაპინძლის, ცნობილი უკრაინელი პოეტის მაქსიმ რილსკის მანქანა, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, საათში ოთხმოცი კილომეტრის სისწრაფით მაქრის. მირგოროდამდის სამასი კილომეტრი მაინც გვაქვს გასავლელი. ახალი შარაგზა ლარივით გაკომულა პოლტავეჩინის თვალუწვდენ სტეპებზე. პოლტავეშიჩინა უკრაინის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფრიად ნაყოფიერი და ლამაზი მხარეა. მარჯვნივ თუ მარცხნივ, ყველგან კედელივით მაღალი ოქროყანის ზღვა ღელავს. კომბაინები ზომალდებით დაცურავენ ამ ზღვაში, მოსავლის აღებას ეშუარებიან.

წვიმიანი ამინდების შემდეგ ცხელი, ნამდვილი სამკალი დარები დამდგარა; თეთვადამძიმებული ყანა გაფიცებულია, მაგრამ როგორც ჩანს, ხორბალს ნესტი მაინც გამოჰყოლია, ამიტომ ბუნეკრებიდან ჩამოცლილი ხორბალი ფართო შარაგზის მარცხენა მხარეს გაბურებულ ასფალტზე გასაშრომად გაუფენიანთ კოლმეტრნებს. მზის გულზე დაყრილ ხორბალს ნიჩბებით და ფოცხებით უქცევენ კოლმეტრნე ქალები, თან წყრილა ხმით დასძახიან უკრაინულ სიმღერებს. არც გზა თავდება და არც გზაზე. გაფენილი ხორბლის ოქროსფერი ზოლი...

ჩვენს მანქანაში ზის ჟურნალ „უკრაინის“ მთავარი რედაქტორი ივანე ციუპა. ივანე ციუპა პოლტავეჩინის მკვიდრია. მას გული ეერ უთმენს, მანქანას აჩერებინებს, კოლმეტრნე ქალებს უახლოვდება, მშვიდობის დილას უსურვებს და უხვ მოსავალს ულოცავს. ქალებიც მხიარულად ესალმებიან.

— დობროე რანკო, დობროე რანკო!

ჩვენც მათთან მივდივართ, კბილით ესინჯავთ ხორბლის სიმაგრეს და ხელისგულით — შინდის კერკასავით მსხვილი ხორბლის სიმძიმეს. ოთარ ჩხეიძე დო-

ტოპარატს იმარჯვებს და ახალ სამახსოვრო სურათებს უმატებს თავის კოლექციას.

ხანდახან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ასფალტზე გაფენილი ხორბლის ზოლი წყდება. ეს იმიტომ, რომ გზის ნაპირებზე ახლა დაბურული ტყეა, რომელიც თავის სილამაზით ჩვენს თვალს ატყვევებს.

გავიარეთ ბორისპოლი, ლუბნი...

ასფალტიანი გზა გათავდა. მირგოროდისკენ გადავუხვიეთ.

მანქანა ახლა სოფლის გზებზე მიქრის. აქეთ-იქით დაბალი, წნული ღობეებით შემორაგვეული ეზოები მოჩანს. პატარა, ჩალით დაბურული სახლები, თეთრად შეფეთილი კედლები, ფანჯრებში ფერად-ფერადი ყვავილები, ეზოებში მწესტუშირა, წითელი ბალბა... ეზოებიდან მშემოკიდებული ბიჭუნები და თავსაფრიალი გოგონები ხელს გვიქნევენ და მოგვძახიან: „დობროე რანკო, დობროე რანკო!“

აგერ მირგოროდიც გამოჩნდა. მირგოროდი... პატარა მშვიდი, ქალაქი.

როგორც მკვლევარებმა გამოარკვეეს აქ, მდინარე ხოროლის ნაპირებზე — ამ ქალაქსა და სოფელ ზუბოვკაში გაატარა დაეით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი.

მირგოროდში დიდხანს არ გავჩერებულვართ.

მივედით თუ არა, მირგოროდის პარტიის რაიკომის მდივანმა ანტ. ფ. გონჩარენკომ გამოგვიცხადა, მიტინგი ჯერ სოფელ ზუბოვკაში გაიმართებაო. რაიკომის მდივნის კაბინეტში მთელი მირგოროდის პარტიული აქტივი და ინტელიგენცია შეკრებილა. აქვეა პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანი ანტ. კ. დოვბნია.

რაიკომში დიდი მოძრაობაა, ყველას გურამიშვილის გვარი აკერია პირზე, ყველა ზუბოვეისავენ წასვლაზე ლაპარაკობს.

გარეთ გამოვედით.

აქვე, რაიკომის შენობის გადასახვევთან იწყება ის ცნობილი ქაობი რომელსაც გოგოლი იხსენიებს. ეს ქაობი მწვანე ლაქაწით, ქაობის ფერადი ყვავილებით და ზურმუხტოვანი ხავსით არის დაფარული. მაგრამ ახალი დროის მად-

ლიანი ხელი მასაც მისწვდომია და ხალხის სასარგებლოდ გამოუყენებია: ||

მდინარე ხოროლიც აქვე მასობლივად მიიზღაზნება. ერთ-ერთი მორევის ნაპირებზე მირგოროდელებს პლიაგი მოუწყვიათ. პლიაგის პირას მშვენიერი მოვლილი ტყეა. ეს ადგილი ითვლება ამ ქალაქის მცხოვრებთა დასასვენებელ და გასართობ ადგილად, არა მარტო კვირაუქმებებში, არამედ ზაფხულსაც საღამოებშიც.

პოეტი და უკრაინელი ხალხის ბიძი

აი ამ მდორე მდინარემ ჩააგონა დავით გურამიშვილს თავისი განუხორციელებელი „წყლის ასამაღლებლისა“ და წისქვილის პროექტების შედგენა. იგი არა მარტო დიდი ქართველი პოეტი იყო, არამედ უკრაინელი ხალხის ბედისათვის მზრუნველი პრაქტიკოსი და მოჭირანბუღეც. ხედავდა რა უკრაინელი გლეხების გაჭირვებას, პოეტი ცდილობდა მისი მძიმე ხედვრის შემსუბუქებას. აი რას წერს დ. გურამიშვილი:

„ჩემს გამინჯულობით მალაროსის ორი საწუნელი სნეულება მიცნია და მისი სამკურნალო წამალიც მიპოვნია... პირველი საწუნელი სნეულება ეს არის, რომ წყალნი მეტად მდორედ და ღრმად ჩავარდნით დიან... მალაროსიაში გოლვისაგან დიად მალ-მალ სცდების მოურწყაობით მოსაგალი... ამისი წამალი ეს პირველის ნუმერის ახალის მოგონებულის წყლის ასამაღლებელი მოხაზულობით მიჩვენებია...“

ძველი უკრაინის მეორე „საწუნელ სნეულებად“ დ. გურამიშვილი თვლიდა მდინარეების უწმინდურებას, თევზის ნიმცირის და უგემურებას, რასაც არსებული წისქვილების მიერ წყლის დაგუბება იწვევდა. პოეტის აზრით ძველ უკრაინულ წისქვილებს სხვა ნაკლიც გააჩნდა...

„ქარის წისქვილი — როცა ქარი არ არის — სცდების. წყლის წისქვილი —

წყლის დიდობაში სცდების, გოლვაში, წყლის მცირობაში სცდების და ზამთრის ყინვაში სცდების“.

ამის წამლად გურამიშვილს თავისი ახალი სისტემის წისქვილი მიაჩნდა, რომელსაც „არც წყლის დიდობაში ეშინიან და არც გოლვაში წყლის სიმცირეში და არც ზამთარში ყინვისაგან...“

დ. გურამიშვილს იედი ჰქონდა, რომ მისი წისქვილი „მხვენელსა და მთესველ კაცს ბევრს შელავათს დამართებდა, ჯარში სალდათსაც ხელსაფქვავის მოფქვისაგან დაიხსნიდა“, წყალს გაწმენდა, თევზს გაამრავლებდა და გააგემორიელებდა. მდინარეებში ნაოსნობას დაამყარებდა, ურწყავს სარწყავად აქცივდა.

ვისთვის ზრუნავდა ღრმა სიბერეში შესული ცალსთვალით დაბრმავებული დავით გურამიშვილი, ვინ ჰყავდა მხედველობაში, როცა მხვენელ-მთესველსა და სალდათის შელავათზე ფიქრობდა?

ცხადია, უკრაინელი ხალხი, ის მშრომელი ხალხი, რომელმაც თავისი ალალი გული გაუხსნა ჩვენს დიდებულ პოეტს, შეიერდომა და მრავალი რამ ასწავლა.

ამიტომაც ნატრობდა ასე გულმხურვალედ დავით გურამიშვილი, როცა თავისი გამოგონების ნახაზებს აღგენდა:

„ღმერთო, მიჩვენე ყანები,
ამ სარწყავთ მონაყენები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზე დაფქულსა...“

პოეტი ვერ შეეცწრო თავისი გეგმის განხორციელებას. მის დროში ეს შეუძლებელიც იყო.



ზუბოვკა მირგოროდიდან თორმეტი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

გერ მირგოროდის გარეუბანს არ გავცილებოდი, რომ ჩვენი მახეანა პატარა ეკლესიის მახლობლად გაჩერდა, აქვე გზის პირას ყოფილა გურამიშვილის საფლავი...

ჩვენ ეს არ ვიცოდით და გვეგონა, ზუბოვკაში გურამიშვილის საფლავის უნახავად ჩავიღოდით. მაგრამ აი, მაქსიმ რილსკიმ სასაფლაოსკენ ხელი გაიშვირა და წარმოთქვა:

— აი დავითის საუჯუნო სამკვიდრო!..

გურამიშვილის საფლავი. შავ მარმარილოზე თეთრად ამოკვეთილი ნათელი სახე. თეთრი, გამხდარი მარჯვენა ხელი მკერდზე ისე დაუდგია პოეტს, აი თქონს ატეხილი გულსმტკერის შეჩერებას ცდილობდეს.

მინდა დავიჩოქო და ვემთხვიო ამ მიწას, მაგრამ ვერ ვახერხებ, მღელვარება ამ ბუნებრივი სურვილის შესაძლებლობასაც მართმევს. ამ მიწაში ზომ იმ კაცის ძვლები ასენია, ვისი ლექსების მადლიანი პურითაც ვართ გამოზრდილნი და დავაეკაცებულნი... ხედავთ, სადაური სად მოუყვანია წუთისოფლის ქროლვას, სად დაუმარხავს ის კაცი, რომელიც სიკვდილის წინ, საკუთარ საფლავზე

დასაწერ ლექსში გულისტკივილით იხსენებდა ზედაზნისა და შერეკუნდებს მიღამოებს და სვედიანად

„ამ ორ მონასტერს მაქნდა ილაგი, სასაფლაო და ძვალთ მასლაგი; ორივე ქეითიერთ აღმწებული, სახლ გალანებით დამწვენებული. ახლა მობრძანდი, მყოხველო, მნახე, მისად საუნფუოდ სად დავიშარხე! ზორით აქ ვლპები, აწ ჩემი სული არა ვიცი რა, სად არს მისული? ვით მე არ მინდო ცრუვმან საწუთრომ, ვგრეთვე, ვგონებ, არცა შენ ვინდოს, შენ მე მობრძანე ცოდვილს შენდობა, ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს?..“

მაგრამ იცვალნენ დრონი, დაამსხვრა დროის ავებდითი მახვილი, რომელმაც დ. გურამიშვილის აწმყო დალახვრა და პოეტის მომავალსაც შემუსვრით ემუქრებოდა. ახალი უკრაინის მიწა გათბა, პოეტის გაყინული ძვლები გაათბო და ზედაზნის ძვალშესალაგის მშობლიური მიწის მაგიერობა გაუწია.

როდესაც აქ, ამ საფლავთან, გურამიშვილის ცხოვრების უკუღმართ ბედს გაიხსენებ და შემდეგ ამ ძვირფას ძეგლს, მის წინ დარგულ ქართულ მუხებს შეხედავ, არ შეიძლება არ მოგაგონდეს პოეტის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება დაეწეროს მის განახლებულ საუჯუნო სამკვიდროს:

„ბნელში მდებარე გამოვედ გარეთ, ვითა დავლამდი, ისევ ვავსოენდი!“

დავითის გორა

იქ, სადაც სოროჩინის გზატკეცილიდან ზუბოვკისაკენ მიმავალი სოფლის გზა უხვევს, ზედ გზის პირას, სიმინდისა და მზესუმზირას ვანებს შორის აღმართულია დიდი ყორღანი. ეს ის ადგილია, სადაც აქ გავრცელებული ხალხური გაღმოცემით, ზუბოვკიდან მიმავალი დავით გურამიშვილი შეხვდა ლამაზ

უკრაინელ ქალს, რომლის ფიზიკურმა და სულიერმა მშვენიერებამ პოეტს შთააგონა შესანიშნავი ლექსი „ზუბოვკა“.

გურამიშვილი პირველი პოეტი იყო არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში, არამედ საერთოდ, რომელმაც უკრაინელ გლეხის ქალს გატაცებით უმღერა, თა-

ვისი ლექსის პერსონაჟად აქცია და მისი სახე დიდ პოეტურ სიმბოლოდ აიყვანა.

ამ ლექსით ჩვენთან ერთად უკრაინელებიც სამართლიანად ამაყობენ. ეს „მეტად ტურფა, შეთვალწარბა მშვენიერი“ უკრაინელი ქალი, რომელმაც „უკუდავების წყალი“ და „ცხოვრების პური“ უბოძა პოეტს, ვამთავრებ ბურუსიდან მეტისმეტად მომხიბლავად იმზირება და აღბათ ამაყობს იმით, რომ თავისი დაბადებით წინ უსწრებს გენიალური პუშკინის „პოლტავა“-ს გმირ ქალს მარიას.

ყორღანს ხალხი დავითის გორას უწოდებს, უვლის, უფრთხილდება... მოუწყვიათ სასეირნო ბილიკები, დაურგავთ ფერადფერადი ყვავილები, ნორჩი ხეები, პატარა მუხებო, გზის მხარეს ყორღანის პირველი ტერასის მწვანე მოღზე მოჩანს თეთრი კენჭებით უკრაინულად ამოქარგული ბელადის სადიდებელი სიტყვები.

ეს ლამაზი ბორცვი მაღალი პოეტური შარავანდებით მოსილი ადგილია. შეუძლებელია ამ გზაზე მიმავალი კაცი აქ არ შეჩერდეს „რაც უნდა გზასა ეშურებოდეს“.

მართლაც წარმოუდგენელია, საქართველოს მთებში დაბადებული და აღზრდილი გურამიშვილი ამ გორაკთან არ შეჩერებულყო, ზედ არ ასულიყო და ირგვლივ გაშლილი ველისათვის არ გადაეცლო, თვალი.

ამ ყორღანზე დაფიქრებით მდგარ

პოეტს უინ იცის რამდენჯერ მონახენებია მშობლიური ზედახსენებული მთები, დათოვლილი კავკასიური მწვერვალები.

ყორღანზე სამი მოხუცი უკრაინელი იდგა. რომ დაგვიანახეს, ჩვენსკენ გამოეშურნენ და ღიმილით მოგვეგებნენ. ზუბოვკელი კოლმეურენი აღმოჩნდნენ: კონდრატ დოდუბა, ტერენტი კუზმენკო, პეტრე ზაგოენკა... როგორც მოხუცებმა გვიამბეს, ზუბოვკელები ამ ყორღანს თვალისჩინივით უვლიან.

— აი, აქ შეხვდა თქვენი პოეტი უკრაინის მშვენიერას!— დაბეჯითებით გვეუბნება პეტრე ზაგოენკა და კეთილი ღიმილი ეფინება თაფლისფერ, ოღნავ ჭაღარაშერთულ უღვაშებზე.

ხომ შეიძლება, რომ ეს ასე არ იყოს? ხომ შეიძლება ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდა იყოს და ის ადგილი, სადაც პოეტი უკრაინელ ქალს შეხვდა, აქედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იყოს? შეიძლება, რასაკვირველია, შეიძლება!.. მაგრამ საქმე ის კი არ არის, მართლაც აქ შეხვდა თუ არა დავითი თავისი ლექსის პერსონაჟს... არა, საქმე ის დიდი სიყვარულია, რომელიც ამ ყორღანივით ამაღლა და გააკეთილმობილა უკრაინელმა მშრომელმა ხალხმა; ამ სარკესავით სწორ ველზე მდგარი ერთადერთი მაღალი ადგილიც კი მოძმე საბჭოთა საქართველოს სიყვარულს უძღვნა და მიაკუთვნა..

პატარა სოფლის ბედი

გრილმა ნიავმა დაჰბერა. საღამო ახლოვდება. მზე ჩადის, მისი უკანასკნელი სხივები ვარდისფერად აფერადებს დასავლეთით გაფანტულ გამჭვირვალე ორბლებს.

ზუბოვკას ვუახლოვდებით, კარგა ხანია დავითის გორა თვალს მიეფარა. აი, ამ მცირე აღმართსაც ავივლით და ზუბოვკაში ვიქნებით.

ზუბოვკის მისასვლელები აღმოსავ-

ლეთ საქართველოს სოფელს გვაგონებს. თელის ხეებით დაჩრდილული ეზოებიდან ლამაზი უკრაინული სახლები გადმოაყურებენ გზას.

ხშირად, ხშირად გაუვლია ამ გზაზე, ზუბოვკის გზაზე, გურამიშვილს.

საოცარია ამ პატარა სოფლის ბედი.

ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში ბევრი ამისთანა და ათასჯერ ამაზე ლამაზი და კარგი სოფელია, მისი სახელი კი



ხშირად დიდი მასშტაბის რუკასაც არ სცილდება.

მაგრამ, როგორც ამბობენ, საკმარისია პატარა სოფელს დიდი ადამიანი მოევილინოს, რომ მანამდის უცნობი ადგილი ადამიანთა გულსა და ხსოვნაში სამუდამოდ დაბინავდეს.

ასე გაუთქვა სახელი მთელს მსოფლიოში აქვე ახლოს მდებარე პატარა სოროჩინს გოგოლმა, ასე შეაყვარა ადამიანებს ტოლსტოიმ თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იასნაია პოლიანა, ასე აქცია კვლევისა და ძებნის ობიექტად შოთა რუსთაველის გვარმა ოდესღაც დაბადწოდებული რუსთავი.

ჩვენს დიდ დროში, ჩვენს თვალწინ, დიდი ქალაქების გვერდით, როგორც მშვიდობისა და ბედნიერების სათავე, ისე აღიმართა დიდი ბელადის სამშობლო პატარა გორი.

ამ პატარა სოფელსაც ჰქონია ბედი.

ამაოდ არ ჩაუვლია იმ გულითად პურმარისს, რომელიც დავით გურამიშვილის სულსა და გულს ასაზრდოებდა. ისტორიამ თავისი ხვედრი მიუზღო პატარა სოფელს, მისი სახელი დიდი პოეტის სახელს დაუკავშირა და ქვეყანას მოჰფინა.

მაგრამ აქ ერთი რამ არის ფრიად საგულისხმო: ზუბოვკა გურამიშვილის სამშობლო არ ყოფილა. მით უფრო ბედნიერია ზუბოვკა; შემდგომ თაობებს ლეგენდად გადაეცემა ის ამბავი, თუ როგორ გაუთქვა სახელი დიდმა ქართველმა პოეტმა პატარა უკრაინულ სოფელს.

ამ ფიქრებით შევდივართ ზუბოვკაში.

აგერ ჩვენს შესაგებებლად წამოსული ხალხი გამოჩნდა. მთელი ზუბოვკა ფეხზე დამდგარა. მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდები, ბავშვები, თავსაფრიანი ქალები ჩვენსკენ მოემუწრებიან: ამ ხალხს წინ სამი ჰარმავი მოხუცი მოუძღვის. თვითველ მათგანს ორივე ხელით ახალი მოსაველის მრგვალი უკრაინული პური უჭირავს. პურების შუაგულზე რაბ. „მნათობი“ № 4.

ლაც თეთრად ბზინავს. ეს ქვემარბილის ნამტვრევებია.

პურმარული. ტუბილს მშობლიურ პურმარული, რომლითაც ერთმანეთს ხედებიან მშები, ნათესავეები, მეგობრები და კეთილი მეზობლები.

ქართველი მწერლები წინ წავგვიყეს. ეს პურმარული დღეს ჩვენ, გურამიშვილის ქვეყნის შვილებს გვეკუთვნის.

ამ სანახაობის აღწერა ძალზე ძნელია, ერთი წამის განმავლობაში იმდენი რამ ხდება და იმდენი რამ იგრძნობა. ჩვენს შესაბეებრად ქულზე კაცი, და თუ შეიძლება ითქვას, თავმანდილზე ქალი გამოსულა. ყველა, ყველა გამოსულა ვისაც კი სიარული შეუძლია. ზუბოვკის ბერიას სახელობის მთელი კოლმეურნეობა ერთი კაცივით დგას ჩვენს წინაშე. ისეთი სიჩუმეა, ისეთი დუმილი ჩამოვარდა, რომ ისიც კი ისმის, როგორ ამრიალებს შემოღამების წყნარი ნიავი გზის პირას დარგული ხეების ფოთლებს.

ყველანი საზეიმო წამს, პურმარისის მიღების წამს ელოდებიან.

მღელვარებით ვუახლოვდებით მოხუცებს. ვგრძნობთ — მოხუცებიც დელავენ. არ ვიცი, შეიძლება მომეჩვენა: ერთი მოხუცის თვალში ცრემლიც კი გაბრწყინდა. ეს სიხარულის ცრემლია. ჩვენ თითქმის ერთდროულად, უნებურად ვიხრებით, ვკოცნით ამ კეთილი გულით მოძღვნილ პურმარისს და მოკრძალებით ვართმევთ. ჩემი ხელის გულები გრძნობენ ახლად გამომცხვარი პურის სასიამოვნო სითბოს.

მოხუცების ზურგს უკან, აქამდე მღუპარულ, მწყობრად მომავალი ხალხი იშლება, ჩვენსკენ გამორბის და შეძახილებით გვეხვევა გარშემო:

„ბაი ვიევი!“
 „გაუმარჯოს!“
 „და ზღრაესტვეუტი!“ — გაისმის ირგვლივ.

უცებ მოხუცების წინ, საიდანაც ჩნდება პიონერი გოგონა, ქერაყულუ-

ლებიანი ლამაზი უკრაინელი გოგონა. მლეულარე, მგრძობიერი სიტყვებით მოგემართავს სტუმრებს, მადლობას უგზავნის დიდ ბელადს ასეთი ბედნიერი ცხოვრებისა და ერთა შორის ძმობის დამყარებისათვის.

მოხუცების გვერდით ორი უკრაინული ტანსაცმელით გამოწყობილი გოგონა დგას. გოგონები ძველი ნაცნობებით გვიღიმიან და მალულად ხელსაც გვიჩვენებენ.

ნეტავ ვინ არიან?..

მივხვდით, მივხვდით. ესენი ადგილობრივი ქართველები, დავით გურამიშვილის ბედისმოზიარე ქართველების შთამომავლები არიან.

ლიდა ოდიშელიძე, კატია ბელიბა. ჩვენი შეხვედრა დიდი ხნის უნახავი ნათესავების შეხვედრას ჰგავს.

ზუბოვკის შეიღწილიანი სკოლის ეზოში, მოწმინდილი ცის ქვეშ სახელდაბელო მიტინგი გაიხსნა.

მიტინგი მომე საბჭოთა ერების ძმობისა და მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენს. გაისმის რუსული, უკრაინული, ქართული სიტყვა. ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ჩირკო, სოფელ ზუბოვკის ბერაას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სუპრუნენკო, კოლმეურნე ოდიშელიძე, მწერლები მ. რილსკი, ალ. ჰეიშვილი, ოლექსა იუშჩენკო.

ო. ჩხეიძემ, ნ. ზაბოლოცკიმ და ო. ნოვიციკიმ, თვითთულმა თავის მშობლიურ ენაზე, წაიკითხეს დ. გურამიშვილის

ლექსი „ზუბოვკა“, რამაც დამსწრეთა აღფრთოვანებული ტამბე გაქოფივია.

ქართულ მწერალთა დღევანდელ სოფელ ზუბოვკის კოლმეურნეებს მცირე საჩუქარი ჩაუტანა. დიდი ალბომი „საბჭოთა საქართველო“, უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას ახლახან ქართულად გამოცემული წიგნები, ქართული ენის თვითმასწავლებელი ადგილობრივი სკოლის ქართული ენის შემსწავლელი წრისათვის.

ლიდა ოდიშელიძე და კატია ბელიბა გრძელი მაგიდის კუთხეში მიმსხდარან და „საბჭოთა საქართველოს“ ფურცლავვენ, ღიბილით დასცქერიან საქართველოს ლამაზ მთებს, მინდვრებს, მდინარეებს.

მზე რახანია ჩავიდა. გრილი საღამოა. მთვარე აშუქებს უკრაინულ სოფელს. მთელი ზუბოვკის მოსახლეობა ისევ ლამაზი ხეებით დამშვენებულ ეზოშია თავმოყრილი და ჩვენთან ერთად უსმენს მირგოროდის მომღერალთა გუნდს.

მღერიან რუსულ, უკრაინულ სიმღერებს. უცებ ქართული სიმღერა წამოიწყეს. აჰ, უკრაინის პატარა სოფლის მოწმინდილი ცის ქვეშ რაღაც მეტად მშობლიურად ქუერს ჩვენი „სულიკო“ და „ციცინათელა“.

გუსმენთ და გვიბარია... მახსენდება რომ აქედან შორს საქართველოში, ფიჭვნარით დაბურული სურამის მიდამოებში, ასეთივე სიყვარულით გაისმის უკრაინელი ხალხისა და მისი საამაყო შევილის, პოეტი ქალის ლესია უკრაინკას სადიდებელი სიტყვები და სიმღერები.

ცისფერი გზა

— დამთავრდა თქვენი მოგზაურობის ოქროყანის გზა, ახლა ორი დღედაღამე ცისფერი გზით მოგზიდებათ მგზავრობა. ვისურვებთ, ამ გზაზე მეტი სიამოვნების მიღებას, მეგობრებო! — წამოიძახა უკრაინელმა პოეტმა ნაგნიბედამ და მდინარე დნებრს გახედა.

დნებრი ამ საღამოს არაჩვეულებრივად წმინდა და გამჭვირვალეა. სამდინარო პორტის აივანიდან იგი მართლაც ცისფერ გზას ჰგავს. უკრაინის ფართო გულმკერდზე გავლებულ უსასრულო ცისფერ გზას.

სამგზავრო გეში „მ. გრომოვი“ უკვე

მოადგა ნაპირს. ამ გემით ქალაქ ზაპოროჟიესკენ უნდა გავეშუროთ. ჩვენ წინ გაჭიმული დნებრის „ცისფერი გზა“ ძალზე მიწიდიველია, იგი მრავალ უცნობ სანაბაობას და შთაბეჭდილებას გვიბრუნებს, მაგრამ მშვენიერ კიევის ისე შევეჩვიეთ, რომ მისი დატოვებაც გვიძინებდა.

ასევე გვიძინებდა ამ ორი დღის წინ მირგოროდის დატოვება. მირგოროდის რაიონში გატარებულმა ოთხმა დღელამემ სწრაფად გაირბინა და გურამიშვილის საფლავზე გამართული ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ ჩვენს ახალ ნაცნობ-მეგობრებთან გამოთხოვების წუთები ძლიერ გვაგონებს კიევიდან გამგზავრების წუთებს.

თითქმის ასეთსავე მღელვარებას განვიცდიდით მირგოროდში ყოფნის უკანასკნელ საღამოს, როდესაც ჩვენ და ჩვენმა რუსმა და უკრაინელმა მეგობრებმა გვირგვინით შევაძვეთ დავით გურამიშვილის საფლავი.

— პატარა მირგოროდის და ზუბოვკის შემდეგ ამ ცისფერი გზით თქვენს წინ აღიმართებიან უკრაინის გიგანტები დნებროპეტსკი, კახოვკა! — გვეუბნება პოეტი პ. ვორონკო.

მასპინძლებმა პირადად გემის კაპიტანს ჩააბარეს ჩვენი თავი და ძმური კოცნით გამოგვებოხვეს.

გემი დაიძრა.

მალა ავედით და ჩვენ წინ გაჭიმულ ცისფერ გზას გავხედეთ.

მშვენიერი მთვარიანი საღამოა. მუქლურჯად ლაღალებს დნებრი. დინჯად, წყნარი შრილით მიიწევს წინ.

ხელის ქნევით ვეთხოვებით ნაპირზე მდგარ უკრაინელ მეგობრებს და კიევის მშვენიერ სანაპიროებს.



მთვარიანი საღამოა. გემი წყნარად მისცურავს დნებრზე. გრილა. გემბანზე აუარებელი ხალხი ირევა. აქ შეხედვით უკრაინელ კოლმეურნეებს, რომ-

ლებსაც თავიანთ კოლმეურნეობებში მოსავლის აღება ვადამდე დაუშთავრებიან და ახლა ზაპოროჟიელია დასახმარებლად მიემგზავრებიან. გემბანის კიჩოზე ერთად შეჯგუფულან კიევის „სპარტაკის“ ფეხბურთელები. ისინი ყველას ყურადღებას იქცევენ მზიარულებით, სიძლერებით. ფეხბურთელებს მზიარულებით არ ჩამორჩებიან კრემენჩუგის ცხენსაშენის მუშაკები.

მათ საიდანაც გაუგიათ, რომ ჩვენ გურამიშვილის ქვეყნიდან ვართ, გვეცნობიან. გურამიშვილს უკრაინაში ყველა იცნობს, ყველა პატივისცემით ახსენებს მის სახელს.

დნებრის მარჯვენა მხარეს ნავსადგური კანევი გამოჩნდა. აქ დამარტულია უკრაინის დიდი კოზზარი ტარას შევჩენკო. ხეებით დაჩრდილულ სანაპიროზე აღმართულია პოეტის მალაღი ძეგლი, რომელიც დნებრს გადმოაყურებს.

გვერდით ჩაგვიარა კიევის მიმართულებით მიმავალმა გემმა „აპარამ“.

წამდაუწუმ გვხვდებიან კიევის მიმართულებით მიმავალი საბადრაგო გემები, რომლებსაც გამობმული აქვთ მცურავი პურის ბელლები, ქვანახშირით დატვირთული ბადრაგები. ბადრაგებს უკან მეთევზეებს მსუბუქი ნავეები გამოუბამთ, რომლებიც ნაფოტებივით ტიტებივებენ დნებრის ტალღებზე.

დნებრზე გემების მოძრაობას აწესრიგებს გაჭიმულ ბაგირზე ასხმული, ტალღებზე მოქანავე ელექტრო ქალები, ასეთი ბაგირი დნებრის ორივე მხარესაა გაჭიმული. მარჯვენა მხარეს წითელი ფერის ელექტრო ნათურებია ბაგირზე ასხმული, მარცხენა მხარეს ყვითელი ფერისა. ეს იმისათვის, რომ დნებრის ნაპირებში წყალი ბევრგან თავთხელია და ამ სანიშნოების გარეშე შეიძლება გემი შეჩქარებულად დაჯდეს.

დნებრს უდიდესი სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვს უკრაინისათვის, ავტო ჩაგვიარა პატარა საბადრაგო გემ-

მა, რომელსაც თივით დაზენიული, უზარმაზარი გემი მისდევს. თივის ზენი-ზე მზემოკიდებული ახალგაზრდა გოგონები და ვაყები სხედან, ხელის ქნევით გვესალმებიან და მხიარულად მოგვაცხიან.

დნებროპეტროვისკში განთიადისას გაი-არა ჩვენმა გემმა. ჯერ ისევ ბნელა. ცას და დნებრს ერთმანეთისაგან ვერ გარჩევ, ორივე ტყვიისფერია. დნებრის მარჯვენა სანაპირო მაღალია. ამ მაღლობებზე აღმართულან ვლექტრონით გაჩაზჩახებული ქარხნები და უზარმაზარი მუშათა საცხოვრებელი შენობები.

ქარხნების წინ, დნებრის ფერდობიან ნაპირზე ვარდისფრად ვარვარებენ ლითონსადნობი ქარხნებიდან გადმოღვრილ ნარჩენთა ნიაღვრები. რაღაც ზღაპრულ სანახაობად მოჩანს განთიადის ბინდში ეს სანაპირო, თითქოს გადამდნარი ოქრო გადმოუღვრიათ დნებრის ნაპირზე.

აქ დნებრის მარცხენა ნაპირი სულ სხვანაირია. მოჩანს მწვანეში ჩაფლული, დაბლობში გაშენებული ქარხნების შენობები, მაღალი საკვაშური მილები.

თანდათან ინათა. ჯერ ცა გაშუქდა. ტყვიისფერი იისფერმა შეცვალა. მალე დნებრიც განათდა. ცასაც და მდინარესაც თავისი ბუნებრივი ფერი დაუბრუნდა.

ახლა ჩვენ უკვე დნებროპეტროვისკის გვერდით მივცურავთ. დნებროპეტროვისკიც უზარმაზარი, დნებრის მარჯვენა ნაპირას გრძლად გაწოლილი სამრეწველო ქალაქია, რომლის სანაპიროების გავლის შემდეგ ჩვენმა გემმა სამი უზარმაზარი ზიდის ქვეშ გასცურა.

რაც უფრო სამხრეთით მივიწევთ, თანდათან ჰქრებიან დნებრის ნაპირებზე ატეხილი ქალები და დაბურული ტყეები. სილიან სანაპიროზე იშვიათად თუ გამოჩნდება განმარტოებით მდგარი ხე. მოჩანს მოტიტვლებული ველები და ქედები.

საერთოდ სამხრეთ უკრაინის ბუნება დიდად განსხვავდება უკრაინის ცენტრალური რაიონების ბუნებრივსაგან. ტყეებით დაბურული პოლტავშინის ველების შემდეგ ეს ადგილები უფერულად გვეჩვენება. სიცხეც აქ უფრო იგრძნობა.

აი, ზაპოროჟიეც...

ქალაქი ზაპოროჟიე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს არის ტიპური სამრეწველო ქალაქი დნებროპეტროვისკის გიგანტი, „ფეროსპლავისა“, „ზაპოროჟსტალისა“ და სხვა უზარმაზარი ქარხნებით, მუშათა საცხოვრებელი დიდი კორპუსებით. ეს ითქმის განსაკუთრებით ახალ ზაპოროჟიეზე, რომელიც მთლიანად ომის შემდეგაა აშენებული.

როგორც ცნობილია, ქალაქი ზაპოროჟიე თავისი სამრეწველო ობიექტებიანად გერმანელმა ფაშისტებმა ბარბაროსულად დაანგრიეს ომის დროს. საბჭოთა ადამიანებმა ჩვენი მთავრობის და პირადად დიდი სტალინის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში აღადგინეს ქალაქიც და ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებული სამრეწველო გიგანტებიც.

ქარხნებიც და ახალი ზაპოროჟიეს მუშათა საცხოვრებელი უბნებიც აგებულია ადგილობრივი თეთრი აგურით, რაც მეტად თავისებურ ელფერს აძლევს ამ ქალაქს. სამრეწველო უბნების დათვალეობებისას თვალში გეცემათ ქარხნების ეზოებში აღმართული მარგანეცის, კირის, კოქსის სხვადასხვა ფერის უზარმაზარი გორები.

ფეროსადნობი გიგანტი ქარხნის პარტიუროს მდივანმა ამხ. პ. უ. ტიშინმა დაგვათვალეობინა. იგი პროფესიით მეტალურგი ოსტატია და 26 წელია ამ საქმეს ემსახურება. მან ძალზე მეგობრულად და გულთბილად მიგვიღო.

— საქართველოში იმდენი მეგობრები მყავს, რომ თუ ჩამოვედი, ერთ თვეს მოვუნდები მათ შემოვლას! — გვითხრა მან და ღიმილით დასძინა:

— ეს მეგობრები ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ შექმინა. თქვენს ქარხანასთან სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს!

ზესტაფონელებთან ამ გვიანტის შეჯიბრების ამბავმა ძალიან დაგვიანტერესა. როგორც ამხანაგმა ტიშინმა განაცხადა, ზესტაფონელებთან შეჯიბრება ზაპოროჟიელებს წინ სწევს, ბევრ რამეს ასწავლის და გვეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე მოქმედებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით ზესტაფონელი სპეციალისტები ზაპოროჟიეში ხშირად ჩამოდიან და ბევრი რამ ახალიც ჩამოაქვთ. ეს აიხსნება იმით, რომ ზესტაფონის ქარხანა უფრო დიდხინის აშენებულა და საწარმოო გამოცდილებაც მეტი აქვთ იქაურ სპეციალისტებს.

აქ შეხვდებით მუშებს, რომლებსაც ზესტაფონის ქარხანაში ხანგრძლივად

უმუშავნიათ და შემდეგ ზაპოროჟიეში გადმოსულან სამუშაოდ. მათს ალსანიშნავია მეორე საამქროს უფროსი ლ. ბოიცივი. იგი მოსკოვის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1947 წლიდან ზესტაფონის ქარხნის მარგანეცის საამქროში პრაქტიკაზე ყოფნის შემდეგ თავისი სურვილით ორი წლით დარჩა ზესტაფონში სამუშაოდ. ლ. ბოიცივი გულთბილად იგონებს ქართველ სპეციალისტებს ლომთათიძეს, შათირიშვილს და საქართველოში გატარებულ დროს.

ასევე, ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობაში ქართველებიც იღებენ მონაწილეობას. იმ სპეციალისტთა ჯგუფში, რომელმაც ფეროგამოდნობის ახალი პროცესი გამოიმუშავა და ამისთვის სტალინური პრემია დაიმსახურა, იყო ქართველი სპეციალისტი დავით სიმონის-ძე ჩიკაშუა.

ისევ ოპროუხანების გზით...

გზა კახოვისკენ განსაკუთრებით მიმზიდველად გვეჩვენება. დაახლოებით ისეთივე ინტერესს აღძრავს იგი ჩვენში, როგორც გზა კიევიდან — ზუბოვკამდე. ეს გზაც მანქანით უნდა გავიაროთ. გზა, როგორც გვეუბნებიან, დიდი, დაახლოებით სამასი კილომეტრი და შედარებით ცუდი, რადგან რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლის შემდეგ მთავარი გზატკეცილიდან გადახვევა მოგვიხდება. გარდა ამისა, სამხრეთ უკრაინაში დიდი სიციხეების გამო გზები ძალზე მტერიანია, საკმარისია პატარა წვიმა წამოგვეწიოს, რომ ტალახში ჩავრჩეთ. არის სხვა გზაც: ისევ დნებრით... მაგრამ, ჩვენ მანქანით წასვლას ვარჩევთ. გავივლით უკრაინის სოფლებს, სადაც მოვისურვებთ, შეეჩერდებით, უფრო საფუძვლიანად გავეცნობთ ქვეყანას, ხალხს.

ზაპოროჟიელმა მწერლებმა და ახლად შექმნილმა სხვა მეგობრებმა დიდ მანძილზე გაცილება აღვეითქვეს. „პლაენებამდე“ გამოგვყვებით და მერე გზას

დაგილოცავეთო. ჩვენ არ ვიცოდით რა იყო ეს „პლაენები“. შემდეგ გავიგეთ.

გზას დილითვე გავუღეკით მოსკოვ-სიმფეროპოლის გზატკეცილით.

დიდი სისწრაფით მივქრით სამხრეთის მიმართულებით. კარგახანია ზაპოროჟიეს გავცდით. გზატკეცილის ორთავე მხარეს კომბაინები გუგუნებენ. მოჩანს ნამჯის უზარმაზარი ზეინები და ნალეწის პატარპატარა ბულწლები... ალაგ-ალაგ გამოჩნდება სიმინდისა და მწეს-უშხირას ყანები, გარგარისა და ალუბლის ვრცელი ბაღები, საფუტკრეები. გადავიარეთ „კონკა რეკად“ წოდებულ პატარა მდინარეზე, რომელიც დნებრის მარჯვენა მხარის შენაკადია. ვუსწრებთ სამგზაურო ავტობუსებს, რომლებიც მოსკოვისა და სიმფეროპოლის მიმართულებით მიდიან.

აი სოფელი სკელკა... „პლაენებიც“ აქვე ყოფილა: მანქანები დაბლა დაეშვენ და ჩვენს თვალწინ გადაიშალა მწვანით შემოსილი ტბიანი

და ქალიანი ადგილები. შორიდან ეს ადგილები წალკოტივით აყვავებული გვეჩვენება. სოფლის გზიდანაც გადავუხვიეთ. მანქანები ნელა ჩადიან ოღრო-ჩოღრო გზაზე.

ტბაში დაბურული კუნძულია. ამ კუნძულზე ნაფოტივით მსუბუქი ნავებით უნდა გადავიდეთ.

კუნძულის ნაპირზე ფეხი დავადგიოთ თუ არა, პატარა ქოხი დაეინახეთ. ქოხის წინ 6 — 7 წლის გოგონა თამაშობდა. იქვე დედამისი საქმიანობდა. ქოხიდან მოხუცი კაცი გამოვიდა და თავაზიანად გაგვეცნო:

— ივან ვასილის-ძე ბრიკი, სოფელ სკელკის კოლმეურნეობის მეთევზე!

კახოკაში

სოფელ სეროგოზის შემდეგ უფრო მეტად შეიკვალა ბუნება. მოჩანს მოტიტლებული, უხეო ადგილები. ალაგ-ალაგ ქარსაცაეი ხეების სანერგეები. ამბობენ, აქ დიდი ქარები იცისო და ქარსაცაეი ზოლების სისტემის შექმნა ამ მხარეს სრულად სხვა იერს მისცემს ახლო მომავალში.

ახლა კი... ისე ცხელა, რომ გაქანებულ მანქანაშიც კი ცხელი ქარი გვეცემს. მხოლოდ კოლმეურნენი არ უკრთიან ამ თაკარა სიციხეს. გუფუნით მკის კომბაინი ყანას. მანქანას ვაჩერებთ. კომბაინერი პეტრო იაროხვიციკი ღიმილით მოგვესალმა, ხოლო კომბაინზე მომუშავე გოგონები მორცხვად ისწორებენ თავსაფრებს. მათ შეამჩნიეს, რომ ოთარ ჩხეიძემ ფოტოაპარატი მოიმარჯვია და ერთმანეთს ეფარებინან.

— ცუდად ვმუშაობთ, ცუდად... ნუ გადაგვიღებთ!

არც ისე ცუდად უმუშავნიათ, ყოველდღიურად 24 — 25 ცენტნერ ხორბალს იღებს მათი კომბაინი. კოლმეურნეობა ჩაბაევის სახელს ატარებს.

სოფელ სკელკაში მეთევზეთა კოლმეურნეობა ყოფილა. საბოლოო კოლმეურნე ყოველდღიურად თევზაობს ამ ტბაში, რაც დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას.

კოლო რომ არ გვაწუხებდეს, აქ ყოფნას არაფერი სჯობს. ტყით დაბურული ათასგვარი ფერადი ყვავილით გადაპენტილი, იღუმალი, მყუდრო გარემო... ქოხის გვერდზე უზარმაზარ ქვბაში ჩვენთვის უკრაინული უხა ინარშება. დიდი ტირიფის ქვეშ სუფრა გაშალეს ჩვენმა ზამოროფიელმა და კუნძულელმა მასპინძლებმა.

კარგად შეღამებული იყო, როცა იმავე ნავით კუნძულიდან უკან გამოვცურეთ.

სანამ კახოკაში მივიდოდით ერთმა შემთხვევამ ძალზე გაგვაოცა.

გაქანებული მანქანიდან ხელმარცხნივ, სადღაც ვრცელი ველების დასალიერზე, მოულოდნელად ატეხილი ქალებისა და დიდუ მდინარის გრძელ ზოლს მოვკარიით თვალი.

— დნებრი გამოჩნდა! — წამოვიძახეთ ჩვენ.

ჩვენი მემანქანე ორლოვი უკანმოუხედავად იციინს.

— ეგ დნებრი კი არა, დნებრის მირაჟია! დნებრი არ ჩანს, მარჯვნივაა, შორს... ეგ ქალებიც მირაჟია!

ჩვენ ზუმრობა გვგონია, თვალს არ ვაშორებთ ცისა და ველების დასასრულთან აშკარად გამოსახულ დაბურულ ქალას, მზის სხივებზე ალაბლაპებულ მდინარეს. ჯერჯერობით ჩვენს თვალს უფრო ვუჯერებთ, ვიდრე ორლოვის ნათქვამს. ნუთუ მართლა შეიძლება, რომ ბუნების ეს დიდებული სურათი წუთიერი მოჩვენება იყოს.

— თვალი არ მოაშოროთ და მალე დარწმუნდებით, რომ მირაჟია; დიდი გვაღვების დროს ეს ხშირი მოვლენაა

აქ — დაბეჯითებით იმეორებს ორ-
ლოვი.

ორი-სამი წუთის შემდეგ, მოულოდ-
ნელად, თითქოს ხელის ერთი მოსმით
მინას ორთქლი მოაშორესო, ისე პირწ-
მინდად გაქრა ჩვენს თვალთაგან დნეპ-
რის მირაჟი. გაპქრა ატეხილი ქალებიც.
ჩვენს თვალწინ ისევ უსასრულო ოქროს
ყანებითა და ნაწვერლებით დაფარული
ველებია.

ძველ კახოვკაში შევდივართ.

მარჯვნივ გადავუხვიეთ. ჩვენი მანქა-
ნა თაეკვე, უზარმაზარი ბუდლოზერები-
სა და სკრეპერებთანაგან დათხრილ ოღ-
რო-ჩოლოროებში მიიკვლევს გზას.

ორლოვი სამოქალაქო ომისდროინ-
დელ, ძველ პარტიზანულ სიმღერას ღი-
ღინებს:

«Кяховка, Кяховка,
Родная винтовка!»..

როცა ამ სიმღერას უსმენ, თვალწინ
აღიმართებიან ის თავგანწირული პარ-
ტიზანები, რომლებმაც სამოქალაქო
ომის მრისხანე დღეებში სწორეთ აქ,
ძველ კახოვკასთან გადალახეს დნეპრი,
ვაეცატურად დაესხნენ თავს თეთრგვარ-
დიელებს და მტრის სისხლით მორწყეს
უკრაინის მიწა. მრავალი მათგანი გვი-
რულად დაეცა, მაგრამ გზა გაუაფაფა,
გზა გაუადვილა ახალი კახოვკის დღე-
ვანდელ მშენებლებს.

ძველი კახოვკა დნეპრის მარცხენა ნა-
პირზეა გაშენებული. დნეპრის მარჯვე-
ნა მხარეს, კახოვკის გაღმა მოჩანს მღ-
ლობზე წამომდგარი ძველი ქალაქი
ბერესლავი.

აქედან თორმეტობდ კილომეტრის
მანძილზე მდებარეობს ახალი კახოვკა—
კიევიდან სამხრეთ უკრაინაში ჩვენი გა-
მომგზავრების მთავარი მიზანი.

ჩვენ დაუყოვნებლივ გვინდოდა გზის
გაგრძელება, მაგრამ დაღლილობამ თა-

ვისი გაიტანა და სასტუმროსკენ გვე-
შურეთ. დღის დანარჩენი ნაწილი ქალა-
ქის დათვალიერებას მოვანდობოქ, ხო-
ლო-საღამოთი დავესწარიით იმიერ-კარ-
პატიის უკრაინის ცეკვისა და სიმღერე-
ბის ანსამბლის კონცერტს. ანსამბლი კა-
ხოვკის მშენებელთა მოწვევით ჩამოსუ-
ლა და დიდი წარმატებით სარგებლობს.

ენიც ძველი კახოვიდან ახალი კახო-
ვისკენ წავა, შუა გზაზე, ხელმარცხნივ
მცირე ფერდობზე შეამჩნევს დასახლე-
ბულ პუნქტს. ამ სოფელს პატარა კა-
ხოვკა ეწოდება. კახოვკის წყალსაცავ-
ში დნეპრის გადმოშვების შემდეგ წყა-
ლი ამ ადგილებში თბუთმეტი მეტრით
აიწვეს და პატარა კახოვკა ჩაიძირება.

გზის მარჯვნივ და მარცხნივ ვრცელი
ზვრებია ვენახისა. მოსჩანს გარგარის
დაბურული ბალები. ბალ-ვენახებში აუა-
რებელი აგური, შიფერი, ფილაქნები და
ხეტყის საამშენებლო მასალა შეუტრ-
ნიათ. ეს ახალი კახოვკის გარეუბნებია.
რამდენიმე წუთის შემდეგ ახალ, ჯერ
ისევ დაუმთავრებელ, ხარაჩოვში ჩამუ-
დარ ქალაქში შევდივართ. მოასფალტე-
ბული, გრძელი ქუჩები, ლამაზი საცხოვ-
რებელი სახლები. როგორც იტყვიან,
ცხოვრება დღეს და გადმოდღეს. სულ
რალაც ერთი წლის წინ კი აქ არაფერი
არ იყო გარდა ვენახისა, თეთრი ქვიშის
გორაკებისა. ახალი ლამაზი შენობების
ეზოებში ვაზები მოჩანს.

— ძალიან გვენანებოდა ამ ვენახების
აჩეხვა-და ვცდილობდით, სადაც კი მო-
სახერხებელი იყო, გადაგვერჩინა! —
გვეუბნებიან კახოველები.

იქ, სადაც ენერჯის მიმოქცევის გი-
განტური არტერიები შენდება, ცხადია,
რამდენიმე კუზიანი ვაზის აჩეხვა გულს
არავის აუჩუყებს.

ამჟამად ახალ კახოვკაში, გარდა მრავ-
ალათაში მუშის საცხოვრებელი ბინე-
ბისა, უკვე აშენებულია საზაფხულო

თეატრი, პოლიკლინიკა, უზარმაზარი სასადილო, საბავშვო ბაღები, აგურისა და ხეცის ქარხანა, ავტობაზა, რკინიგზა. მთავრდება საშუალო სკოლის შენობა და ბეტონის ქარხანა.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ახალი კახოვეის საზაფხულო თეატრის ლამაზად გაფორმებულმა შენობამ. შენობა აგებულია წაბლისფერი და თეთრი ტუფის შესანიშნავი შეხამებით. შენობის ხის მასალა კაკლისაა. თეატრის შესავალთან ლენინისა და სტალინის ბარელიეფებია. თეატრის წინ, ეზოში ერთი კაკლის ხე დგას.

როგორც ქალაქის მშენებლები გვეუბნებიან, ახალ მუშათა ქალაქში კულტურის ყველა მიღწევა იქნება გამოყენებული. ქალაქს გაზიცი კი აქვს, რომელიც აქ ბალონებით მოაქვთ.

კახოვეის მშენებლები ჩვენთან საუბარში ხშირად ახსენებენ დნებროჰესს, ეს ბუნებრივად არის. ამ ახალი სადგურის მშენებლობასაც „დნებროსტროის“ მშენებლები აწარმოებენ და მაგალითისათვის ყოველთვის ძველ, უკრაინის პირველ გიგანტს იშველიებენ. დნებროჰესი ერთმა კახოვეელმა ინჟინერმა მოხდენილად შეაღარა ომის დროს დაჭრილ ჯარისკაცს, რომელიც მოაჩინეს და მწყობრში ჩააყენეს.

„დნებროჰესის კედლებში ახლაც კია ჩარჩენილი გერმანული ტყვიება“, — განაცხადა მან.

მიუხედავად იმისა, რომ კახოვეის ელსადგურის სიმძლავრე დნებროჰესისაზე 25% -ით ნაკლები იქნება, კახოვეის მშენებლების სიძნელე და სირთულე მეტია. მართო ის ფაქტი, რომ კახოვეის ელსადგურისათვის საჭიროა: 4 1/2 კილომეტრის სიგრძის კაშხალი, თავისთავად ბევრს ლაპარაკობს.

კახოვეის წყალსაცავი დნებროჰესისაზე დიდი იქნება და დიტევს 19 მილიარდ კუბიფურმეტრ წყალს. ცხადია, ასეთი გიგანტური წყალსაცავის მოშენება დიდი სიძნელეების გადალახვას-

თან არის დაკავშირებული, თუ იმასაც დავეუბნებთ, რომ დნებროსტროის აქ ქვიშაინი, კირიანი და მშენებლობისათვის მოუხერხებელია.

მაგრამ ეს წინააღმდეგობანი კახოვეის მშენებლებს არ აშინებთ. მათ იციან, რომ კახოვეის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებულია უკრაინის მრეწველობის, ტრანსპორტის, მედიორაციისა და ელექტროფიკაციის სასიცოცხლო ინტერესები, ამიტომ ისინი თავგამოდებით იბრძვიან, სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გამართული სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებთან და იმედს იძლევიან, რომ ვადაძვე დაამთავრებენ პიდროსადგურის მშენებლობას.

ახალი გიგანტის მშენებლები მართო საკუთარი საქმით როდი არიან გატაცებულნი. საინტერესო ფაქტი გადმოგვცეს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან კახოვეელები თავისი რაიონის კოლმეურნეობებს. ყოველ დასვენების დღეს მშენებლობის 150 ავტომანქანა და აუარებელი მუშახელი გადის კახოვეის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ეხმარებიან კოლმეურნეობებს მოსავლის აღებასა და ხორბლის გადაზიდვაში.

საქვეყნო საქმისადმი სწრაფეს ინტერესი აქ ყოველ წვრილმანში მოსჩანს. აქ მოტანილი ყოველი აგური და ფიცარი კომუნისმის შენებას აჩქარებს. ცხოვრება აქ მეტისმეტად დაძაბული. სწრაფი და საქმიანია. აქ მუშაობენ ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხის შვილები, საერთო ინტერესის ისინი მძლავრი მუშტივით შეუქრავს და შეუდუღაბები. მშენებელთა გამოხედვაში მოსჩანს მტკიცე გადაწყვეტილება, ძალის შეგება, თავმდაბლობა.

როდესაც ჩვენ ამ უდიდესი მშენებლობის შესახებ აღტაცება წამოგვცდებოდა, ხშირად გაეოგონებდით კახოვეელი მუშის ან ინჟინერის ღიმილით ნათქვამს:

— ჩვენი ქვეყანა იმდენად გაიზარდა,



იმდენად წინ წავიდა, რომ ახლა უფრო ხშირად ასტენებენ სხვა დიდ მშენებლობებს; კახოვკა უკვე პატარად მოჩანს კო-

მუნიციპის დიად მშენებლობათა რუკაზე. ეს ჩვენ გვახარებს, ეს ხომ ჩვენს ხალხთათვის ზრდაზე ლაბარაკობს!

მიწისმწოდვი „ონეგა“

მომავალი ზღვის ფსკერზე მივაბიჯებთ. აქა-იქ აღმართული კესონები მოჩანს. მიწას ბურღავენ ნიადაგის ხარისხის დამატებითი კვლევისათვის. აგერ თვითმავალი ექსკავატორი, ბულდოზერები, სკრეპერები. ჩვენს წინ ნაყარი მიწისაგან შექმნილი ხელოვნური გორები, უზარმაზარი ხევებია.

წყალს მივადექით. წყალი რამდენიმე მეტრის სიღრმისაა. აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაბურული ჭალა ყოფილა. მიწის ამოწოვის შემდეგ თვალუწვდენი წყლის სივრცე შექმნილა.

ყველაფერი ამის მოქმედი კი აგერ ის მალალი, პირქუში გემია: გიგანტური მიწისმწოვი „ონეგა“. მიწისმწოვისკენ კატერით გავცურეთ. ჩვენს ირგვლივ დაცურავენ ჰიდრომექანიზატორები, რომლებიც ბადრაგობენ უზარმაზარი სიგრძის მსხვილ მილებს; ამ მილებით ამოწოვილი ტალახიანი მიწა იღვრება სადღაც შორს, სადაც მიწის ამაღლებაა საჭირო, აქ კი ზღვის ფსკერის სიღრმე იქმნება.

კატერიდან „ონეგაზე“ ავდივართ. გემის კაპიტანი ი. კორობკოვი, ახალგაზრდა კაცია. თავაზიანად მიგვიღო და მამინვე ჩვენს გათვითცნობიერებას შეუდგა. ძნელია უცებ გაერკვე ამ რთულ მექანიზმებში, შეუძლებელია

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის ასე უცებ გაგება, მაგრამ ჩვენ ზოგს ვგრძნობთ, ზოგსაც ვხედავთ.

„ონეგა“ თვითმავალია. ეს უზარმაზარი მიწის მწოვი აშენებულია საზღვაო არხების გასათხრელად, შესართავების, სანაპიროების გასაღრმავებლად. ერთი საათის განმავლობაში „ონეგა“ საშუალოდ 1500 კუბიკურმეტრ გრუნტს თხრის. გემს 150 კაციისაგან შემდგარი ეკიპაჟი ემსახურება. მეზღვაურები, მექანიკოსები, ცეცხლფარეშები. გემზე შევნიშნეთ სასადილო, კიოსკი, სამკითხველო. ეს გემი პატარა ქალაქივითაა. ცხოვრობს თავისი საქმიანი, მოუსვენარი ცხოვრებით. „ონეგა“ ყველაზე მძლავრი მიწისმწოვია საბჭოთა კავშირში.

სწორედ აქ, სადაც ახლა „ონეგა“ დგას, ამ რამდენიმე მეტრის სიღრმე წყლის ადგილას იქნება აგებული კახოვკის დიდი ჰიდროელექტროსადგური.

დიდი სტალინის ნებით აქ შექმნილი უდიდესი წყალსაცავი უკრაინის გვალვიანი რაიონების სამ მილიონზე მეტ პექტარ მიწას აყვავებულ წალკოტად გადააქცევს. აქედან დაიძრება სინათლის დიდი ტალღა, რომელიც კომუნისმი ხარაჩოებში ჩამჯდარ ქვეყანას შეუქმნობს.

ლექსები

სევდა ბულგარეთისა



ბულგარეთს

ო, ბულგარეთო, შენს მთებს და ველებს
მე ვუმღერ ისევ, მშობელი მხარევე,
მე ვუმღერ ისევ შენს შეკრულ ხელებს,
სისხლს, რაც მკერდიდან ღვარე და
ღვარე.

მე ვუმღერ ისევ შენს მწარე ქვითინს,
უსაზღვრო გლოვას მაგ ცის და მიწის,
წამების გვირგვინს, ეკლიან გვირგვინს,
შენს თავზე ახლა ცეცხლად რომ იწვის.

დე, ვიყო ასე შორს განდევნილი,
მე მაინც ვხედავ, მე ვხედავ ყველას
და შორი მხრიდან, ცრემლდადენილი,
შენს მტანჯველ ტირანს ვუგზავნი
წყევლას.

მიიღე ჩემი ხმატყბილი ჰანგი
მაგ სევდიანი ძახილის წილად,
შენდამი ტრფობამ დაბადა იგი,
ვით შენ დამბადე შენს ერთგულ
შვილად.

მიიღე ჩემი ჰანგის გუგუნი
ვით შავბნელ ღამით ქარიშხლის წყვეტა-
ვით მწარე კენესა სევდიან სტრუმის,
ან ღამეული გუგუნი ტყეთა.

მე თვითონ ენახე ტირანი შენი,
ვინც ბულგარეთი სწეწა და სწეწა,
გვეწეწოდა გული შენცა და მეცა,
როს ბალკანეთის ტიროდნენ ტყენი,
ტიროდნენ მთები, მიწა და ზეცა.

მაგრამ შენს წმინდა აღისფერ სისხლში
მაგ გმირთა სისხლში, დღეს რომ ღვრი,
დღედავ,
შენს დიად ომში, ცრემლსა და ქირში
მომავლის ნათელ განთიადს ვხედავ.

ენახავ გულში მე ტყბილ აღერსსა
ჩემს მშობელ მხარეს, მშობლიურ
ხალხსა.
და როგორც ეხოს გულმხურვალესა
ძახილზე შორით მოგაწევი ხმასა.

ჩივილი დედათა



„და გზაში მიჩერებდნენ ქალები, თავიანთ ვირთა მოსა-
თხრობად; ისინი ტიროდნენ, მკერდში იცემდნენ ხელებს,
მაგრამ მე მათი შველა არაფრით შევმკლო“.

მაკ ვახანიძე

1

უცხოელო, გესმის განა
ჩვენი სიტყვა, ჩვენი ენა?
იქნებ ღმერთმა გამოგზავნა
ჩვენთა ჭირთა მოსასმენად.
ხედავ, როგორ ვეწამებთი,
შველას როგორ ვითხოვთ ცრემლით,
შემშვილდისგან როგორ ვკვდებით,

უწყლოდ როგორ ვიხოცებით?
წერილი შევილი მყავდა წინათ,
დღეს ვინლა მყავს ბედკრულ დედას?
ჩემს გოგონას სძინავს, სძინავს,
მზის სინათლეს ველარ ჰხედავს.

¹ უცხოელი სამხედრო ეფრნაღისტი, რომელმაც აღწერა თურქთა მხეცობა ბალკანეთის სოფლებში



ფუძე გვექონდა ერთხელ ჩვენიც,
ჯერ არ გვეგო ფეხქვეშ მახე,
შრომა იყო ჩვენი ლხენა,
წერილი შვილი — სიამაყე.

მაგრამ გაწყრა ღმერთი მალდა:
მტარვალს მიგვეცა სისხლით მთვრალსა,
ოჯახის წილ ფერფლსა ნახავ
და სოფლის წილ ნასოფლარსა.

ცხოვრების წილ — გულის თუთქვას,
ღიმილის წილ — ცრემლებს წმინდას,
რითღა ვცხოვრობთ, რითღა ვსუნთქავთ?
ან სიცოცხლე რაღად გვინდა?

II

გვითხარ, ამ ჩვენს მოთქმა-ტირილს
ვინმე იგებს, ვინმე სწვდება?
მკერდი ასგან დაფლეთილი
არასდროს არ შეხორცდება?

უცხოელო, გვითხარ, გვითხარ,
ვინმე გგხედავს, ვინმე გვისმენს?
ჩვენებრ უღვთოდ, ჩვენებრ დიდხანს
უტანჯნია თქვენში ვისმე?

თუ გინახავს თუნდაც ერთხელ,
ზეცის რისხვა რასა ჰქვიან?

აკენის ბავშვებს ხმლით: რომ სჩეხენ
და გოგონებს ნამუსს ხდინს.

შვილი მყავდა მაწაწინა,
თვალის ჩინი დედას ჰგავდა,
ღღეს მიწაში სადღაც სძინავს...
უცხოელო, შვილი გყავდა?

იცი? გესმის მწუხარება,
როცა პირშმოს ველარ ჰხედავ?
გესმის ცრემლის მღვღარება,
როცა შვილებს ტირის დედა?

იცი, ტანჯვა რასა ჰქვიან,
მხოლოდ ფერფლს რომ ნახავ გზაზე?
საყდრებს ნუხეით როგორ სვრიან,
როგორ ელუტენ ახალგაზრდებს?

ბებრებს ცეცხლში როგორ სწვავენ,
როგორ ნთქავენ სოფლის სარჩოს,
ჩვილს მუცელში როგორ კლავენ,
ხმლით რომ კვეთენ დედის საშოს.

უცხოელო, გვითხარ, გვითხარ,
თუ გინახავს სხვა ჩვენს დღეში?
გაგიგია ზეცის რისხვა? —
იცნობთ თურქებს თქვენს მხარეში?

პოლიტიკა



ძირს, ძირს ტირანი! ძირს, ძირს
სულთან!
აბდულაზიზი¹ ძირს დასცეს თურქთა,
ტახტზე ახალი სულთამხუთავი, —
ტირანის ტახტი მურადს¹ ხვდა მუქთად.

შეხედეთ ფაშებს, ნაზირ-ვეზირებს,
რა ზოტბის პანგებს თხზავენ მურადზე,
განა ძველ ბატონს თავი შესწირეს, —
ახალს უმღერენ თავის რულადებს.

ყვედ დიპლომატებს სიტყვა არ ჰყოფნით
პროგრესზე ყუფენ, არ გრძნობენ
სირცხვილს,
ტაშს ხცემენ, როკვენ ტურებზე
ღორბლით,
ხოლო ბულგარეთს სისხლი რწყავს,
სისხლი.
მურად მეხუთე მიტხადთან¹ ერთად
სისხლისმსმელ მხეცის თვალებით
გაციქვრს,

¹ აბდულაზიზი და მურადი — თურქეთის სულთანები.

¹ მიტხად-ფაშა — ინგლისის აგენტი და რუსეთისა და სლავიანთა მოძულე მტერი.

იმ მკვლელთან ერთად ფირმანებს
 ბეჭდავს,
 ტირანის ტახტი რომ იდგეს მტკიცედ-
 „უფლებებს“ აძლევს იგი ჩვენი მხარეს:
 „აწ უკვე ძმად ჰყავს ბულგარელს თურქი,
 ჰა, სიხარულის ცრემლები ღვარეთ —
 აწ უკვე მოსავს თურქს ბატონის ქურჭი“.
 დაგვიცინის მწარედ... მაგრამ ზოგს
 სჯერა
 და ჰა ანდრაში! ამცნობს ევროპას,
 რომ თურქის ტახტი სტეფს „ახალ ერას“
 და სიხარულით ხელს შლის და როკავს.

ყველა ხელს უწყობს ამ თურქულ
 „პროგრესს“
 ახალ რეფორმებს, ახალ მუწუკებს,
 რომ კიდევ მეტი უფლება ჰქონდეთ
 ჩერქეზებსა და ბაშბუზუკებს.

ხოლო ბულგარეთს კვლავ ჩეხავს
 ხმალი,
 ტყვედქმნილი ძმები თურქის წინ დგანან,
 ბულგართა ქოხებს წვავს ცეცხლის ალი
 და ყელს სჭრის ბაღლებს თურქული
 დანა.

ევროპას



ძირფესვიანად დღეს ჰემუსი² როცა ირყევა,
 როდესაც თურქმა ჩვენი მიწა გაატილა,
 ვკითხავ ევროპას: ამ ქედმოხრას საით მივყავართ,
 როდის გატყდება მოთმინების სავსე ფიალა.

ნუთუ ევროპას მართლა სჯერა, რომ ეს მტარვალნი,
 ეს სისხლისმსმელნი, შეჩვეულნი კაცთა წამებას,
 ვინც აქ მოვიდა აღმოსავლის შორი ტრამპლით,
 გარდიქმნებიან კაცთმოყვარე წმიდა მამებად?

ნუთუ მას სჯერა, — როცა ჰხედავს პატივყრილი,
 სამშობლოს მთები როგორ იტყნენ მტარვალთ მონებად,
 რომ უცებ კაცად გადიქცევა მყარალი ნადირი,
 ძმად გაგვიხდება, ვინც ჩვენ ახლა გვებატონება.

რომ შრომის შვილი გადურჩება მტრისგან წვალებას,
 ვნახავთ სამართალს, ქვეყანაზე ახლად ვიშვებით,
 მოიღებს მხეცი შებრალებას და შეწყვალებას,
 განკაცდებიან ჩერქეზები³ და დერვიშები.

ღმერთო! რას ვხედავ! დღეს ევროპა ტირანთან არის,
 ის იცავს მტარვალს, ლოკავს, როგორც მხეცს ეამება,
 მის ვაჭრულ სულში არაფერი წმინდა არ არის,
 მას სიცილსა ჰგვრის ჩვენი ცრემლი, ჩვენი წამება.

¹ ანდრაში — ავსტრო-უნგრეთის დიპლომატი.

² ჰემუსი — სტარობლანინის ძველი საბელწოდება.

³ ჩერქეზები — იგულისხმება კავკასიიდან გაქცეული ჩერქეზები, რომელთაც თურქები იყენებდნენ დამსჯელ ექსპედიციებში.



იგი ამტკიცებს: „ხელს ნუ ახლებს ჰასანს ნურაინ,
ჩვენ მოგება გვსურს, მშვიდობაც გვსურს მთელი გონებით“.
ის მშვიდად უცქერს, როგორ ბილწავს ჩვენს ჯვარს ყურანი,
როგორ კვენსიან მონობაში მილიონები.

ნუთუ ეს ჩვენი უსასრულო ცრემლი, გოდება
შერჩება მტარვალს, კვლავ გაგეტანჯავს უამინდობა!
თუ მშვიდობისთვის უნდა ვიყოთ მარად მონებად, —
წყევლიმც იყოს უსამართლო იგი მშვიდობა!

აღმართა ხმალი ჩვენმა ხალხმა, ბრძოლად გასულმა,
გადუდგა ტირანს, აღარ უნდა ცეცხლში იწვოდეს,
ორთაბრძოლაში პირისისხლიანს უტევს ბასურმანს;
„დღეს გადაერჩებით, კირში ხელს თუ გამოგვიწოდებთ“.

ნუთუ ევროპას არც კი ესმის ჩვენი მუდარა,
ნუთუ არ ღელავს, რომ ქვეითინებს ეს ჩვენი მხარე,
საკმარისია მხოლოდ მისი ერთი მუქარა
და მყის გაქრება ფერწასული ნახევარმთვარე.

დიად, მტრის ტახტი, ტახტი ყლეტის, წეწვა-გლეჯისა,
ჩაგვრით, ომებით, გარყვნილებით ძირშერყეული,
ტახტი კი არა — უსულგულო ჩონჩხი მხეცისა
დღეს ერთი დაკვრით დაიმსხვრევა, მარად წყეული.

თავისუფლებით თქვენ ტრაბახობთ, ევროპელებო!
ჩვენ კი ჩვენს კირში ხელწამყვრელი არ გვყავს არავინ,
აქ გასართობად, ჩვეულებად იქცა მკვლელობა,
ჩვენგან გაღებულ მსხვერპლს არა აქვს დასათვალავი.

ევროპელებო! თქვენ არ იცით, რაა წუხილი,
რადგან თქვენს სახლში არ თარეშობს მხეცი იმგვარი,
როგორიც დაძრწის ხმლის ტრაალით, თოფის ქუხილით
ჩვენს ქვეყანაში, ყოველ კაცის სახლთან მიმდგარი.

მაშ ნახეთ, დასტკბით ჩვენი ტანჯვით, ჩვენი დაცემით,
ნახეთ, ვით გველეტენ მგლები, ჩვენზე დაგეშილები,
სასრულობებზე ქანაობენ ჩვენი კაცები,
შაე მონობაში იხრწნებიან ქალიშვილები.

თქვენც ხომ ოდესღაც კირი გედგათ, ქალაქ-სოფლებად,
სისხლს ღვრიდით, რათა შვილთ ჰყოლოდით ნამდვილ მამებად,
თქვენი ძახილი დღემდე ისმის — „თავისუფლება“, —
აგრე გულცივად მაშ რად უცქერთ დღეს ჩვენს წამებას?

სირცხვილი ჩვენს დროს! ქრისტიანებს სირცხვილი დიდი!
რომ ხუნდი გვადგას, კაცურ გზაზე ველარ გვივლია,
რომ ბარბაროსი ხალხს იმონებს, მურდალი, ფლიდი,
რომ თურქის ქუსლით დღეს ბოსფორი გათელილია.



სანამდე გვთელავს გარეწარი, სანამდე გვეწავს?
სანამდე ბუგავს მშობელ მიწას ცეცხლის აღმური?
დროა წამოვდგეთ, თავისუფლად ვისუნთქოთ ჩვენცა,
დროა აივსოს სიხარულით ჩვენი მამული.

ღიზრებული 1

★

„ბულგარელები ერთმანეთს ელეტენ,
ერთურთს ზოცავენ მათი ჯარები,
ერთურთის კუბოს თვითონვე სკედენ,
წმინდა არიან იანიჩარები.
ტყუის და ცრუობს გაზეთი ყველა,
ცილისმწამებლებს კრულვა და წყევლა.

დიად, ტყუიან ბულგარელები,
თურქს არც უხლია მათთვის ხელები;
ზოგი რომ მოკლეს და ზოგს იმათგანს
რომ გაუხურეს ცემით ზურგები,
ელიოტი 2 მწერს ნამდვილ სიმართლეს:
მართალ არიან წმიდა თურქები.

მე არ ვარ იმის უარყოფელი,
რომ გადბუგა ბევრი სოფელი,
თურქს კი, ბრალს რომ სდებს ბევრი
ობერი,

ეს არის დიდი საშინელება,
თავის სოფლებში თავის ქოხები
თვითონ დაბუგეს ბულგარელებმა.

ქალთა შესახებ?... ჰო, შეიძლება!
ქალი თურქისთვის არის მისწრება...
მაგრამ სულ ტყუის ყველა გაზეთი,
არ დაიჯეროთ მათი სისინი,
თურქს არ მოუტლავს ქალი არც ერთი,
ცოცხალ არიან ყველა ისინი“.

ასე ერთგულად თურქს ხელს აფარებს,
მინისტრულ სიტყვებს ლორდი ქაქანებს,
ის ქედმაღლურად დარბაზს გაჰხედავს,
ცივად განაგრძობს, მართალ კაცებით;
აბა, უყურეთ ამ შავ სახედარს
ჩვენს ტყბილ ქვეყანას როგორ დასცინის.

ზიზღი, სირცხვილი ნადირს, მკვეხარას;
პროტესტებს გზავნის მთელი ქვეყანა,
იუდას ცნობენ მთელს ქვეყანაზე,
მისივ სიბილწე მისკენ ბრუნდება;
ოი, ინგლისო, ნეტავ სანამდე
შენ უნდა გმართონ ამ იუდეებმა.

1876 წ. აგვისტო

ჩემს ლირას

★

სამშობლო მხარეს ეუმღერდი მუდამ,
დღეს კი, დღეს სხვა რამ სიმღერა
მსურდა,

გულს სურდა ეთქვა სიმღერა ლხენის,
მეგონა დადგა დიდების დღენი.

მეგონა, — მაგრამ ეპ, ჩემო ლირავ,
სადა არის სადა ოცნების დილა,
განა კი ვნახავ, განა კი მოვა?
ბალკანებს ჰფარავს მწუხარი და გლოვა.

1 დ ი ზ რ ა ე ლ ი — ინგლისის პრემიერმინისტრი 1868 წ.

2 ელიოტი — ინგლისის ელჩი კონსტანტინე-პოლში.



ის ცეცხლი ჩაქრა და მიწა გმინავს,
ჩემს ძმებს დახოცილთ საფლავში
სძინავეთ,
ვინც გადაურჩა სისხლისმსმილ ტირანს,
ზედ ძვლებზე უჭერთ ბორკილის რკინა.

თავისუფლება სად არის, სადა?
სისხლი და ცრემლი გადიქცა ზღვადა.
ღრუბელი აწევთ ჩვენს შავთა დღეთა,—
ო, ჩემო ლირავ, ვიტყვირთ ერთად!

ვიტყვირთ ერთად დღეს ტირის ყველა,
ჩვენც მათთან ერთად მტერს ვუთხრათ
წყევლა.
გადახმა მიწა, ტყეს სუსხი ჰყინავს,
იანტრა¹ შფოთავს, მარცია² გმინავს.

არა, კვლავ ცოცხლობს ჩვენს გულში
რწმენა,
ამედი ფეთქავს, ვით ფეთქდა ძველად.

ვერ მოკლავს მტერი ჩვენს უკვლავ
მარცხენა მხრის
ლირავ! კვლავ ცეცხლმ შრედღის სიშუმს.

ო, მჯერა, მჯერა, ის დილა შოვა,
ინათებს ზეცა, გაქრება გლოვა,
მონობის უღელს დავლენწავთ ერთად
ჩვენ ვბოვებთ შუებას, მზე ჩავა მტერთა.

ეს ჩვენი მიწა გათელა რისხევით,
მტრის ხელმა მორწყო უმანკო სისხლით,
ეს სისხლი ჩანთქავს მტერს, ასე მჯერა,
ზღვად გადიქცევა, მტრის ბედისწერად.

ყოლები — ასგან ნაკებნი ხიშტით,
ბაღლები — მკედარნი ვაით და ვიშით.
ყრმანი ქვეუღნი ნაცრად და ფერფლად,
სახრჩობელების და ციხის მსხვერპლად.

ქალწულნი — ზეცის ანგელოსთ დარნი
აქ ჯოჯოხეთურ სიკვდილით მკედარნი...
ეს გლოვის ზარი, ეს მტერთან შებმა
მე მჯერა, ბოლოს იქცევა შუებად.

ბ. კაბლესკოვს *

კაბლესკოვო, რა ამაყად
მოკვდი, როგორც ფალავანი.
ჩვენ ერთმანეთს ველარ ვნახავთ,
შენთან ერთად დაიმარხა
ყველა კარგი ოცნებანი.

შენ დაეცი შენივ ხანჯლით,
უხმოდ, როგორც გმირი კვდება,
არა ცრემლით, არა ტანჯვით;
მე მესმოდა შენს ტკბილ ხმაში
მეომრული მოწოდება:

„ძმაო, ძმაო! გაწყდა ხალხი,
ჯოჯოხეთში მტარვალს ვყვეართ,
ქას გვიბურავს შავი თალხი,
დროა, დროა მედგარ დარტყმით
შევიქლოთ უღლის გადამსხვერვეა!

★

მე წყურვილი თან დამყვება: —
ხმლებად ვკვიდოთ რკინა წმინდა,
რომ კოცონის გაჩაღება,
რომ სახალხო აჯანყება
აუახანძროთ ნაპერწყლიდან.

ბევრი ტანჯვა მელის, ვიცი,
მე ჩემს სავალს ასე ვვლიდი;
მე მამულის სევდით ვიწვი,
მომკლან, მაინც სიკვდილის წინ
ჩემს ბედს როდი დავწყველიდი.

თუ ბრძანება მტერმა გასცა
და შეპყრობა შეძლო ჩემი,
მაშინ, ვფიცავ, ბრუტის მსგავსად,
თავისუფალ, მებრძოლ კაცთა
დიდ სიკვდილით დავეცემი!“

¹, ² იანტრა და მარცია მდინარეებია ბულგარეთში.

³ ტოლორ კაბლესკოვი — 1876 წ. აპრილის აჯანყების ბელადთაგანი.

შენ ჩვენს ახალ ვარსკვლავს სდევდი,
შენს ბედს სწინავდი ქვეყნის ბედში,

სამშობლოსთვის თავსა დებდი,
ამზახებდას ამზადებდი
დამონებულ ბაღკანეთში.

აი, დადგა გიორგობა,
ბედი წაღმა დატრიალდა,
აგუგუნდა აჯანყება,
ვერაგ მტერთან დაჯახება,
ბრძოლის დროშა აფრიალდა.

შენ ქედუხრელ ამაყ მუხას
შავმა ბედმა ისე გძლია —
ბრძოლაში არ დაცემულხარ,
თუმცა სიკვდილს შავს და მუხთაღს
საწოლშიც არ მოუსწრია.

ნაწამებმა, ნაწვალებმა
როს დაქარგე გმირის ღონე,
შენ შეგიბყრეს მტარვალებმა,
თუქმა ქვეწარმავალებმა, —
მაგრამ მტერს არ დაემონე.

შენ სამსჯავროს გსჯიდა კრული,
თავზე გადგა უკუნეთი,
მაგრამ თვალთ შევარდნულით
მტერზე რისხვად შემართული
ვით კარაჯა გუგუნებდი.¹

„მძულხარო, ყველა ჩვენი მტერი
მეზიზღებით გულით, სულით.
გწვეით, გვაწამეთ ბევრზე ბევრი,

თუმცა სისხლით დაითვერით,
დგება თქვენი აღსასრულიც.“

დაე, მოკვდე იმ სიკვდილით,
როგორც ჩვენში ბევრი კვდება,
ხალხი ხელფეხმებორკილი —
მკერდს რომ სისხლი სწვეთავს თბილი —
ბოლოს შვებას ეღირსება.

ჩვენ ეს ბრძოლა აგვიამაღლებს,
ტყბილ სამშობლოს ვეწირებით,
მებრძოლ გმირებს ახალახლებს
ჩვენი მთები კვლავ მონახავენ, —
ჯავრს იყრიან ის გმირები“.

ესა თქვი და მტრების თვალწინ
უცებ იძრე სატევარი,
შენს მებრძოლ გულს ხანჯლით ჩაწვდი
და სამშობლოს გმირი კაცი
ძირს დაეცა მყისვე მკედარი.
ჩვენი შენგან დალდასმული
გული ტირის, გული ღელავს,
მაგრამ შენი სიტყვა ბრძნული,
მეომარი გმირის სული
ბრძოლისაყენ გვიხმობს ყველას.

ბევრი ხმალი უკვე გაცვდა,
ბევრი წყლული გაჩნდა წყლულთან,
ო, რამდენი გმირი გაწყდა,
გახმა მკლავი ყმაწვილკაცთა,
სამშობლოსთვის შეწირულთა.

ბრძოლა ბრედბინთან²

1876 წლის 16 სექტემბერი სერბიაში

★

ო, ჩემო ხალხო, შენ იამაყე,
მოგშორდა თვალზე ბინდი მწულხარე;
ბევრი ნამდვილი გმირი გვანახვე,
სტარა-პლანინავე, კვლავ იმქუხარე.

აღსდექ იანტრავე, აღსდექ მარცხავე,
ჰანგად შესცვალეთ თქვენი გოდება,

¹ კარაჯი — აჯანყებულთა რაზმის მეთაური.

² ბრედბინი — მთა აღმოსავლეთ სერბიაში.

გვეხსნება თითქმის ჩვენც მაღალი ცა,
დიდების დღენი გვიახლოვდება.

ჩვენი მორავე¹ უკვე პირველად
ლომგმირ ბულგარელს ჰხედავს
ბრძოლაში,
კვდება ყიფინით და ხმლის ტრიალით
და არა მტრის წინ შიშით ძრწოლაში.

¹ მორავე — მდინარე სერბიაში.

თავისუფლებას თავს დასტრიალებს,
 არარად უჩანს მისთვის სიკვდილი,
 მის გულმკერდიდან სისხლი ჩქრიალებს,
 რომ ხალხს მოჰბანოს ძველი სირცხვილი.

შეხედეთ გმირებს, ქარში, წვიმაში,
 მათს ფეხქვეშ მიწას გააქვს ზანზარი,
 ერთად მიდიან ტყეის წრიალში,
 ბრძოლების ცეცხლით საბედამწვარნი.

კახუენო გმირნო, დიდება თქვენდა!
 თქვენ ჰფანტეთ მედგრად შავი
 ღრუბელი,
 ამაყობს თქვენით სამშოალო, დედა,
 ხალხისთვის ომში დაიღუპენით.

თქვენს ძმურ საფლავებს, — ვიდრე
 ანათებს
 მზე მარად მოჰტენს დიად ნათულსა,
 თქვენ შეეწირეთ ხალხის სანატრელ
 თავისუფლებას და სიმართლესა.

თქვენს საფლავებზე ისმის ჭვითინი
 ყველა ბულგარელ ნამდვილ დედისა,
 თქვენ აქ დაეციეთ გმირულ სიკვდილით
 გმოსაეთ გვირგვინი უკვდავებისა.

— „აქ ვინ დაეცა?“ ფაფარაყრილი
 ნაპირს მდინარე ჰკითხავს ჩქაფანით,
 „კრუმის შვილები“, — ეტყვის ნაპირი,
 თავდადებულთა სისხლით ნაბანი.

მორავასთან



ეს, ქუხილი ისმის ციდან,
 თუ სამუში მიწას ასწყდა,
 თუ ზრიგალი ამოფრინდა
 აჭაფებულ მორავასთან?

არა, არა, არც მეზია,
 არც შეუძრავს გრიგალს ველი, —
 თურქებს მეხად დასტეხია
 სერბი, რუსი, ბულგარელი.

გამართულა ხმლის ტრიალი,
 რომ გასწმინდონ ბინა თვისი,
 სამი ხალხი ქრისტიანი
 ერთად სისხლს ღვრის სიმართლისთვის.

ძმადშეკრულნი, შეფიცულნი,
 ქრინ ბრძოლის ქარიშხალში,
 ლომებს ჰგვანან ზედმისულნი,
 ძრწის სიკვდილი ცეცხლის აღში.

ბრძოლის ველზე, როგორც ნისლი,
 ფრთა გაშლილა სვავებისა,
 მაგრამ — „დაჰკა“, „დაჰკა“ ისმის
 მოძახილი სლავებისა.

ავუგუნდა ბრძოლის აღი,
 ხალხი იწყებს ფიცხელ ომსა,
 შეუშინდა ვეფხვი მყრალი
 ყალყზე შემდგარ სლავურ ლომსა.

განთიადი აღმოსავლით
 იღიმება მაღალ ცაში,
 ჩუხჩუხებენ ლაღად წყალნი,
 ხის ფოთლების ისმის ტაში.

ხევში, ტყვიით გადახნულში,
 წევს მრავალი გმირთაგმირი,
 სადაც ბრძოლა იყო გუშინ,
 იყო მისელა პირდაპირი.

მტერს ეკვეთა ვაჟკაცურად
 სერბი, რუსი, ბულგარელი
 და გაიყვეს ომში ძმურად
 მათ სიკვდილიც და სახელიც.

ვიცი, დონი და მორავა
 დღეს უხსნიან ერთერთს მეკრდსა,
 ერთმანეთის უნახავად
 ულოცავენ ერთმანეთსა.

რუსეთი


 ეროვნული
გერმანოლოგიკური


იქ, სადაც მწარე გაისმის კენესა,
ქერივნი რომ ღვრიან მდულარე
ცრემლსა,

სადაც ბორკილის ისმის ჩხარუნი,
სადაც მოჩქევენ სისხლის წყარონი,
ციხეში კედება გმირი ყარიბი,
ნამუსახილი კენესენ ქალები,
სადაც ტირიან გზებზე ობლები,
იფერფლებიან ცეცხლში სოფლები,
სადაც ხმა ისმის წყევლის, გინების,
ველად ხმებიან ძვლები გმირების,
ტუნეთან, ვიტასთან და ტამოკასთან,¹
სადაც ძვერს გული ჩემთა მოყვასთა
მოპყრობილი აქვს ჩრდილოეთს თვალი,
მთელს ბულგარეთში დღეს მთელი
ძალით

ერთი სიტყვა სუქს, სიტყვა ასეთი,
ერთი კენესა და ლოცვა: რუსეთი!



რუსეთი დილის გამობრწყინება,
სახელი ტბილი და სანატრელი,
ის ჩვენს წყვილიადში ხსნად და იმედად
ციალებს, როგორც შორი ნათელი.

და გვეუბნება ტანჯულთ, დაღწილთ
და დაიწყებულთ ყველას გულებში,
რომ სიყვარულის ტბილი აღერსი
ჩვენაც გვეკუთვნის ჩვენს უკუნეთში.

რუსეთო, ჩვენი გულის საუნჯევე,
ხარ შებღანათელი და უძლეველი,
დაუსრულებელი ზეცის სიღურავეს
მე მოამგონებს შენი ტყე-ველი.

იქ ყველას ესმის ჩვენი ვედრება,
ესმით ჩვენი ხმა, განწირულების,
ესმით ტანჯულის სულისკვეთება,
ჩვენთვის ღელავენ მათი გულები.

¹ მდინარეები.

ო, იგი მალე ხელს გამოგვიწვდის
ჩვენს მტრებს შეებმის, გადამთილებს,
მას მტრულს მიუზღავს ვერაგ
მტრობისთვის,
ძველ ბალკანეთზე ცეცხლი იელვებს.

და კამჩატკიდან, ვიღრე ფინეთის
სალ კლდეებამდე, როგორც მახვილი,
სივრცეს გააპობს „ეაშას“ ძახილი,
აკიაფდება ჩვენი იმედი.



ო, გამარჯვება, დიღო რუსეთო,
ჩვენი იმედის მზეო მფარველო,
შენ დედოფალო, ლაღო უსვედო,
მოდო, გეძახით, ტკბილსაყვარელო.

გეძახის ხალხი მონათესავე,
ვინც შენივ ხორცი, შენივ სისხლია,
ვინც შორით გინთებს გულს
სანთელსავით
და ვისი დახსნაც შენ გაეისრია.

არა გყავს ტოლი ქვეყნად სრულიად,
ჩვენც ძმას უკეთესს სხვას ვის
ვაოვებდით;
შენს დიდ საზღვრებში შემტკიცულია
ზღვები, ხალხები, სამეფოები.

მათ კაცის თვალი ვერ გადასწვდება,
ბოლო არა აქვთ, ბოლო არა ჩანს,
მუდამ გფარველობს შენ ერთარსება
მტრის წინ მდგომარეს მდგარ დარაჯად.

შენ ფიცხად ქვლტდი მამაის ურდოს,
შენ ნაპოლეონს ლეწდი ავღარში,
შენ იცი, მტერთან მტრობა ვით უნდა,
ვინაც შენს რუქას მტრულად გადაშლის.

მიტომ ჩვენს გულსაც სწრაფვა
ერთი აქვს
და წყურვილი აქვს მუდამ გულს ერთი
შენ ჩვენ მოგელით როგორც მესიას,
გისმობთ, რადგანაც შენ ხარ რუსეთი!



ბანთავისუფლება

ქვემოთხატვა იმუხეს



დაფარულან ქედები
მძიმე გლოვის ზეწარით,
ველად დაქრის სიკვდილი,
შავი და გარეწარი.

ზეცას შესცქერს მშობელი, —
გადმოგვხედოს ზეცამო;
შვილი ჰგოდებს: როდემდის
უნდა ასე ვეწამოთ.

ქმაო, მალე მორჩება
ჩვენი ტანჯვა, წუხილი,
გაისმება ველებში
ქვემეხების ქუხილი.

შვილის სისხლით ბალახი
შედებილა აღისფრად,
ზედ დასცქერის თვალები
საწყალ ქვრივი ქალისა.

გასწორდება ტანჯული
ზეცას კუშტად ახედავს,
მაღალ ზეცის სამართალს
წყველას ეტყვის შევახედა.

დედავ, შენი ვაჟკაცის
მკვლელი ხვალ გამწარდება, —
ქვემეხების გრილით
ზეცა შეზანზარდება.

ციხეებში ლებბიან
ჩვენი ძმები, მამები,
ცხედრებს ჰგვანან ცოცხლები
უსასრულო წამებით.

მკლავში ძალა დასცლიათ,
ნასცენიათ მკერდები,

ისმის ელერა ბორკილის,
ხმა კენესის და ვედრების.

ძმებო, წუთი ახლოა,
დღე დადგება ახალი,
გვამცნობს თავისუფლებას
ქვემეხების ჯახანი.

ხეტიალში, დევნაში,
უცხოეთში ლოდინით
მიდის ახალგაზრდობა,
კმუნვა გვაწევს ლოდივით.

დამცირებას ქედს ვუხრით
სადღაც უცხო მხარეში,
იქ კი დედებს მდულარე
ცრემლის ტბა აქვთ თვალებში.

როდის, როდის ჩაკდება
გლოვის ზარი ტიალი,
ძმებო, როდის ატყდება
ქვემეხების გრიალი.

მათი ბათქის ლოდინში
წყდება კენესა, გოდება,
მომავცდავი მოხუცი
სროლის ხმას ელოდება.

ჩრდილოეთმა იქუნა,
ატყდა რისხვის ძახილი,
დატანჯულმა მონებმა
უკვე იძრეს მახვილი.

და საწოლშიც მოხუცი
ამბობს თვალთა კრიალით:
„მესმის, მესმის ნანატრი
ქვემეხების გრიალი“.

სამხრეთსლავური სოლიდარობა¹ეროვნული
გზისმოძრაობა

გიგზავნით, ძმებო, მილოცვას და სლავურ სალამსა,
 დუშანის მოდგმავ, ამ მწუხარე და ტანჯვის ეამსა.
 აღმოგვიჩინეთ თანაგრძნობა თქვენ ღირსეული,
 მადლობა, ძმებო, ეს საქმეა თქვენთვის ჩვეული.
 ვერაგმა მტრებმა გადაწყვიტეს, რომ წუთიერი
 ეს ჩვენი შეხლა ისე ღრმავ, ისე ძლიერი,
 რომ ძმებს ერთმანეთს დაგვაშორებს, როგორც მახვილი,
 თითქოს ჩვენს შორის უფსკრულია უკვე გათხრილი!
 ჰო, ჩვენ გავიგეთ, როგორ მისწვდით ჩვენს ტყვედქმნილ ძმებსა,
 როგორ წაართვიეთ კლანჭებიდან სისხლისმსმელ მტერსა;
 კეთილშობილი და წმინდაა ეს საქციელი,
 ჩვენს ხალხთა შორის ძმობა უკვე ხდება ძლიერი,
 რაც მორავასთან ერთად სისხლი ეღვარეთ ნაღდადა
 იმ სისხლმა ჩვენი ძმობა უფრო წმინდა გახადა.
 მთელი ქვეყანა თქვენ ტაშს გიკრავთ და გიწვდით ხელსა,
 ლოცვას გიგზავნით მალღით ღმერთი ამ ნათელ დღესა!
 გამოცდილებამ ჩვენ გვასწავლა: — ჩვენი ერები
 მხოლოდ ძმობაში იქნებიან ბედნიერები.
 ბედნიერება არ იქნება, სანამ მონა ვართ,
 სანამ საგლეჯად გავუზღვიართ სვავეებს, ონავართ.
 სერბს და ბულგარელს დღეს ერთგვარად ტანჯავს გამჩენი,
 წვავს ერთნაირად უმოწყალო სევდა მტანჯველი.
 ერთმა კანონმა შეკრა ჩვენი ხალხი მტირალი:
 რომ ერთიანი ძალით მოვსპოთ მტერი ტირანი,
 რომ ერთობაში შევება ნახონ ჩვენმა ხალხებმა,
 რომ აღარ იყოს ერთურთისკენ მტრულად გახედვა.
 შემარცხენელი ძველი დავა, ძველი ქიშპობა —
 ეს, წინაპართა მძიმე ხვედრი — თითქოს ისპობა
 ო, რომ ჰქონოდათ ყველა სლავთა ძმობის მიზანი
 ანთებულოყვნენ სიმეონი ან და დუშანი²
 და შეეკრიბათ ძველი სლავთა ყველა ერები,
 ერთ დროშის ქვეშე შემოეწყობათ ბედნიერები,
 მაშინ ვნახავდით, ქვეყნის ბედი რა იქნებოდა,
 ძველ სლავთა ძალა როგორ ცამდე აღზევდებოდა;
 მაშ, ნუ დავუშვებთ წინაპართა ძველთა შეცდომებს,
 ხსნა ძმობაშია: შუღლი სპობდა მუდამ ჩვენს ტომებს.
 შუღლს და ქიშპობას დაღუპვისკენ მიჰყავს ყოველი,
 თვითონ ძლიერიც მოწყალეების ხდება მთხოველი.
 გარემოცვაში ერთ სლავები ყოველი მხრიდან,

¹ ამ ლექსს საფუძვლად დაედო დამტი სარბოვან 50 ბულგარული აჯანყებულის განთავსება.

² სიმეონი და დუშანი — ბულგარეთის და სერბიის მეფეები.

ვინ დაგვიფარავს, ვინ დაგვიცავს სიტყვით და ხმლითა,
 რომ გამოვგლიჯოთ ჩვენი ხალხი სიკვდილის კლანჭებს,
 რომ ვაყაყუტრად გავუსწორდეთ სისხლისმსმელ მტანჯველს;
 მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძმობა გვიშველის ჩვენა,
 სლავების ძმობა! ერთიანი ქირი და ლენა!
 თავთავეები ვართ, უსუსური, ძმობის გარეშე
 ქარი რომ ლეწავს, როცა ოდნავ გაუთარეშებს;
 ძმობის გარეშე ყველა მტერი გვეჯობს ძლიერებით,
 ძმობა თუ არის, მძლე არიან ყველა ერები;
 ძმობა ციხეა, მტერი თუნდაც ზედაც დააკედეს,
 ვერც ელვა-მეხი, ვერცა კრუბი ვერას დააკლებს.

ძმებო, თქვენი გამარჯვება



„დედი, დედი! ნახე, ნახე...“
 „რაო, შვილო?“ — „თოფებს ჰხედავ?...“
 „რუსებია!“... — „მათი სახე
 დამანახვე ახლოს, დედაე“.
 „ეს ლაშქარი, შვილო, ჩვენა
 თვითონ ღმერთმა მოგვაშველა“.
 ზაფხულს თამაში დააეწყა,
 ეზოს ღობეს სწრაფად მისწვდა,
 თითქოს ძმას და მამას ჰხედება:
 „ძმებო, თქვენი გამარჯვება!“.

მოდის გმირი გენერალი,
 მოსდევს მთელი ესკადრონი,
 მოიზრდილა ხელით თვალი
 და გლეხკაცი უცქერს ნდომით:
 ცხადია თუ სიზმარია!..
 ვიცი, ვიცი ვინც არიან,
 მოიხადა გლეხმა ქული,
 დიდებული იგრძნო წუთი,
 იგრძნო სითბო, იგრძნო შვება:
 „ძმებო, თქვენი გამარჯვება!“.

შიკა! შიკა! ¹ იმის მიჩი,
 გურკომ მთებზე მიდგა ფეხი,
 ბალკანები გადალახა;
 ზეიმი აყველგან ახლა,
 ქალ-ვაჟები გმირთ ხედებიან,
 სულ ვარდებით ირთებიან,
 სატევრები, შუბნი, ხმლები,
 თოფები და ქვემეხები;
 ყველა ძვირფას გმირებს ხედება:
 „ძმებო, თქვენი გამარჯვება!“...

აი, მართლა გმირი ხალხი
 ღირსი ხოტბის, ღირსი ქების;
 ჰა, ერთ კაზაკს მოჰყავს აქეთ
 მთელი ბოლკი ტყვე თურქების,
 დღემეჭიათ თურქებს სახე,
 სულ ხელ-ფეხი უცახცახებთ;
 რუს მეომრებს ხალხი ჰხედება,
 ჰქუხს მაღლობის შეძახება;

აი, ძმობა, აი შვება;
 „ძმებო, თქვენი გამარჯვება“.

¹ შიკა — უღელტეხილი ბალკანეთის მთებში, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს ზღე-
 ზაფხულის გააფთრებული ბრძოლები.

ჯარისკაცთა საფლავები



ერთად მოვიდნენ ისინი
აქ, ამ სამარის კარამდის,
და შავი მიწის სიმძიმით,
სამივეს ერთად ტკბილ ძილით
აქ სძინავთ აწ და მარადის.

განისვენებენ ისინი
ერთმანეთს შენაფიცარნი,
არ სველდებიან ვით წვიმით
ნათესაეების ქვითინით
მათი კუბოს ფიცარნი.

ვერ დააყრიან ყვავილებს,
ვერ დალოცავენ პირჯვარით,
გულშიაც არცინ გაივლებს,
რომ აქ დახოცილ რაინდებს
თათან დაურკვოს ხის ჯვარი.

საიდან მოსწედნენ, საიდან,
აქ, ამ ბრძოლის ველს, ნეტავი?
ეს გოლიათი სამი ძმა
აქ რომ მიწაში ჩავიდა
სამივე რკინის მკვნიტავი.

იქნებ იმ შორი მთებიდან
ცას რომ კვეთს კავკასიაში?
ან ტრამალების გზებიდან,
ან დონის ნაპირებიდან, —
გაზრდილნი ხმალთა ტრიალში.

იქნებ მახლობლებს იმათზე
უკვე აცვიათ შავები,
ან იქნებ ვერ გაიმეტეს
და გულში ზრდიან იმედებს
მწუხარე ნათესაეები.

მამა წასულა ბრძოლაში,
დედა კი, თუმცა ამოდ,
მანც დღეების სრბოლაში
ანიშნებს თითის ტოლა შეილს:
— იქ არის შენი მამაო.

მაგრამ, დაეცა მშობელი,
აქ უპოვია საფარი,
აქა წევს დაუცხრომელი
და ვინ გაიგებს, რომელი,
მისი სამარე სად არი.

1877 წ. აგვისტო.

 ბლენტი¹


ბლენტი ო, წყველა შენგვარ ძალლებს,
შენგვარ ყვითელ მიწის მახრას;
შენისთანა სისაძაგლე
მთელს პლანეტას არ უნახავს.

ბლენტი ო, როგორ, როგორ გიყვარს
ჭვეყნად სიკვდილს როცა თესავ;

შენ თვით გველზეც ეშმაკი ხარ,
თვალებით რომ ბნელში კვესავს.

მზეცს რომ ხელში მსხვერპლს ჩაუგდებ
მიზანი გაქვს მიღწეული,
მერე ყველას უსაბუთებ,
რომ კაცი ხარ ღირსეული.

¹ ბლენტი — ინგლისის კონსული ანდრია-ნობოლში. თრაკიაზე თურქების წამჭეზებელი, რის შედეგადაც თრაკია აოხრებული იქნა.

პო, ღირსი ხარ, ზიზლის ღირსი,
როგორც სისხლის ძველი ლოთი,

შენ აფთრულად გიყვარს სისხლი,
შენ სულით ხარ ელიოტი.

მხეცო, სინდისგარეცხილო,
გზიბლავს კენესა ტანჯულ მხარის,
შენ არ ძალგიძს, არ იხილო
ქვრივ-ობოლთა ცრემლის ღვარი...

ოზეიმე! ქვეყანაზე
შენ არ გელის დავიწყება,

ბლენტი შენს ყოველ ხსენებაზე
წყველა-კრულვა დაიწყება

გულით, სულით სძაგდი ჩვენებს,
გინებით ხარ ნაკურთხები:
ხშირად, ხშირად გაგიხსენებთ
მყისვე გვერდზე გაფურთხებით.

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა

ქართულ და სომეხ ხალხთა მეგობრობის მოძრაობა

ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო

★

დიდი ღვაწლი მიუძღვის ოვანეს თუმანიანს ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებისა და სოლიდარობის განმტკიცების საქმეში. სომეხი ხალხის დიდებული შვილი, ეს უმწიკვლო და წმინდა აზრებით გასხივოსნებული პოეტი ნამდვილი მედროშე იყო ამიერკავკასიის ხალხთა და, კერძოდ ქართველ-სომეხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა, ნდობისა და თანამშრომლობისა.

რამდენიმე ათეული წელი დაყო ოვანეს თუმანიანმა საქართველოს დედაქალაქში — თბილისში. აქ გაიშალა მისი პოეტური და საზოგადოებრივი შემოქმედება. აქ შექმნა მან თავისი შედეგები. აქ დალია მან თავისი უკანასკნელი დღენი. მისი ნეშტი მოწიწებით და პატივისცემით თავის გულს მიიყრა საქართველოს მიწაწყალმა. ოვანეს თუმანიანს უყვარდა ჩვენი ქვეყანა, მისი თვალწარმტაცი ბუნება, ჩვენი ნიჭიერი ხალხის გმირული ისტორია.

ოვანეს თუმანიანი 1910 წელს სწერდა ერთ ქართველ პოეტს: „თქვენ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, გრძნობთ, რომ მე საქართველოს შესახებ, როგორც წინათ, ისე ახლაც დიდი აზრისა ვიყავი და ვარ, და კეთილი სურვილებიც გამოითქვამს. დიად, და უფრო მეტსაც

ვიტყვი. ეს სიყვარული და ნატვრა აგრეთვე დარჩება შეურყეველი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე მხოლოდ სიყვარული და კეთილი სურვილები მაქვს ყველას მიმართ, და მეორეც, იმისათვის, რომ ეს კარგი გრძნობები დაფუძნებულია ჩვენი ძველ მოძმე და ერთ ბედში მყოფი ქართველი ხალხის კეთილ, ბრწყინვალესა და თავისუფლების მოტრფიალუ სულზე. უკუღმართ შემთხვევებს და წარმავალ უბედურ მოვლენებს, ან ამა თუ იმ ნაკლოვანებას არ შეუძლია დამინგრეოს ეს ღრმა რწმენა და სიყვარული“.

1893 წლის გაზაფხულზე ქართველი ხალხი ემზადებოდა ღირსშესანიშნავი საქმისათვის — მშობლიური მიწისათვის უნდა დაებრუნებინათ ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდებული ნეშტი. 25 აპრილს თბილისში მოასვენეს დიდი პოეტის ცხედარი. აქ თავი მოიყარეს ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილებმა: ილია ქავკავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. მათთან ერთად არის ახალგაზრდა სომეხი მგოსანი ოვანეს თუმანიანი მთელ ხალხთან ერთად თუმანიანიც მუხლს იდრეკს დიდებული კუბოს წინაშე. სიტყვა წარმოსთქვეს ილიამ და აკაკიმ.



მათთან ერთად ამალელებელ სიტყვას ამბობს პოეტი ოვანეს თუმანიანი. ეს იყო სომეხი ხალხის ხმა, აღსაყვებ პატივისცემითა და სიყვარულით მოძმე ქართველი ხალხის მიმართ.

ამ შესანიშნავ გამოსვლამდე ერთი წლით ადრე ო. თუმანიანმა დაწერა ლექსი „შერიგება“, რომელშიც გამოთქმულია ქართველ და სომეხ ხალხთა დაახლოება-დაძმობილების გარდუვალობა და აუცილებლობა.

როდესაც ოვანეს თუმანიანმა გაიგო, რომ მოძმე ქართველმა ხალხმა დაკარგა თავისი ერთგული შვილი, შესანიშნავი პოეტი ვაჟა-ფშაველა, მთელი მისი არსება ტკივილით და გლოვით ივისო: „ამ ტრაგიკულ დროშიაც ღრმად იგრძნო მშრომელმა ხალხმა კარგი ადამიანის, უნიჭიერის და უბადლო პოეტის ვაჟა-ფშაველას დაკარგვა. გულწრფელად მოვახსენებ სამიძიარს მოძმე ქართველ ხალხს“. ამ დებეშით ოვანესმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი სულიერი სიახლოვე ვაჟა-ფშაველას პიროვნებასა და პოეზიასთან.

1907 წელს თუმანიანმა გადათარგმნა ილიას ორი ლექსი „გაზაფხული“ და „ელეგია“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით აღფრთოვანებული ქართველი ხალხის მოწინავე წრეებში დიდი მოძრაობა, რათა ფრთა შესამოდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. შეიქმნა და ამოძრავდა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელიც გამოეხმაურა ამ მოვლენას, გაამხნევა ეს საინიციატივო ჯგუფი, ხელი გაუწოდა მას და თანაც მატერიალური დახმარება აღმოუჩინა შემოწი-

რულების სახით, -- იყო თუმანიანის ნიანი.

ოვანეს თუმანიანის ღრმა პატივისცემა შოთა რუსთაველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ, მისი სიხარული საქართველოს დიდი კულტურული კერის -- უნივერსიტეტის შექმნის გამო, მისი ცხოველი ინტერესი ქართული ლიტერატურის განვითარებისადმი, მისი განუწყვეტელი ინტენსიური კავშირი საქართველოს კულტურის მოღვაწეებთან, საქართველოს პოეზიასთან, გამოიხატა მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით აღსაყვებ ლექსში „საქართველოს პოეტებს“, რომელიც ოსტატურად თარგმნა და ქართველ მკითხველს მიაწოდა იოსებ გრიშაშვილმა.

სომეხი პოეტი საბრძოლო ამოცანად უყენებს საქართველოს და სომხეთის პოეტებს, რომ ხელოვნების ბასრი იარაღით ემსახურონ ძმობა-მეგობრობის მაღალ და მშვენიერ იდეას:

კავკასიონის ჭაღარა ერებს ჩვენ მოეწოდებთ საერთო ლხინზე, ჩემი ქაშახაც ტყილად იმღერებს თქვენო მგონების შემობახილზე. დაერჩეთ, ქურტუნო, ძმად და მეგობრად. შექმნათ ოჯახი ამხანაგური, და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად უვლამ მივზიღოთ თითო აგური!

ეს აღგზნებული მოწოდება წარმოადგენს პოეტურ პასუხს იმ დაუეიწყარ სიტყვებზე, რაც დიდმა ილიამ თავის დროზე გადაისროლა კავკასიის ერებში:

როდისღა ენახე მშვენიერსა ამ ქვეყანასა... რომ ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა, ეხლა გაჯრილი, ერთ მდინარედ შეერთდებიან? რის იგი ტომნი ცად მიღწეულ მძღაერ კავკასისა ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?

ამ ოცნებას ფრთები შეესხა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

შემდეგ, დიად სტალინურ ეპოქაში, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დრო-შის ქვეშ.

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის თემაზე თუმანიანი 1918 წელს ორი ლექსი დაწერა. ესენია: „საქართველოს სული“ და „საქართველოსათვის“. ეს ლექსები დაწერილია ნაციონალისტური ვაჟბანაიის აზვირთების, შოვინისტური აღვირაზნისილობის და ფარფაშის ხანაში — ქართველ-სომეხთა ომის დროს, ომისა, რომელიც გააჩაღეს მენ-შევიკების და დაშნაკების სისხლიანმა ჯალათებმა.

აქედან სავსებით გასაგები ხდება პოეტის კატეგორიული განცხადება, რომ მის გულში ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ქართველი ხალხის მიმართ სიყვარულს.

ოვანეს თუმანიანი აწყობდა თავის სახლში ლიტერატურულ შეხვედრა-სა-ლაშობებს, რომლებსაც ესწრებოდნენ სომეხი და ქართველი მწერლები; მწერ-ლები ერთმანეთს ეცნობოდნენ, მათ შორის მეგობრული ძაფი იბმებოდა. ოვანესი გულდასმით ადევნებდა თვალ-ყურს ქართული ლიტერატურის განვი-თარებას, აზარებდა მისი წინსვლა, ახა-ლი ძალების გამოჩენა. იგი იყო ინიცია-ტორი ქართველი მწერლების გამგზავ-რებისა ერევანში; იგი იყო ქართველი მწერლების მთელი რიგი ნაწარმოებე-ბის სომხურ ენაზე თარგმნის ორგანი-ზატორი; ოვანესი გამოდიოდა ქართ-ველ მწერალთა მიერ მოწყობილ სალა-შობებზე. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოვანესი ერთა კულტურულ დაახლოე-ბას, ურთიერთგაცნობას, ლიტერატუ-რულ ნაწარმოებთა თარგმნას. განსა-კუთრებით ოცნებობდა იგი ქართველი

ხალხის შემოქმედებითი გენიის ნიმუ-შის — „ვეფხისტყაოსნის“ — ფარგმნაზე.

დიდად გაახარა თუმანიანი იმ ფაქტ-მა, რომ საიათნოვას ძეგლის საზეიმო გახსნა (1914 წელს) გადაიქცა კავკასიის ერთა ინტერნაციონალურ დემონსტრა-ციად და, კერძოდ, ქართველ-სომეხთა მეგობრობის, კულტურული და სული-ერი დაახლოების მანიფესტაციად.

ოვანეს თუმანიანის ინიციატივით სომეხი ინტელიგენციისათვის ეწყობო-და ლექციები ქართული ლიტერატური-სა და ხელოვნების ისტორიიდან. ასევე, ქართველი ინტელიგენციისათვის ეწყო-ბოდა, ურთიერთგაცნობისა და დაახ-ლოების მიზნით, მოხსენებები და სალა-შობები სომეხი ხალხის ლიტერატურის ისტორიიდან. ერთ-ერთი ასეთი ლექცია წაიკითხა ქართველმა მოღვაწემ — ტოლსტოის ცნობილმა მეგობარმა — ილია ნაკაშიძემ 1916 წლის 16 დეკემ-ბერს. ლექციის დამთავრებისას სომეხ მწერალთა სახელით მხურვალე სიტყ-ვით მიმართა მომხსენებელს ოვანეს თუმანიანი:

„ძვირფასო ილია პეტრეს-ძე! ნება მიბოძეთ, სომეხ მწერალთა ამხანა-გების სახელით თქვენი სახით მივესალ-მო ქართული მწერლობის მეგობრულ ძმურ ოჯახს და მოგიძღვნა ეს წიგნი. ხოლო ამ წიგნში გამოხატულია ჩვენი ხალხის სული და ჩვენი ყველაზე ძვირ-ფასი გრძნობები. დაე, ფართოდ განვი-თარდეს ჩვენი მოძმე ქართველი ხალ-ხის მხატვრული მწერლობა. დაე, მა-რადეამს იცოცხლონ ჩვენმა მეგობარმა ქართველმა მწერლებმა“.

კარგად გამოხატა პოეტმა თავისი და-მოკიდებულება საქართველოს ისტორი-ის მიმართ 1917 წლის 24 ნოემბერს,

როდესაც მან მიმართა ქართველ ხალხს თბილი, მღელვარე სიტყვებით: „ძმებო, ქართველებო, უძველესი დროიდან ჩვენო ძმებო, ტანჯულო ძმებო, მაგრამ ყოველთვის თავისუფალნი და სულით მაღალო ძმებო!

თუ ხალხის ლიტერატურა არის ჭეშმარიტი ანარეკლი მისი სულისა და ამ სულის მატარებელი არის პოეტი, მე მომაქვს თქვენთან სომხობის სული, ყველაზე მაღალი, რაც შეიძლება ჰქონდეს ხალხს და ადამიანს. აღტაცებით ვადასტურებ, რომ ქართველები სულით არასოდეს არ დაცემულან, და კავკასიელთა შორის ყოველთვის იყვნენ პირველნი, როგორც მოქალაქენი, თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებებსა და საზოგადოებრივ ბრძოლაში“.

შემდეგ პოეტი სპეციალურად ხაზს უსვამს და ახასიათებს ქართველების ერთ თვისებას, მათ კეთილმეზობლობას მოძმე ერის მიმართ და სიამაყის გრძობით და სიხარულით ადასტურებს:

„თქვენ რომ თვალი გადაავლოთ მეზობლობის ერთიანობას მთელ დედამიწაზე, არ შეგიძლიათ არ დაადასტუროთ, რომ ქართველები არიან ერთ-ერთი საუკეთესონი, როგორც მეზობლები“. თუმანიანი იმედით შეტყუარებს კავკასიის ხალხთა მომავალს: „ჩვენ, კავკასიის ხალხები, ჯერ კიდევ ბევრ დიდ საქმეს გავაკეთებთ ერთად და ვიქნებით ერთად როგორც ძმები, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, თითოეული თავის ადგილას, თავისი მწვერვალებით მბრწყინავენი, ერთმანეთთან ხელჩაჭიდულნი და თავის საფუძვლებში შეერთებულნი“.

ასეთივე დიდი პატივისცემაა ქართველი ხალხის მიმართ მეორე წერილში

— „რა შეუძლია გააკეთოს საქართველომ“.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ძვირფასი და საყვარელია, ოვანეს თუმანიანის აზრით, იმიტომ, რომ ის აღსავსეა გასაოცარი, მძლავრი, პატრიოტული აღტყინებით, მასობრივი გმირობით, მრავალრიცხოვანი სასტიკი მტრის წინაშე შეუღრეკელობით, მრავალი უბედურებისა და ჭირის წინაშე ქედმოუხრელობით, ხალხის დაუშრეტელი ენერჯით და იმედით. საქართველოს ისტორია ღირსშესანიშნავი და დასაფასებელია თუმანიანისათვის მეორე მხრითაც — როგორც ცოცხალი განსახიერება იმ იდეისა, რომელსაც დაუქრობელი ლამპარით ატარებდა პოეტი — მოქალაქე, ეს არის ქართველ — სომეხთა სოლიდარობა, ძმობა-თანამშრომლობა.

„ყოველი საერთო უბედურების დროს, როდესაც შემოტევა ყოფილა ჩვეულებრივ სამხრეთით ან აღმოსავლეთით, სომეხ ხალხს პირველ რიგში საქართველოსაკენ უქნია პირი და საქართველოში უპოვია თავშესაფარიო“, — ამბობს ო. თუმანიანი.

ისტორიამ არ იცის ქართველ-სომეხთა ომი, — სიამაყით და სიხარულით აცხადებს ოვანეს თუმანიანი, რომელიც გულდასმით სწავლობდა თავისი ერის და მოძმე ქართველი ხალხის ისტორიას, მათ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობას.

1918 — 1920 წლებში ამიერკავკასიის ხალხთა დახლართულ-დაძაბულ ურთიერთობათა გამორკვევის დროს ჩვენს წინაშე მთელი სიდიადით წარმოდგება სომეხი ხალხის დიდბუნებოვანი შვილის ო. თუმანიანის ნათელი შეგნება,

მისი კეთილშობილური აზრები, ფართო ჰუმანური შეხედულებები.

ძლიერ ტანჯავდა დიდებულ პოეტ-მოქალაქეს ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ 1918—1920 წლებში დანთებული მტრობა, შუღლი, ომი, დარბევა ამიერკავკასიის ერთა შორის. „ჩვენი მიზანი უნდა იყოს ხალხთა მგობრობა და არა მტრობა“, — ამბობდა ოვანეს თუმანიანი.

დიდი სიხარულით, აღტაცებით და აღელვებული ხმით მოგვითხრობს ოვანეს თუმანიანი ერთ-ერთ ჩამაფიქრებელ ეპიზოდზე მენშევიკ და დაშნაკ მოლაღატეთა მიერ გაჩაღებულ ქართველ-სომეხთა ომის დროიდან. თანადა-მსწრენი გვიამბობენ, წერს თუმანიანი, რომ ლორის ხეობაში არის ხიდი; ამ ხიდის თავში საგულშაგოდ დაყენებული იყო სომეხი-მხედარი, ხიდის ბოლოს კი — ქართველი, ორივენი იყვნენ შაშხანებით შეიარაღებული და შეუპოვრად გადაციცებით უთვალთვალედნენ ერთმანეთს, თურმე ისინი ამხანაგები ყოფილან, წლობით უბრძოლიათ ერთად, ერთად იტანჯებოდნენ, ერთად ხარობდნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, ერთად ეძინათ. ახლა კი ისინი მოიყვანეს და დააყენეს ერთმანეთის წინააღმდეგ, როგორც მტრები. მაგრამ უცბად დრო იხელთეს, სთხოვეს იქ მყოფ სოფლელებს, გავვით და ეცნობებინათ მათთვის — ხომ არ არიან ახლომახლო უფროსები და არავენ არ უთვალთვალეებს მათ? როდესაც გაიგეს, რომ საფრთხე არ მოელოთ, გაიქცნენ შუა ხიდისაკენ, გადაეხვივნენ ერთმანეთს, დაეკოცნეს ერთმანეთი. შემდეგ უკანვე გაიქცნენ, დადგნენ თავიანთ ადგილას და ხელახლა დაიწყეს ერთმანეთის მეთ-

ვალყურება. აქედან თუმანიანი აკეთებს სრულიად კანონიერ და სამართლიან დასკვნას: — მტრობა, რომელაც შექმნილია ჩვენს ხალხთა შორის, ეს ხელოვნურია, სიყვარული და ძაობის გრძნობა კი — ბუნებრივია და გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე ზოგს ჰგონია.

თავისი მშვენიერი და მიმზიდველი ზნეობრივი სახე თუმანიანმა მკაფიოდ გამოავლინა აგრეთვე იმ საღამოზე, რომელიც მას მოუწყეს ქართველმა მწერლებმა 1922 წლის მაისს. ქართველმა მწერლებმა თუმანიანს სამართლიანად საერთო მწერლის, ორი ხალხის შემაერთებელი კავშირი უწოდეს. ამ ფაქტმა ალაფრთოვანა სომეხი პოეტი და წარმოთქვა შთაგონებელი სიტყვა:

„მე, როგორც ერთ-ერთ პოეტს, უსაზღვრო სიყვარული მამოძრავებს საზოგადოდ ხალხებისადმი. განსაკუთრებით ძლიერ მიყვარს ჩვენი მოძვე ქართველი ხალხი, რომლის წიაღშიაც გამიტარებია ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი და რომელთანაც დაკავშირებული ვარ ძვირფასი, ღრმა და მტკიცე კავშირით“. შემდეგ მან აღნიშნა, რომ უსაზღვროდ უყვარს ქართველი და საქართველო, მაგრამ მაინც არ დაუშასხტრებია ესოდენი პატივი, რითაც შემოსეს იგი ქართველმა მწერლებმა. „ქართველი მწერლების ეს დამოკიდებულება, — განაცხადა თუმანიანმა, — უხეად მფენს ქართველის ბრწყინვალე და კეთილშობილ სულს და აღმაფრთოვანებს“, რომ „უნდა მომავალშიც ვიღვაწო, რათა ღირსი გავხდე ამ პატივისა; ეს სიყვარული, რომელიც მარად მიტარებია საქართველოს მიმართ და რომელიც ბედნიერების უხვი წყაროც ყოფილა ჩემთ-



ვის, მომცემს ძალას ვუბასუხო ამ დიდ პატივს“. ცხადია, აქ ლაპარაკობს თუმანიანის არაჩვეულებრივი მოკრძალება და თავმდაბლობა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მისი დიდი ღვაწლი ქართველ-სომეხთა დაახლოებისა და მეგობრობის საქმეში.

1919 წელს ჩატარდა ოვ. თუმანიანის იუბილე. ეს იუბილე გადაიქცა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ბრწყინვალე დემონსტრაციად. სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი და სხვა ხალხების მოწინავე წრეები შეგროვდნენ და საზეიმოდ აღნიშნეს ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის სახელოვანი დამკველის დაბადების დღე. განსაკუთრებით გაახარა თუმანიანი ამ ზეიმის ერთმა მხარემ. მე დავინახე, — წერს იგი, — რომ მეზობელ ხალხთა წარმომადგენლები მოდიოდნენ ჩემთან არა მარტო როგორც მეზობელი ერის ლიტერატურის წარმომადგენელთან, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ მე ვიყავი ხალხთა სოლიდარობის მომხრე.

ხალხთა შეკავშირების საქმეში თუმანიანი დიდ სპასუხისმგებლო როლს და მოვალეობას აკისრებს პოეტებს. მისი აზრით, სწორედ პოეტები უნდა გამოდიოდნენ ხალხის გულში ჩაქსოვილი და ჩამარხული კეთილი გრძობების დამკველად და სულისჩამდგმელად. ის ამბობდა: მე ვიქნებოდი ბედნიერი და ჩავთვლიდი უფრო მეტ ჩემს დამსახურებად, ვიდრე ჩემი შემოქმედებაა, თუ კი შევძლებდი ამ სარბიელზე რაიმეს გაკეთებასო. მოსწრებულად და სიოცარი სიცხადით დაუხატა პოეტმა ამიერკავკასიის ნაციონალისტურ უბადრუკ მმართველებს მათი აუცილებელი გარღვევა-

ლი სამარცხენო დაღუპვის სურათი: „მათ ეწვევათ იმ ცუდი მმართველების ბედი, რომლებიც კრულვით, წყველით იღუპებიან და იქელებიან ხალხთა ფეხქვეშ, იმ ხალხთა, რომლებსაც მოაქვთ ძმობის, მშვიდობიანობის და პატიოსანი შრომის დროშა“. ჩვენ კი, — განაგრძობს თუმანიანი, — ამ რწმენით და ამ გრძნობით მივალთ ერთმანეთთან, — და ჩვენთან ერთად ყველანი, ვინც პოეტია სულით, შეხმატკბილებულად და მხნედ მოკვიდოთ ხელი ნათელ და მხსნელ საქმეს, — ასე მიმართავდა თუმანიანი ყველა მოწინავე, მოაზროვნე და პატიოსანი ადამიანს ამიერკავკასიის ხალხთა შორის.

შესანიშნავი სტატია გამოაქვეყნა სომხეთის დიდმა მწერალმა 1920 წელს ეურნალში „Братство“ („ძმობა“). ამ წერილის შინაარსია: 1905 წლის რევოლუციით დაშინებულმა რუსეთის ბიუროკრატია მ ხელი მოჰკიდა ხალხებისათვის ბოროტ თამაშს, რომ გათიშოს ისინი და ერთმანეთს მიუსიოს. მთავრობამ მოინდომა ამიერკავკასიაშიც ამ შავბნელი საქმის ჩატარება. მაგრამ ქართველები და სომხები არ წამოეგენ თვითმპყრობელობის ანკესს. მართალია, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა სავალალო ინციდენტებს, რაც ამ ორ ხალხთა ურთიერთობას ღრუბლით ფარავდა, მაგრამ ეს ხდებოდა ამ ხალხების ზემოფენებში; შხამი ვერ აღწევდა ორივე ხალხის სულის სიღრმეს. ორივე ხალხმა, ოვ. თუმანიანის სიტყვით, ერთად შექმნა თავისი სასულიერო და საერო ლიტერატურა და მეცნიერება, ისინი ყოველთვის ერთად დგებოდნენ საკაცობრიობო კულტურის დასაცავად, ერთად იტანჯებოდნენ, ერთად იბრძოდნენ თავიანთი მომავლისათვის.

„ამ დრომდე ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ. სომეხთა იმ მოღვაწეს, რომელიც არ დგებოდა საქართველოს დასაცავად, არ ესმოდა თავისი ხალხი და თავისი ისტორია, იმ ქართველს, რომელიც არ იცავდა სომეხებს და სომეხს, არ ესმოდა ქართველი ხალხი და საქართველოს ისტორიული გზები. ის სომეხი ან ქართველი, რომელსაც კარგად ესმოდა თავისი ხალხის ბედ-იღბალი და ხასიათი და მისი უმაღლესი ინტერესები, ყოველთვის იცავდა თავის მეზობელს, როგორც საკუთარ თავს“.

ოვანეს თუმანიანს მოყავს ქართველთა და სომეხთა ხანგრძლივი მეგობრობა-თანამშრომლობის დამამტკიცებელი ისტორიული საბუთები. ასეთია, მაგალითად, სომეხ ისტორიკოსთა აღტაცებული მოთხრობები დავით აღმაშენებლის კეთილშობილური მოპყრობის შესახებ სომეხების მიმართ და აგრეთვე სომეხ ისტორიულ მოღვაწეთა ნამდვილი მეზობლური დამოკიდებულების შესახებ ქართველი ხალხის მიმართ. თუმანიანი ამბობს: „თუ როგორაა გამჯდარი ქართველ-სომეხთა მეგობრობის იდეა ხალხის შეგნებაში, მის ძვალ-რბილში, ამას ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს სომეხური ხალხის გენიალური ეპოსი „დავით სასუნცი“.

თუმანიანი დაასკვნის: „აი თქვენს წინაა სახალხოდ გამოთქმული აზრი, თაობიდან თაობაში შემჰიდროებული კავშირი, სამარადისოდ აღბეჭდილი გზა. სომეხი ან ქართველი თუ ასცდება ამ გზას, იგი ღალატობს თავისი ტომის სულს და აზრს“.

ამ წერილში ო. თუმანიანი ახდენს პრინციპულ განზოგადებას, რაც ცხადყოფს პოეტის პროგრესულ-ჰუმანის-

ტურ მსოფლმხედველობას, შექსა/ფენს მის თვალსაზრისს. ხალხთა ინტერირულ გამოცდილებათა გულდასმითი შესწავლის შემდეგ მან გამოთქვა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დებულება: „შორეულ დროიდან ჩვენ დღემდე, დაწყებული უძველესი დროის დესპოტებიდან და გათავებული დღევანდელობით, რა ომები და სისხლისღვრაც არ მომხდარიყო, ეს ყოველთვის ამა თუ იმ მმართველი წრეების და ხელმძღვანელების საქმე იყო და ყოველთვის ეს კეთდებოდა უბრალო ხალხის, მშრომელთა ადამიანების ნებისა და სურვილის წინააღმდეგ“.

ადვილი გასაგებია, რა აქტუალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ ამ დებულების ხაზგასმას.

იმ შავბნელ დროს, 1920 წელს, როდესაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების და მთავრობების, მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების წყალობით ამიერ-კავკასიაში დატრიალდა ძმათა სისხლისმღვრელი ომი და ერთმანეთის მუსვრა, შორსმჭვრეტი და დიდბუნებოვანი ადამიანი ოვანეს თუმანიანი შეუპოვარი რწმენით გატაცებული წერდა: „ამაში ჩაქსოვილია ის დიდი და საიმედო ნუგეში, რომ თვითონ ხალხები არ არიან დამნაშავე ამ საშინელ უბედურებაში, დამნაშავენი მათი მმართველებია. რაც უფრო მეტად შესუსტდებიან ეს უკანასკნელნი, -ხალხები კი შეიქმნებიან შეგნებული და უშუალოდ ერთმანეთს დაუახლოვდებიან, მით უფრო მათი ხმა ამაღლდება, უბედურება შემცირდება და ბოლოს სულ მოისპობა. ხალხებმა და ხალხიდან გამოსულმა ადამიანებმა იციან ერთმანეთის დაკვა თავიანთი ბატონების სურვილის წინა-

აღმდგ. ნათლად ვუყურებ ჩვენს ხალხთა მომავალს, და ურყევად მრწამს ის, — ასე დაასრულა ეს შესანიშნავი დოკუმენტი ხალხთა მეგობრობის მღალღებელმა და მახვილი გონების პატრონმა პოეტმა.

ოვანეს თუმანიანი ალტაცებით შეხვდა ამიერკავკასიის ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ხალხის ერთგულმა შვილმა იგრძნო ბოლშევიზმის სიმართლე და ქვეშაირიტება, იგრძნო, რომ ყველაზე უფრო პროგრესულ კლასს — პროლეტარიატს თან მოაქვს ლენინ-სტალინის ახალი იდეოლოგია, ხალხთა ძმობის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების იდეოლოგია. პოეტი მიხვდა, რომ განხორციელება იმისა, რაზედაც ოცნებობდა ის ათეული წლების განმავლობაში, შეიძლება მხოლოდ სოციალიზმის, საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში.

ცნობილია ო. თუმანიანის შეხედულება რუსეთზე, რუს ხალხზე, რუსულ კულტურაზე. ცნობილია თუმანიანის აზრი იმის შესახებ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ამიერკავკასიის ხალხთა წინსვლისათვის, როგორ იხსნა რუსეთმა ამიერკავკასიის ხალხები უდიდესი საფრთხისაგან — ეროვნული გაქრობა-განადგურებისაგან. თუმანიანი წერდა: „ჩვენი მომავალი, როგორც მე ამას ყოველთვის ვაღიარებდი, დაკავშირებულია რუსეთთან, და რაც უფრო თავისუფალი იქნება რუსეთი, მით უფრო უკეთესია ჩვენთვისაც და მთელი მსოფლიოსათვის, მხოლოდ რუსეთი გვიხსნის ჩვენ“, — ამბობდა იგი 1920 წელს.

თუმანიანი სავსებით იზიარებდა ქარ-

თველი და სომეხი ხალხის მტკიცე, ურყევ გადაწყვეტილებას მტკიცე განუყრელ, სამარადისო უკუშორების ფილიყენენ დიდ რუს ხალხთან, მის შესანიშნავ კულტურასთან.

როგორც უკვე ვთქვით, ოვანეს თუმანიანს მგზნებარედ უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ქართული კულტურა. მრავალი წელი გაატარა დიდებულმა პოეტმა ჩვენს ქვეყანაში, ქართული კულტურის ოსტატებთან მტკიცე კავშირში. ბევრი გააკეთა ამ მოწინავე პოეტმა-მოქალაქემ ქართველ და სომეხ ხალხთა სულიერი დაახლოებისათვის, მათ შორის ტრადიციული მეგობრობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის. დაუვიწყარია ოვანეს თუმანიანის ღვაწლი ორი მოძმე ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების წმიდათაწმიდა საქმეში. სომეხი ხალხის დიდი შვილი, კეთილშობილი პოეტი-მოქალაქე ღრმა პატივისცემით სარგებლობდა ქართველ ხალხში, იგი საყვარელი და ძვირფასი ადამიანი იყო ქართული კულტურის მოღვაწეებისათვის. ქართველი ხალხის გულში ჩამარხული და ფესვგამდგარი ფაქიზი გრძნობა მშვენივრად გამოხატეს ჩვენი პოეტის ოსტატებმა.

1923 წ. 23 მარტს, პოეტის გარდაცვალების დღეს, ეს გრძნობა ჩინებულად გამოსახა იოსებ გრიშაშვილმა თავის გულთბილ ლექსში „საქართველოს მეგობარს“. ალექსანდრე აბაშელმა თუმანიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში მოგვცა სრული შეფასება იმ დიდი როლისა და ღვაწლისა, რაც მიუძღვის დიდ პოეტს ორი მოძმე ერის მეგობრობის განმტკიცების ისტორიულ საქმეში:

ტბილო ოვანეს, შენი სახელი
ჭართულ სალამურს ზედ აწერია.
შენ ჩვენი გრძნობის ხარ ამსახველი,
შენი სიმღერა ჩვენც გვიმღერია.

ნეტავ ზედავდო როგორ აუვაედა,
რაც ძმათა შორის შენს პოეზიას
აზრი ნათელი, წმინდა ზრახვა და
კეთილი გრძნობა დაუთესია.

ოვანეს თუმანიანის ოცნება ამიერ-
კავკასიის ხალხთა ურყევი მეგობრო-
ბის შესახებ, ამ ხალხების მტკიცედ შე-
მოკრების შესახებ მათი უფროსი ძმისა
და მფარველის — დიდი რუსი ხალხის
გარშემო, განხორციელდა ჩვენს დიად
სტალინურ ეპოქაში. ხალხთა მეგობრო-

ბის მომღერლის ნათელი ხსენება მოგ-
ვიწოდებს, კიდევ უფრო განვამტკიცოთ
ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა,
მათი დარაზმვა თანასწორთა შორის
პირველი, წამყვანი, განმანთავისუფლე-
ბელი ხალხის — რუსი ხალხის გარშე-
მო. ქეშმარიტი ჰუმანიზმით გასტიფოს-
ნებული ლიტერატურული მემკვიდრე-
ობა თუმანიანისა გვეხმარება ჩვენ, კო-
მუნიზმის მშენებლებს, იმპერიალიზმის
შაგბნელი ძალების, მათი კაცთმოძულე
რასისტული და კოსმოპოლიტური ბოდ-
ვის, რეაქციულ-გამცემლური ბურჟუა-
ზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ გა-
მანადგურებელ ბრძოლაში.

მაქსიმ გორკი საქართველოში



თემა „მაქსიმ გორკი საქართველოში“ ერთ-ერთი საკითხია იმ დიდი პრობლემიდან, რომელსაც „რუსეთ — საქართველო“ ურთიერთობა ეწოდება. ამ საკითხის შესწავლას უპირატესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კომუნისტების მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე.

საქართველოში რევოლუციური იდეების გავრცელებაში, პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრის შექმნაში, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დახმარებაში გარკვეული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილს, დიდ მწერალს მაქსიმ გორკის.

მაქსიმ გორკი საქართველოში ჩამდენჯერამ იყო. პირველად იგი საქართველოს ესტუმრა 1891 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში.

თბილისში ჩამოსვლისთანავე მაქსიმ გორკი მოეწყო ბინაზე მ. ი. ნაჩალოვთან, რომელსაც იგი კარგად იცნობდა ნიჟნი-ნოვგოროდიდან და დაახლოებული იყო ცარიცინის (ამჟამად სტალინგრადის) რკინიგზაზე მუშაობის დროსაც. მ. ი. ნაჩალოვმა გულთბილი და მზრუნველი დახმარება აღმოუჩინა მაქსიმ გორკის. იგი გორკის მატერიალურადაც ეხმარებოდა.

მ. ი. ნაჩალოვის ბინიდან მაქსიმ გორკი გადავიდა ცნობილი რუსი რევოლუციონერის, მეფის ხელისუფლების მიერ თბილისში გადმოსახლებული ა. მ. კალიუენის ბინაში. კალიუენი ცხოვრობდა ყოფილი ელისაბედის (ამჟამად კლარა ცეტკინის) ქუჩაზე, № 146.

5. „მნათობი“ № 4.

მიუხედავად იმისა, რომ კალიუენი საცხოვრებელი ბინის ფართობის მეტად დიდ სივრცეზე განიციდდა, მან სიამოვნებით მიიღო რუსეთიდან მოსული უცნობი ახალგაზრდა — ალექსი პეშკოვი; პირველ ხანებში მატერიალურ დახმარებასაც უწევდა.

მ. ი. ნაჩალოვი და ა. მ. კალიუენი რკინიგზაზე მსახურობდნენ, რამაც გააძვირა მაქსიმ გორკის მოწყობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში 1891 წლის 10 დეკემბერს (ახალი სტილით 22 დეკემბერს).

„თავდაპირველად ერთ თვეზე მეტ ხანს, იგონებს მაქსიმ გორკი, — ვმუშაობდი მკვდლად, უროს დამკვრელად, შემდეგ სახელოსნოების საანგარიშო განყოფილებაში აღენუსხავდი მასალების ხარჯვას ორთქლმავლების „მცირე რემონტის“ დარგში.“¹

თბილისში ჩამოსვლითა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობის დაწყებით მაქსიმ გორკის საშუალება მიეცა გაეცნო გადმოსახლებული რევოლუციონერები ი. ა. დანკო, ვ. ვ. ბერვი — ფლეროვსკი და სხვები, რომლებიც მსახურობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში და მთავარ სახელოსნოებში.

1892 წლის დასაწყისში მაქსიმ გორკიმ გაიცნო მოწინავე რუსი მუშა, რევოლუციური იდეებით გატაცებული თვითნასწავლი მექანიკოსი თედორე აფანასიევი, და სულ მალე ა. მ. კალიუენის

¹ Илья Груздев, „Горький и его время,“ т. 1, стр. 371 — 372, 1948 г.

ბინიდან მასთან გადავიდა საცხოვრებლად.

თედორე აფანასიევი ცხოვრობდა ნოვო-არსენალის (ქრასნოგორსკის) ქუჩაზე № 7, ვაჟარ ნაზაროვის სახლის იმ ოთახში, რომელიც ნახევრად სარდაფს წარმოადგენდა. ამავე ოთახში ცხოვრობდნენ აფანასიევისა და მაქსიმ გორკის საერთო ნაცნობი მექანიკოსი ვ. ი. როხლინი, სამიწათმშობლო სასწავლებლის უფროსი კლასის მოსწავლე სამეტი, სემინარიელი ბილანოვი (ბილანიშვილი) და სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტი ს. ვართანიაიცი. ერთი სიტყვით, თედორე აფანასიევის ოთახი იყო არა მარტო საერთო საცხოვრებელი, არამედ ნამდვილი „კომუნა“. სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ მაქსიმ გორკის თანამედროვეები თავიანთ მოგონებებში ამ საერთო საცხოვრებელს „ქრასნოგორსკის კომუნას“ უწოდებდნენ.

ამ საერთო საცხოვრებელში თ. აფანასიევისა და მ. გორკის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1892 წლის იანვარში დაარსებული იქნა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრე. წრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ა. მ. კალიუენი და სერგეი ალილუევი. სისტემატურად ეწყობოდა ლიტერატურული სადამოებო, კითხულობდნენ რეფერატებს, არჩევდნენ ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს და ატარებდნენ დისკუსიებს აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე. ამ წრის მუშაობაში, გარდა მოსწავლეებისა, მონაწილეობდნენ მასწავლებელი მაღალოვი (მაღალაშვილი), როხლინი, პეტრე ილზიკოვსკი, ქსენია სკობლევესკაია და რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდები: ლადო კეცხოველი, მიხა ცხაკაია, ეგნატე ნინოშვილი, ვ. რცხილაძე, ძმები შიო და გოლა ჩიტაძეები, მოწინავე მუშა ვანო სტურუა და სხვები.

სააგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად წრის წევრები აგრო-

ვებდნენ ფულსაც პოლიტიკურ გადასახლებულთა დასახმარებლად.

ქრასნოგორსკის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრის მუშაობაში მაქსიმ გორკი მოწინავე იყო.

მაქსიმ გორკის აქტიური რევოლუციური მუშაობა თბილისში შეუქმნეველი არ დარჩა მეფის ოხრანკას. პოლიციამ დაიწყო საიდუმლო დაზვერვა იმ ბინისა, სადაც მაქსიმ გორკი ცხოვრობდა, და ცნობების შეგროვება როგორც გორკის, ისე მასთან დაკავშირებული ახალგაზრდების შესახებ. მაქსიმ გორკი და თედორე აფანასიევი იძულებული გახდნენ გამოეცვალათ საცხოვრებელი ადგილი. 1892 წლის ივლისში თ. აფანასიევი საცხოვრებლად გადავიდა კალოუბნის ქუჩაზე № 20 მდებარე სახლში, ხოლო მაქსიმ გორკიმ თავი შეაფარა რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონერის დანკოს ბინაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ვერის, აშუამად ი. ბ. სტალინის სახელობის ხიდის პირდაპირ მაღლობ ადგილზე მდებარე ხის ორსართულიან სახლში. ამ ბინაში მაქსიმ გორკის გამოყოფილი ჰქონდა ცალკე ოთახი. აქედან შესანიშნავად მოჩანდა მტკვრის მარცხენა ნაპირის თბილისის ხედი, რომლის პეიზაჟიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაქსიმ გორკიზე.

მაქსიმ გორკი რომ ნამდვილად ცხოვრობდა ვერაზე, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს მისივე სიტყვები:

Жилу я на бере без веры
И в горе живу на горе!

მაქსიმ გორკი დიდად გაიტაცა მზიური საქართველოს მდიდარმა და ზურმუხტოვანმა ბუნებამ, ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების გაცნობამ და შესწავლამ. მან 1891 წლის ნოემბრიდან 1892 წლის სექტემბრამდე,

1 ეს სიტყვები დაწერილია ქ. თბილისში 1892 წლის აგვისტოში; ავტოგრაფი დატოვია მაქსიმ გორკის მუზეუმში ქალაქ მოსკოვში.



ვიდრე საქართველოდან გამგზავრებო-
და, ინახულა საქართველოს ქალაქები:
ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გო-
რი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, სუხუმი,
ოზურგეთი და სხვ.

საქართველო და მისი დედაქალაქი
თბილისი მაქსიმ გორკისათვის იყო არა
მარტო პოლიტიკური, რევოლუციური
მოღვაწეობის დასაწყისი, არამედ მისი
მხატვრული შემოქმედების აკვანიც.

როგორც ცნობილია, მაქსიმ გორკიმ
თბილისში დაწერა თავისი პირველი
მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“. მისი სამ-
წერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გა-
მოსვლის საქმეში გარკვეული ღვაწლი
და დამსახურება მიუძღვის ა. მ. კალიუჟ-
ნის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1891
წლის დამლევს მ. გორკი ერთხანს კა-
ლიუჟნისთან ცხოვრობდა: საცხოვრებე-
ლი ადგილის გამოცვლის შემდეგაც,
თბილისიდან წასულამდე, მას კავშირი
არ გაუწყვეტია ა. მ. კალიუჟნისთან.
მაქსიმ გორკი ხშირად უამბობდა ა. მ.
კალიუჟნის თავის თავგადასავალს, მოგ-
ზაურობის შედეგებს, ნახულს, გაგო-
ნილსა და განცილს. კალიუჟნიზე დიდ
შთაბეჭდილებას ახდენდა გორკის ზე-
პირი თხრობა და ურჩევდა მას, ყველა-
ფერი ეს ქალაღზე გადაეტანა, დაეწე-
რა. ამ რჩევამ ნაყოფი გამოიღო.

მაქსიმ გორკის სამწერლო მოღვა-
წეობის დაწყების საქმეში გარკვეული
წვლილი მიუძღვით ქართველი მოწინა-
ვე ინტელიგენციის წარმომადგენლებ-
საც. ეგნატე ნინოშვილმა ახალგაზრდა
პეშკოვის ბიძგი მისცა მწერლობისაკენ:
„დაწერე, რასაც შენ ასე მშვენივრად
მოგვითხრობ, და ნახავ, როგორ ყველა
შეგიყვარებოს“. ამ შთამაგონებელმა
სიტყვებმა მაქსიმ გორკის გადაადგმე-
ვინა პირველი გაბედული ნაბიჯი.

აღექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვის პირვე-
ლი მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“ 1892
წლის 12 სექტემბერს, „მაქსიმ გორკის-
ფსევდონიმით დაიბეჭდა მთავრობის

ოფიციალურ ორგანოში — გაზეთ „კავ-
კასში“.

მ. გ. კალიუჟნი

მაქსიმ გორკიმ საქართველოში
ვალი შესანიშნავი მოთხრობა დაწერა.
მათ შორის აღსანიშნავია „ქალიშვილი
და სიკვდილი“, რომელიც პირველად
მხოლოდ 1917 წლის ივლისში დაიბეჭ-
და გაზეთ „ნოვია ეიზში“.

მაქსიმ გორკის ამ მოთხრობას უდი-
დესი შეფასება მისცა დიდმა ბელადმა
ამხანაგმა სტალინმა: წიგნის ერთ-ერთი
ეგზემპლარის თავისუფალ გვერდზე მი-
წერილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის შემ-
დეგი სიტყვები: „ეს ნაწარმოები უფრო
ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ —
სიყვარული ამარცხებს სიკვდილს“.

განსაკუთრებული ყურადღების ღირ-
სია მოთხრობა „შურისძიება“, რომელ-
შიაც მაქსიმ გორკიმ მისთვის ჩვეული
ოსტატობით დახატა ქართველი გლეხის
ტიპი.

საქართველოში ყოფნის დროს მაქსიმ
გორკიმ სხვა მოთხრობებიც დაწერა. ამ
მოთხრობების თემატიკა და ტიპები რეა-
ლური ცხოვრებიდან იყო აღებული.
მაქსიმ გორკის ერთ-ერთ ასეთ მოთხრო-
ბას მიეკუთვნება „ყაჩაღები კავკასია-
ში“. ამ მოთხრობას სიუჟეტად დაედო
ქალაქ გორში თვითმპყრობელობის ხე-
ლისუფლების მიერ ჩადენილი საშინე-
ლება. როგორც ცნობილია, 1892 წლის
13 თებერვალს ქალაქ გორის განაპირა
ადგილზე, საპატიმროს უკან, მდინარე
ლიახვისა და წმინდაწყლის გაშლილ რი-
ყებზე, სიკვდილით დასაჯეს ორი გლე-
ხი — ტატე ჯიოშვილი და სანდრო ხუ-
ბულური,¹ რომელთაც მეფის სატრაპე-
ბი ბრალს სდებდნენ ყაჩაღობაში. ამ
დასჯის უშუალო მოწმე გახდა თბილი-
სიდან გორში ჩასული მაქსიმ გორკი,
რომელმაც თავის მოთხრობაში „ყაჩაღე-

¹ გლეხების — ტატე ჯიოშვილისა და სანდ-
რო ხუბულურის ჩამოხრობა ქალაქ გორში დე-
ტალრადია აღწერილი სტატიაში, რომელაც
დაიბეჭდა გაზეთ „იურისი“ 1892 წლის 19 თე-
ბერვალს 37-ე ნომერში.

ბი კავკასიაში“ უდიდესი გრძნობითა და ღრმა სიმათით აღწერა ქართველი გლეხების ვაჟკაცური სიკვდილი. გლეხებს სახარხოველასზე ასულის წინ წარბი არ შეუხრიათ და ქედი არ მოუხრიათ თვითმპყრობელობის ხელისუფლების წინაშე.

ქალაქ გორში გლეხების ჩამოხრჩობის მოწმე გახდა გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე 12 წლის იოსებ ბესარიონის-ძე იტლავილი. ამ ამბავმა ახალგაზრდა სტალინზე ამაღლებელი შთაბეჭდილება მოახდინა. უფრო მეტად გაიზარდა მასში ზიზღი და მძულვარება თვითმპყრობელობისადმი.

1892 წლის აგვისტოს მაქსიმ გორკი გაემგზავრა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. ერთხანს იგი იყო ქალაქ სუხუმში, სადაც შეეგება მუშაობდა სუხუმ — ოჩემჩორის გზატკეცილის მშენებლობაზე. ამ გზას დიდი პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თვითმპყრობელობის ხელისუფლებისათვის, ამიტომ კავკასიის ადმინისტრაცია არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას გზის მშენებლობის მალე დამთავრებისათვის. მეფის სატრაპები ათასობით და ათი ათასობით გლეხებს ერეკებოდნენ გზის მშენებლობის სამუშაოებზე, აქ მუშაობდნენ რუსეთის გუბერნიებიდან მოსული პაუპერიზებული გლეხებიც.

მაქსიმ გორკიმ მოთხრობაში — „ადამიანის დაბადება“ დაახასიათა ის მონური და ალტანელი პირობები, რაშიაც იმყოფებოდნენ გზის მშენებელი გლეხები.

სუხუმიდან მაქსიმ გორკი კვლავ თბილისში დაბრუნდა. იგი ცხოვრობდა მუშა ზეინკალ თედორე აფანასიევის ახალ ბინაზე, მაგრამ ამჯერად იგი თბილისში დიდხანს აღარ დარჩენილა. 1892 წლის 21 სექტემბერს, ახალი სტილით 3 ოქტომბერს, იგი გაემგზავრა თბილისიდან თავის სამშობლო ქალაქ ნიენი-ნოვგოროდში.

მაქსიმ გორკის საქართველოდან წასვლის შემდეგ თედორე აფანასიევი ხელი არ აუღია არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაზე. 1893 წლის დამდეგს აფანასიევმა ხელმეორედ დააარსა ახალი არალეგალური მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრე, რომლის მუშაობაც უფრო ფართოდ გაიშალა. ამ წრეში ახალ წევრებთან ერთად, იყვნენ ზოგიერთი ძველი წევრებიც, რომლებიც სიყვარულის გრძნობით იხსენიებდნენ მაქსიმ გორკის.

მაქსიმ გორკის საქართველოში ყოფნამ შთაბეჭდილების წარუშლელი კვალი დატოვა მუშებში, მოსწავლეებსა და ინტელიგენტებში, რომლებიც მასთან იყვნენ დაკავშირებული და რომელთაც არაერთხელ მოუსმენიათ მისი მგზნებარე, დამაჯერებელი და ამაღლებელი რევოლუციური სიტყვები.

არც მაქსიმ გორკი იგიწყებდა ქართველ ხალხს და საქართველოს, არ იგიწყებდა იმ ქვეყანას, სადაც პირველად დაიწყო მისი მხატვრული შემოქმედების დიდებული აკვანი, სადაც აიღვა ფეხი და ფრთა გაშალა მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა. ეს ამბავი შესანიშნავად გამოხატა მაქსიმ გორკიმ თავის წერილში, რომელიც მან დაწერა 1931 წლის თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავთან დაკავშირებით. ხსენებულ წერილში მაქსიმ გორკი წერდა:

„მშვენიერი დღესასწაულია, რომელსაც მინდოდა დაესწრებოდი, როგორც უბრალო მაყურებელი და ერთხელ კიდევ მომეგონებინა საქართველო ისეთი, როგორიც მინახავს იგი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ, მომეგონებინა თბილისი, ის ქალაქი, სადაც მე დავიწყე ლიტერატურული მუშაობა. მე არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში ჩემ მიერ გადადგმული იქნა პირველი გაუბედავი ნაბიჯი, იმ გზაზე, რომლითაც მე მივიღეარ, აი, უკვე ოთხი ათეული წელიწადია. უნდა ვიფიქროთ,

რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფიქსემ, — სწორედ ამ ორმა ძალამ, — მომცა ბიძგი, რამაც მაწანწალიდან ლიტერატორად გამხადა.“¹

საქართველოს მაქსიმ გორაკი მეორედ ესტუმრა 1898 წლის მაისს. ამ შემთხვევაში იგი თბილისში მოვიდა არა როგორც თავისუფალი მოგზაური, ცნობისმოყვარე, მშრომელი ხალხის დუხჭირი ცხოვრების ამსახველი, არამედ იგი მოიყვანეს, როგორც პატიმარი.

საქმის ვითარება ასეთი იყო: როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა. არალეგალური მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნაში უდიდესი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მუშაობა არალეგალური მარქსისტული წრეები შეიქმნა თბილისის ყველა მსხვილ ფაბრიკა-ქარხანაში. და მათ შორის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოებში და დეპოში, რომლებსაც უშუალოდ ამხანაგი სტალინი და მისი ერთგული თანამებრძოლები — ალექსანდრე წულუკიძე და ლადო კეცხოველი ხელმძღვანელობდნენ.

საქართველოში გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით აწყობდნენ პროკლამაციების და მოწოდებების ბეჭდვას და მათ გავრცელებას. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობის გაძლიერებას მეფის ოხრანკამ უპასუხა სასტიკი რეპრესიებით.

პოლიციამ დაიწყო „საეჭვო“ პირების ბინების ჩხრეკა და დაპატიმრება. 1897 წლის 28 ივნისს პოლიციამ ხელშეორედ განხრია თედორე აფანასიევის ბინა, სადაც დამატებით აღმოჩნდა შრიფტი,

ბეჭედი და სხვა მამხილებელი მასალები. ეს მასალები უდავოდ ადასტუებდნენ თედორე აფანასიევის საქმიანობას არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. თედორე აფანასიევი დააპატიმრეს.

თედორე აფანასიევის ბინის გაჩხრეკის დროს პოლიციას სხვა მასალებთან ერთად ხელში ჩაუვარდა ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყო მამაკაცი რუსული კოსტუმით. ეს იყო მაქსიმ გორაკის ფოტოსურათი, რომლის მეორე გვერდზედაც ლამაზი ხელით წარწერილი იყო: „სახსოვრად ძვირფას თედორე აფანასიევის მაქსიმინისაგან.“¹

ამ დოკუმენტურმა მასალამ კიდევ უფრო ნათელი გახადა პოლიციისათვის მაქსიმ გორაკის კავშირი თედორე აფანასიევთან და თბილისში არსებულ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრესთან.

მაქსიმ გორაკის დასაპატიმრებლად და პასუხისგებაში მისაცემად მეფის ოხრანკამ გულდასმით შეაგროვა მასალები. მათ მოქმდნეს „ქრასნოგორსკის კომუნის“ და პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები და დაიწყეს ჩვენებების ჩამორთმევა.

ამასთან დაკავშირებით თბილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი იწყებს მიმოწერას პილიციის დეპარტამენტთან ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვის — მაქსიმ გორაკის — მოქმდნის, დაკითხვისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ნიენინოვგოროდის ეანდარმერიამ 1898 წლის 6 მაისს, განხრია ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვის (გორაკის) საცხოვრებელი ბინა. მაქსიმ გორაკი დააპატიმრეს.

1898 წლის 7 მაისს, ნიენინოვგოროდის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ივეკვი დეპეშით

¹ Центральнй — „Революционный путь Горького“, стр. 30—32, 1933 г. Журнал „Красный Архив“, № 5(78), стр. 29, 1936 г.

¹ И. Груадев, „Горький и его время.“ т. I, стр. 371, 1948 г.

ატყობინებდა თბილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსს: „პეშოვი გაჩხრეკილი და დაპატიმრებული იქნა და ამავე დღეს იგზავნება რკინიგზით თბილისში“¹.

1898 წლის 12 მაისს პატიმრობაში მყოფი მაქსიმ გორკი ნიენინოვგოროდიდან ორი ეანდარმის თანხლებით, ეტაპით ჩამოიყვანეს თბილისში და დაამწყვდიეს მეტეხის ციხის განსაკუთრებულ კამერაში².

მაქსიმ გორკის დაპატიმრებამ მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია რუსეთის პროგრესულ საზოგადოებაში. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა დიდი მწერლის ციხეში ყოფნა, ტანჯვა და წვალება, რომ რუსეთის მოწინავე, პროგრესულ საზოგადოებას არ აეძალდებინა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ და არ აეძულებინა მეფეა ხელისუფლება დაეჩქარებინა გორკის საქმის გამოძიება და მისი პატიმრობიდან განთავისუფლება.

მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია საზოგადოების მღელვარებისათვის და შეეცადა მაქსიმ გორკის დაპატიმრება მთლიანად დაეზარალებინა თბილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოსათვის.

1898 წლის 28 მაისს, მაქსიმ გორკი გაათავისუფლეს და დააწესეს მასზე პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მაქსიმ გორკიმ საცხოვრებელ ადგილად აირჩია ქალაქი სამარა. თბილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის ბრძანებით, 1898 წლის 31 მაისს მაქსიმ გორკის მიეცა სამგზავრო მოწმობა ქალაქ სამარაში წასასვლელად.

მაქსიმ გორკი საქართველოს მესამედ ეწვია 1903 წლის ივნისს. მასთან ერთად

იყვენენ მისი მეუღლე ეკატერინე პეშოვა, ცნობილი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტებთან საუბრის დროს 1928 წლის 24 ივლისს მაქსიმ გორკიმ განაცხადა: „მე ჩემს მეორე სამშობლო ქალაქში — თბილისში უკანასკნელად ვიყავი 25 წლის წინათ 1903 წლის ივნისს. მაშინ ჩემთან ერთად იყვენენ ა. ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი“¹.

თბილისის პროგრესულმა საზოგადოებამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ძვირფას სტუმარს, დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელს, მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს — მაქსიმ გორკის. თბილისის თეატრალური დარგის მუშაეებმა მაქსიმ გორკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოამზადეს პიესა „ფსიქოზი“, ამ პიესის დადგმას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, 1902 — 1903 წლების სეზონის განმავლობაში პიესა „ფსიქოზი“ დიდი წარმატებით იდგმებოდა როგორც მოსკოვის, ისე პეტერბურგის თეატრებში. იგი წარმატებულ იდგმებოდა საზღვარგარეთულ კერძოდ ბერლინის მცირე თეატრში. პიესამ 1903 წელს მოიპოვა გრიბოედოვის პრემია.

მაქსიმ გორკი თავის თანამგზავრებთან ერთად გაემგზავრა ბათუმში. მათ დაათვალიერეს ბათუმი, ჩაქვი, ციხისძირი და უკან დაბრუნებულნი — ბორჯომზე გაეღოთ — ჩაეიდნენ აბასთუმანში. აქ აბალგაზრდები დიდი სიყვარულით შეხვდნენ გამოჩენილ მწერალს.

მაქსიმ გორკი და მისი თანამგზავრებო აბასთუმნიდან ზეკარის უღელტეხილზე გაეღოთ ქუთაისში ჩაეიდნენ. სადაც მათ დაათვალიერეს გელათის ტაძარი,

¹ Центральная архив — „Революционный путь Горького“, стр. 32, 1933 г.

² ЦГИА Груз. ССР, ф. № 34с, д. № 268, л. 108, 1898 г.

¹ გაზ. „კომუნისტი“, № 170, გვ. 2, 1928 წ. 25 ივლისი.

ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები და სხვა ისტორიული ძეგლები. ამ ისტორიულმა ძეგლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ძვირფას სტუმრებზე.

მაქსიმ გორაკის გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქუთაისის საზოგადოებამ. აქ მან გაიცნო ქართველი მწერლები, მხაწავლებლები და საზოგადო მოღვაწეები.

„ა. მ. გორაკის პატივსაცემად მოწყობილ საღამოზე, — წერს თავის ნოგონებაში გორაკის მეუღლე ეკატერინე პეშკოვა, — ალექსი მაქსიმეს-ძე გაუცნო რეტელიგენციის მრავალ წარმომადგენელს, კერძოდ საქართველოს სახელგანთქმულ პოეტს აკაკი წერეთელს, რომლის შემოქმედებისადმი იგი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა.

საღამოზე ა. წერეთელმა მაქსიმ გორაკის წაუკითხა რამდენიმე ლექსი. ამ ლექსების ინტონაციამ იმდენად გაიტაცა გორაკი, რომ იგი შესტყვროდა აკაკის და ხელს აყოლებდა ლექსის რიტმს.“¹

მაქსიმ გორაკის მრავალი ძვირფასი საჩუქრები მიართვეს ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენლებმა. მათ შორას გამოირჩეოდა ქართველი ქალის ეროვნული სამკაული „თავსაკრავი“, „ლეჩქი“ და სხვა ნივთები.

მაქსიმ გორაკი ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდა. აქ მან დაყო რამდენიმე დღე და ესაუბრა ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს. იგი დიდად იყო დაინტერესებული ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედებით.

საქართველოში მესამედ ყოფნის დროს კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა დიდი რუსი მწერალი „ქართველების ყოფა-ცხოვრებით, ადათ-ჩვეულებით, ხალხური შემოქმედებით, ლიტერატურით, ხელოვნებით. იგი გულდასმით იწერდა ბლოკნოტში ნაამბობს, ეპიზოდებს საქართველოს რევოლუციური

მოძრაობიდან, ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლებიდან.“¹

ქუთაისიდან თბილისში მაქსიმ გორაკის დაბრუნებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა უჩვენა პიესა „ფსევრზე“.

ქართველი ხალხი და მისი მოწინავე, ხელმძღვანელი რაზმი რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელსაც სათავეში დიდი სტალინი ედგა, უდიდესი სიყვარულით ეპყრობოდა მაქსიმ გორაკის მოთხრობების თარგმნასა და მის გავრცელებას საქართველოში.

მე-19 საუკუნის დამლევიდან ქართულ პერიოდიკაში იბეჭდებოდა მაქსიმ გორაკის მოთხრობების ცალკეული ნაწყვეტები. ამავე დროს დიდი მისწრაფება იყო — გამოეცათ გორაკის მოთხრობების ცალკეული კრებულები.

როგორც ცნობილია, რუსეთში მაქსიმ გორაკის მოთხრობების პირველი ტომი გამოვიდა 1898 წლის მაისის პირველ რიცხვებში. ქართველმა მოწინავე ინტელიგენტებმა მაშინვე დაიწყეს ამ ტომის თარგმნა. 1902 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა გორაკის მოთხრობების რიკ კრებული. პირველი კრებული გამოცემული იქნა თბილისში და მეორე — ქუთაისში. გორაკის ნაწერების თარგმნა ქართულ ენაზე შემდგომ წლებში უფრო ფართო ხასიათი მიიღო. გარდა იმისა, რომ კვლავ გრძელდებოდა გორაკის მოთხრობების ბეჭდვა იმდროინდელ ქართულ ეურნალ-გაზეთებში, 1906 წელს თბილისში, ქართულ ენაზე გამოვიდა გორაკის ლექსები და ლექსები პროზით, ხოლო 1907 წელს — პიესა „ნადირალები“.

მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ პერიოდ-

¹ გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 11, 1951 წ. 17 ივნისის (ეკატერინე პეშკოვას მოგონება).

¹ გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 118, 1951 წ. 17 ივნისი (ეკატერინე პეშკოვას მოგონება).

ლიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი მაქსიმ გორკის შემოქმედების განხილვას. გამსაკეთებელით აღსანიშნავია მწერლის ახლო ნაცნობისა და მეგობრის შიო ჩიტაძის კრიტიკული წერილები მაქსიმ გორკის ცალკეულ ნაწარმოებებზე.

პროლეტარული რევოლუციის დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ თავისი „მეორე სამშობლო“ — მზიური საქართველო უკანასკნელად 1928 წელს იწახულა.

მაქსიმ გორკი თბილისში ჩამოვიდა ბაჭოლან 23 ივლისს. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სადგურზე მას შეხედნენ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები.

23 ივლისს, საღამოს, ხელოვნების სასახლეში გორკის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი. ძვირფას სტუმარს მხურვალედ მიესალმნენ პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მაქსიმ გორკი მაც გრძნობით აღსაყვ სიტყვა წარმოთქვა.

24 ივლისს მაქსიმ გორკიმ დაათვალიერა ზემოაჭვალის პიდროელექტროსადგური და ესაუბრა მუშებს. იმავე დღეს მან იწახულა მცხეთის მონასტერი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. შემდეგ იგი გაემგზავრა კოჯორში.

1928 წლის 27 ივლისს მაქსიმ გორკი შეხვდა საქართველოს დედაქალაქის მუშეობებს, რომლებთან საუბარშიც მან ილაპარაკა მუშეობების მოვალეობასა და ამოცანებზე.

მაქსიმ გორკიმ უდიდესი ინტერესით და აღფრთოვანებით დაათვალიერა თბილისის სოციალისტური საწარმოების ახალი ობიექტები. იწახულა ამიერკავკა-

სიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები, სადაც მუშაობდა 1891-1892 წლებში დამსახურებული ინჟინერი დიმიტრი ბაქრაძის ქადაგება მუშებში.

მაქსიმ გორკი დაესწრო საქართველოს საბჭოთა მწერლების სახეიმი სხდომას და წარმოთქვა სიტყვა საბჭოთა მწერლების ამოცანების შესახებ.

თბილისში მაქსიმ გორკის მეოთხედ ყოფნასთან დაკავშირებით, მშრომელთა დემუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, მაქსიმ გორკი არჩეული იქნა თბილისის საბჭოს საპატიო წევრად. თბილისის მეორე შრიამის სკოლას მიეკუთვნა გორკის სახელი, ზოლო კრასნო-გორსკის ქუჩას ეწოდა მაქსიმ გორკის ქუჩა. საქართველოს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, იმავე წელს მაქსიმ გორკის სახელობაზე აშენდა ბავშვთა სახლი სხვადასხვა სახელოსნოებით.

დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს, კომუნისტებისათვის თავდადებულ მებრძოლს, გენიალურ მხატვარს, მაქსიმ გორკის უსაზღვროდ უყვარდა მზიური საქართველო და ქართველი ხალხი.

„მე მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, — წერდა მაქსიმ გორკი, — სილამაზისა და ძლიერების გრანდიოზული განსახიერება, მისი თოვლით დაფარული მთები, — სწრაფ, მოჩუხჩუხე მდინარეთა მზიარული ხმაურით აღსაყვ მინდვრები და ხეობები, — მისი ლამაზი ამაყი შვილები.“¹

¹ მაქსიმ გორკი, „კავკასიის აშვების შესახებ“, საქ. კ. მ. (ბ) ც. კ. პარტკამომცემლობა, თბილისი, 1936 წ. გვ. 15.

მონიწივე საბავშვო მწერალი



უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული საბავშვო მწერლობა აღმავალი ტემპით მიდის წინ: იზრდება ძველი თაობის მწერალთა აქტიურობა, სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები, იქმნება ახალი, საყურადღებო ნაწარმოებები. თუმცა საბავშვო მწერლობა ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ჩამორჩენილი უბანია, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ბავშვების გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ქართული საბავშვო მწერლობა, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა და მწერალმა ი. გოგებაშვილმა ჩაუყარა საფუძველი, საკმაოდ მდიდარი ტრადიციების მქონეა. რომ არაფერი ვთქვათ აკაკი წერეთლის, ვაჟაფშაველას და სხვა რევოლუციამდელი მწერლების მშვენიერ საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებზე, ამ მდიდარი ტრადიციების გამომხატველად შ. მღვიმელის პოეზიაც კმარა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საბავშვო მწერლობამ მძლავრად გაშალა ფრთები. დღეს, როგორც ვახეთი „პრედა“ აღნიშნავს, „საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია უაღრესად ხელშემწყობი პირობები. საბჭოთა სახელმწიფო ძალებსა და სახსრებს არ იშურებს ამ უნიშვნელოვანესი საქმისათვის...“¹

„მე ვფიქრობ, — მიუთითებდა დიდი სტალინი, — რომ არსად არ არის ისეთი ზრუნვა ბავშვზე, მის აღზრდასა

და განვითარებაზე, როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში“¹.

ამხანაგ სტალინის ეკუთვნის ბავშვებისადმი ღრმა სიყვარულით გამთბარი, შთამაგონებელი სიტყვები: „აღამიანები უნდა აღვზარდეთ ისეთი მზრუნველობით და ყურადღებით, როგორც მებაღე უვლის ამორჩეულ ხეხილს“².

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც უკვე გაშლილი ფრონტით შეუდგა კომუნისტური საზოგადოების აშენებას, მომავალი თაობის აღზრდა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედაა გადაქცეული.

დღეს ჩვენ გვყვანან პროფესიული საბავშვო მწერლები, რომლებიც რამდენიმე ათეული წელია ინტენსიურად მუშაობენ საბავშვო ლიტერატურის სფეროში. ამავე დროს ჩვენ გვყვანან მწერლები, რომლებიც ძირითადად ლიტერატურის სხვა დარგებში მოღვაწეობენ, მაგრამ ამასთანავე გულმოდგინედ იბრძვიან საბავშვო ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის. ამათ რიცხვს ეკუთვნის ი. გრიშაშვილი.

ი. გრიშაშვილი თავისი შემოქმედების აღრეულ პერიოდშიაც წერდა საბავშვო ლექსებს, მაგრამ საბავშვო მწერლობით პოეტი არსებითად საბჭოთა ხელისუფლების დროს დაინტერესდა. ეს იყო კონკრეტული პასუხი იმ დიდი ზრუნვისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ მომავალი თაობის მიმართ გამოიჩინეს. „საბჭოთა

¹ ი. სტალინი, თხულებანი, ტ. 13, გვ. 285.

² ი. სტალინი სახალხო განათლების შესახებ, 1939 წ., გვ. 53.

ბავშვების ბედნიერმა ცხოვრებამ წამახალისა, — წერს პოეტი, — და რაზეც აღრე თითქმის სრულიად არ მიფიქრია, ახლა ის ჩემი შემოქმედების ორგანულ ნაწილად იქცა“¹.

1925 წლიდან, როცა ი. გრიშაშვილმა შეგნებულად გაწყვიტა კავშირი წარსულთან და თანამედროვეობისაკენ იბრუნა პირი, პოეტი ინტენსიურ მუშაობას იწყებს საბავშვო მწერლობაში. „ნაკადულის“ ფურცლებზე კვლავ ჩნდება მისი ორიგინალური თუ ნათარგმნი ლექსები. 1926 წელს ი. გრიშაშვილი მრავალი საყურადღებო საბავშვო ლექსის ავტორი გახდა („ლაზლანდარა“, „ჩემი პატარა წიგნი“, „საახალწლო მსუნაგობა“ და სხვ.)

საბავშვო მწერლობა საერთო ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი და რთული დარგია. ბავშვებისათვის წერა შემოქმედისაგან მოითხოვს ბევრ ისეთ თვისებას, რაც მწერლობის სხვა დარგში მუშაობისას სრულიად არ იქნებოდა მისთვის საჭირო. აი, როგორ მოთხოვნილებებს უყენებდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი საბავშვო მწერალს: „საბავშვო მწერლად უნდა დაიბადო და არა გახდეს. აქ საჭიროა არა მარტო ნიჭი, არამედ ერთგვარი გენიაც. დიახ, მრავალზე მრავალი პირობაა საჭირო საბავშვო მწერლის ჩამოსაყალიბებლად: აქ საჭიროა მადლიანი, მოსიყვარულე, უწყინარი, მშვიდი სული, ბალღური გულწრფელობა, ამაღლებული, განათლებული გონება, საგნებზე ნათელი შეხედულება და არა მარტო ცოცხალი წარმოსახვა, არამედ ცოცხალი, პოეტური ფანტაზიაც, რომელსაც უნარი ექნება წარმოიდგინოს ყველაფერი გასულდგმულე-ბულ, ნაირფეროვან სახეებად. არაფერს ვამბობთ უკვე ბავშვებისადმი სიყვარულზე და მათი მოთხოვნილების ღრმა

ცოდნაზე, ბავშვების ასაკის თავისებურებასა და ნიუანსებზე“².

საბავშვო მწერლობის სპირიტუალზე მიუთითებდა იაკობ გოგებაშვილიც: „უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ საბავშვო რამეების წერა შესაბამად, მიზნის შესაფერად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისათვის ლიტერატურული შრომა“³.

საბავშვო მწერალი კარგად უნდა იცნობდეს იმ გარემოს, რომელშიაც ცხოვრობს ბავშვი, უნდა იცნობდეს ბავშვის ფსიქოლოგიას, უნდა შეეძლოს მის სულში ჩაწვდომა. ამ შემთხვევაში უკვე აღარაა საკმარისი მოზრდილი ადამიანის სულიერი თვისებების ცოდნა, რასაც მწერლები ხშირად თვითდაკვირვებით აღწევენ ხოლმე. ბავშვის სულიერი სამყარო სხვაა, მას ბევრი სპეციფიკური მხარე აქვს „...თქვენ თვითონ უნდა ეყოთ მოზრდილი ბავშვი ამ სიტყვის არა უხამსი გაგებით“. ამბობს ბ. ბელინსკი საბავშვო მწერლის მისამართით⁴.

ი. გრიშაშვილს, როგორც პოეტს, გაანია ბევრი ისეთი თვისება, რაც აუცილებელია საბავშვო მწერლობაში მუშაობისათვის. მისთვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო „მადლიანი, მოსიყვარულე... სული, ბალღური გულწრფელობა... საგნებზე ნათელი შეხედულება... ცოცხალი, პოეტური ფანტაზია...“ ამასთანავე მარტივი, ყველასათვის გასაგები პოეტური სახეები და მეტყვე-ლი, მუსიკალური ენა.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები თანამედროვეობითაა შთაგონებული.

¹ ბ. გ. ბელინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1950 წ., გვ. 8—9.

² ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი II, 1940 წ., გვ. 231.

³ „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, გვ. 14.

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 36.

პოეტის ნორჩი გმირები შესტრფიან თავიანთ ბედნიერ ბავშვობას და ბავშვების უსაყვარლეს მეგობარს დიდ სტალინს. აქ, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ლექსი „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“, რომელიც ბელადის თემაზე ბავშვებისათვის დაწერილ ლექსთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე და პოპულარულია.

პატარა გორელები გულმხურვალედ სთხოვდნენ საყვარელ ბელადს, რომ ჩამოსულიყო გორში. „... ჩვენ სად უნდა გეძიოთ“ — წერდნენ ისინი, — ჩვენ, პატარებმა. აბა, როგორ მოვახერხოთ შენი ნახვა... ამიტომ შენ თვით ჩამოდი გორში... რა იქნება? ნუთუ არ გენატრება შენი შშობლიური ქალაქი, შენი პატარა სახლი? ნუთუ არ გინდა ძველი, ჩაკბილული ციხისა და ახალი, დამშვენებული ქართლის ნახვა? ან ცელქი ღიახვი არ გაგონდება, სოფლის დასასრულს მტკვრის გულში ჩაქრული ცელქი ღიახვი? —

მოდო, ვულში ჩავვიკარ,
გაახარე ეს მხარე,
ერთი მუჟა ღიმილი
აქაც გადმოგვაყარ!

ბელადისადმი უზომო სიყვარული და მისი ნახვის ზღვარდაუდები სურვილი კარგად იყო გამოხატული პატარების სიტყვებში:

რა იქნება, ძვირფასო,
ერთხელ გორშიც მოხვდები!

ლექსში უშუალოდ, ბუნებრივად თითქოს ზელშესახებადაა მოცემული ბავშვური მიაშიტობა და გულწრფელობა. ეს არის სწორედ მისი პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებში დასმულია ჩვენი სოციალისტური სინამდვილის მნიშვნელოვანი საკითხები;

საუბარია ამ სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენებზე; დაპირისპირებულია წარსული და აწმყო, სოციალისტური და კაპიტალისტური სამყარო. ერთი სიტყვით, ავტორი საპიროდ თვლის გადაუშალოს ბავშვებს ჩვენი საზოგადოებრივი - პოლიტიკური ცხოვრების ფართო სურათი.

ეს ასეც უნდა იყოს; ჩვენ უნდა აღვზარდოთ „მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა“¹; ამიტომ იგი არ შეიძლება ჩამოვაშოროთ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს.

ი. გრიშაშვილის ლექსები „პატარა გოგის საჩუქარი“ და „პატარა მარინა არჩვენებზე“ კარგად გვიხატავს ბავშვების დამოკიდებულებას ისეთი რთული საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, როგორც იყო სამამულო ომი და უმადლესი საბჭოს არჩვენები.

გოგამ გაიგო, რომ ფრონტისათვის საჩუქრებს აგროვებენ. მასაც უნდა წვლილი შეიტანოს მტრის დამარცხების საქმეში და, რადგან სხვა შესაფერი ნივთი ვერ ნახა, თავის სათამაშო ცხენს აგზავნის ბრძოლის ველზე („პატარა გოგის საჩუქარი“).

პატარა მარინას სულთ და გულით უნდოდა ხმა მიეცა დიდი სტალინისათვის, მაგრამ დედამ არჩვენებზე არ წაიყვანა. მაშინ მან თავისი გულისთქმა ფურცელზე დაწერა, წერილი მტრედს გაუყეთა ფრთაში და კრემლისაკენ მისცა მიმართულება. თან ეს სიტყვებიც გააყოლა:

სტალინ, ჩვენი სიხარულო,
სტალინ, ჩვენი ნატყრისთვლო,
გთხოვ მარინას პატარა ხმაც
მიიღო და მიითვალო!
(„პატარა მარინა არჩვენებზე“)².

¹ „ქურნალების ზევზისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებიდან, 1947 წ., გვ. 5 — 6.

² ქურ. „ლილა“, 1951 წ., № 2.

¹ ყველგან ვსარგებლობთ ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების 1948 წლის გამოცემით.

ხაზი რომ გაუსვას ჩვენი ნორჩი თაობის ბედნიერ ყოფას, პოეტი ხშირად მოიგონებს ხოლმე თავის გაუხარელ ბავშვობას, როცა იგი ობოლი, დაჩაგრული, „ყასბის მორებთან“ იზრდებოდა. როცა ნიჭიერ ბავშვს დახშული ჰქონდა სასწავლებლის კარები. ლექსში „გორის პიონერების კოცონთან“ პოეტი შესცქერის საბჭოთა ქვეყნის გალადებულ ახალთაობას, ადარებს მათს ცხოვრებასთან თავის პირად წარსულს და ამბობს:

მართლაც, რა იყო წარსული ჩემი?
თვალზე სიამის ცრემლი შერევა..
თი, სად არის ქვეყნად ვღემი?
თი, სად არის ბედნიერება!

ი. გრიშაშვილს მთელი არსებით უყვარს ბავშვები. ეს გრძნობა თითქმის ყველა ლექსშია ჩაქსოვილი, მაგრამ მაინც შეიძლება ცალკე გამოვყოთ ნაწილი ლექსებისა, სადაც პოეტი, უშუალოდ მიმართავს რა ბავშვებს, პირდაპირი გზით გადმოგვცემს თავის განცდებს:

ბავშვები მეტად კარგები არიან. ჩიტები, ყვავილები სულ მათევენ იღვრებენ ყელს, მათ შესტრფიალებენ —

თქვენ ისეთი კარგი ხართ,
როგორც ცისკრის ვარდები,
მე კი არა, თვით უგრძობ
ხვაცას შეუყვარდებით.

ბაღში რომ ხართ, ნარგიზი ყელს სულ თქვენსკენ იღვრებს, სიმღერა რომ იცოდეს, მუდამ თქვენთვის იმღერებს. ამიტომ „მე თუ თქვენთვის ვლექსაობ... ისევ თქვენი ბრალიაო“, მიმართავს პოეტი პატარებს („ჩვენი ეზოს ცანგალებს“)

პოეტი სულით და გულით ბავშვებთანაა. უნდა მათს რიგებში „ჩადგომა და აბავშვება“, მათი ჰიროსა და ლხინის გაზიარება („ჩემს პატარა მკითხველებს“).

როცა ვერაგმა მტერმა ბევრ ბავშვს წაართვა დედ-მამა, დატოვა უთვისტომოდ, უსახლკაროდ, პოეტი მოუწოდებდა თავის ნორჩ მკითხველებს — დობა და ძმობა გაეწიათ მათთვის, არ ეგრძნობინებინათ ობლობა:

გადაფარეთ, მეგობრებო, ქართული კალთა,
ო მოუარეთ, ანუგეშეთ, უთხარით რამე!
(„დაობლებული ბავშვებისათვის“)

ამ ციკლის ლექსებში არის რამდენიმე ლექსი, რომლებიც დაწერილია ბავშვებზე, მაგრამ არაა განკუთვნილი ბავშვებისათვის. ზოგი მათგანი დამძიმებულია ნორჩი თაობის მზიარული ბუნებისათვის შეუფერებელი განცდებით (უკანასკნელი სტროფი ლექსისა „პატარა ანის ალბომში“), ზოგი ადგილის აზრად ძნელად გასაგებია ბავშვისათვის —

რად მინდა წყარო, თუ არ სჩქედს ცხარეთ!
რად მინდა ვერხვი, თუ არ შრიალებს!
(„გორის პიონერების კოცონთან“).

•
•

განსაკუთრებით საინტერესოა ი. გრიშაშვილი, როგორც ნორჩი თაობის მრჩეველი და დამრიგებელი. ეს მხარე ყველაზე უფრო დამახასიათებელია ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებისათვის. სამაგალითო, მისაბამ ბავშვებთან ერთად პოეტს გამოჰყავს ცულლუტი, უსაქმური ბავშვებიც. თუ ერთ შემთხვევაში აქებს შრომისმოყვარე პელოს სიყოჩაღეს, პაწაწინა გულიკოს სწრაფვას სკოლისაკენ, სხვა დროს ჰკიცხავს ძილისგულდა ლილი თავართქილაძეს, სულწასულ ნუცას, ყველა ზარმაცსა და ონავარს, რომლებიც, სწავლაზე გულააცრუებულნი, ქუჩა-ქუჩა ხეტიალობენ.

ასეთ სადამრიგებლო — სააღმზრდელო ლექსებში პოეტის წინაშე დგას საშიშროება: მშრალი სენტენციებით არ დაამდაბლოს ლექსის კულტურა, უბრალო დამრიგებლის როლში არ მოგვევლინოს. ამ ხაზით მუშაობა მწერლისა-



გან დიდ მხატვრულ ოსტატობას მოითხოვს. ამიტომაც, რომ ბევრი საბავშვო მწერალი მთლიანად გვერდს უვლის ამ სპეციფიკურ დარგს.

საბჭოთა საბავშვო მწერლობა ვერ უკუაგდებს დარიგების, რჩევის, სწავლების მეთოდს. დარიგება საჭიროა, მაგრამ გააჩნია, როგორც სახით იქნება წარმოდგენილი. შიშველი დიდაქტიკა არ უყვართ ბავშვებს. სამართლიანად ილაშქრებდა ბ. ბელინსკი მწერალი ზნეობრივი დარიგებების წინააღმდეგ: „თქვენ გაქვთ ზნეობრივი აზრი, — მიმართავდა იგი საბავშვო მწერალს, — ჩინებულთა; ნუ ესაუბრებით მის შესახებ ბავშვებს, მაგრამ აგრძნობინეთ ის მათ, თხრობის დასასრულს ნუ გააკეთებთ მისგან დასკვნას, მიეცით ბავშვებს საშუალება თვითონვე გამოიტანონ დასკვნა... საჭირო არ არის არავითარი შიშველი აზრი... დაე, აზრი დაფარული იყოს...“¹

ი. გრიშაშვილის ლექსებში არის რჩევა-დარიგებები. პოეტს არ შეუძლია გულდამწვინებით უყუროს პატარების უწყისო საქციელს. ამიტომ მაშინვე მოურიდებლად ამხელს მათ („ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა“, „ლაზღანდარა“, „დანის მოყვარული ზურიკო“ და სხვ.). მაგრამ ეს რჩევა — დარიგებები არ არის მშრალი, უინტერესო და მოსაბეზრებელი. ერთ შემთხვევაში იგი დაფარულია, რაიმე ეპიზოდშია მოქცეული და მთელი ლექსიდან გამოიმდინარეობს, როგორც მისი საერთო იდეა.

აღმზრდელობითი თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „გაზაფხულის მოლოდინში“.

მერცხლის ბუდეს ხელს ნუ ახლებ,
მოერიდვ. გავცალა,
ამ ჩვენს ბალებს, ამ ჩვენს სახლებს
ესტუმრება იგი მალე.

ასე იწყება ლექსი. ამ სტროფიშივეა

¹ „ჩვენი პედაგოგიური თხზულებანი“.

მოცემული მისი თემაცა და იდეაცა. მაგრამ, ცხადია, ეს სიტყვები — ჩვენივე ზეგავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენენ. ამ აზრს ესაჭიროება გაშლა, განვითარება. და აი, როგორ ვითარდება იგი:

თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულნი მერცხლები ახალ ამბებს გადმოგვძახებენ; ისინი გვეტყვიან, თუ რა ვაი-ვაგლახს იტანენ საზღვარგარეთ ბავშვები; შენ კი ბედნიერი ხარ, — მიმართავს პოეტი პატარას, — სანატრელ ქვეყანაში ცხოვრობ —

შენ ბელაღის ცა დაგზარის
წყაზარის და მშვენიერი.

ბელადი დღენიდაც ბავშვებზე ზრუნავს, არ აკლებს მათ სითბოსა და ალერსს:

„უსწავლელი არცინ დარჩეს“ —
ასე უთხრა მან თქვენს კრებულს.
ის პატარა ღიღასე ამჩნევს
თქვენს ხალაზე დაკრებულს.

და შემდეგ ისევ: „მერცხლის ბუდეს ხელს ნუ ახლებ“ და სხვა.

მოვლენების სწრაფი, საინტერესო და ბუნებრივი განვითარებით ასე აამაღლა პოეტმა შედარებით პატარა საკითხი; მერცხლისათვის ბუდის დანგრევის აკრძალვა დიდ იდეამდე აიყვანა და ამ სიმალლიდან ერთხელ კიდევ გაუმეორა პატარას:

„მერცხლის ბუდეს ხელს ნუ ახლებო“.

თქმა არ უნდა, დიდია ამ ლექსის ზემოქმედებითი ძალა.

ზოგიერთ ლექსში პოეტი პირდაპირ, ამკარად, ყოველგვარი მიხვეულ-მოხვეული გზების გარეშე მრუთითებს ბავშვს თავის ნაკლოვან მხარეებზე („ჩვენი ეზოს ცანგალებს“, „ონავარი“, „მიყიდე“ და სხვა). მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ შემთხვევებში მაინც პოეტის სიტყვა

მშრალი იქნებოდა, ვერ დააინტერესებდა ბავშვს, ვერ იმოქმედებდა მასზე. ზოგჯერ ეს მართლაც ასეა (მაგალითად, ლექსი „შრომისაკენ“ მხოლოდ და მხოლოდ მშრალი დარიგებებისაგან შედგება), მაგრამ საერთოდ ამის თქმა არ იქნებოდა სწორი. ი. გრიშაშვილს, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომ ასეთ სადამრიგებლო ლექსებშიც ახერხებს ძალდაუტანებლად მივიდეს ბავშვის გულამდე.

ამის დამადასტურებელია ლექსი „ონაეარი“. საინტერესოა მისი დაწერის ისტორია. 1938 წლის დასაწყისში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა მეტად საყურადღებო წერილი სათაურით „უხეშობა“, რომელიც მიმართული იყო უდისციპლინო, უხეში მოსწავლეების წინააღმდეგ.

„შეხედეთ მათ! — ვკითხულობთ ამ წერილში, — დადიან აჯა-ბაჯად, ეჯა-ხეზიან, ილანძღებიან, იფურთხებიან... ღილი გაუხსნიათ, ქამარი გვერდზე მოქცევიათ, ქუდი კეფაზე მოუგდიათ. ეს მაშინ, როდესაც ბევრი მათგანი ოცნებობს იყოს მსგავსი საბჭოთა კავშირის გმირებისა, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა“¹.

ამ წერილის გამოხმაურება იყო ი. გრიშაშვილის ლექსი „ონაეარი“, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. პოეტი ჯერ ახასიათებს თავის გმირს, როგორც ლაზღანდარას, ონაეარს. შემდეგ კი არიგებს მას, ურჩევს, დაუფიქრდეს თავის საქციელს, კვიიანად მოიქცეს და გააძარტლოს ბელადის ნღობა.

ეს ლექსი ფართოდ გავრცელდა ჩვენს მოსწავლეებს შორის. იგი გულშემატრვალედ მიიღო მომავალმა თაობამ, ამას გვაფიქრებინებს ის ძლიერი გამოძახილი, რომელიც ამ ლექსმა პპოვა. პატარები პასუხობენ ი. გრიშაშვილს თავისივე

ლექსის სიტყვებით, რომ ჩვენ გამოვსწორდით, აღარ ვართ მხატვრული მკვებნი, არ ვამსხვრეტთ სასწავლებლის მინებს, არ ვკრით მერხზე უტიფარ ნახაზებს და სხვა.

რჩევა-დარიგება, ნაკლოვანებებზე მითითება რომ ი. გრიშაშვილის დამახასიათებელი თვისებაა, ამას გვიდასტურებს მისივე წერილი „ნუ გადასდებ ხვალისათვის“.

პოეტი მოგვეთხრობს: „ამას წინათ ერთ კოლმეურნეობაში ვიყავი. გამოცა კოლმეურნეთა შრომისმოყვარეობამ, მათმა ნებისყოფამ“. მითხრეს: აბა, შენ იცი, როგორ ლექსს დაუწერ ჩვენს კოლმეურნეობასო. მე ხუმრობით ვუბა-სუბე, რომ ნაკლს აღნიშვნა უფრო მე-ხერხება. აი, თუ გყავთ ვინმე უქნარა, ზარბაცი, მას შემოძლია პატარა კალამ-ბური ვუთავაზო მეტი. ამ დროს მართლაც დაუძახეს ერთ ჭაბუქს.

— ამას ლევანი ჰქვია, — თქვა ერთ-მა, — მაგრამ ჩვენ „გასწორ-გასწორა“ დავარქვით. ყველაფერზე ამბობს: „ხვალ გაეკეთებო“.

ის ყმაწვილი უკვე მიზანში ამოვიღე... „პატარა რომ ვიყავი, მე მარიგებდნენ, — განაგრძობს ავტორი, — როცა წამოვიზარდე, სხვები მინდა დავარიგო. მოდი ამ ლექსს ჩემო ლევან, შენ მოგიძღვნი. ნუ კი გეწყინება! როცა ჩემი ხნისა გახდები, შენც სხვა დაარიგე. რა იქნებოდა ცხოვრება — ჩვენი ფხა და უნარი საფლავში რომ თან ჩავიტანოთ. გულწმინდად უნდა ვემსახუროთ ჩვენს დიად სამშობლოს და, შეძლებისდაგვარად, ხელი შევეწყუთ მის წინსვლას, თოხით იქნება ეს, თოფით თუ ლექსით...“

მაშ ასე, ჩემო ლევან, ჩემო „გასწორ-გასწორავ“, მოისმინე ეს პატარა მუნახიბი“.

ამას მოსდევს ლექსი „ნუ გადასდებ ხვალისათვის“¹.

თავისი დიდაქტიკურ — აღმზრდელო-

¹ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938 წ., № 8.

¹ „კომუნისტი“, 1945 წ., № 149.



ბოთი ლექსებით ი. გრიშაშვილმა თავისებური, ორიგინალური სიტყვა თქვა ქართულ საბავშვო მწერლობაში.

* * *

საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებთან ერთად ბავშვს უნდა გავაცნოთ და შევავიაროთ ბუნება. ბუნების ლამაზი სურათები ესთეტიკურ სიამოვნებას აგრძობინებს ბავშვს, ამადღებს მორალურად, სიყვარულს უღვივებს თავისი მშობლიური კუთხისადმი.

ი. გრიშაშვილის ნორჩი გმირები ხშირად მოქმედებენ ბუნების წიაღში; ავტორი ხშირად ესაუბრება თავის პატარა მკითხველებს ლამაზი ყვავილების, ენაქიკვიკა ჩიტუნების, ბავშვების საყვარელი შინაური ცხოველებისა და ფრინველების შესახებ. პოეტს თავისი მკითხველები შეჰყავს ბუნების მრავალფეროვან სამყაროში, სადაც ცალკეული სურათები არაა წარმოდგენილი განკერძოებულად, არაა მოწყვეტილი ადამიანთა ცხოვრებას; სადაც მცენარეები, ცხოველები, ბუნების სულიერი და უსულო საგნები გააღამიანებულია.

ერთმა მელამ ბაჭიები მიიტყუა, — მოგვითხრობს პოეტი ლექსში „კურდღელი და ბაჭიები“, — და როცა მათ შესაქმელად მოეშადა, სწორედ ამ დროს გაჩნდა კურდღელი და შვილები გამოსტაცა.

— ხომ აველანი ცოცხლები ხართ? შეესიტყვა დედა შვილებს, —
 ო, რამდენჯერ გარიგებდით,
 ო, რამდენჯერ გააფრთხილეს...

კიდევ კარგი, დროზე გავჩნდი, გამოიწინა დღე კეთილად, დღეს რაც მოხდა, პატარებო, დარჩეს მწარე გაკეთილად.

ბავშვის ბუნებასთან დაახლოებას ხელს უწყობს ლექსები „ყვავილების ვედრება“, „ოთხი დრო“, „ჩემი ცუგა“.

„ია და ყაყაჩო“ და სხვ. პოეტი ზრუნავს ბავშვთა ფანტაზიის განვითარებისათვის. ამ მიზნით ზრუნავს ციალურად ბავშვებისთვის განკუთვნილ ზღაპრებს, რომელთაგან ყველაზე აღინდელია „სიზმარა“.

„სიზმარა“ ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარია, მაგრამ ი. გრიშაშვილმა ვერ გამოიყენა ეს კარგი მასალა იმგვარად, როგორც მწერალი უნდა იყენებდეს მას. პოეტმა კი არ გადაამუშავა, პირდაპირ გალექსა იგი. ამიტომ გრიშაშვილის „სიზმარა“ მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია: ამბები გაქიანურებულია, ხშირი და გრძელ-გრძელი გამეორებანი მოსაწყენი ხდება, ლექსი მოშვებულია და დუნე, არ ჰგავს გრიშაშვილის მიჩქეფარე სტილიონებს.

ზღაპრები „ბაბაჯანას ქოშები“, „მუსტაფას ვირი“, „მოლა და ძალი“ მაღალმხატვრული ნაწარმოებებია.

ყველაზე უფრო საყურადღებო მაინც „ბაბაჯანას ქოშები“ა. ბავშვებს სამუდამოდ ჩარჩებათ მეხსიერებაში „უსამართლო სამართალით დატანჯული“ ბაბაჯანას სახე. სიტუეტი მოქნილია, მოქმედება — სწრაფი. ენა სხარტია და ლაკონური, პოეტური სახეები — საესებით გასაგები. „ბაბაჯანას ქოშები“ ბავშვების საყვარელი ნაწარმოებია.

„მოლა და ძალი“ მკაცრად დასციონის ეკლესიის მსახურთა მეჭრთამეობასა და გაუმამრობას. ამის ნათელსაყოფად პოეტს კარგი ეპიზოდი შეურჩევია.

საინტერესოა ზღაპარი „მუსტაფას ვირი“. მასში საუცხოოა დახატული პაპისა და შვილიშვილის სახეები, ცოცხლადაა გადმოცემული ამბავი. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზღაპრის იდეა — „მე რომ ამათ (ე. ი. ხალხს, ა. კ. ხ.) ყური ვუგდო, გადამრევენ უეჭველად“ — ბავშვთა აღმზრდელითი თვალსაზრისით მიუღებელია.

ეს სამი ზღაპრული ამბავი პოეტს თბილისური ფოლკლორიდან აქვს აღე-

ბული. მგარამ, ეტყობა, ისინი მხატვრულად დაუმუშავებია, დაუხვეწავს და კარგი მასალა მიუცია ბავშვთათვის მათი ფანტაზიის გამდიდრებისა და განვითარების მიზნით.

საერთოდ, ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია.

პოეტი კარგად იცნობს ბავშვის ბუნებას და ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან მოზღენილად არჩევს ბავშვისთვის საინტერესო თემებს.

მგარამ გრიშაშვილი უმეტესად ქალაქის ბავშვების მისამართით წერს. იგი ნაკლებად იცნობს ჩვენი სოფლის ყოფაცხოვრებას („რა ვქნა, სოფელი არ დამივილია“), სოფელში მცხოვრებ ბავშვთა დაინტერესების სფეროს; ერთნაირი სიღრმით ვერ წვდება ქალაქისა და სოფლის ბავშვთა ფიქრისა და გრძნობის სამყაროს და ეს გარემოება რამდენადმე ზღუდავს მისი საბავშვო ლექსების მოქმედების ფარგალს.



თქმა არ უნდა, თემის შერჩევას ბავშვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უსათუოდ არსებობს წმინდა საბავშვო თემატიკაც, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ძირითადად მწერალი. მგარამ მაინც თემების უმეტესი ნაწილი საერთოა. ის შეიძლება მიეცეს როგორც ბავშვს, ისე მოზრდილს, მაგალითად: არჩევნების თემაზე ი. გრიშაშვილს რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი — „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“, „მან თანხმობა განაცხადა“, „პატარა მარინა არჩევნებზე“ და სხვა. სამივე შემთხვევაში არჩევნების თემა ორგანულადაა დაკავშირებული ბელადის თემასთან და გამოხატულია სიყვარული და აღფრთოვანება

საბავშვო ხალხის პირველი დემუტატის — დიდი სტალინისადმი, რომელსაც ამ ლექსებს საერთო თემა და იდეა აქვთ. მგარამ თუ პირველი ორი ლექსი მოზრდილთათვისაა განკუთვნილი, მესამე უკვე ტიპური საბავშვო ნაწარმოებია, რადგან აღებული თემა ავტორმა ისეთ შინაარსში მოაქცია, ისეთ ფორმაში მოათავსა, რომ ბავშვისათვის მისაწვდომი გახადა. ამრიგად, თემის გარკვეული თვალსაზრისით შინაარსობლივ — მხატვრულმა დამუშავებამ ერთ შემთხვევაში მოგვცა მოზრდილთათვის განკუთვნილი, ხოლო მეორე შემთხვევაში საბავშვო ნაწარმოები.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებისათვის დამახასიათებელია ნათელი შინაარსი, კონკრეტული ამბავი, პატარა სურათი, მოქმედების სწრაფი და ცოცხალი განვითარება. ეს მომენტები ჩვენი პოეტის ლირიკულ ლექსებს ბალადის სახეს აძლევს. ამ მხრივ საყურადღებოა „საფრთხობელი“. საინტერესოა ამ ლექსის კომპოზიცია: ამბები თანმიმდევრულად ვითარდებიან, მოვლენები კანონზომიერად ცვლიან ერთმანეთს და ეღებულობთ პატარა სიუჟეტთან ლექსს, რომელშიაც შეიძლება მოვებნოთ და აღმოვაჩინოთ სიუჟეტის განვითარების ყველა ძირითადი მომენტი.

ლექსი პირდაპირ მოქმედებით იწყება:

ჩემს ხეივანს შევიცა
ჩიტუნებს მთელი კრება,
გამიყენეს ყვავილები,
არ იცალეს აკორება.

შემდეგ ვითარდება სიუჟეტი: პოეტს საცდელი არ დაუკლია — ჯერ ღობის თავზე ფიტული ჩამოკიდა, მერე კაკანათი დადგა, მგარამ ამოად, ჩიტებმა ყველივე ეს აინუნშიც კი არ ჩააგდეს:

ქველბურად ნაწარმოებდნენ,
ქველბურად იყვნენ ფრთხილი,
ქველბურად ძირს ეყარა
ყვავილები გაქვჩილი.

¹ იხ. პოეტის შინაწერი თავისი „საბავშვო ლექსების“ (1948 წლის გამოცემა) 144-ე გვერდზე.

ბოლოს პოეტმა ხელში აიღო საბ-
ლიტგამის მიერ გამოცემული საბავშვო
ზღაპარი „კურდღლის სიზმარი“. გადა-
ფურცლა, ილუსტრაციები გადაათვა-
ლიერა და გაიფიქრა: რაც მჭირდება,
სწორედ ის არისო. „ნახატებს რომ გა-
დავხედუ, თვითონ მეც კი შეემშინ-
და“, წერს იგი. სიუჟეტის განვითარ-
ებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.
შემდეგ მოქმედება შენეულა... პოეტმა
ამოჭრა ამ წიგნიდან სურათები, დაა-
წება ჯოხებზე და ჩიტების დაფრთხო-
ბის მიზნით ბაღში გამოკიდა. ცდამ ნა-
ყოფი გამოიღო: ჩიტებმა დახედეს თუ
არა „კურდღლის სიზმრის“ ილუსტრა-
ციებს, მაშინვე

აიკრიფა მთელი გუნდი,
აიბარჯა მთელი კრება
და მას შემდეგ ჩემს ხეხილებს
ჩიტი აღარ ეკარება.

კვანძი გაიხსნა, ამბავი დასრულებუ-
ლია. ლექსს აქვს ეპილოგიც:

და მცხენიან, ყმაწვილებო,
ეს ამბავი სათხრობელად...
ასე გახდა ერთი წიგნი
ჩემი ბაღის საფრთხობელად.

ნაწარმოების იდეა ნათელია: პოეტი
აკრიტიკებს „კურდღლის სიზმრის“
ილუსტრაციებს. ერთი შეხედვით, კრი-
ტიკა თითქმის მოკრძალებულია, მსუბუ-
ქი, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით,
იგი მეტად უღმობელი და ბასრი აღმო-
ჩნდება. როგორი შთაბეჭდილება უნდა
მოახდინოს მოზარდ თაობაზე ისეთმა
ილუსტრაციებმა, რომლებიც ჩიტების
დასაფრთხოებად იქნა გამოყენებული?
ასე მწვავედ დააყენა პოეტმა საკითხი.
ამავე დროს, ლექსის ეს ჯანსაღი იდეა
გამიშვლებულად არ არის წარმოდგენი-
ლი. ტენდენცია აქ სწორედ სიტუაციი-
დან და მოქმედებიდან გამომდინარეობს
6. „მნათობი“ № 4.

თავისთავად ისე, რომ პოეტი მას განსა-
კუთრებით არ უსვამს ხაზს (როგორც
ამას მოითხოვდა ენგელსი): „ქ-სწორედ
ნახევნებია ცუდი და არ არის ნათქვა-
მი, რომ ის ცუდია. მკითხველი თვი-
თონ, „საკუთარი გრძნობის მეშვეობით“
გაიგებს მას (როგორც ამას მოითხოვდა
ბელინსკი).

„საფრთხობელა“ ერთი საუკეთესო
ჰუმორისტულ ნაწარმოებთაგანია ჩვენს
საბავშვო მწერლობაში.

ბავშვის ცოცხალი და მოძრავი ბუნე-
ბა ვერ ითმენს გავიანურებულ თხრო-
ბას, გრძელ და მშრალ აღწერებს.

თვით ისეთ ლექსებშიც, სადაც მიზანი
ბუნების სურათების ჩვენებაა, გრიშა-
შვილი ცდილობს, რაც შეიძლება კონ-
კრეტული იყოს, თავი აარიდოს მშრალ
აღწერას. ასეთი შთაბეჭდილება გვრჩე-
ბა ლექსის „ოთხი დროს“ წაკითხვის
შემდეგ. აი, მაგალითად, როგორ არის
აქ დახატული ზამთარი: თოვლით გადა-
თეთრებული მთა და ბარი, ბუჩქის ძი-
რას შიშისაგან თვალბმინაბული კურ-
დღელი, სიცივისაგან დაბალ ხმაზე
აქლურტულებული ბედურები და თბი-
ლი ბუხარი, სადაც პაპა შვილიშვი-
ლებს ზღაპარს უყვება.

საერთოდ, პოეტის საბავშვო ლექსე-
ბის უმეტესობა ერთ კონკრეტულ ამ-
ბავზეა აშენებული, ერთ საკითხს აშუ-
ქებს, ერთ გარკვეულ მიზანს ემსახუ-
რება. პოეტი აუცილებლად გადაჭრის
ლექსის დასაწყისში დაყენებულ სა-
კითხს, აუცილებლად ამოწურავს, ბო-
ლომდე მიიყვანს დაწყებულ ამბავს.
ამასთანავე, იგი არასოდეს არ გადაუხ-
ვევს აღებული თემიდან, მიჰყვება
ძირითად ხაზს და ამბობს მხოლოდ იმას,
რაც აუცილებლად უნდა თქმულიყო
(მაგ. „პატარა ოსტატები“, „ჩვენი
განცხადება“, „რა ქნას სკოლამ“ და
სხვა).

ლექსის კომპოზიციური მთლიანობისათვის პოეტი მხედველობიდან არ უშვებს თვით უმცირეს დეტალბსაც კი.

მიზნიდევლია გრიშაშვილის საბავშვო ლექსების დასაწყისი და დასასრული. პოეტი ისე იწყებს ლექსს, რომ იძულებულს გხდის წაიკითხო —

არიგებდა ვერშას დათა,
— დაისწულე უპკვლად.
(„გაკვეთილი“).

ანდა:

ერთხელ მელამ ბაჭიები
შიტყუა ჩუმაღ, ნელად.
(„ერთლადი და ბაჭიები“).

ბავშვი არ მიატოვებს ასე ცოცხლად დაწყებულ ამბავს.

თუ ლექსის დასაწყისს პოეტი იყენებს ბავშვის ინტერესის გაღვიძების მიზნით, ლექსის დასასრულს იგი დიდ აღმზრდელობითს ფუნქციას აკისრებს. დასასრულში პოეტი ბავშვს გამოკვეთილად, შეკუმშულად აძლევს იმ ძირითად იდეას, რასაც აღმზრდელობითი თვალსაზრისით რაიმე დადებითი მნიშვნელობა აქვს.

ლექსში „ლოკოკინები“ გადმოცემულია პატარა ბიჭუნას შიში ლოკოკინების გამო. დასასრულში ვკითხულობთ:

მამამ ხელი ვადამისვა,
დაატანა თანაც:
— რა ვატირებს? ლოკოკინა
იკბინება განა?

ამ ლექსის მიხედვით პატარა მკითხველს სამუდამოდ ჩარჩება მესხიერებაში, რომ ლოკოკინა არ იკბინება. ი. გრიშაშვილის თვით ისეთი ლექსებიც კი, რომლებიც ბავშვთა ლაღი, უღარდელი სიცილისათვის არის განკუთვნილი („ანბანის სიმღერა“, „ანბანის თავგადასავალი“), გარკვეული ცოდნით ამდიდრებს ბავშვის გონებას. ყოველი საბავშვო ნაწარმოები მიზნად უნდა ისახავდეს, რაიმე წვლილი შეიტანოს ბავ-

შვის ზნეობრივი და გონებრივი განვითარების საქმეში. ი. გოგებაშვილი აკაკის „ყმაწვილი და პეპელას“ შესახებ შენიშნავდა: „იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გონებასაც (აქნობებს პეპელას ცხოვრებას) და გულსაც, რომელშიაც კბადებს სიბრაღულსა“¹.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების დასასრულის ღირსება კიდევ ისაა, რომ იგი ხელს უწყობს ნაწარმოების კომპოზიციურ სრულყოფას, მაგალითად: როცა კითხულობთ ლექსების — „რა ქნას სკოლამ“, „მელა და კიბო“, „გაკვეთილი“ და სხვათა დასასრულს, გრძნობთ, რომ ლექსში გადმოცემული აზრის კანონზომიერ დასრულებასთან გვაქვს საქმე და ამიტომ მეტის არაფრის თქმა არ იყო საჭირო.

ასეთი დასაწყისი და დასასრული ლექსს მიზნიდევლსა და საინტერესოს ხდის.

ბავშვი თავისი პირველი წიგნებით სწავლობს სწორ, ლიტერატურულ მეტყველებას, ამიტომ ყოველგვარი გადახვევა საერთო-სახალხო ენის პოზიციებიდან საბავშვო ნაწარმოებებში განსაკუთრებით მავნებელია. ი. გრიშაშვილი ჯერ კიდევ 1920 წელს მოითხოვდა, რომ საბავშვო წიგნებს ენის თვალსაზრისით ერთგვარი კონტროლი დაწესებოდა, რომ მოზარდი თაობისათვის „უფრო მხატვრული და ჰაეროვანი საკვები“ მიგვეწოდებინა. პოეტი ილაშქრებდა დიალექტიზმების წინააღმდეგ: „აბა, რა ქართულია: „თვარა“, „გაიკვრიაკა“ „კედრით“, „გაიუცურაგებული“, „ძურწა და სხვა“, შენიშნავდა იგი. აქვე ვკითხულობთ: „წიგნში არის ნაკლი ცეზურისა და ენის მხრივ ბავშვის გონებისა და მესხიერებისათვის კი კარგად გაათლილ ლექსს დიდი მნიშვნელობა აქვს“.

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 185.

არა ნაკლებ საზიანოა ბავშვებისათვის სიმბოლისტური თუ სხვა დეკადენტური სკოლების მიერ ჩვენში დანერგილი და ნაწილობრივ დღემდე შემორჩენილი ენობრივი ბუნდოვანება, გაუგებარი პოეტური სახეები.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ უაზრო სიტყვები და გამოთქმები, არაბუნებრივი სახეები, ბუნდოვანი სტილი უცხოა ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებისათვის. პოეტი ნათლად, ყველასათვის გასაგებად წერს. მისი მხატვრული სახეების დიდი ღირსება სინათლე, სიცხადე და გამკვირვალბაა. მივმართოთ მაგალითებს:

„ყვავილებს ჰგვანან... აქ გადმორგულ ბატარა ნერგებს“. წერს პოეტი ომის დროს ჩვენში ევაკუირებული ბავშვების შესახებ („დაობლებული ბავშვებისათვის“), ხოლო ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული ვაჟკაცების სახლში დაბრუნება ასეთი მოხდენილი შედარებითაა გამოხატული:

დავებრუნდნენ, არა როგორც
ჯაბანი და ნარისხელი,
დავებრუნდნენ, როგორც ქარქაშს
უბრუნდება თავის ხმალი
(„ბრძოლის გმირებს... სწავლის გმირებს...“).

პოეტი უხვად იყენებს თანამედროვე სალიტერატურო ენის მდიდარ ლექსიკურ მარაგს. მისი ფრაზა არ არის ღარიბი. ამავე დროს, ავტორი დიდი გამოყენებით არჩევს ცალკეულ სიტყვებს, გამოთქმებს, ერიდება გაცვეთილს,

ტრაფარეტულს; ერიდება სმენისთვის უსიამოვნო, არამუსიკალურ ბგერებს.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები კარგი მასალაა ჩვენი მოზარდი თაობისათვის მშობლიური ენის შესასწავლად. მიუხედავად ამისა, მათში აქა-იქ მაინც გვხვდება ბავშვებისათვის გაუგებარი სიტყვები.

თავის „საბავშვო ლექსებს“ (1948 წლის გამოცემა) პოეტმა დაურთო ლექსიკონი, რომელშიაც ძირითადად თავმოყრილია აღმოსავლური სიტყვები: „შეშშიშ“, „იქერივისი“, „ქანქაი“, „ზინათი“, „ზინული“ და სხვ. რა საჭიროა დღევანდელ ბავშვს ისეთი უცხო სიტყვები და გამოთქმები მივაწოდოთ, რომლებიც დიდი ხანია უკუაგდო ქართულმა სალიტერატურო ენამ?

ი. გრიშაშვილის სახით ქართულ საბავშვო მწერლობას ჰყავს თვალსაჩინო, ორიგინალური წარმომადგენელი, რომელიც კვლავ ნაყოფიერად მუშაობს ამ დარგში და უანგაროდ ემსახურება მისი წინსვლისა და განვითარების საქმეს.

„როცა მე წავიკითხე მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მეხუთე სტალინური ხუთწლეულის პროექტი, — წერდა პოეტს პარტიის XIX ყრილობის დირექტივების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, — თვალწინ გადამეშალა ჩვენი ბავშვების კიდეე უფრო ბედნიერი მომავალი და გამოძლიერდა სურვილი შეექმნა ახალი და კიდეე უფრო უკეთესი ნაწარმოებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნორჩი თაობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით“¹.

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 36.

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი



ნ. კანდელაკმა, ვიდრე იგი ქანდაკებაზე დაიწყებდა მუშაობას, ცხოვრების საკმაოდ დიდი გზა განვლო. მისი პირველი ნაწარმოები — მამაკაცის სკულპტურული პორტრეტი, რომელმაც საყოველთაო ყურადღებასთან ერთად პროფ. ი. ა. შარლემანისა და აკადემიკოს ე. ე. ლანსერეს ყურადღებაც მიიქცია, ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი იყო მაშინ, როცა იგი უკვე 32 წლისა იყო. ამ დროს იგი გაგზავნეს სასწავლებლად ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე კანდელაკი აკადემიის დამთავრების შემდეგ გამოვიდა, როცა იგი 35 წლისა იყო.

ნიკოლოზ პორფირეს-ძე კანდელაკი დაიბადა 1889 წელს სოფ. კულაშში (სამტრედიის რაიონი). მამა მოქანდაკისა თავგამოდებით იბრძოდა სოფლად საგანმანათლებლო კერების შექმნისათვის. სამტრედიის რაიონში მისი ინიციატივით რამდენიმე დაწყებითი სკოლა გაიხსნა. ამ სკოლებში მოქანდაკის მამა ასწავლიდა ქართულ ენას. იგი დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოთა მეშვეობით მოზარდ თაობაში მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს ნერგავდა.

პატარა ნიკოლოზს „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ შესწავლამ განუმტკიცეს შეგნება, წაახალისეს ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლისადმი.

1905 წელსა და მის მომდევნო წლებში ქუთაისის გუბერნიაში ალიხანოვ-

ავარსკის სისხლიანი თარეშის დროს, კანდელაკთა ოჯახი რევოლუციონერთა თავშესაფარს წარმოადგენდა.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს კანდელაკი დიდი სიყვარულით კითხულობდა ქართველ და რუს კლასიკოსებს. უყურადღებოდ არ რჩებოდა მას არც ქართული თეატრი. იგი სიყვარულით იგონებს ელადიმერ მესხიშვილის ხელმძღვანელობით (1895 — 1906 წ. წ.) არსებული თეატრის შემოქმედებითს მუშაობას: „ამ თეატრმა მე ნათლად დამანახა შემოქმედის მაღალი საზოგადოებრივი მოწოდება, თეატრმა თვალი ამიხილა საერთოდ ხელოვნებისა და არტისტულობის მაღალ მნიშვნელობაზე. მე ბევრი დადგმა მინახავს ამ თეატრში, მაგრამ ის დიდი მოქალაქობრივი პათოსი, რომელიც ჩემში ჩანერგილა და მე განმიცდია მესხიშვილის თამაშით „გრაკებში“, სიკვდილამდე წარუშლელად დარჩება ჩემს მეხსიერებაში. დღესაც თვალწინ მიდგას მესხიშვილის კლასიკური სრულყოფით ნაძერწი სცენური სახე, მისი მომხიბველობა, პლასტიკურად მეტყველი და მგზნებარე... სცენაზე თითქოს მართლაც გაცოცხლდა ძველი რომის ტრიბუნი... ახლაც მახსოვს მისი პირისახის მეტყველება, თითქოს ძველი გენიალური ბერძენი ოსტატის ხელით გამოქანდაკებული. მკვეთრად ჩამჩჩა ის საღამო გულში, როგორც გამარჯვებათა შთამავანებელი საღამო. ჩემი, როგორც შემოქმედის, ოცნებას შეადგენს ამ უდიდესი ქართველი მსახიობის იმგვარი მხატვრული



ასახეა, როგორც მახსოვს მე იგი ამ სა-
ღამოს მიხედვით“.

ქუთაისში სწავლის წლებს და იმ სა-
ზოგადოებრივ გარემოცვას, რომელშიც
ვაქცადებოდა ეს ნიჭიერი ახალგაზრდა,
არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი
შემოქმედებითი კრედოს ჩამოყალიბე-
ბისათვის. იგი მთელი არსებით იყო
ჩაბმული უკეთესი მერმისისათვის ბრძო-
ლაში. სკოლაში განსაკუთრებული ყუ-
რადღებით სწავლობდა საბუნებისმეტყ-
ველო საგნებს... მან წარმატებით მიად-
წია გიმნაზიის უკანასკნელ კლასამდე.

ნ. კანდელაკი მე-8 კლასიდან გარიც-
ხეს „ცუდი ყოფა-ქცევისათვის“ და
მისცეს ე. წ. „მგლის ბილეთი“, რითაც
საბოლოოდ წაართვეს უფლება საშუა-
ლო სასწავლებლის დამთავრებისა.

ნ. კანდელაკი ამის შესახებ მოგვითხ-
რობს: „უკანასკნელ კლასში ვსწავლობ-
დი... სასწავლებლის დამთავრებას რამ-
დენიმე თვე მიკლდა, როდესაც რუსე-
თის სახელმწიფო სათათბიროს დეპუ-
ტატი მურომცევი გარდაიცვალა... იუ-
რისტი მურომცევი მაშინდელ ახალ-
გაზრდობაში პროგრესულ, მეფის მთავ-
რობის წინააღმდეგ განწყობილ მოღვი-
წედ ითვლებოდა... მისმა გარდაცვალე-
ბამ ქუთაისის დემოკრატიულად განწყ-
ობილ მოქალაქეებს დემონსტრაციის
გამართვის საბაბი მისცა. ამ დემონსტ-
რაციაში გიმნაზიელებმაც ფართო მო-
წინააღმდეგობა მივიღეთ... დემონსტრაციი-
სათვის გიმნაზიელები მე დავრჩამე, სა-
შაგეიროდ, მე სკოლიდან გამრიცხეს“.

შემდეგ იგი პეტერბურგში გაემგზავ-
რა სასწავლებლად. სადაც სათათბიროს
შემარცხენე დეპუტატებისა და აკადემი-
კოს ტარლეს პირდაპირი დახმარებით
ჩაირიცხა პეტერბურგის ფსიქო-ნერვო-
ლოგიურ ინსტიტუტში თავისუფალ
მსმენელად.

ნ. კანდელაკი ინსტიტუტში სწავლის
წლებში, 1912 წლიდან, იწყებს მუშაო-
ბას არალეგალურ ფილოსოფიურ-ეკო-
ნომიურ წრეში და სტუდენტთა რევო-

ლიუციური მოძრაობის თანამონაწილე
ხდება. ლენის მუშათა დახურვის გამო,
ეს წრე პეტერბურგში აწყობს პოლიტა-
კურ დემონსტრაციას. ნ. კანდელაკს,
როგორც დემონსტრაციის მონაწილეს
პოლიცია აპატიმრებს და თვენახევრით
ათავსებს ციხეში.

განთავისუფლების შემდეგ ნ. კანდე-
ლაკმა სწავლა დაიწყო დიმიტროვ-კაე-
კაშსკის სტუდიაში. კანდელაკი ამ სტუ-
დიაში 6 თუ 8 თვეს სწავლობდა. იგი
სწავლის დროს განსაკუთრებული ინტე-
რესით ეცნობოდა ერმიტაჟის ფონ-
დებს, წარმოდგენილ გამოფენაზე.
ამის მომდევნო დროში კანდელაკს
მხატვრობაში აღარ უმუშავნია დიდი
ხნის განმავლობაში.

პირველი იმპერიალისტური ოპის
დროს ნ. კანდელაკი „წითელ ჯვარში“
იწყებს მუშაობას. 1915 წელს ქ. რიზა-
ში მიემგზავრება, სადაც „წითელი
ჯვრის“ საზოგადოების კანცელარიის
უფროსად მუშაობს. ქალაქ რიზიდან
იგი სამუშაოდ ტრაპეზუნდში გადადის.
ტრაპეზუნდში ნ. კანდელაკი მსახურობს
საინჟინრო-სამშენებლო ჯგუფის ნა-
წილში, 1916 წელს გადადის ოფაში.
1917 წელს, თებერვლის რევოლუციის
შემდეგ, იგი ბრუნდება საქართველოში
და თბილისში იწყებს ცხოვრებას.

1922 წელს მოწყობილი სამხატვრო
გამოფენის კომიტეტში, რომელშიც შე-
დიოდნენ პროფესორი ი. ა. შარლემანი
და აკადემიკოსი ე. ე. ლანსერე, გაცე-
ბული დარჩნენ ნ. კანდელაკის მიერ
წარმოდგენილი ნამუშევრით. მათთვის
ცხადი გახდა, რომ ამ პორტრეტის შემქ-
მნელი დიდი ბუნებრივი ნიჭის პატრო-
ნი იყო, სპეციალურმა სახელმწიფო
სამხატვრო კომისიამ მთავრობის წინა-
შე აღძრა შეამდგომლობა ახლად აღმო-
ჩენილი თვითნასწავლი მოქანდაკის გაგ-
ზავნის შესახებ პეტროგრადის (აწ
ლენინგრადის) სამხატვრო აკადემიაში.
ეს შეამდგომლობა დააკმაყოფილეს.

უმალეს სამხატვრო სასწავლებელში შესვლისას ნ. კანდელაკს მიღებული ჰქონდა სპეციალური განათლება პეტერბურგის ფსიქო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტში და ადამიანის ანატომიის ბრწყინვალე მცოდნე იყო. აკადემიაში მას პირველ ხანებში ქანდაკებას მოქანდაკე ულინი ასწავლიდა, შემდეგ კი მატვეევი. კანდელაკს ასწავლიდნენ აგრეთვე მხატვრები: შერვუდი, ლიშეევი, მანიზერი, ბობროვი, მეშკოვი და რადლოვი. აკადემიაში სწავლის დროს მან დიდი წარმატება გამოიჩინა და საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ამ დროს იგი ნაყოფიერად მუშაობდა თვითგანვითარებაზე, განსაკუთრებული გულისყურით და მონდომებით სწავლობდა კლასიკური მემკვიდრეობის იმ ნიმუშებს, რომლებიც ერიტაქში იყო დაცული. აქ იგი აყვირდებოდა არა მარტო ქანდაკებას, არამედ კლასიკურ ფერწერასა და გრაფიკასაც.

ნ. კანდელაკმა ლენინგრადის სამხატვრო აკადემია დაამთავრა 1926 წელს. მის მიერ შესრულებულმა კომპოზიციურმა, ნატურალური ზომის ფიგურამ — „მთბველი ქალი“ საერთო ყურადღება დაიმსახურა. მოქანდაკემ პირველი ხარისხის დიპლომი და საზღვარგარეთ მივლინების უფლება მოიპოვა.

თბილისში დაბრუნებულმა მოქანდაკემ თან ჩამოიტანა თავისი რამდენიმე ნამუშევარი. ამ ნამუშევრებთან გაცნობის შემდეგ პროფესორ ი. ი. ნიკოლაძის, პროფესორ ი. ა. შარლემანის და აკადემიკოს ე. ე. ლანსერეს წინადადებით, 1926 წელს ნ. კანდელაკი მიწვეული იქნა თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორის თანამდებობაზე (ინდივიდუალურ სახელოსნოში). სამხატვრო აკადემიის მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ მოწვევას. მრავალი მათგანი გადავიდა მის სახელოსნოში სასწავლებლად. ამ მოსწავლეთაგან დღეს ცნობილი არიან:

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. აბაკელია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. მიქატაძე, ე. მაჩაბელი, მ. თალაკვაძე და სხვ. ნ. კანდელაკმა აღზარდა მომდევნო თაობის არა ერთი და ორი ნიჭიერი მოქანდაკე: ამათგან — ნ. ალექსიძეს, გ. თოჭეს, ზ. კრაწაშვილს, რ. შეროზიას, ტ. სიხარულიძეს, ა. ჟორდანიას, ნაცელი-შვილს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება.

ნ. კანდელაკის პედაგოგიურ მოღვაწეობას, მისი სწავლების მეთოდს და სინამდვილის მხატვრული ასახვის ხერხებს — სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად — უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული საბჭოთა სკულპტურის ზრდისა და განვითარებისათვის, მისი საბოლოო ჩამოყალიბებისათვის. ნ. კანდელაკი, ი. ნიკოლაძესთან ერთად, დამწერგველია ქართული საბჭოთა ქანდაკების მაღალი კულტურისა, იმ კულტურისა, რომელიც ქართულ მოქანდაკებს ღირსეულად აყენებს საბჭოთა ხალხის ხელოვნების მუშაკთა მოწინავე რიგებში.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების დღიდან ნიკოლოზ კანდელაკი სისტემატურად მონაწილეობს ქართველ მხატვართა მიერ გამართულ ყოველ გამოფენაში. უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე, სამხატვრო აკადემიის დამთავრების დღიდან დაწყებული, მის მიერ შექმნილია მრავალი ათეული „საქანდაკო ნაწარმოები, განხორციელებული ბრინჯაოსა, ქვასა, მარმარილოსა და თაბაშირში. ამ ნაწარმოებთა შორის გვხვდება მთელი რიგი ბრწყინვალე, კამერული თუ მონუმენტური საპორტრეტო თანრის, ქმნილებანი, გვხვდება აგრეთვე მონუმენტური ქანდაკების საყო-

რადღებო ნიმუშები. ნ. კანდელაკი ერთ-ნაირი ინტერესით მუშაობს და ერთნაირი ძალით ფლობს მონუმენტური თუ დაზგური ქანდაკების ხელოვნებას. მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთათვის დამახასიათებელია სისადავე, ფორმების დიდი პლასტიკური სინათლით გრძნობა, ამ პლასტიკური ფორმების არტისტული და ცოდნით საესე ძერწვა. მოქანდაკის ნაწარმოებებს პორტრეტის ქანში ახასიათებს გამოსასახავი პირობების ნათელი, ყოველმხრივი და ღრმად ფსიქოლოგიური კითხვა. იგი გამოსასახავი პირის შინაგან ემოციათა ნაკადს დიდი გრძნობით და მხატვრული განზოგადოებით გადმოცემს გარეგნული ფორმის მეშვეობით.

ნ. კანდელაკის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ერთგვარი ზოგადი განიშნებლის სახით, ჯერ კიდევ მოქანდაკის მიერ 1926 წელს შექმნილ „ფიზულტურელი ქალის“ ფიგურაში აისახა. აქ მისთვის დამახასიათებელი იყო ფიგურის შესანიშნავი მხატვრული ტაქტით ძერწვა. ამასვე მოწმობს მისი „ფიზულტურელის“ ფიგურა (1927 წ.), ბარელიეფი საკოლმეურნეო თემაზე (1929 წ.), გრ. კუპაიძის პორტრეტი (1939 წ.), „მოკრივეს“ კომპოზიცია (1934 წ.) და რევოლუციონერ ელბაქიძის მონუმენტი (1932 წ.). აღნიშნულმა ნამუშევრებმა ნათლად გამოკვეთეს ნ. კანდელაკის მხატვრული შესაძლებლობანი და აჩვენეს დამოკიდებულება მოქანდაკისა საბჭოთა სინამდვილისადმი, საბჭოთა ხელოვნების ამოცანებისადმი.

ამ ნაწარმოებებში კანდელაკი გამოჩნდა როგორც ხელოვანი, გატაცებული ჩვენი სინამდვილის მხატვრული ასახვის ამოცანებით. მის აღრეულ ზოგიერთ ნაწარმოებში ჩანდა და იგრძნობოდა არასწორი ტენდენციაც, რაც ერთგვარი ხარკი იყო იმ დროის ხელოვნე-

ბაში არსებული მოდური გატაცებისადმი. ეს ხარკი მდგომარეობდა „გამარტივებაში“, რაც მოქანდაკის მიერვეული პერიოდის ნაწარმოებებში გამოწვეული იყო უფრო ფორმათა მონუმენტური გადმოცემის ცდითა და მიდრეკილებით და არა რეალური ფორმების სქემამდე დაყვანის მიზნით. ეს ტენდენცია, მაშინ თვალსაჩინოდ გამოვლენილი, იმდროინდელი საბჭოთა მოქანდაკეების ნაწარმოებებში საერთოდ, ნაწილობრივ იგრძნობოდა აგრეთვე კანდელაკის ფიგურულ კომპოზიციებში და არა პორტრეტებში. ხსენებული ტენდენცია კანდელაკმა არსებითად დაძლია „მოკრივის“ კომპოზიციურ ფიგურაში; აქ „მოკრივის“ სხეულის ფორმები და მთლიანი ფიგურის სივრცეში დაყენება, მისი მოძრაობის კონკრეტული, რეალურად პლასტიკური გააზრება, დიდი მხატვრული განზოგადებელი ძალით გადმოსცემდა „მოკრივის“ ფიზიკური ძალის თავისებურებებს, მის კუნთოვანებას, მის მოსაზრებულობას და სისწრაფეს.

მომდევნო ორი წლის მანძილზე ნ. კანდელაკი საყურადღებო ქართულ სკულპტურულ პორტრეტებს ქმნის. სახალხო არტისტის ა. ხორავას (თაბაშირი, 1934 წ.), სახალხო არტისტის ა. ვასაძის (თაბაშირი, 1935 წ.), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ ლ. გუდიაშვილის (ქვა, 1935 წ.) და სხვა პორტრეტები აჩვენებენ მოქანდაკის არა მარტო საბჭოთა სინამდვილისადმი დამოკიდებულებას, არა მარტო ჩვენი მოწინავე ადამიანებისადმი ფაქიზსა და ყუჩადღებიან დამოკიდებულებას, აჩვენებენ არა მარტო იმას, რომ მოქანდაკე მთელი თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის დიდ სინამდვილესთან მხატვრული ასახვით, არამედ იმასაც, რომ მოქანდაკის ძირითად ამოცანას სწორედ საბჭოთა ადამიანის მხატვრული ასახვა წარმოადგენ-

და. ამ პორტრეტებში მოქანდაკე ცდილობს მოგვეცეს ყველა შემთხვევაში ცალკე, ყოველი გამოსახული პირის სრული მხატვრული დახასიათება, მოგვეცეს მათი შემოქმედებითი სახის მხატვრული ანარეკლი, მხატვრულად ასახული ბიოგრაფია.

ხსენებულ პორტრეტებში კანდელაკი გვევლინება მონუმენტური პორტრეტის ჩამოყალიბებულ ოსტატად. მისი მხატვრული თავისებურებანი და მისი მუშაობის ხერხები ფორმათა ძერწვისა აქ არსებითად ემყარება მონუმენტურობის შემუშავებელი წესებისა და ხერხების ხმარებას. ფორმები ნაძერწია არა შუქჩრდილის ეფექტის შექმნისა და მიღებისათვის, არამედ თვით სინამდვილეში მოცემულ ფორმებთან სრული მხატვრული შესატყვისობით, სხეულის და პირისაზის აგებულების შინაგანი ჩონჩხისა და ჩინჩხთან კუნთოვანი სისტემის დაკავშირების წესის შესაბამისად. მისი შუქ-ჩრდილთა ეფექტი მიღებული და ნაწარმოებია თვით ანატომიური აგებულების პლასტიკასთან სრული შესატყვისობით და მხატვრული აქცენტირების გზით.

თუ ამ ნაწარმოებებში აქა-იქ ჯერ კიდევ მანკი იგრძნობა ფორმათა ნაწილობრივი დაუმუშავებლობა, ერთგვარი „განზრახვითი“ მონუმენტურობის შექმნის ცდა, ასეთი რამ კანდელაკს თავის მომდევნო დროის ნამუშევრებში დიდი მხატვრული ტაქტით აქვს დაძლეული. სახალხო არტიტების ა. ხორავას და ა. ვასაძის პორტრეტებში, გარდა გარეგნული, წმინდა იკონოგრაფიული ხასიათის მსგავსებისა, დიდი არტიტულობით აქვს გადმოცემული ცალ-ცალკე თითოეული მსახიობისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი სახის თავისებურებანი, მათი სასცენო სამსახიობო: ვლფერი და ხმა, ასე ნაცნობი და შთაბეჭდილი რუსთაველის თეატრის ყოველი მსახიობის მესხიერებაში. მოქან-

დაკე ამ პორტრეტებში წარმოადგენს გამოსახულ პიროვნებას ერთგვარ, თავისებურ პლასტიკურ მხატვრულ დახასიათებათა ცდას.

ა. ხორავას პორტრეტი მოქანდაკის გადმოცემაში აღსაენია პეროიკულის ნიუანსით და შესანიშნავად აჩვენებს მსახიობის მიერ შექმნილ სასცენო სახეებისათვის დამახასიათებელ იმ შანაგან დაძაბულობას, იმ პეროიკულ ტონს, რომლითაც ხსენებული მსახიობი ხორავასასამსახურში იმ სცენურ სახეს. პორტრეტში მოქანდაკე ერთგვარად აზოგადობს არტიტის მთლიან შემოქმედებითს სახეს, მის შემოქმედებითს გზას, რითაც იგი ქმნის მის სკულპტურულ პორტრეტს. მოქანდაკე ასევე ცდილობს შექმნას ა. ვასაძის პორტრეტში ვასაძისათვის დამახასიათებელი არტიტული ხელოვნების გაგების შესატყვისი, მისი სამსახიობო კონცეფციის გაგების შესატყვისი პლასტიკური სახე.

ნ. კანდელაკს, როგორც მხატვარს, კარგად ესმის ის განსხვავებული შემოქმედებითი მიდგომის საჭიროება, რომელიც ევალბოდა შემოქმედს სინამდვილის მხატვრული გადმოცემისას. ამ თვალსაზრისით მოქანდაკის მიერ შექმნილ სკულპტურულ პორტრეტთა გაღერებაში ყურადღებას იქცევს მსოფლიო რეკორდსმენის იოსელიანის (თბაშიორი, 1939 წ.), მსახიობი ქალის ა. მ. თოძის (ქვა, 1937 წ.) და სამთო მრეწველობის მუშის (ბრინჯაო, 1938 წ.) პორტრეტები.

ხსენებულ სამ პორტრეტში, რომლებიც მოქანდაკის მიერ შექმნილია ორიოდ წლის მანძილზე, ყურადღებას იქცევს მათში წარმოდგენილი მხატვრული გადმოცემის, არა მარტო ამოცანის შესატყვისი განსხვავებული მუშაობის ხერხები და კომპოზიციის პრობლემათა განსხვავებული გააზრება, არამედ ყოველი შემთხვევისათვის აღებული მთლიანი მხატვრული სახის შესატყვისი ძერწვისა და მუშაობის მხატვრული ჩანა-



ფორმითან შესატყვისი განსხვავებული გაგებაც. მიუხედავად იმისა, რომ მოქანდაკე არც ერთ ამ პორტრეტში არ იყენებს გამოსახული პირის პროფესიისათვის დამახასიათებელ რაიმე ატრიბუტს, იგი პორტრეტის მხატვრული გადაწყვეტით მაინც დიდი მხატვრულობით ახერხებს არა მარტო გამოსახული პირის ინდივიდუალიზირებულ ფსიქოლოგიურ დახასიათებას, არამედ იმ ტიპურის გადმოცემასაც კი, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამახასიათებელია გამოსახული პიროვნების პროფესიისათვის. რეკორდსმენ იოსელიანის პორტრეტში, მიუხედავად იმისა, რომ პორტრეტული კომპოზიცია მარტოოდენ პირისახითა და ყელითაა შემოფარგლული, მოქანდაკეს დიდი ოსტატობით აქვს გადმოცემული გამოსახული პირის პროფესიისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. რაც მიღებულია პირისახის მეტყველებისა და ფორმების შესატყვისი ძერწვის მეშვეობით.

მოქანდაკის გადმოცემაში ა. თოიძე დახასიათებულია. როგორც მსახიობი, მარად ქალურ სცენურ სახეთა შემოქმედი. კანდელაკი თოიძის პორტრეტს ხორცს ასხამს უსათუთესი და უნაზესი იერით. პორტრეტის კომპოზიცია კანდელაკს — სხეულის მხატვრული გაზარების მხრივ აგებული აქვს უნაზესი ფორმების ოვალური მოცულობებით გადმოცემაზე. შინაგანად მგრძობიარე, ტემპერამენტიანი ნატურა, გარეგნულად ოდნავ ცივი და მშვიდი. გადმოცემული მარმარილოს ფერსა და ფაქტურაში — ასეთია მსახიობი ა. თოიძე მოქანდაკის გადმოცემაში.

1938 წელს ნ. კანდელაკი ქმნის საყურადღებო მონუმენტურ ქანდაკებას — „ფიზულტურელი ქალი“ (თაბაშირი, 270 სმ.). ამ მონუმენტში მოქანდაკე საკმაოდ დახვეწილი პროპორციებით ძერწავს საბჭოთა ფიზულტურელი ქალის სისხლსავსე ფიგურას. ფიგურის მოძრაობას მოქანდაკე მხატვრულად

ახასიათებს სილალით და თავისუფლების დიდი გრძნობით. სხეულის მოცულობითი ფორმები მონუმენტში გადმოცემულია დიდი არტისტულობით და განზოგადებით. სილუეტი მონუმენტისა მკვეთრად მოცულობითია, მისი სხეულის ფორმები ნაძერწია თვალნათლივ და მატერიალურად და თითქმის მთლიანად თავისუფალია მოქანდაკის ადრინდელ ნამუშევართათვის დამახასიათებელ ფორმათა „გამარტივებისაგან“.

მოქანდაკის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯს მოწმობს კომპოზიტორ დ. არაყიშვილის პორტრეტი (თაბაშირი, 1939 წ.).

ადრინდელ და ამ პერიოდის ნამუშევრებიდან თვალსაჩინოდ განსხვავებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტი (თაბაშირი, 1939 წ.). ეს პორტრეტი წარმოადგენს მოქანდაკის პირველ ცდას ამ დიდად საპასუხისმგებლო მხატვრული სახის შექმნაში. ამ პორტრეტში დასახულ მხატვრულ ამოცანას კანდელაკი კვლავ უბრუნდება მომდევნო წელს და იგი პირველი ქმნის ერთ-ერთ შესანიშნავ პორტრეტს (ქვა, 1940 წ.). იმ პორტრეტთა შორის, რომლებშიაც კი ასახულია მხატვრული სახე ბელადისა.

ი. ბ. სტალინის პორტრეტში მოქანდაკე, კამერულ პორტრეტისათვის დასაშვებ ფორმებში, საბჭოთა მოქანდაკეებს შორის პირველი იძლევა შესანიშნავ ცდას ბელადის მხატვრულ სახის კამერული პორტრეტის ერთგვარი მონუმენტური გაზარებისა. პორტრეტის ანფასი და პროფილი მოქანდაკის მიერ გადმოცემულია გარეგნული მსგავსების ბრწყინვალე დაცვით. მოქანდაკე ამ პორტრეტში ინარჩუნებს რა პირისახის გარეგნულ პლასტიკურ იერს, მხატვრულად, ღრმად და აზრიანად ხსნის გამოსახული პიროვნების შინაგან სამყაროს, რითაც მხატვრულად, თვალნათლივ აჩვენებს მყურებელს ბელადის შინაგან სილიადეს და მის ხასიათს. ესო-

დენ ნაცნობსა და მშობლიურს მშრომელი კაცობრიობისათვის.

ესაა მნიშვნელოვნად ემოციური და ღრმად მეტყველო პორტრეტი. ამ პორტრეტში შექმნილი წარმოდგენილია ფორმებთან სრული შენატყვისობით და რეალისტური ტაქტით.

1941 წელს ნ. კანდელაკი ქმნის ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის და ქართული თეატრის საყურადღებო მოღვაწის შ. დადიანის პორტრეტს (თაბაშირი). ამ პორტრეტში მოქანდაკე ცდილობს გადმოცეს მწერლის სიღარბისლე, მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ეპიკური სიღინჯე. მწერლის თანამედროვე სახის პორტრეტის შექმნის მხატვრულ ამოცანას იგი რამდენადმე აცოცხლებს ქუთაისში, ყრმობისას მიღებული უშუალო შთაბეჭდილებითაც.

ნ. კანდელაკმა 1942-44 წ. წ. შექმნა მთელი რიგი ღრმად ფსიქოლოგიური და პლასტიკურად გამომსახველი პორტრეტები. პროფესორ ა. შანიძისა (თაბაშირი), დოცენტ ასლანიშვილისა (თაბაშირი), პროფესორ წულუკიძისა (თაბაშირი), პროფესორ ჯანიღერისა (თაბაშირი), პროფესორ ნათიშვილისა (თაბაშირი), პროფესორ ქუთათელაძისა (თაბაშირი) და სხვ.

მოქანდაკისათვის ნაყოფიერი იყო 1945-46 წლები. ხსენებულ წლებში ნ. კანდელაკს ქვაში გადააქვს თავისივე შესრულებული პორტრეტი პროფესორ გ. მუხაძისა. ამ ბრწყინვალე პორტრეტში მოქანდაკე დიდი ოსტატობით გამოგვეცხს არა მარტო გარეგნულ მსგავსებას და დიდი ქართული ქირურგის ხასიათის თავისებურ გამოვლინებას, არამედ აცოცხლებს ქირურგის მთლიან პიროვნებას. მაყურებელი ამ პორტრეტის ხილვისას გამოსახულ პიროვნებას თითქმის ქირურგისათვის ჩვეულს გარემოსა და მოქმედებაში ხედავს. პორტრეტის სახის ნაკვეთები დიდი მხატვ-

რული სიმართლით აღადგენს მუხაძის სახის იკონოგრაფიას და მხატვრული დამაჯერებლობით ახასიათებს მის პიროვნებას. ამ წლებში ნ. კანდელაკი ქმნის ექიმ პროფესორ ყიფშიძის პორტრეტს (თაბაშირი) და ქალის „ტორსს“. უკანასკნელ ნამუშევარში ოსტატი პირდაპირ აცოცხლებს თვალისათვის სხეულის ფიგურას, რასაც მხატვარი აღწევს მისთვის ჩვეული ოსტატობით. ფიგურის სილუეტი, საოცრად გამოკვეთილი და მუსიკალური, მთლიანში გადმოცემულია ნატიფი პროპორციებით და ძერწვის მიგნებულობით.

მომდევნო წლების ნაწარმოებებში მოქანდაკე აღრმავებს თავის შემოქმედებითს ძიებას. ამ პერიოდის ნაწარმოებთა შორის ქართული ქანდაკებისათვის საინტერესო შენაძენს წარმოადგენს ახ. ლ. პ. ბერიას პორტრეტი (ბრინჯაო, 1946 წ.) და ფიგურული კომპოზიცია. რომელიც აგრეთვე ამხანაგ ლ. პ. ბერიას ასახავს მხატვრულად (თაბაშირი, 2,70 სმ, 1949 წ.). ამხანაგ ლ. პ. ბერიას, დიდი სტალინის თანამებრძოლს, მოქანდაკე მხატვრულად ახასიათებს დიდი სითბოთი. მონუმენტში იგი ამხანაგ ბერიას გვიჩვენებს, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ბრძნული გამოხედვა მშვიდია და შეურყენელი, აღსაუვსეა ადამიანის უკეთესი მკრამისისათვის ზრუნვის იერით. პორტრეტის გამოხედვაში დიდი დამაჯერებლობით არის ასახული ამხანაგ ბერიას სულიერი სამყარო. პორტრეტში ნათლად ჩანს პლასტიკური ძერწვის ოსტატის ხელი. ყოველი კუნთი აქ გამოვლინებულია მხატვრული ძერწვის მეშვეობით.

ახ. ლ. პ. ბერიას მონუმენტში მოქანდაკე აღრმავებს და ამდიდრებს მხატვრული სახის ინტერპრეტაციას და ერთგვარად აზოგადოებს მას, რისთვისაც

კარგად იყენება კომპოზიციურ-მხატვრული გააზრების ყოველ ელემენტსა და დეტალს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიგურის პლასტიკური აგებისა და სხეულის მოცულობათა პლასტიკური ძერწვის მხრივ, ეს მონუმენტი მთლიანად მაინც არა დგას ნ. კანდელაკის შესაძლებლობათა სიმაღლეზე.

როგორც ტორსის, ასევე ქვედაკიდურთა ტანსაცმელით შემოსვისას, მონუმენტში მთლიანად არ არის ნაპოვნი ფიგურის სხეულის შინაგანი ფორმები. ასეთივეა ფაქტურა ტანსაცმელისა და წამოსასხამისა მათი მატერიალური გადმოცემის მხრივ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ნ. კანდელაკს ამის დაძლევა შეეძლო.

რეალისტურ მეთოდზე დამყარებული ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობა, მუდმივი ძიებანი მეტყველი პლასტიკური ფორმებისა, ნატურის, როგორც გარეგნული ფორმების, ისე მისი ფსიქიკური სამყაროს ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა მოქანდაკის მიერ თანმიმდევრული სწრაფვა საკუთარი მხატვრული ზერხებისა და ძერწვის ხელის შემუშავებისაკენ სათანადო ნაყოფს იძლევა. ნ. კანდელაკი საბოლოოდ დიდი ხელოვნებით ეუფლება საპორტრეტო ჟანრის ხელოვნებას. მისთვის ადამიანის პორტრეტის შემუშავებული გარეგნული, კუნთოვანი ფორმები, მათი აგება და ამ აგებიდან პირისახის სტრუქტურიდან გამომდინარე შექმარდილის გრადაცია, შექმარდილის აგება, მოქანდაკისათვის თითქმის მუსიკალური ინსტრუმენტის კლავიატურის მაგვარ ხასიათის მოვლენად იქცევა. კანდელაკმა იცის, რომ ძერწვის ოსტატს შეუძლია, ისე როგორც მუსიკის კლავიატურიდან, ყოველ ნაკვეთს პორტრეტისა ისეთი ხმა გამოაღებინოს, ისე აამეტყველოს. ისე ააქლეროს, როგორც ეს არის მოცემული თვით ადამიანში, თვით გამოსასახვე პიროვნებაში. ნ. კანდელაკისათვის შემოქმედებითი პროცესი ორ მომენტს

გულისხმობს: მოაენტს ხილვისას — სინამდვილის შეცნობას და მისი წარმოსახვისას — თხზავს აზრში სინამდვილისათვის შესატყვისი მხატვრული ფორმებისა და ამ ფორმების პლასტიკურ განხორციელებას. შემოქმედებითი ამოცანის ასეთი გაგება კანდელაკს შეუშუშავდა უმთავრესად ხელოვანისა და პედაგოგის დიდი გამოცდილების საფუძველზე. კანდელაკის ბოლო დროის ნამუშევრებში ჩანს, რომ იგი ამ მიზნებისაკენ ისწრაფვის. საერთოდ დამახასიათებელია, რომ კანდელაკს შემოქმედებითი აქტის მთელი აზრი საქანდაკო ნაწარმოებში, პორტრეტის შექმნისას, პირისახეზე, ადამიანის სულიერი ყოფის ამ უტყუარ სარკვეზე გადააქვს ხოლმე.

მის ზოგიერთ ნაწარმოებში გამოვლენილი დაუდევრობანი, საპორტრეტო ჟანრის ფიგურის დამუშავების საქმეში ნაწილობრივ ამითაც უნდა იქნეს ახსნილი. პორტრეტში მას მაცურებლის ყურადღება პირისახეზე გადააქვს, კომპოზიციის სხვა დეტალებს კი რამდენადმე ჩქმალავს, არ ამუშავებს: კანდელაკის მიერ შექმნილ პორტრეტებში ასეთი მუშაობის წესი ხანდახან მიზანს აღწევს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მთლიან პორტრეტს ეტიუდურად წარმოადგენს ხოლმე. საჭიროა მოქანდაკემ თავისი საგულისხმო მიდგომა პორტრეტის დარგში ყოველი ცალკეული შემთხვევის მიხედვით, მხატვრული ამოცანის მიხედვით დიფერენცირებულად მოხმაროს.

ნ. კანდელაკმა თავისი არტისტული გამოცდილება და სკოლა გვიჩვენა არსებითად უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში შექმნილ ღრმა ფსიქოლოგიური ძალით დახასიათებულ საპორტრეტო ჟანრის კომპოზიციებასა და ფიგურებში. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარშალ ტოლბუხინის (ბრინჯაო, 1947 წ.), საბჭოთა კავშირის გმირის, პარტიზან ბაქრაძის (ქვა, 1943 წ.), დ. ლეონიძის (თაბაშირი,

1949 წ.), ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ანტონოვის (თაბაშირი, 1950 წ.). პროფესორ ნ. ბერძენიშვილის (თაბაშირი, 1952 წ.), აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის (თაბაშირი, 1952 წ.), სახალხო არტისტის ნ. ვაჩნაძის (თაბაშირი, 1952 წ.) და მოქანდაკის მეულლის საოცრად გონიერსა და ღრმად აღმაიანურ სახეს, მოქანდაკის მიერ სინამდვილესთან სრული შესატყვისობით შექმნილსა და გამოძერწილს. ვფიქრობთ, რომ პორტრეტის ამგვარ მხატვრულ გამოსახვაში, ამგვარ გააზრებაში არის სწორედ ძლიერება სოციალისტური რეალიზმისა.

ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი სკულპტურული პორტრეტი მარშალ ტოლბუხინისა, გამოსახული ინდივიდის პირისახეს დიდი მსგავსებით გადმოგვცემს. იგი პლასტიკურად უზადოა. პორტრეტში გახსნილია მეომრის პიროვნება. იგი დახასიათებულია ფსიქიკის ღრმა ცოდნით და განვრცობით. პირისახეზე მკაფიოდაა აღბეჭდილი ხასიათის ღრმა კვალი. ყოველი დეტალი დამორჩილებულია დიდი მეომრის ხასიათის პორტრეტული გახსნილობით. მასში ღრმად ინდივიდუალიზებული მხატვრული სახეა გადმოცემული. სამხედრო ამოცანის ღრმა, აზრიანი, შეგნებული და მოსწრებული, რამდენადმე სამხედრო ღრმა ჩაფიქრება ნათლადაა აღბეჭდილი ამ სახეზე. რუსული სამხედრო აზრი, მისი გამჭვირება იერი, ნათლად გამოვლენილი ჯერ კიდევ დიდი რუსი მთავარსარდლის კუბტუოვის სამხედრო მოქმედებაში, დამახასიათებელი რუსული სამხედრო გენიისათვის, კანდელაკის მიერ ტოლბუხინის მეტყველებაში დიდი მხატვრული ზომიერებითაა გადმოცემული. ამ პორტრეტში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ტოლბუხინის სახის მეტყველებაში გამოვლენილი, საბჭოთა მეომრისათვის დამახასიათებელი, ჰუმანიზმის დიდი შუქი. ტოლბუხინის პორტრეტზე ღრმადაა აღბეჭდილი საბჭოთა მეომრი-

სათვის დამახასიათებელი, მაღალდამიანური სწრაფვისა და კეთილშობილების კვალი. პორტრეტში ნათლად გამოვლენილია საბჭოთა გენერლისათვის დამახასიათებელი უბრალოება და ამხანაგური, გულისხმიერი დამოკიდებულება მისდამი დამორჩილებულ მეომრისადმი. ამ პორტრეტში მეომრის ამ დიდი შინაგანი აზრის, ამ განმასხვავებელ თავისებურებათა, გადმოცემა, ვფიქრობთ, მოქანდაკის შემოქმედებისათვის ყველაზე დიდი მონაპოვარია. ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი ტოლბუხინის პორტრეტი ნათლად შეინახავს შთამომავლობისათვის სტალინური ეპოქის მეომრისა და სარდლის (თაბაშირი, 1952 წ.) სახეს.

გენერალ ანტონოვის პორტრეტში მოქანდაკე გამოსახულ პიროვნებას პლასტიკურად სხვაგვარად ახასიათებს. მოქანდაკეს კარგად ესმის გამოსახავი პირის ხასიათი, იგი ღრმად სწვდება მის ფსიქიკურ სამყაროს. მოქანდაკე აქაც საბჭოთა სამხედრო სკოლიდან გამოსულ სარდალს ასახავს მხატვრულად, მგზრამ, როგორც კომპოზიციურად, ასევე პირისახის ნაკეთების მხატვრული დამუშავების მხრივ ახდენს რა გამოსახული პირის სრულ მხატვრულ ინდივიდუალიზებას, მას სხვაგვარად ასახავს. ანტონოვი ამ პორტრეტში დახასიათებულია განსჯის, ცივი ანალიზისა და აქედან გამომდინარე შესატყვის სამხედრო ღონისძიებათა, სარდალად. პორტრეტის სახის დახვეწილი ფორმები პლასტიკურად სათუთი ნაკეთებით გადმოცემული, შინაგანი და გარეგნული მეტყველების მხრივ, ცივია და თავშეკავებული. ამ სახის მეტყველება და მისი იერი, საოცრად მშვიდი და თავშეკავებული იერი, რამდენადმე დიდი განსჯის უნარის მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. პირისახისა და გამოსახვის ფორმათა დახვეწილობას მოქანდაკე თითქოს გამოსახული პიროვნების აზრის დახვეწილობის გადმოსაცემად



მოიხმარს. მოქანდაკის მიერ ანტონოვი დახასიათებულია დიდი შინაგანი ბუნებრივი კეთილშობილებით. ეს ის კეთილშობილებაა, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ საბჭოთა მეომრისათვის. ეს ის კეთილშობილებაა, რომელიც აკვირვებდა ქვეყანას საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროს.

ნ. კანდელაკის მიერ შექმნილ პორტრეტთა გალერეიდან საბჭოთა სკულპტურული პორტრეტის ისტორიაში, როგორც მიღწევა, როგორც დიდი პლასტიკური ალლოთი ნაბერძნი და პიროვნებათა ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათების ნიმუში, ყოველთვის დარჩება პროფესორ ნ. ბერძენიშვილისა და აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის პორტრეტები. ამ პორტრეტებით მოქანდაკემ შექმნა საესკებო მხატვრულად დასრულებული, რეალისტური სახეები ჩვენი დროის მეცნიერებისა. უფრო მეტიც: ნ. კანდელაკმა თითოეულ პორტრეტში დიდი მხატვრული ძალით გამოკვეთა გამოსახულის ინდივიდუალურ ხასიათთან ერთად საერთო და ტიპური. ასაზარა საერთო და ტიპური, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამახასიათებელია და მეცნიერული მოღვაწეობის ხასიათიდან გამომდინარეობს, რაც მუშაობის სპეციფიკურ ხასიათთანაა დაკავშირებული, გამოსახულ პირთა გარეგნულ მსგავსებასთან პირდაპირ არტისტულ ძერწვასთან ერთად, მოქანდაკემ შეძლო, გამოსახულ პიროვნებათა შინაგანი სამყაროს, მათი ფსიქიკური „მეს“ დიდი მხატვრულობით გადმოცემა. კანდელაკი აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ახერხებს შესატყვისი პლასტიკური ძერწვისა და გამომსახველ ფორმათა მიგნებულ, მხატვრულ დაზუსტებას. ისე, რომ ერთხელაც არ კარგავს რეალისტი ხელოვანისათვის აუცილებელსა და ნიშანდობლივი შემოქმედებითი განზოგადოების და ზომიერების უნარს. ამ პორტრეტების მეტყველებაში მთელი ძალით ასახულა იმის ღრმა შეგნება

საბჭოთა მეცნიერისა, რომ იგი მარფლიოში ჯერ არნახული ეპოქის დახატვითა უკეთესი ცხოვრების მშვენიერებას პორტრეტში საბჭოთა მეცნიერის მოვალეობის შეგნება, მისი ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობის გააზრება, მთლიანი პორტრეტების მეტყველებაში მოქანდაკის მიერ პეროიკულის ნიუანსითაა გადმოცემული. საბჭოთა მეცნიერი — გმირი, ახალი ცხოვრების მშენებელი, ხალხის მსახური, — ასეთია მოქანდაკის დახასიათებაში საბჭოთა მეცნიერი ხსენებული პორტრეტების მიხედვით. ყველაზე უფრო შესანიშნავია ამ პორტრეტებში და საყურადღებო ახლის გრძნობა, რაც ასე შესანიშნავად იგრძნობა პორტრეტის მეტყველებაში. საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი ახლის გრძნობა მოქანდაკეს გადმოცემული აქვს მეტყველი პლასტიკური ენით.

ასევე მნიშვნელოვანია და თავისებური ნ. კანდელაკის ფიგურული კომპოზიციისა. ქანდაკების ამ სფეროში ნ. კანდელაკის შემოქმედება ემყარება სინამდვილეში მოცემულ ჯანმრთელ, სიცოცხლით სავსე და მეტყველი ტანის ფორმათა სახიერებას. ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი ფიგურული კომპოზიციები თავისებური პიზნია, თავისებური პლასტიკური დიფერენცია, მიძღვნილი ადამიანის სხეულის მშვენიერებისადმი. ნ. კანდელაკი დაუცხრომელი მომღერალია ადამიანის ჯანმრთელი, შიშველი სხეულის მშვენიერებისა, მისი მხატვრული მომხიბვლელობისა. ამ სფეროში მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სამყაროს ოპტიმისტური აღქმა. ნ. კანდელაკის ფიგურულ კომპოზიციებში ყოველთვის თვალსაჩინოადაა გამოვლენილი დიდი სიყვარული ადამიანის ტანის ფორმების, მისი დახვეწილობისა და პროპორციების სრულყოფის მიმართ. ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი ფიგურული კომპოზიციები ყოველთვის დახასიათებულია ანატომიის ღრმა ცოდნით და

მისი მხატვრული გადამუშავებით: კანის ფაქტურის დახვეწილი, სათუთი, რეალისტური სრულყოფილი. გადმოცემით ფიგურის სილუეტის პლასტიკური მოვლირებით და მოცულობათა მატერიალური ხელშესახები ძერწვით.

ნ. კანდელაკი ქართული საბჭოთა ქანდაკების შემქმნელი და საბჭოთა ქართველი მოქანდაკეების ერთ-ერთი აღმზრდელია. სინამდვილის აღქმასა და მის მხატვრულ გადმოცემაში ნ. კანდელაკს ახასიათებს ინდივიდუალიზებული ხილვა მოვლენისა, საკუთარი ხელი ძერწვისა, ფორმათა მიგნებული და არტისტუ-

ლი განზოგადოება, მოვლენის მონუმენტური იერით გადმოცემა და გამოსახავი სინამდვილის ღრმა შემოქმედებითი და ყოველმხრივი ცოდნა. მისი მხატვრული თვალი, ოსტატობის დონე, ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, თანადროულობის, ახლის უშუალო გრძნობა და ოპტიმისტურ-პეროიკული აღქმა დიდი საბჭოთა სინამდვილისა და მისი ადამიანებია ღირსეულად აყენებს ჩვენს მოქანდაკეს მოწინავე საბჭოთა ოსტატების რიგებში და საბატო სახელს უმკვიდრებს საბჭოთა ქართული ქანდაკების ისტორიაში.

მშვიდობის მგზნებარე მქალაქი



გამოჩენილ საბჭოთა მწერალს ილია ერენბურგს მიენიჭა ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო სახელი. ამ მოვლენით მკაფიოდ დადასტურდა როგორც ი. ერენბურგის პირადი დამსახურებანი, ისე მთელი საბჭოთა ლიტერატურის განსაკუთრებული როლი ამის გამჩალებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, მშვიდობის განმტკიცების დიდ, ისტორიულ საქმეში.

როგორც თავის დროზე მაქსიმ გორკი მოუწოდებდა მსოფლიოს პროგრესულ ძალებს ამის გამჩალებელთა წინააღმდეგ მჭიდროდ დარაზმვისაყენ, ისე ახლაც, როცა ქვეყნიერებას კვლავ თავს დასტრიალებს ახალი ამის საფრთხე, საბჭოთა მწერლები გულმხურვალედ მიმართავენ დასავლეთის პატიოსან მწერლებსა და მეცნიერებს, ყურნალისტებსა და მუსიკოსებს, რათა დაუნდობლად აზილონ უოლ-სტრიტელი ბოზოლებისა და მათი ლაჭიების შავბნელი ზრახვები. მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტზე მძლავრად, ომიანიად გაისმის ერენბურგის ხმა.

— ძველი რომაელები ამტკიცებდნენ, რომ, როცა იარაღი ლაპარაკობს, მუხები დუმანო. მუხებმა დაუყოვნებლივ ახლავე უნდა აღიმაღლონ ხმა იმისათვის, რომ არ ამეტყველდეს იარაღი, — შენიშნავს თავის ერთ-ერთ წერილში იგი და მკვერამეტყველური მაგალითებით ნათელყოფს, თუ რაოდენ ამაღლებს მწერლის სახელსა და ღირსებას მშვიდობისათვის მებრძოლ-

თა ბანაკში აქტიური მოღვაწეობა... სრულიად ახალგაზრდა იყო ერენბურგი, როცა სამხედრო კორეპონდენტად ყოფნის დროს საკუთარი თვლით ნახა 1914 — 18 წლების მსოფლიო ომის საშინელებანი: პირველი ტანკებით გასრესილი ადამიანები, მომწამლავ ნივთიერებათა უდანაშაულო მსხვერპლნი, სისხლის მდინარეები, ტალახიანი სანგრები, სიკვდილის მეუფება. ახალგაზრდა ჟურნალისტი აღშფოთებით აკვირდებოდა ზოცვა-ჟღერის ამ ბარბაროსულ სურათებს, მაგრამ მისთვის ბევრი რამ ნათელი არ იყო: არც ომის გამომწვევი მიზეზები, არც მისი მოსაპოვის საშუალებანი. ამიტომაც მისი იმდროინდელი პროტესტები მხოლოდ უწყინარ, პაციფისტურ ხასიათს ატარებდა.

იმპერიალისტი ომის გამჩალებლები-სადმი მძაფრი სიძულვილითაა აღსავსე ერენბურგის ადრინდელი რომანი „ტრესტი დ. ე.“. ამ რომანში სატირული განზრითაა მოცემული სახეები ამერიკელი კანიბალებსა, რომლებიც მთელი მსოფლიოს განადგურებაზე ოცნებობენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასში მწერალს მოვლენები მეტისმეტად ფატალურად აქვს წარმოდგენილი, და შეუქმნეველი რჩება რეალური საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც შეუძლიათ ალაგმონ სისხლისმსმელი იმპერიალიზმი.

ერენბურგის შემოქმედებითი დავაკაცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ესპანელი ხალხის გამირულმა ბრძოლამ ფაშისტ მემპოხეთა წინააღ-

მდეგ. მწერალი მაშინ იმყოფებოდა ამ გამირული ტრადიციების ქვეყანაში: და თავისი ბრწყინვალე ნარკვევებით, მოთხრობებით ნათლად ასახავდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ესპანელი ხალხის ქედუხრელობას, სულიერ კეთილშობილებას. ესპანეთის შესახებ დაწერილი წიგნების — „რა სურს ადამიანს“, „შემარიგებლობის გარეშე“ მთავარი აზრი ისაა, რომ ხალხის სამართლიანი საქმე უძლეველია, მისი დამარცხება შეუძლებელია.

ომისა და მშვიდობის თემა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაშალა მწერალმა რომანში „პარიზის დაცემა“. ამ ეპიკურ ნაწარმოებში საფრანგეთის ტრაგედიის მაგალითზე ნაჩვენებია მთელი ბურჟუაზიული სამყაროს გახრწნა-გადაგვარება.

„პარიზის დაცემაში“ ყველა სოციალური ძალა თანაბარი ოსტატობითაა წარმოდგენილი. მასში განსაკუთრებით კარგადაა დახატული საფრანგეთის მოწინავე ადამიანები — კომუნისტები, რომელნიც სიძნელეებს არ უშინდებიან და ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ინარჩუნებენ სულიერ წონასწორობას, უტყუარ ალღოს და ნათელ გონებას. მათ ძვალსა და რბილში აქვეთ გამჯდარი იმის შეგნება, რომ ჰიტლერის დამარცხება გარდუვალაია; ეს იმედი მათ არ შესუსტებიათ მაშინაც კი, როცა ფაშისტურმა ბრბოებმა იოლად მოახერხეს ბედის ანაბარა მიტოვებული საფრანგეთის ოკუპაცია.

ერენბურგს პირდაპირ დოკუმენტალური სიზუსტით აქვს ასახული ფაქტები და მოვლენები. მის ამ წიგნში საკუთარი სახელებითაა გამოყვანილი ფრანგი ხალხისა და რესპუბლიკის მრავალი ცნობილი მტერი. ეს ამ რომანის აქტუალურ მნიშვნელობას ააღიერებს. მას ასეთი ღირსება არც დღეს აქვს დაკარგული, რადგან ისტორიის

გაკეთილებმა ბევრ ვანილოღვანეს ვკუთვერ ასწავლა.

რომანი მთავრდება წინასწარმეტყველური სცენით: „კლოდი ილიმბოდა — ნახევრადმიმკვდარებულ, მიყრუებულ, ბინძურ ქუჩაში შესცქეროდა გერმანელ ჯარისკაცებს და ილიმბოდა; იგი უცქეროდა, მაგრამ კი ვერ ხედავდა მათ. სამაგიეროდ ის ხედავდა სხვა რამეს: მომცრო წითელ ვარსკვლავს მოთეთრო ღრუბლებს შორის. მის გამხდარ, ავადმყოფობისა და გუკირვებისაგან დატანჯულ, სახეზე ბავშვური ღიმილი ისახებოდა. ჯიბიდან ცარცის ნაჭერი ამოიღო, მიიხედ-მოიხედა და რუბი ფერის ყრუ კედელს წააწერა: „ჰიტლერმა დაიწყო; სტალინი დაამთავრებს“.

ამ წინასწარმეტყველური სიტყვების სინამდვილედ გადაქცევას მიძღვნიება ერენბურგის შემდეგი რომანი „ჭაიროხალი“. ამ წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ გაამართლა საბჭოთა ხალხმა მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა იმედები, გაანადგურა ფაშისტური ურჩხული და კაცობრიობა იხსნა მიზაკისფერი ჭირის დამონების საფრთხისაგან. რომანი აგებულია ომის თემაზე, მაგრამ მისი დადებითი გმირების ფიქრი და ოცნება მიმართულია ხვალისდელი, მშვიდობიანი დღისაკენ. სერგეის, ვასიას, დიმიტრი ალექსევიჩის, გერმანელ კომუნისტ ქალს ანა როტს, ფრანგ მფრინავს ლუის ერთი დიადი მზანი ამოძრავებთ — სიძულვილი ფაშისტისადმი, სიყვარული თავისუფლებისა და ბედნიერი მერმისისადმი. ფაშისტის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირთანაა ყველა პატიოსანი, ჭეშმარიტი ადამიანი, ვისაც სისხლისღვრა სპეკულაციის, ბნელი პოლიტიკური მაქინაციების და გამდიდრება-გამორჩენის საქმედ არ გაუხდია.

რომანში ძალიან კარგადაა ნაჩვენები როგორც ჩვენი მოსისხლე მტრების შემაზრზენი საქმეები, ისე მოჩვენები-

თი მეგობრების ფარისეველური, მზაკრული ბუნება.

„ქარიშხალი“ საბჭოთა საზოგადოებრივი და სოციალური სისტემის უპირატესობათა ქებათა-ქებაა. მის ფორცლებზე მკითხველი ეცნობა შესანიშნავ, გულმართალ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ისტორიამ მშვიდობის, დემოკრატიის და პროგრესისათვის მებრძოლთა ავანგარდში დააყენა.

ერვნებურგის ეს ნაწარმოები მთავრდება ომისშემდგომი მოსკოვის პირველი მშვიდობიანი დილის აღწერით, ახლადშობილი ბედნიერი ბავშვის ლალობის სცენით.

მაგრამ მწერალი იღუბლებს არ იქმნის და თავის შემდგომ მხატვრულ ქმნილებაში „მეცხრე ტალღა“ ასახავს, თუ რა დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა.

„მეცხრე ტალღაში“ გამოხატულია ომისა და მშვიდობის ძალთა მძაფრი კიბილი, თანამედროვე მღელვარე პოლიტიკური ვითარება. ეს რომანი თემატური და სუჟეტური თვალსაზრისითაც „ქარიშხალის“ გაგრძელებას წარმოადგენს. ახალი მასში მოვლენათა ქრონოლოგიური განვითარებაა.

გუშინდელი ჩვენი „მოკავშირეები“ ამკარად გადაბარგდნენ ფაშისმისა და ომის ბანაკში. აი ამერიკული საგაზეთო გაერთიანება „ტრანსოვი“. მისი პირველი ანტისაბჭოთა ნაბიჯი სიტყვეური აგრესია იყო. მაგრამ იგი თანდათან შორს მიიწეეს და ძირითადად დამანგრეველ, ჯაშუშურ საქმიანობაზე გადადის. ამერიკის პრესა ომის გამჩალებელთა რუმორია, ხოლო მისი მსხვილფეხა და წვრილფეხა მსახურები—სხვადასხვა კალიბრის ჯაშუშები, მწერალი გვაძლევს ომის გამჩალებელთა კონკრეტულ სახეებს. აი პოლკოვნიკი რომბრატსი, მაიორი სმილდ, პოლმარტენი და სხვ. ესენი არიან, რომ პროვოკაციების ბინძურ ქსელს ხლართავენ, საომარი

ფსიქოზით წამლავენ ადამიანთა შეგნებას და ხმანახლეჩამდე გაჰყვირებენ არაჩვეულ, მითითურ „წითელ სემიორეცებზე“. პოლკოვნიკ რომბრატსის შთამთავონებელი პენტაგონია — ახალი მსოფლიო ომის მომზადების მთავარი შტაბი, რომელიც თავის მხრივ ემსახურება მილიარდერთა ცხოველურ, მტაცებლურ ინტერესებს.

ომის გამჩალებელთა ბანაკს უპირისპირდება მშვიდობის მომხრეთა ძალები, რომელნიც ფაშისტური დრაკონული რეჟიმის პირობებშიაც განაგრძობენ აქტიურ მუშაობას.

„მე მრცხენია ამერიკის გულისათვის, — ამბობს პროფესორი მიკლეი — მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, მისი მთები და მდინარეები, ქალაქები და პატარა ფერმები, მიყვარს უბრალო ამერიკელი ადამიანების გულთაობა, პატიოსანება, სიმამაცე. მაგრამ ვის მოაქვს თავი ჩვენი ხალხის წარმომადგენლებად? ერთ მუჭა უმეცარ და გაბოროტებულ ადამიანებს“.

ამ მართალ, ხალას სიტყვებში საუკეთესოდ არის გამოხატული მილიონობით პატიოსანი ამერიკელი მოქალაქის სულისკვეთება. უბრალო ადამიანებს არ სურთ ომი, რადგან ომი კარგს არაფერს უქადის მათ. წვრილი ბურჟუაზიკორნი ყვითელი პრესის გავლენით კორეაში გაემგზავრება, მაგრამ მალე ტყვედ ბარდება. იგი შეიგნებს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები, როგორი ალმითაც უნდა იმოსებოდნენ, საკუთარი და უცხოელი ხალხის უბოროტესი მტრები არიან. „ვის უნდა ეს ომი — არა ჯიმ მაკორნს... ჩემი აზრით, ეს უღიღესი მატყუარობაა“.

„მეცხრე ტალღაში“ ჩვენ ვხედავთ ომისშემდგომ საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია განვითარების ორი პერსპექტივა, ორი გზა — ოკეანესგაღმეულ ბატონებისათვის საზარბაზნე ხორცად გადაქცევა ან ეროვნული დამოუკიდებ-

ლობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის შედგარი ბრძოლა.

სიმაართლე საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ გზას იკაფავს მილიონობით ადამიანისაყენ, ყველა იმისაყენ, ვისაც გააჩნია სინდისი, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა. მწერალმა ჟურნალისტ საბლონის სახით დახატა ადამიანი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს შეიგნებს ამ დიდი სახელმწიფოს ნამდვილ მიზნებს, ამოცანებს და გადაჭრით გამოადის თავისი გუშინდელი პატრონების წინააღმდეგ, რომელნიც ყველა გზით ომისაყენ მიემართებიან. სულიერ გადაიარაღებას განიცდის მოხუცი ადვოკატი კლარკიც, რომელიც კორეაში ამერიკელთა ბარბაროსობისაგან აღშფოთებით ამბობს: „ახლა ყველა პატროსანი ადამიანი წინ უნდა აღუდგეს შათ, თორემ ამ არაშაადებს ყველაფრის დაღუპვა შეუძლიათ“.

„მეცხრე ტალა“ მხატვრული ფერებით ცხადყოფს, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება განათებულია მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დიადი იდეალით. ისინი მთელი შთაგონებით იღვწიან ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ასამაღლებლად, ბუნების ძალთა დასამორჩილებლად, კომუნისმის მშენებლობის დასაჩქარებლად.

ერენბურგმა ამ წიგნში შეძლო ხელშესახებად ეჩვენებინა ორი სამყარო, ორი ბანაკი, რომანი აღსაყესეა უბრალო ადამიანებისადმი უდიდესი რწმენით, მათი ორგანიზებული სამშვიდობო ბრძოლისადმი ურყევი იმედით.

„მეცხრე ტალა“ — ეს არის რომანი დღევანდელ მსოფლიოზე, მის მღელვარე ცხოვრებაზე, ბრძოლით აღსაყესე ყოველდღიურობაზე, მილიონობით ადამიანების ფიქრებსა და იმედებზე.

საყოველთაოდ ცნობილია ერენბურგის მხატვრული სტილის თავისებურე-

ბანი. მისი ფრაზა დინამიური, მოკვეთილი, სურათები — ღრმად ექსპრესიული ნათელი, ღრმავაროვნითა აღამიანები და საგნები მის რომანებში დიდი სოციალური მოვლენების პრიზმიდან არის დანახული. ერენბურგს ერთნაირად ემარჯვება ტრაგიკულისა და ოპტიმისტურის ჩვენება, სარკაზმი და ქებათაქება, დადასტურება და უარყოფა. მის რომანებში არ გვხვდება მკრთალი სახეები და ტიპები; ისინი ბოლომდე გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული არიან და მკითხველის შემეცნებაზე მძლავრად მოქმედებენ.

ერენბურგი ოსტატურად ფლობს პუბლიცისტის მახეილს, რომელიც მთლიანად და სავსებით ჩაყენებულია ომის გამაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, მშვიდობის განმტკიცების სამსახურში.

მწერალი სამარცხვინო ბოძე აყრავს გადარეული გერმანელი ეფრეიტორის დღევანდელ ეპიგონებს, იმპერიალიზმის დაქირავებულ მეცნიერებსა და მჯღაბნელებს, რომელთა მორალი სოლომონის კუნძულებზე მცხოვრებ ველურთა მორალის დონეზე ბევრად უფრო დაბლა დგას.

მშვიდობის დაცვა ერენბურგის პუბლიცისტკაში ყოველივის ნიშნავს კულტურისა და ცივილიზაციის დაცვაზე ზრუნვას. არაჩვეულებრივი მუღღვარებით ლაბარაკობს მწერალი მსოფლიოს კულტურულ ღირებულებათა დაცვის აუცილებლობაზე, როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის უკეთილშობილურეს მოვალეობაზე.

გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ხატავს იმ უდიდეს ავტორიტეტს, რაც მთელი მსოფლიოს თვალში მოპოვებული აქვს საბჭოთა კავშირს, რომელიც სათავეში უდგას მეოცე საუკუნის ორგანიზებულ მოძრაობას მშვიდობისა და პროგრესისათვის. „არავის, არც ერთ კაცს არ სურს ჩვენში ომი, ჩვენი რეს-

პუბლიკა დაიბადა სიტყვებით: „მშვიდობა მსოფლიოს“. ეს სიტყვები დარჩა მის ფიცად“.

ერენბურგი მშვიდობისმომხრეთა მოძრაობის ერთ-ერთი პოპულარული მოღვაწეა მთელ მსოფლიოში. მის ყოველ სიტყვას ხარბად უსმენენ, მწყურვალედ აპყრობენ ყურს ხუთივე კონტინენტის მცხოვრებნი; რადგან იგი მუდამ მიზანში ხედება, ლახვარივით ერჭობა გულში ყველა იმას, ვისაც სურს სიცრუის ქსელში გახვიოს ადამიანები და ომის უფსკრულში გადაიხოს კაცობრიობა. მშვიდობისათვის, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის მდგარმა ბრძოლამ ილია ერენბურგს მთელ მსოფლიოში მოუხვეჭა სახელი. ახალი უდიდესი ჯილდო, რაც მას დამსახურებულად მიეკუთვნა, მისი ნიჭის მილიონობით თაყვანისმცემლის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს...

დასავლეთის მოსყიდულ ჟურნალისტებს და სინდისგარეცხილ დიპლომატებს კალმები დაუცვდათ, ხმა წაუვიდათ „რკინის ფარდის“ შესახებ ანტისაბჭოთა მითის მტკიცებით. ილია ერენბურგმა კონკრეტული ფაქტებით ნათელყო, რომ ეს მტკიცება მოგვაგონებს ბუმერანგს, რომელიც მასვე უბრუნდება, ვინც საწინააღმდეგო მიმართულებით ისვრის.

და მართლაც, აი, სინამდვილის უტყუარი ფაქტები: ილია ერენბურგმა ხომ საკუთრივ გამოცადა დასავლეთეებოპელი ჯენტლმენების მიერ განდიდებული „დემოკრატიული“ სისტემის სიკეთენი. მას, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის თავგამოდებულ მქადაგებელს, მაგრად ჩაუკეტეს კარები ამერიკის ინგლისეღმა, ფრანგმა, იტალიელმა და შვეიცარიელმა სატრაპებმა. ამგვარად, რკინის ფარდა წმინდა ამერიკული წარმოშობისა აღმოჩნდა.

დამახასიათებელია ერთი დეტალი: ერენბურგს საფრანგეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის

ბრძოლაში დამსახურებისათვის მიღებული აქვს საპატიო ლეგიონის ორდენი. და აი ასეთი ადამიანი — მშობარა, უღლეურმა მინისტრებმა არ შეუშვეს საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მოვიყვანთ მეორე, პირდაპირ ანგლოტურ შემთხვევასაც: „ნეიტრალურ“ შვეიცარიაში ყოფნის დროს მას აუკრძალეს არა მარტო სიტყვიერი გამოხვლები (თუნდაც ლიტერატურულ თემებზე), არამედ საზოგადოებაში გამოჩენაც კი. სწორედ იმავდროულად შვეიცარიაში იმყოფებოდა ამერიკელი გენერალი. როგორც ერენბურგი წერს, „ეს გენერალი ლაპარაკობდა ომზე; შვეიცარულ ხელისუფალთ კი ეშინოდათ, რომ საბჭოთა მწერალს შეეძლო რამე ეთქვა მშვიდობაზე. ხელქვეითები ხშირად წაბაძვენ ხოლმე თავიანთ ბატონებს: დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მესვეურებს აშინებთ თვით სიტყვა „მშვიდობა“ — პატარა მტრედი წინ ეღობება „მფრინავ სიმაგრეებს“.

სიმართლე ვიზის გარეშე მოგზაურობს. ერენბურგი მშვენიერად წერს ამის შესახებ: ბრიუსელის სასტუმროში ყოფნისას მასთან მივიდა ერთი ფრანგი და მღელვარე სამხრეთული აქცენტით ამცნო: „შენ არ შეგიშვეს საფრანგეთში, მაგრამ ფრანგები თავისი ფეხით მოვიდნენ შენთან. თავი მოგვაბეზრეს ამ ამერიკელებმა, იცი...“ და მწერალი განაზოგადებს ასეთი ეპიზოდების აზრს და მნიშვნელობას. „ბრიუსელსა და ქენევაში ჩემთან მოვიდნენ ნაირნაირი ფრანგები: მწერლები და დოკერები, ინჟინრები და პარლამენტის დებუტატები, მსახიობი ქალები და მუშები.

მე არ ვიყავი, მაგრამ მაინც ვიყავი საფრანგეთში“.

1950 წლის ნოემბერში ერენბურგმა დიდი ბრძოლის ფასად მოახერხა „დემოკრატიული დემოკრატიის ციტადელში“ — დიდ ბრიტანეთში ჩასვლა. იმავე დღეს

გავლენიანი გაზეთები უსირცხვილად წერდნენ: „რად შემოუშვით ილია“, თითქოს ეს უკანასკნელი მსოფლიოში ცნობილი მწერალი კი არა, ბანდიტთა საშიში მეთაური ყოფილიყოს. ასეთი იყო შუბლმაგარი რეაქციონერების აზრი. მაგრამ მწერალი მხურვალე სიყვარულით მიიღეს უბრალო, რიგითმა, მშვიდობისმოყვარე ინგლისელებმა. მათ თავი მოიყარეს — ტრაფალგარსკვერის მიტინგზე, ომის შემდგომი ხანის ყველაზე უდიდეს მიტინგზე, რათა მოესმინათ საბჭოთა მწერლისათვის. „მე ავედი ტრიბუნაზე, — წერს ერენბურგი, — და დავინახე ხალხი, სულ სხვადასხვა ასაკის ქალები და კაცები, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანები. მე მაშინ მივხვდი, რა ამოოდ ცდილობენ ინგლისური გაზეთები ერთმანეთს წაუსისიანონ ლონდონის

ადამიანები სტალინგრაფელებს, რადგან სითბო იყო ამ ხალხში, რასაკმაყოფილო მიესალმებოდა იგი საბჭოთა ხალხს“.

არსებობს ორი ინგლისი, ორი საფრანგეთი, ორი ამერიკა.

ერენბურგი სიყვარულით წერს მშრომელ, ხელებდაყოფილ და ნათელი გონების უბრალო ადამიანებზე, რომელნიც უდიდეს სიკეთედ მშვიდობას თვლიან და ბედნიერებად — მისთვის ბრძოლას. ხოლო, რაც შეეხება მწერლის დამოკიდებულებას კაპიტალიზმის უკანასკნელი მოპოკანებისადმი, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ერენბურგის ხმა ძილს აკარგეინებს, ცოფებს აყრევიანებს დანაშაულზე წასწრებულ მანიაკებს, რომელნიც როგორც შავ ჭირს, ისე უფრთხიან სიმართლეს, კემშარიტებას.

გოეთე თანამედროვე გერმანული დემოკრატიული კრიტიკის ასპექტში



გოეთეს შემოქმედებითი, — როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე მეცნიერულ-ფილოსოფიური, — მემკვიდრეობის ათვისების საკითხი ჯერ კიდევ გოეთეს სიცოცხლეშივე წარმოადგენდა მწვავე პოლიტიკური მნიშვნელობის იდეოლოგიურ პრობლემას. ასეთსავე ხასიათს ინარჩუნებს ის დღემდე. უფრო მეტიც: დღეს გოეთეს შემოქმედების კრიტიკული შეფასება და მისი გამოყენება ერთ-ერთ დიდ, პრინციპული მნიშვნელობის საკითხად არის ქცეული იმ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს მსოფლიოს დემოკრატიულ და იმპერიალისტურ ბანაკებს შორის.

გოეთეს მემკვიდრეობის ასეთი განუწყვეტლივ მზარდი აქტუალობა არ აიხსნება მხოლოდ გოეთეს პიროვნების პოპულარობით, რაც, რასაკვირველია, უაღრესად დიდ მნიშვნელობას სძენს იმ საკითხს, თუ ვის მხარეზეა მსოფლიო პოეზიის ეს ბუმბერაზი. პროგრესულ და რეაქციულ ძალთა შორის გოეთესათვის ბრძოლის ისტორიას უფრო ღრმა, არსებითი ხასიათის მიზეზი გააჩნია.

გოეთეს შემოქმედება, აღმოცენებული კლასობრივი საზოგადოების ისტორიაში უდიდესი გარდატეხის — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის — ეპოქაში, თავისი კრიტიკული ტენდენციით ღრმად წვდება თავისდროინდელი, როგორც ფეოდალური. ისე ბურჟუაზიული საზოგადოების არსებით მანკირებებს, რომლებმაც განსაკუთრებით თავი იჩინეს გოეთეს სამშობლოში,

ჩამორჩენილ და რეაქციულ გერმანიაში. ამავე დროს, თავისი პოზიტიური იდეალით (მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეალის განხორციელების რეალურ გზებს თვით გოეთე ვერ პოულობდა) ეს მემკვიდრეობა სცილდება კლასობრივი საზოგადოების ეიწრო ჩარჩოებს და სრულყოფილი, თავისუფლებისა და შრომის პრინციპებზე დამყარებული სოციალისტური წყობის შორეულ, მაგრამ უტყუარ წინასწარმეტყველებას წარმოადგენს, — სოციალისტური წყობისა, რომელსაც ერთადერთს ძალუმს ადამიანის ქეშმარიტად პროგრესულ მისწრაფებათა განხორციელება.

თავისი კრიტიკულ-ჰუმანისტური არსით გოეთეს შემოქმედება, — იმისგან დამოუკიდებლად, რომ შინაგანად წინააღმდეგობრივია და, საბოლოოდ, ვერც იმ შეზღუდულობას აღწევს თავს, რომელითაც თავისი დროის სინამდვილეს უკავშირდება, — პრინციპულად ეწინააღმდეგება კლასობრივ, როგორც „არქულ“ — ფეოდალურს, ისე „მოდერნულ“ — კაპიტალისტურ რეაქციას. ეს შემოქმედება ასევე პრინციპულად და ორგანულად უერთდება ამ რეაქციასთან მეტრძოლ პროგრესულ ძალებს. ამ კრიტიკულ-ჰუმანისტური არსით აიხსნება ის, რომ გოეთეს — ხელოვანისა და მოაზროვნის — მემკვიდრეობა მით უფრო აქტუალურ, მეტრძოლ, რევოლუციურ ხასიათს იღებდა, რაც უფრო იზრდებოდა კლასობრივი საზოგადოებრივი წყობის რეაქციულობა და რაც უფრო ახლოვდებოდა „თავისუფალ მიწაზე თავის-

უფალი ხალხის“ სუფევა, რისი აუცილებლობაც ფაუსტმა იწინასწარმეტყველა.

ამრიგად, გოეთე ობიექტურად იმთავითვე იყო რეაქციის პრინციპული მოწინააღმდეგე და პროგრესის მტკიცე მოკავშირე. სწორედ ამით განისაზღვრება გოეთეს მემკვიდრეობისადმი შემდგომ თაობათა დამოკიდებულების ხასიათი. რეაქციის მესვეურნი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ხედავდნენ გოეთეში ძალოვან მტერს, რომლის მოსპობა მათ ძალას აღემატებოდა, მაგრამ განეიტრალება მით უფრო საჭირო იყო. ამ მიზნის მისაღწევად კი მათ ერთადერთი საშუალება გააჩნდათ: მწერლის შემოქმედებისა და ნააზრევის ფალსიფიკაცია. ეს კი ამ დიდ ადამიანში არსებობის, პოზიტიურის უგულვებელყოფითა და მიჩქმალვით, ხოლო უმნიშვნელოს, ნაკლოვანის განზვიადებით თუ შეიძლებოდა.

გოეთეს მემკვიდრეობისადმი რეაქციის მესვეურთა ამგვარი ფალსიფიკატორული დამოკიდებულების პირველ ნიმუშს და, ამავე დროს, შემდეგდროინდელი ყველა ჯურის ფალსიფიკატორებისათვის სახელმძღვანელო მაგალითს ჯერ კიდევ გოეთეს დროშივე იძლევა, — გერმანული არისტოკრატია — ულ-რეაქციული რომანტიზმის ერთ-ერთი მეთაური ფრიდრიხ შლეგელი, რომელმაც ამ რომანტიზმის ერთ „წყაროდ“ გოეთეს ცნობილი, ღრმად-ჰუმანისტური და რეალისტური რომანი „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ გამოაცხადა.

რაც შეეხება ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რომლის უკანასკნელი ტიტანური წარმომადგენელიც თვითონ გოეთე იყო, მისთვისაც არანაკლებ უცხო აღმოჩნდა გოეთეს ჰუმანიზმი და პროგრესულობა, ვიდრე არისტოკრატული რეაქციისათვის. ამიტომ, მისი აღებტებიც, შეიძლება ითქვას, მეტი მონდომებით ცდილობდნენ გოეთეს შემოქმედების წარყ-

ვნასა და გაყალბებას. ამით ნათელი ხდებოდა მხოლოდ ის, რომ განმარჯვებულ, ე. ი. გარეაქციულ ბურჟუაზიას გოეთეს ისევე, როგორც საერთოდ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის, არათუ პოზიტიური ათვისება, არამედ სწორად გაგებაც კი არ შეუძლია. ბურჟუაზიულ იდეოლოგთა მიერ გოეთეს ფალსიფიკაციის ერთ-ერთ აღრინდელ, ჯერ კიდევ 1848 წლის რევოლუციამდელ ნიმუშს წარმოადგენს კარლ გრიუნის წიგნი „გოეთე ადამიანურის თვალსაზრისით“, რომელშიც გოეთეს ყველა ფილისტერული ნაკლოვანება ე. წ. „ქეშმარიტად ადამიანურ“ ღირსებადაა გამოცხადებული და რომლის გამანადგურებელი კრიტიკით ფ. ენგელსმა ცხადყო, რომ მხოლოდ კომუნისტურ აზრს შეუძლია მისწვდეს გოეთეს ნამდვილ, მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

მაგრამ გრიუნის წიგნი წარმოადგენდა გოეთეს ნამდვილი სახის გაყალბებათა ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთ პირველ რგოლს, გოეთეს გარშემო ბურჟუაზიულ-რეაქციული ლეგენდის შექმნის ერთ-ერთ აღრინდელ, ჯერ კიდევ „პრიმიტიულ“, ცდას. ეს ლეგენდა მიზნაუისახავდა და ისახავს „უდიდესი გერმანელი პოეტის“ (ენგელსი) მოწყვეტას ხალხისაგან, მშრომელი კლასებისაგან, იმ სოციალური ძალისაგან, რომელაც ქეშმარიტი მატარებელია და ნამდვილი განმახორციელებელი ფაუსტის მადლი ოცნებისა მომავალზე. ამ მიზნით გოეთე ცხადდებოდა და ცხადდება ყოველი ჯურის „ორდინარულ“ პროფესორთა და „მოდურ“ ფილოსოფოსთა მიერ პოლიტიკური ცხოვრებისა და საერთოდ ცხოვრების ყოველდღიურობისადმი ინდიფერენტულად განწყობილ „ოლიმპეულად“, არისტოკრატად და ზეადამიანად, ირაციონალისტად და მისტიკოსად, კოსმოპოლიტად და პესიმიტად.

გოეთეს ირგვლივ შექმნილი ეს ბურჟუაზიული ლეგენდა, რომელმაც თავი-

სი განვითარების „მწვერვალს“ XX საუკუნეში მიაღწია, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიერ იქნა მხილებული და უკუგდებული. გერმანული კლასიკური ლიტერატურის შესახებ მარქსისა და ენგელსის გამონათქვამთა მიხედვით, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ აღადგინა გოეთეს ნამდვილი, ისტორიულად ჭეშმარიტი სახე, პირველმა შექმნა გოეთეს მემკვიდრეობის გაგების მეცნიერული კონცეფცია, რომელიც გენიალური ფილოსოფოსიპოეტის არც ღირსებებს ამცირებს და არც ნაკლოვანებებს ჩქმალავს, და მათს წინააღმდეგობრივს ერთიანობაში ყურადღებას ამახვილებს გოეთეს ფაუსტური ჰუმანიზმის პროგრესულ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ბურჟუაზიული „გოეთეანის“ უსუსურობა და უმწეობა განსაკუთრებით გამოვლენდა გერმანიაში ფაშიზმის ბატონობის წლებში. ამ დროისათვის გოეთეს ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა უკანასკნელი „მიღწევა“ ის იყო, რომ მათ გოეთე ნაციზმის წინამორბედად გამოაცხადეს. მაგრამ არა მხოლოდ ეს ფაშისტური მონაჩაზნი, არამედ გოეთეს შესახებ მთელი ბურჟუაზიული ლეგენდა სწორედ ფაშისტური რეჟიმის დროს იქნა პრაქტიკულად მხილებული ყველაზე დამაჯერებლად, როდესაც ჰიმლერის საპყრობილეებსა და კონც-ლაგერებში წამებული კომუნისტები გოეთეში მტკიცე მოკავშირესა და სულიერ გამამხნეველს პოულობდნენ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს პოლანდიელი ანტიფაშისტის ნიკო როსტის 1948 წელს გამოქვეყნებული წიგნი „გოეთე დაახუს ბანაკში“. რომელიც, გერმანული ერთიანი სოციალისტური პარტიის გაზეთის „Neues Deutschland“-ის (1949 — 12/VIII, № 187) თქმით, „სამარადისოდ იძლევა იმის საბუთს, თუ რაოდენ აღიქურვებიან ჭეშმარიტი სულიერი ძლიე-

რებით ის ადამიანები, რომელნიც რეაქციის, უგუნურებისა და სიმჩვედეს პერისპირ გულადად დგანან და სამართლიანი, ადამიანური წყობისათვის იბრძვიან“. ამიტომაც საცხებით ლოგიკური, კანონზომიერი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ საბოლოოდ ბურჟუაზიული „გოეთეანის“ ფაშისტმა აღუტებმა, გებელსის პროპაგანდისტებმა, ფალსიფიკაციის მეშვეობით გოეთეს თავის მხარეზე გადმოთრევის ამოცნებები შეცვალეს დიდი ჰუმანიტისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ხელაღებული გალაშქრებით და ისეთი უხამსი „წიგნიც“ კი დაწერეს, როგორცაა „აინ-შტაინი, გოეთე და სხვა ებრაელები“. მაგრამ გერმანული ფაშიზმის ბატონობის დამსხვრევასთან ერთად, ცხადია, არ შეწყვეტილა „გოეთესათვის ბრძოლა“, რომელსაც მანამდე ექნება ადგილი, ვიდრე პროგრესსა და რეაქციას შორის ჭიდილი გასტანს.

ხოლო ახალი ძალით ამ ბრძოლამ მას შემდეგ იფეთქა, რაც, ერთი მხრით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, და, მეორე მხრით, ამერიკელმა იმპერიალისტებმა გერმანული ფაშიზმის მემკვიდრეობა იკისრეს.

„გოეთესათვის ბრძოლის“ ეს უკანასკნელი ეტაპი, რომელიც, არსებითად, დღესაც გრძელდება, დაუკავშირდა, გოეთეს დაბადებიდან 200 წლისთავის იუბილეს, რომლის გასამართავად ორივე ბანაკმა დიდი წინასწარი სამზადისი ჩაატარა.

ამ იუბილეს წინ კოლორადოს შტატის ქალაქ ოსპენში, ამერიკის დაზვერვის მეთაურის ჰუეერის ზედამხედველობით მოწვეული იქნა გოეთესადმი მიძღვნილი კონგრესი, რომლის ოფიციალურად გამოცხადებული მიზანიც „გოეთეს კომუნისტთა ხელიდან გამოგლეჯა“ იყო. პროფ. ი. ანსიზოვის მოსწრებული თქმით, „მთელ ამ ძვირად დამჯღღარ წამოწყებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, გარდა საბოლოოდ

დევრადირებული ბურჟუაზიული კულტურის გრანდიოზული თვითმხილები-სა“¹. კონგრესზე გამოხული ორატორები ისევე-ისე გოეთეს აპოლიტიკრობასა და მისტიკოსობას ირწმუნებოდნენ, ხოლო „ახალი“, რაც მათ გოეთეზე თქვეს, ის იყო, რომ პრომეთესა და ფაუსტის მგოსანი, თურმე, „მსოფლიო მთავრობას“ წინასწარმეტყველებდა, სულ იმაზე ოცნებობდა, რომ ამერიკელი მოქალაქე გამხდარიყო, ხოლო თავის თანამემამულეებს მუდამ „წამების თმენასა“ და „ქრისტიანული იდეალებით ნუგეშს“ ურჩევდა.

სამაგიეროდ, სულ სხვა იდეურ-პოლიტიკურ ასპექტში და მეცნიერულ-კულტურულ დონეზე იქნა ჩატარებული გოეთეს იუბილე სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

აქ გოეთეს იუბილეს სათავეში ჩაუდგა გერმანელი მშრომელი ხალხის ხელმძღვანელი — ერთიანი სოციალისტური პარტია. მთავარი პრინციპი, რომლის ასპექტში განიხილებოდა აქ გოეთეს შემოქმედებითი მემკვიდრეობა, სწორედ ის იყო, რომ გოეთეს ხალხურობის სულითა და დემოკრატიული შინაარსით გამსჭვალული შემოქმედების ნამდვილი მემკვიდრე გერმანელი მშრომელი ხალხია.

ამის შესაბამისად, პირველი ამოცანა, რომელიც მოსამზადებელ პერიოდში და თვით იუბილის დღეებში გერმანულმა დემოკრატიულმა კრიტიკამ დისახა, იყო გოეთეს გარშემო შექმნილი ბურჟუაზიულ-რეაქციული ლეგენდის საბოლოოდ გაფანტვა. 1949 წლის 28 აგვისტოს ვაიპარის ნაციონალურ თეატრში წარმოთქმულ საზეიმო სიტყვაში — „გოეთე განმთავისუფლებელი“ იოჰანეს ბეხერი ამბობდა: „საქმე იმას კი არ ეხება, რომ გოეთეზე ლაპარაკი კიდევ

ამა თუ იმ მხრიდან შეიქმნოს და რომ კიდევ რაიმე ამა თუ იმ თვალსაზრისით საინტერესო ითქვას; საქმე იმაშია, არ ეხება, რომ გოეთეზე ლაპარაკი ჩვეულებრივი ტონით გაგრძელდეს. გაცილებით მეტად იმას ეხება საქმე, რომ ეს ტრადიციული და უნაყოფოდ ქცეული ლაპარაკი შეწყდეს და არსებითად შეცვლილი მიმართულებით ხელახლად იყოს დაწყებული. დღეს საქმე იმას მოითხოვს, რომ გოეთე სხვა, ახალი თვალთ იქნეს დანახული“, რომ „ხელახლა იქნეს აღმოჩენილი სამყარო, რომელსაც გოეთე ეწოდება“¹.

ამავე დროს, ეს ამოცანა გერმანული დემოკრატიული კრიტიკის მიერ პასიურად კი არ ყოფილა გადაჭრილი, გოეთეს ბურჟუაზიულ გამყალბებლებთან აკადემიური პაექრობის მეშვეობით, არამედ საამისოდ გაცილებით უფრო ქმედითი გზა, აქტიური, შემოქმედებითი მეთოდი იქნა არჩეული. სახელდობრ, მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველზე და საბჭოთა გოეთელოგიის მიღწევათა გამოყენებით, ამ კრიტიკის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც არიან ოტო გროტევილი, იოჰანეს ბეხერი, ალექსანდერ აბუში, გეორგ ლუკაჩი, ვალტერ ვიქტორი, პაულ რილა, ფრანც დიდერიხი და სხვანი, გოეთეს მემკვიდრეობა გაბედულად და გადაჭრით დაუკავშირეს თანამედროვე გერმანიისა და მთელი მსოფლიოს სადღესობა, საჭირობოროტო პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემებს, საკუთრივ გერმანული და მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ მშრომელი ხალხების განმთავისუფლებელ ბრძოლას, რომელსაც ეხმარება და რომელშიც ხელახლად ცოცხლდება და ახალი შინაარსით მდიდრდება გოეთეს მაღალი ჰუმანიზმი.

თანამედროვე დემოკრატიის სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან უდიდესი გერმანული პოეტის ასეთი დაკავშირე-

¹ М. М. Андрилов, „Борьба за Гете“; Вестник А. Н. СССР, 1949, № 10, стр. 55.

¹ J. Becher „Der Befreier“, ბერლინი, 1949, გვ. 5.

ბა, გოეთეს ამგვარი აქტუალიზაცია იმ აუცილებელ ისტორიულ ფაქტს ემყარება, რომ როგორც ეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მიერ გოეთეს იუბილეს გამო გერმანელი ხალხისადმი მიმართულ „მანიფესტში“ ნათქვამი, „დღეს მუშათა კლასია გადაწყვეტი მატარებელი გერმანიის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისა და, ამდენად, მთელი გერმანელი ხალხის ყველა ჭეშმარიტად ნაციონალური კულტურული ტრადიციისა და ინტერესის მატარებელიც“¹.

თანამედროვეობის ამ აქტუალურ ასპექტში განხილული გენიოსი პოეტი, როგორც პროფ. ი. ანისიოვი ამბობს, „ხალხის პროგრესულ, სინამდვილის გარდამქმნელ ძალთა რიგებში ჩადგა, მჭიდროდ დაუკავშირდა მათ“ და ამ კავშირში „სრული დადასტურება პოვა იმ ჭეშმარიტებაში, რომ, როდესაც ხალხი თავის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებთან პასუხს მოითხოვს თავისი უდიდესი მწერლისაგან, როგორც თავის ცოცხალ თანამედროვეს, მიმართავს მას რჩევა-დარიგების თხოვნით, მაშინ ახალი სიცოცხლით იწყებს ცხოვრებას და ახალ სიღრმეებს ავლენს კლასიკური ავტორის შემოქმედება“².

დემოკრატიის რევოლუციურ ბრძოლასთან გოეთეს მეგვიდრობის დაკავშირებით, — როგორც იგივე პროფ. ანისიოვი აღნიშნავს, — „გერმანულმა მოწინავე აზრმა იუბილეს დღეებში შეძლო იმგვარად დაეყენებინა გოეთეს მთელი პრობლემა, როგორც იგი არასოდეს არ დაყენებულა... გოეთეს აზრები თავისუფლებაზე და შრომაზე, ერთიან სახელმწიფოზე და მშვიდობიანობაზე დღეს უდიდესი დამაჯერებლობით აცლერდა. დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო ყურადღება მიიქცია აგრეთვე

პოეტის რწმენამაც მომავლისადმი, რითაც მთელი მისი შემოქმედება გასწავლული. ამგვარად გაიხსნა „ცოცხალი“ და ნამდვილი, ოლიმპურობისაგან დაშორებულ გოეთესთან მისასვლელი გზა, წარმოდგა გოეთეს იდეათა და სახეთა ბუნებრივი და მეტად დამაჯერებელი კავშირი თანამედროვეობის უმწვევებს და უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებთან... დამყარდა გოეთეს ჭეშმარიტი გაგება, რაც საიმედო გზაა იმისაკენ, რომ უფართოესი მასები დაეწაფონ დიდი კლასიკოსის თხზულებებს“¹.



აქ შევეხებით ამ ახალი გაგების მხოლოდ უმთავრეს მომენტებს.

როგორც ითქვა, ბურჟუაზიული იდეოლოგიების მიერ გაყალბებული გოეთეს ნამდვილი სახის აღდგენას, გოეთეზე „ხელახალ ლაპარაკს“ გერმანული დემოკრატიული კრიტიკა საბჭოთა გოეთელოგიის მონაპოვართა საფუძველზე და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით შეუდგა. პირველ რიგში, მის მიერ გოეთეს შემოქმედებითი მეგვიდრობა პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპთა თვალსაზრისით იქნა გაშუქებული. ერთი მხრით, მან გაბედულად წამოსწია წინაპლანზე გოეთეს შემოქმედების პოზიტიური, პროგრესული ელემენტი, — ყოველივე ის, რაც ამ შემოქმედების დომინანტურ, წამყვან ბირთვს ქმნის, მის არსებებს შეადგენს და გოეთეს არა მხოლოდ თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანად, არამედ დღემდე გერმანიის უდიდეს პოეტად წარმოგვიდგენს. მან ასევე გაბედულად, მკვეთრად გამოავლინა გოეთეს შემოქმედების ღრმად ჰუმანისტური და, ამდენად, დემოკრატიული, ხალხური ფესვები და ხასიათი. როგორც იოჰანეს ბეხერმა აღნიშნა, „პლებეური საწყისი

¹ ვახუთი „Neues Deutschland“, 28 აგვისტო, 1949 წ., № 201, გვ. 1.

² И. И. Анисимов, „Борьба за Гете“, Вестник А. Н. СССР, № 10, стр. 57.

გოეთესთან მისი მთელი ცხოვრების მანძილზე თავაშობს წამქეზებელ და მომთხოვნ როლს¹; გოეთეს მსკვალავდა „ღრმა პატივისცემა (tiefe Achtung) უსახელო ადამიანთა მილიონებისადმი და მათი დაუცხრომელი საქმიანობისაგან განუყრელად ესახებოდა კაცობრიობის უზენაესი მისწრაფებები (die höchste Leistungen des Menschengeschlechts)². გოეთე არ იყო იმგვარი „ოლიმპელი“, როგორაც მას ბურჟუაზიული გოეთელოგები გვიხასიათებენ: თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედისადმი გულგრილი, თავის ესთეტიკურ-მეცნიერულ ინტერესთა სფეროში მომწყვდეული და ამაღლებული „ზეკაცი“. იმავე ბეჭერის სიტყვებით რომ ითქვას, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მიერ შექმნილი გოეთე—ოლიმპელის „თაბაშირის ბიუსტისა“, რომელსაც ადამიანური სახე ჰქონდა წართმეული, გერმანულმა დემოკრატიულმა კრიტიკამ აღადგინა ნამდვილი გოეთეს, — „ყველაზე ადამიანური გერმანელთაგანის“ — სახე, „ცოცხალი გოეთე, რომელსაც მისი ხალხი თავის ჭირ-ვარამს გაანდობს და რომელიც თავისი ქვეყნის ბედუკუღმართობის კითხვებს გასცემს პასუხს“³. საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ გოეთეს მემკვიდრეობა თავისი ხალხურობის ძალით დაშორებულა ვიწრო კლასობრივ, კერძოდ, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ფარგლებს, გამსკვალულია მაღალ-ჰუმანისტური, — ზემცა უტოპისტური — სოციალისტური ტენდენციით. ამდენად „არსებითი გოეთეს მემკვიდრეობაში წარსულს კი არ ეკუთვნის, არამედ სამყარო, რომელსაც გოეთე ჰქვია, მომავალში ძევს“⁴.

გოეთეს შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ამგვარი ა რ ს ე ბ ი თ ა დ პ ო

ზ ი ტ ი უ რ ი დამოკიდებულების საფუძველზე გერმანული დემოკრატიული კრიტიკა კატეგორიულად გაეძიჯნა; დამეტრულად დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ გოეთელოგიას, რომელსაც იმთავითვე ეუტხოვებოდა ყოველივე, რითაც გოეთე ნამდვილად დიდი, ნამდვილად გენიალური იყო და რომელიც „ქეშმარიტად“ თუ „ადამიანურად“ აცხადებდა მისი პიროვნებისა და შემოქმედების ყველა მანკიერ და ნაკლოვან მხარეს.

ამავე დროს, გოეთესადმი ასეთი დადებითი დამოკიდებულების ასპექტში გერმანული დემოკრატიული კრიტიკა სწორად გაერკვა „უდიდესი გერმანული პოეტის“ შემოქმედებითი მემკვიდრეობის რთულ პრობლემატიკაში, რომლის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ამ მემკვიდრეობის წინააღმდეგობრიობის, გოეთეში გენიალურსა და ფილისტერულს შორის წარმოებული ჭიდილის გამორკვევა.

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „გოეთე თავის თხზულებებში ორგვარად ეკიდება თავის დროის გერმანულ სინამდვილეს“, რომ ამ სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში „გოეთე ხან კოლოსალურად დიდია, ხანაც წვრილმანი, ხან ურჩი, დამკინავე, ქვეყნის მქირდავი გენიოსი, ხანაც ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ვიწრო ფილისტერი“. ენგელსი დაძენს: „დიდემის წინაშე: ეარსებინა საყოფაცხოვრებო გარემოცვაში, რომელსაც მასში ზიზღი უნდა აღეძრა, და მაინც ყოფილიყო მასზე მიჯაჭვული, როგორც ერთადერთზე, სადაც მოქმედება შეეძლო, — ამ დიდემის წინაშე იღვა გოეთე მუდამ, და რაც უფრო ხნიერი ხდებოდა იგი. მით უფრო იხევდა უკან ძლევამოსილი პოეტი, de guerre lasse (ბრძოლაში დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი — ო. ჯ), ვიამარის უმნიშვნელო მინისტრის წინაშე. ჩვენ იმას კი არ ვუსაყვედურებთ გოეთეს, როგორც ამას ბერნე, მენცელი სწაღიან, რომ იგი ლიბერალი

¹ J. Becher. „Der Betreier“. ბერლინი, 1949 წ. გვ. 13.

² იქვე.

³ იქვე. გვ. 27.

⁴ იქვე. გვ. 8.

არ იყო, არამედ იმას, რომ დრო და დრო მას ფილისტერობა შეეძლო; ჩვენ არც იმას ვუსაყვედურებთ, რომ მას გერმანული თავისუფლებისათვის არ აღმოაჩნდა ენთუზიაზმის უნარი, არამედ იმას, რომ თავის ესთეტიკურ გრძობას იგი მსხვერპლად სწირავდა ფილისტერულ შიშს ყოველი დიდი თანამედროვე ისტორიული მოძრაობის წინაშე; არა იმას, რომ იგი კარისკაცია იყო, არამედ იმას, რომ იმ დროს, როცა ნაპოლეონი გერმანიის უზარმაზარ ავგიას ბოსლებს წმენდდა, მას შეეძლო საზეიმო სერიოზულობით ეწარმოებინა ყოველად უბადრუკი გერმანული სასახლის ყოველად უბადრუკი საქმეები და menus plaisirs (წერილი, უმნიშვნელო ხარჯები, — ო. ჯ.). საერთოდ, ჩვენ არ ვუსაყვედურებთ მას არც მორალური, არც პარტიული, არამედ მხოლოდ ესთეტიკური და ისტორიული თვალსაზრისით; ჩვენ არ ვზომავთ გოეთეს არც მორალური, არც პოლიტიკური, არც „ადამიანური“ მასშტაბით, ჩვენ ვერ წარმოვადგენთ აქ გოეთეს მის მთელ ეპოქასთან, მის ლიტერატურულ წინამორბედებთან და თანამედროვეებთან დაკავშირების მის განვითარებასა და ცხოვრებაში. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ ფაქტის კონსტატაციას ვახდენთ“¹ და დასასრულ, გრიუნის წიგნის კრიტიკული განხილვის შემდეგ, ენგელსი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მან, ენგელსმა, „მხოლოდ ერთი მხრით“ განიხილა გოეთე, „რისთვისაც ბრალი მხოლოდ და მხოლოდ ბატონ გრიუნს მიუძღვის“, რომელიც „სრულებით არ განიხილავს გოეთეს მისი სიდიადის მხრით“, არამედ „მისთვის იშვიათი გულმოდგინებით კრებს ყოველივე ფილისტერულს, ყოველივე ობიექტულს, ყოველივე წერილმანს“, რაც გოეთეს გენიალურ

არსებას მისი გარემომცველი გერმანული უბადრუკობისაგან მოსცხვებში.¹ აქედან კი ცხადია, რომ გოეთეს მთელი შემოქმედება, რომელიც განპირობებული იყო არა მხოლოდ იმ დროინდელი უბადრუკი გერმანული სინამდვილით, არამედ გაცილებით მეტად იმ დიდი ეპოქალური ძვრებით, რომელთა ცენტრში საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია იდგა, ენგელსის ბრწყინვალე ფორმულის მიხედვით, ცალმხრივად როდი უნდა იქნეს განხილული, მხოლოდ ფილისტერის ასპექტში. აქედან ისიც ნათელია, რომ გოეთეს შემოქმედების ყოველმხრივი, — არა მხოლოდ გერმანული სინამდვილისადმი, არამედ მთელი მისი ეპოქისადმი მიმართებაში და მისი განვითარების ასპექტში ჩატარებული — განხილვა სხვა შექს მოფენს გოეთეს პიროვნებაში გენიოსსა და ფილისტერს შორის წარმოებულ კიდილს, — იმის საწინააღმდეგოს, რომელსაც გოეთეს წინააღმდეგობრიობას გრიუნის ცალმხრივობა ჰყენდა. ენგელსის შეხედულების ამგვარი, არა დოგმატიკური, არა მედავიტონური, არამედ შემოქმედებითი გამოყენებით ნათელყო გერმანულმა დემოკრატიულმა კრიტიკამ მთელ გოეთეში გენიოსის აშკარა უპირატესობა ფილისტერის წინაშე. მან ახლებურად გაიაზრა, გააღრმავა და დახვეწა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჰაინეს, ბელინსკის, პისარევის — მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც ფილისტერი უპირატესად გოეთეს კერძო, მისი უშუალო საყოფაცხოვრებო გარემოცვით შებოვილ პიროვნებაში ავლენს თავის ძალას, მაშინ როდესაც დიდი ეპოქის მაღალი სულისკვეთებით შთაგონებული გენიოსი გოეთეს შემოქმედებით არსებას ეუფლება.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. V, стр. 143. კურსივი ჩემთა. ო. ჯ.

¹ იქვე, გვ. 156.

ასე გააშუქა გოეთეს პიროვნებაში გენიოსისა და ფილისტერის წინააღმდეგობრივი ურთიერთმიმართება ოტო გროტევილმა 1949 წლის 22 მარტს „თავისუფალი გერმანული ახალგაზრდობის“ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „გოეთე. გრდემლი თუ ურო“. „პიროვნელობა (die Persönlichkeit) — ისევეა მიმართული პიროვნებისადმი (die Person), — თქვა გროტევილმა, — როგორც არსი მოვლენისადმი, როგორც მარცვალი ნაჭუჭისადმი. პიროვნება კითხულობს: რა გაქვს შენ — წოდება, რანგი, სამოსელი, ეკიპაჟი, ქონება? პიროვნულობა კითხულობს: რა ხარ შენ, რა გამოძრავებს და რას ამოძრავებს, მომავლის მსახველ რომელ მარცვალს შეიკავ შენს თავში? და აქედან... დასკვნაა გამოსატანი: რაც ადამიანს გააჩნია (hat), შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ ის, რაც იგი არის (ist), შენახული რჩება. ამიტომ დღესაც ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი მგონის არა პიროვნებასთან, არამედ პიროვნულობასთან. გოეთე პიროვნება, კერძო ადამიანი (Person Goethe, der Privatmensch) განწყობილებებს იყო დაქვემდებარებული და ამ განწყობილებების ქვეშ ერთმანეთის საწინააღმდეგო აფორიზმებს წარმოსთქვამდა. გოეთე — პიროვნება თავის დროზე იურისტი, სახელმწიფო მინისტრი, საიდუმლო მრჩეველი იყო და ცდილობდა თავის უბადრუკ გარემოცვას შეხამებოდა, რათა ფიზიკურად არ დაღუპულიყო. როგორც პიროვნებამ, გოეთემ ისევე ნაკლებად გაართვა თავი თავისი გარემოცვის წინააღმდეგობებს, როგორც მრავალმა სხვამ. იგი არ გამოირჩევა პარმონიითა და სრულყოფილობით. საკმაოდ ხშირად შემცდარა იგი და მრავალი უსიამო და საეჭვო შემთხვევა მის ხშირ ცვალებად ცხოვრებაში. არ არსებობს არავითარი საბაზი იმისა, რომ ამ წუთში დუმილით ავუაროთ გვერდი ამ გარემოებას. გოე-

თე არ იყო ზეადამიანი, იგი ადამიანი იყო თავისი წინააღმდეგობებით. მაგრამ გოეთე — პიროვნულად მჭიდროს დასახლებული გენია და იგი ყოველს უწინააღმდეგოდ ბრძოლაში იყო თავის გარემომცველ სინამდვილესთან, რათა მის საწინააღმდეგოდ თავისი თავი მორალურად განემტკიცებინა. ამ ბრძოლის ნაყოფია მისი შემოქმედება. ამას უნდა ჩაეკიდოთ ხელი (An des wollen wir uns halten). ხოლო მისი ცხოვრებას პროზასა და მისი პოეზიის ცხოვრებას შორის, მის პიროვნებასა და მის პიროვნელობას შორის ტრაგიკული განხეთქილება, რომელიც ჩვენი უდიდესი ნაციონალური პოეტის მთელ არსებას გამსჭვალავდა, მისი ცხოვრების შემთხვევითი ინდივიდუალური თავისებურება როდია. იგი გოეთეს დიდ ისტორიულ ინდივიდუალურ გამოვლენილი განხეთქილებაა, ჩვენს ერს 500 წლის მანძილზე რომ ფლეთს, — განხეთქილება, რომელშიც გოეთე აუცილებლად უნდა შეჭრილიყო, თუკი ის სერიოზულად მოეკიდებოდა საკუთარ თავსა და თავის საქმეს და რომელიც ამიტომ მას განსაკუთრებული სიმძიმით უნდა აღეთქვა. ესაა განხეთქილება აზრსა და საქმეს შორის, შემეცნებასა და ცხოვრებას შორის, სულსა და სინამდვილეს შორის. ძალა უსულო იყო და სული უძალო. ამ გადაუჭრელი წინააღმდეგობის, ამ გზისამცდენი იდეალიზმის წინაშე ტყდებოდა გოეთე, მთელი ჩვენი კლასიკა, დიახ, დღემდე მის წინაშე ტყდებოდა მთელი ჩვენი გერმანელი ხალხი“¹.

ამრიგად, სად დაუთმო თანმიმდევრულად თავისი პოზიციები გენიოსმა პოეტმა ფილისტერს, რა სფეროში უნდა ვეძიოთ ამ უკანასკნელის გავლენა? ეს სფეროა გოეთეს პიროვნება, ამ პიროვნების დამოკიდებულება გარე-

¹ O Gretewohl „Goethe. Amboss oder Hommer“, ბერლინი, 1949, გვ. 23 — 24.



მოცეასთან, პრაქტიკული ცხოვრება, სადაც გოეთეს წინაშე დგება ფიზიკურა არსებობის შენარჩუნების აუცილებლობა, სადაც გოეთე იძულებული ხდება იმოქმედოს მისთვის უცხო, მისდამი მტრულ სინამდვილეში, რომელზედაც მიჯაჭვულია იგი. მეორე მხრით, აზროვნებისა და წარმოსახვის, მეცნიერება-ფილოსოფიისა და ხელოვნების სფეროში იშლება და სრულყოფილი ხდება გოეთეს გენიალობა. თანაც პრაქტიკასა და თეორიას შორის ეს წინააღმდეგობა გოეთეს ინდივიდუალური სისუსტით კი არ ისაზღვრება, არამედ იგი გერმანელი ხალხის ისტორიული ტრაგედიის ნაყოფი და გამოხატულებაა.

მაგრამ, ამავე დროს, გოეთეს ეს წინააღმდეგობრივობა ისე არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, თითქოს ფილისტერის გამოვლენის სფერო მხოლოდ გოეთეს პიროვნება იყოს, თითქოს ფილისტერი არ ასვამდეს თავის დაღს გოეთეს შემოქმედებას. როგორც ენგელსი აღნიშნავს, „გოეთე მეტისმეტად უნივერსალური, მეტისმეტად აქტიური ბუნებისა იყო, მეტისმეტად ზორციელი, რათა უბადრუკობისაგან ხსნა კანტისეული იდეალისაკენ შილერისებურ ლტოლვაში ეძებნა; იგი მეტისმეტად გამჭირიანი იყო, რათა არ დაენახა, რომ ეს ლტოლვა ბოლოს და ბოლოს უხამსი უბადრუკობის მაღალფარდოვანით შენაცვლებამდე დადიოდა.“¹ ამიტომაც გოეთე არასოდეს შემოფარგლულა ე. წ. „წმინდა“ თეორიით, არასოდეს დაკმაყოფილებულა განყენებული აზროვნების სფეროებით. ამიტომაც იგი ამ სფეროებიდან მუდამ უბრუნდებოდა რეალურ სინამდვილეს, მუდამ ცდილობდა თავის მეცნიერულად განჭვრეტულ და პოეტურად წარმოსახულ იდეათა, პრინციპთა პრაქტიკულ განხორციელებას. „მისი ტემპერამენტი, — გა-

ნაგრძობს ენგელსი, — მისი ძალეზე, მთელი მისი სულიერი მიმართულებით პრაქტიკული ცხოვრებისაკენ მიეწყოდნენ მას, ხოლო მისი გარემომცველი პრაქტიკული ცხოვრება საცოდავი იყო“¹. და სწორედ აქ. — პრაქტიკის სფეროში, — უხდიდა ხარკს გენიოსი ფილისტერს, თავის მსოფლმხედველობას გოეთე თავისი დიდი ეპოქის მაღალი იდეალთა მიხედვით იმუშავებდა, მაგრამ როგორც კი მის წინაშე ამ მსოფლმხედველობის პრაქტიკული განხორციელების ამოცანა დგებოდა, მის წინაშე უწინარეს ყოვლისა გერმანული უბადრუკი სინამდვილე აღიმართებოდა ხოლმე, რომლის პირისპირ უძლური იყო გენიოსი და რომელშიც „შინ“ გრძნობდა თავს ფილისტერი. ამიტომაც, როგორც წესი, გოეთეს ნააზრევსა და შემოქმედებაში ფილისტერი იქ იჩენს ხოლმე თავს, სადაც გენიოსის წინაშე თავის თეორიულ იდეალთა პრაქტიკული რეალიზაციის საკითხი დგება. ამდენად, გოეთეს შემოქმედებაში გენიოსსა და ფილისტერს შორის კიდილი ამ შემოქმედების ძირითადი წინააღმდეგობის სახით იჩენს თავს, — წინააღმდეგობისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გოეთე ვერ პოულობს თავისი ჰუმანისტური იდეალის განხორციელების სწორ გზებს, რომ საამისოდ მის მიერ დასახულ საშუალებებში ბევრი რამაა რეაქციული, რაც მის პოზიტიურ მრწამსს უტოპისტურ ხასიათს აძლევს.

გოეთეს წინააღმდეგობრიობის ამგვარი გარკვევის საფუძველზე გერმანულმა დემოკრატიულმა კრიტიკამ სწორად გამოავლინა გოეთეს შემოქმედებითი განვითარების კანონზომიერება, მისი ძირითადი ტენდენცია. თუ ბურჟუაზიულ გოეთელოგიაში დამკვიდრებული იყო თვალაზრისი, რომლის თანახმადაც ორი, — ადრინდელი, „ცხოვრების“ წინააღმდეგ ამხედრებული და გვიანდ-

¹ K. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т V, стр. 143.

ლი, „ცხოვრებასთან“ შერიგებული, — გოეთე არსებობს, — გერმანულმა დემოკრატიულმა კრიტიკამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ძირითადად უკვე საბჭოთა გოეთოლოგიაში შემუშავებული კონცეფცია გოეთეს შემოქმედების ერთიანი და აღმავალი ხაზის შესახებ. მთელი მისი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, არსებობს, როგორც გროტე-ვოლი ამბობს, არა „ფრანკფურტის გოეთე“ და „ვაიმარის გოეთე“, არამედ „ერთი გოეთე“¹ — ღრმა ხალხურ საძირკველზე მდგარი ბუმბერაზი ჰუმანისტი, რომლის არსებაში ძირითადი და ჰუმანიტარული გენიოსის ეკუთვნის, ხოლო ყალბი და მეორე ხარისხოვანი ფილისტერს რჩება. გოეთეს ერთიანი პროგრესული განვითარების კანონზომიერება კარგად იქნა ფორმულირებული კომუნისტი მწერლისა და კრიტიკოსის ალექსანდერ აბუშის მიერ: „გოეთე ახალგაზრდობაშია ცი არ იყო რევოლუციონერი... მაგრამ... მისი ქარიშხლისა და შეტევის დროინდელი ინდივიდუალისტური მემოხეობიდან „ფაუსტის“ ჰარმაგ სიბრძნემდე ვითარდება გოეთეს შემოქმედებაში ზეაღმავალი და დროის დიდად გამსწრები (höhersteigenden, der Zeit weit voraus-eilenden), წარმოდგენები საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში ქმნადი პიროვნების, გაერთიანებულად შემოქმედი ადამიანების, „თავისუფალ მიწაზე მშრომელი თავისუფალი ხალხის“ შესახებ“².

სწორედ ამ მზარდი ძალით შეძლო გოეთემ გადაქცეულიყო თავისი ხალხის უდიდეს ნაციონალურ პოეტად, რომელმაც თავისი შემოქმედებით — როგორც ეს ერთიანი სოციალისტური პარ-

ტიის ხსენებულ მანიფესტში აღნიშნული, — წარმოადგინა „წინაჭრება“ და ქუცმაცებულ და დაფლეთილ გერმანიაში სულიერი და ენობრივი ერთიანობა და შეიტანა უდიდესი საუნჯე გერმანულ ეროვნულ შეგნებაში“¹.

ამავე დროს, გოეთეს როგორც ჰუმანისტის, აღმავალი განვითარების შუქზე იქნა ნათელყოფილი შემდეგი გარემოება: იმისდა მიუხედავად, რომ სუბიექტურად გოეთე სოციალური ბოროტების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის მოწინააღმდეგე იყო, მისი შემოქმედების ჰუმანისტურ-დემოკრატიული და, ამ გაგებით, ხალხური შინაარსი ობიექტურად აწვადებდა გერმანულ ხალხს იმ რევოლუციონისათვის, რომელიც მოხდა საფრანგეთში, ხოლო გერმანიაში ბიურგერობის სისუსტისა და რეაქციულობის გამო შეუძლებელი გახდა.

გოეთეს აღნიშნული განვითარების თვალსაზრისით სწორად იქნა გარკვეული მისი როგორც თანამედროვე სინამდვილისადმი დამოკიდებულების, ისე მომავლისადმი მიმართების ხასიათი.

თანმიმდევრულად მზარდ ჰუმანისტს — გოეთეს არსებითად არასოდეს არ მიუღია თავისი დროის რეაქციული გერმანული სინამდვილე; მეტიც, გოეთე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, როგორც ხრწნადი ფეოდალური წყობილების, ისე ახლად დამკვიდრებულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა კრიტიკოსი.

მწვავე შინაგანი ბრძოლით, — რომლის ეტაპებს ისეთი თხზულებები წარმოადგენენ, როგორიცაა „გოეცი“, „ვერთერი“ და „პრომეთე“, „ეგემონტი“ და „ტორქვატო ტასო“, გოეთე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იმდროინდელ გერმანულ სინამდვილეში სათანადო ობიექტური და სუბიექტური პირობები არ

¹ O. Grotewohl. „Goethe. Amboss oder Hommer“, გვ. 79.

² გაზეთი „Neues Deutschland“, 1 იანვარი, 1949 წ., № 1, გვ. 7.

¹ გაზეთი „Neues Deutschland“, 28 აგვისტო, 1949, № 201, გვ. 1.

არის რეაქციის წინააღმდეგ წარმატებული სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად და რომ ამდენად იმას, ვისაც გერმანიის ბედისათვის გული შესტკივა, სხვა გზა არა რჩება, გარდა იმისა, რომ თავისი ერის შეილები იმ შორეული მომავლისათვის აშხადოს მორალურად. რომელიც ამჟამად (ე. ი. გოეთეს დროს) მხოლოდ „კონტემპლაციურად“, ანუ თეორიულ-შეკრებულურად შეიძლება იქნეს ფიქსირებული. სწორედ ამ მიზანს, აღამიანთა ამგვარ მორალურ აღზრდას ემსახურება გოეთეს სიმწიფის დროინდელი, ე. წ. კლასიკური შედეგები „იფიგენია“ და „რჩეულთა დანათესავება“, „ვილჰელმ მაისტერი“ და „ფაუსტი“.

ცხადია, არსებული სოციალური სინამდვილის გარდაქმნის საშუალებად პიროვნების მორალური აღზრდის მიზნება, ნაცვლად საზოგადოებრივი წყობილების რევოლუციური ბრძოლის გზით შეცვლისა, მიუთითებს გოეთეს მსოფლმხედველობრივ - იდეოლოგიურ შეზღუდულობაზე. მაგრამ ეს შეზღუდულობა რევოლუციური ბრძოლის წინაშე გოეთეს ფილისტერული შიშით არ განისაზღვრებოდა მხოლოდ. იგი უფრო ეპოქის ხასიათით აიხსნება: იმდროინდელი გერმანული სინამდვილის გარდასაქმნელად რევოლუციური ბურჟუაზია ჯერ-კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ხოლო მეორე მხრით, გოეთეს ჰუმანისტური იდეალების განსახორციელებლად არც რევოლუციური პროლეტარიატი იყო ჩამოყალიბებული. ამიტომაც, როგორც აღნიშნა იოჰანეს ბეხერმა, გოეთესთვის ბრალის დადება იმაში, რომ მან ვერ გამოქმენა თავისი იდეალების შესაბამისად იმდროინდელი გერმანიის გარდაქმნის რეალური გზები და საშუალებანი იმას უდრის, რომ მას მარქსამდე დაბადება ვუსაყვედუროთ¹.

გოეთეს შეზღუდულობის ეს უარესად რთული და წინააღმდეგობრივი, არსებითად ობიექტური ეპოქალური ფაქტორებით განსაზღვრული ხასიათი თავს იჩენს იმდროინდელი უდიდესი ისტორიული მოვლენისადმი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მის დამოკიდებულებაშიაც. უდავოა, რომ გოეთეს ფილისტერული შიშიც იპყრობდა ამ რევოლუციის ტრაგიკული ელემენტის, პირველ რიგში, იაკობინური ტერორის წინაშე. მაგრამ ეს შიში არასოდეს ყოფილა მასში ისე ძლიერი, რომ მისთვის ამ რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დაეჩრდილა. ცნობილია ჯერ კიდევ 1792 წელს ფრანგების რევოლუციური არმიის რეაქციონერ ინტერვენტებზე ვალმისთან გამარჯვების გამო გოეთეს მიერ გენიალურად გამოტანილი დასკვნა, რომ ამით კაცობრიობის ახალ ერას დაედო სათავე. და თუ გვიან, ეკერმანთან საუბარში, გოეთე ამბობდა: „მე ვერ ვიქნებოდი საფრანგეთის რევოლუციის მეგობარი, რადგანაც მისი საშინელებანი მეტისმეტად ახლოს ხდებოდნენ და ყოველდღიურად და ყოველ საათში მამფოთებდნენ, ხოლო კეთილმყოფელი შედეგები იმ დროს ჯერ კიდევ არ ჩანდაო“, — ამის მიზეზი გაცილებით უფრო ღრმია და არსებითი, ვიდრე რევოლუციური ტერორისა და ნგრევის წინაშე შიში. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს უარყოფითი დამოკიდებულება ისევე პოზიტიურად ვითარდებოდა და ღრმავდებოდა, როგორც მთელი მისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. სახელდობრ, თუკი თავდაპირველად ამ დამოკიდებულებაში, მართლაც, რევოლუციური მეთოდოლოგიის ფილისტერული მიუღებლობა ჰარბობდა, შემდეგში გოეთე სულ უფრო და უფრო წყდებოდა ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ წინააღმდეგობრიობასა და შეზღუდულობას, მის შედეგად დამკვიდრებულ კაპიტალისტურ

¹ J. Becher, იქვე გვ. 23.

ურთიერთობათა ნეგატიურ ხასიათს. საბოლოოდ კი, არც ამ გარემოებას შეუშლია ხელი გოეთესათვის პრინციპულად ელიარებინა ეს რევოლუციაც, როგორც ტრაგიკული, მაგრამ ისტორიულად აუცილებელი კატაკლიზმი, და ეცნო მის შედეგად დამკვიდრებული კაპიტალისტური სამყაროც, როგორც მანკიერი, მაგრამ გარდაუვალი ისტორიული ეტაპი, რომლის გავლითაც მიაღწევს კაცობრიობა ბედნიერების ფაუსტურ იდეალს.

ამავე დროს, საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხი სულაც არ ამოიწურება მის მიერ ამ რევოლუციის, როგორც პრაქტიკული მოვლენის, უარყოფით. ამ რევოლუციასთან გოეთეს ორგანული კავშირი იმაში ჩანს, რომ გოეთე თავის ჰუმანისტურ იდეალს ამ რევოლუციის უმაღლეს სულისკვეთებათა, სწორედ იაკობინური იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ ავითარებდა, სრულყოფდა; რომ ამ თეორიულ ჭრილში, როგორც ბეხერი ამბობს, „ფრანგული რევოლუციის სულია, რომელმაც გოეთე შეიპყრო, რომელმაც იგი მის არსებით ხაზებში ჩამოაყალიბა და რომლის განხორციელებად იგი იქცა ისე, როგორც არც ერთი სხვა გერმანელი“.¹

საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების ასეთი გაგების საფუძველზე, იძლევა გეორგ ლუკაჩი (კაპიტალურ შრომაში: „Goethe und seine zeit“, მე-2 გამოცემა, ბერლინი, 1950) მეფისტოფელესა და ფაუსტის (ერთის როგორც რევოლუციური მეტოლოლოგიისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა „სულის“, ხოლო მეორის, როგორც გოეთეს ჰუმანისტურ-მრწამსის მხატვრული პროექციის) წინააღმდეგობრივი კავშირის ანაღზს; — კავშირისა, რომლის არსი ისაა, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არც ერთი

თი — არც მეფისტოფელე და არც ფაუსტი — პოზიტიურ ძალას წარმოადგენს: პირველი, „ჩრგვრტი მხატვრული“, მეორის გარეშე შემოქმედებით უნარსაა მოკლებული, ხოლო მეორე, როგორც „მშენებელი“, მხოლოდ პირველის შემწეობით განახორციელებს თავის შემოქმედებით სწრაფებს. ამ კავშირში როგორც ფაუსტში, ერთიანდება გოეთეს მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის მთელი პრობლემატიკა, ყველა პლუსი და მინუსი.

ამათ შორის გადამწყვეტ უპირატესობას უკანასკნელნი იძენენ და ამგვარად ხდება, რომ გოეთე ყველაზე მაღლა დგება იმ მცირერიცხოვან პროგრესულ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს შორის, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ თავიანთი ეპოქის ჩარჩოებით შეზღუდული რჩებიან, მაინც არიან ამ ეპოქის მანკიერი სინამდვილისადმი, საკუთარი კლასისადმი კრიტიკულად, ნეგატიურად განწყობილი.

ამ სიმაღლეს გოეთემ იმის წყალობით მიაღწია, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი და რთული შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე განუწყვეტლოვ სრულყოფდა და ავითარებდა თავის ჰუმანისმს. იგი მხოლოდ თავის გარემომცველ ფილისტერულ უბადრუკობას კი არ უწყევდა შეუპოვარ წინააღმდეგობას (თუმცა უპირატესად პასიურად და ხშირად მძიმე კომპრომისულ დამოხმობათა ფასად), არამედ თანმიმდევრულად ებრძოდა ამ გარეგანი უბადრუკობის ზემოქმედების შედეგად საკუთარ თავში დახუდებულ ფილისტერსაც. ეს ფილისტერი კი მის იდეალში უპირველეს ყოვლისა, ვერთერისებური ინდივიდუალისტის, პირადული კეთილდღეობის ნაკვეთში ჩაკეტვისაგან მსწრაფი ეგოტიზტის სახით იჩენდა ხალმე თავს. გოეთეს მორალური იდეალის მთელ ევოლუციას წითელ ზოლივით გასდევს ამ ვერთერისტული მანკის დაძლევისათვის ბრძოლა, ადამიანის პირადულ ურთიერთ-

¹ J. Becker, იქვე გვ. 17.

ბათა „მცირე სამყაროდან“ გაყვანისათვის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა „დიდ სამყაროში“ ობიექტივაციისათვის ჰიდილი. ამ ბრძოლაში გოეთეს ეთიკური მრწამსი განუწყვეტლივ ვითარდება, — მართალია, იმავე კონტემპლატურ, მჭერეტელურ-თეორიულ ჰრილში, — საკუთარ თავში სრულყოფილი პიროვნების, „Mensch“-ის დონიდან, სოციალურ-გვარობრივი, კოლექტიურისტური არსების „Mitmensch“-ის მწვერვალისაკენ. სწორედ ამით იქცა გოეთე შორეულ წინასწარმეტყველად და იდეურ მოკავშირედ ჩვენი ჰეშმარიტად ადამიანური, სოციალისტური საზოგადოებისა. მართალია, გენიალურ პოეტსა და მოაზროვნეს ბუნდოვანი და არასრულყოფილი, უტოპისტური წარმოდგენა ჰქონდა კაცობრიობის ამ ნათელ მომავალზე, მაგრამ მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ მხოლოდ ამ მომავალს ძალუძს განხორციელება როგორც საკუთრივ მისი, ისე ყველა კეთილშობილი ადამიანის საუკუნოვან ოცნებებისა ბედნიერ მომავალზე.



ამრიგად, პარტიულობის პრინციპის მომარჯვებით გოეთეს ამგვარი აქტუალიზაციის საფუძველზე დაზუსტებულ იქნა გერმანული დემოკრატიული კრიტიკის მიერ გოეთეს კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი ღირებულება, მისი უკვდავების კანონზომიერება. ამ კანონზომიერების არსი, ერთი მხრით, ისაა, რომ გოეთეს შემოქმედების კრი-

ტიკულ-შემეცნებითი მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო რეაქციული ხდება, იზრუნება და უკრახს უახლოვდება ძველი, კლასობრივი წყობილება, რომლის ერთ-ერთი ღრმა მახილებელიც გოეთე იყო; ამ კანონზომიერების არსი, მეორე მხრით, ისაა, რომ გოეთეს მემკვიდრეობის პოზიტიურ-შთაბეჭადილი ზემოქმედება მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო იზრდება და მტკიცდება სოციალისტური სინამდვილე, რომელზედაც, როგორც გარდაუვალ აუცილებლობაზე, გოეთე ბუნდოვნად ოცნებობდა და რომელშიც ახალ შინაარსსა და ჰეშმარიტ ხორცშესხმას იძენს მისი ფაუსტური იდეალი.

ამ ასპექტში მთელი სიმძაფრითა და სიცხადით გამოვლინდა გოეთეს ჰუმანიზმის მეტროლი, რევოლუციური ძალა, რომელიც კომუნისტ გმირებს იმპერიალისტურ ფაშისტური ხროვის საბოლოო განადგურებისაკენ მოუწოდებს და ახალი ცხოვრების შენების პათოსით ალაფროვანებს, — ძალა რომელმაც ერნსტ ტელმანს — მის უკანასკნელ, ბაუცენის ციხიდან გერმანელ მშრომელთა დმი მიმართულ წერილში, — სოციალიზმისათვის საბრძოლველად კომუნისტთა უტეხი ნება გამოთავტვიზა ფაუსტის უკანასკნელი მონოლოგის სიტყვებით:

„ღიახ, ამ აზრითა ვარ მთლად შეპყრობილი! იგი ადამიანთა სიბრძნის უკანასკნელი სიტყვაა! მხოლოდ ისაა თავისუფლებისა და სიცოცხლის ღირსი, ვინც მას ყოველდღე ბრძოლით მოიხვეჭს“.

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ალბილის გაგვიხსათვიც



„ვეფხისტყაოსნის“ ზემს გამოცემაში მოყვანილია რთული, ევრეთწოდებული გაშლილი მეტაფორების შემცველი ორი სანიმუშო სტროფი (გვ. 294). იგივე ორი ნიმუში მოყავს პროფ. ა. ბარამიძის თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხები“ („ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან“, III, გვ. 187) თავისი განმარტებით (შე კი ეს მეტაფორები განმარტებული არ მქონდა).

უტრნალ „მნათობის“ მე-10 ნომერში (1952 წ.) დაიბეჭდა პროფ. დ. კობიძის რეცენზია პროფ. ა. ბარამიძის ზემოაღნიშნული წიგნის შესახებ. რეცენზენტი ეხება, სხვათაშორის, სხეულებს მეტაფორების მეორე ნიმუშს და მოყავს იგი:

„ეთანდოლ დაჯდა ტირილად,
ტირს ხმითა შეენიერითა,
ყორანსა ვაპგლეჯს ხშირ-ხშირად,
აფრთხობს ბროლისა ქერითა,
გაბეჭქა ლალი, გათლილი
ანდამატისა კვერითა,
მუნით წყარონი გამოწნდის,
ძოწსა ვაშგავსეფ ფერთა“.

ამსთან ერთად მოყვანილია პროფ. ა. ბარამიძის განმარტება: „ყორანი თმა (შავი თმა), ბროლის ქერი — ხელი თითებით, ტაების შინაარსი ასეთია: ეთანდოლი მწარედ, ხმაშალდა მოთქმით ტირილად, ხელების თითებით ხშირ-ხშირად ეგლეჯდა თმას და ბლეჯებს იქით-აქეთ ყრიდა. სახე დაიკაწრა (ლალი ღწეფი, ანდამატის კვერისაგან გათლილი, გაბეჭქი), იქიდან წამოვიდა სისხლის წყაროები, რომელნიც ფერთი, ემსგავსებოდა ძოწს (წითელ მარჯანს)“.

ამის შემდეგ რეცენზენტი მართებულად შენიშნავს: „რუსთველოლოგებმა კარგად იციან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვისა და მეტაფორის მნიშვნელობის გამოცნობა ზოგჯერ მთელ გამოცელებას უდრის. წარმოდგენილ სტროფში გამოყენებული მეტაფორებს შორის ძნელი ასახსნელია, რას უნდა ნიშნავდეს „ბროლის ქერი““.

ბოლოს რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ამ მეტაფორის ისეთი განმარტება, როგორცაც პროფ.

ა. ბარამიძე იძლევა, ადრე მან, პროფ. დ. კობიძემ, გამოაქვეყნა „ლიტერატურული ძიებანი“ III ტომში: „აქ ყორანი თმა, ბროლის ქერი — თითები, ლალი — სახე, ანდამატის კვერის — მუშტი, ზოლო ძოწისფერი წყარონი კი მუშტიც გაბეჭქილი სახიდან მოდენილი სისხლი“.

ყველაფერი ეს ასეა, ოღონდ, საშუალოდ, არ არის სწორი აღნიშნული მეტაფორის განმარტება, რასაც პატრიკვემული მკვლევარები იძლევიან.

უნდა ვიცოდეთ, რომ მეტაფორა იგივე შედარებაა, მხოლოდ შენიღბული, და იგი საგანთა შორის მსგავსებას აღნიშნავს. არისტოტელე ამბობს: „ქარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების შეშინევას ნიშნავს“. ახლა ვეკითხოთ, რით ჰგავს ხელის თითები ქერს? სრულიად არაფრით. როდესაც რუსთველს უნდა მეტაფორულად ასახოს თმის გლეჯვა ხელით, ამბობს:

„ვიშრისა ტვერსა მოფოცება
ბროლისა საფოცებლია“.

ამ მეტაფორაში ხელსა და საფოცებელს შუა მსგავსება აშკარაა.

მთავარი მიზეზი პროფ. ა. ბარამიძისა და პროფ. დ. კობიძის შეცდომისა აქ იმაში გამოიხატება, რომ მათ სწორად ევრ ვაურკვევით გრამატიკული ფორმა სიტყვისა: „ქერითა“. მათ ჰგონიათ, რომ ეს სიტყვა უპასუხებს კითხვას: „რით“, ნამდვილად კი უნდა დარსება კითხვა: „სითიდან“. აფრთხობს ბროლის ქერით (ა) — ძველებური დაბოლოებით, ე. ი. „ბროლის ქერით-ვან“, ან ვიდევ, ახლებურად: „ბროლის ქერი-დან“. შამსადაძემ, თანამედროვე ენით რომ ეთქვათ. ეთანდოლი ყორანს აფრთხობს არა ქერით, რაც ყოველად შეუძლებელი იქნებოდა, არამედ ქერიდან. ახლა ვეკითხოთ, სად არის მოთავსებული ყორანი (შავი თმა)? იგი მოთავსებულია თავის ზემო ნაწილზე, შუბლის გარშემო. შეიძლება აღამაინის თავის ზემო ნაწილს ვუწოდოთ ქერი? შეიძლება, რადგან იგი არის აღამაინის სხეულის დასრულება, მისი საბჭე-

ლი, ანუ ჰერი. ამგვარად, „ბართლის ჰერი“ რუსთაველის მეტაფორაში ნიშნავს არა ხელს თითებთან, როგორც ა. ბარამიძე და დ. კობიძე ფიქრობენ, არამედ თავის ზემო ნაწილს შებლითურად.

პირველ შეცდომას უშვებს პროფ. ა. ბარამიძე, როდესაც ფიქრობს, რომ სიტყვა „კვერითა“ უპასუხებს კითხვაზე „რისგან“. ამ შემთხვევაში უნდა დაისვას სწორედ კითხვა: „რით“. ლალი გათლილია არა ანდამატის კვერისგან, როგორც ა. ბარამიძე ხსნის, არამედ ანდამატის კვერით. ეს კვერი, აგრეთვე, არ ნიშნავს მუშტს, როგორც დ. კობიძეს ჰგონია, რადგან გლევის დროს ლაწვებიდან სისხლს იღებენ არა მუშტის ცემით, არამედ ფრჩხილებით. გარდა ამისა, კვერი რომ აქ მუშტს ნიშნავდეს, მაშინ ზედმეტი იწებოდა სიტყვა „გათლილი“, და რუსთაველი იტყოდა — გახეთქა ლალი ანდამატის კვერითო. ამ სტრიქონში პოეტი გვეუბნება, რომ ლაწვები, რომლებიც აეთანდობა დიაჟურა, ჰგვანდნენ ლალს, გათლილს, გამოკვეთილ არა უბრალო ხელსაწყოთი, არამედ ანდამატის კვერით. აქ ანდამატის კვერს მეტაფორული მნიშვნელობა არა აქვს, იგი ნიშნავს მხოლოდ ძვირფას კვერს.

რაკი შევხებით აღნიშნული მეტაფორის გამო პროფ. ა. ბარამიძის წერილს „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები“, ზევ ვერ დავკმაყოფილებით მხოლოდ ამ საკითხით და განვიხილავთ, აგრეთვე რუსთაველის ფრაზის ერთ შემდგარ ვასწორებებს, რომელსაც იძლევა წერილის ავტორი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ ეს შეცდომა დროზე არ იქნა გამოაშკარავებული, არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ იგი თავს არ ამოყოფს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ გამოცემაში. აი როგორ მსჯელობს მკვლევარი (გვ. 174 — 5): „როგორც საუცებტურ-ეპიკური, ისე სიტყვიერი განმეორებანი ხელს უწყობს ტექსტოლოგიური ხასიათის საკითხის გადჭრას. ამ მხრივ საყურადღებოა ტაბო (1539,4):

ადრე მივიდეს მეფისა სახლად, სამყოფად, არებად.

ასე იკითხება ტექსტი პოემის ყველა გამოცემაში (და ხელნაწერებშიც). მაგრამ თუ კონტექსტს კარგად დავუკვირდებით და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტაბოს უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სიტყვების „სახ-

ლად, სამყოფად“-ის მხატვრულ განმეორებას, ანუ პარალელს, მაშინ ცხადი გახდება, რომ თავდაპირველად „არებად“ სიტყვის წაკვლად უნდა ყოფილიყო სარებად (სასახლებად). მივიღებთ რუსთაველური კონსტრუქციის გამართულ ფრაზას (ტაბოს). ყველაფერთან ერთად ამ ტაბოს ამშვენებს მდიდრული ალიტერაციული ელერალობა:

ადრე მივიდეს მეფისა სახლად, სამყოფად, სარებად“.

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ არ არის მართალი ალ. ბარამიძის განცხადება, თითქოს ასე იკითხებოდეს ტექსტი პოემის ყველა გამოცემაში; პირიქით, არც ერთ გამოცემაში და, რაც უმთავრესია, არც იმ გამოცემაში, რომლიდანაც მოყავს მას ციტატი, ეს მოლად ასე არ იკითხება. განმეორების „გასაძლიერებლად“ ა. ბარამიძეს მძიმით დაუცოლებია ერთმანეთისაგან ერთი ცნების გამომხატველი სიტყვები „სახლად სამყოფად“. მაგრამ ეს არაფერი. მთავარი საკითხავი ის არის — რა მოსაზრებით, რა საბუთით ჰგონია მას, რომ სიტყვა „სარებად“ ნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“, ან თუნდაც რომელიმე სხვა წიგნში, სასახლებებს? „სარებად“ არის არა სასახლებები, არამედ მრავლობითი რიცხვი სიტყვიდან. „სარი“, რომელიც სიტყვაში გვხვდება იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დღეს ამ სიტყვას ვმხარობთ. სიტყვა „არებად“ (მრავლობითი რიცხვი სიტყვიდან „არე“) ამ კონტექსტში საესებით თავის ადგილზეა, აი, ამ სიტყვის წმარების მეორე მავალით პოემაში — „თქვა: წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები“. ალიტერაციის გელისთვის რომ „ვეფხისტყაოსანში“ ცალკეული გამოთქმები ვასწოროთ, როგორც ამ შემთხვევაში ა. ბარამიძე იქცევა, მაშინ ეს უკანასკნელი ნიშნავს შეიძლება ასე გავასწოროთ: „თქვა: წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა ნარები“ (ეკლები). ამით სტრიქონის ელერალობა უპიკვლად გაძლიერდება და ახალ აზრსაც მივიღებთ: წამილია მტერთაგან სიმაგრეები, რომლებიც ნარებივით (ეკლებივით) შესობიან ქვეყნის სახლებებს. წიგნი „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“, რომელსაც ასახლებს პროფ. ა. ბარამიძე თავისე წერილის თავსა და ბოლოში, არ იძლევა ამგვარი „გასწორებების“ საბაბს, თუ ის ყალბად არ იქნება გაგებული.



ვლადიმერ მიხეილის-ძე გუხუაძე



დიდი რუსი ხალხის იმ გამოჩენილ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც გაამდიდრეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერება და მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს მას, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია ვ. ბებტერევი. ბებტერევი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც კლინიციტი ფსიქონეროლოგი, მაგრამ არანაკლები დამსახურება მიუძღვის მას თეორიული ნევროლოგიის, განსაკუთრებით ტვინის ანატომიის, დარგში. ამ მიმართულებით ბებტერევის გამოკვლევებმა მსოფლიო აღიარება პოვა მას ევთენის 600-ზე მეტი ნაბეჭდი შრომა, მათ რიცხვში რამდენიმე მრავალტომიანი მონოგრაფია. ასევე დიდი ბებტერევის, როგორც საზოგადო მოღვაწის და სამკურნალო დაწესებულებების ორგანიზატორის როლი რუსული კულტურის ისტორიაში.

მ. კალინინის სიტყვით, ბებტერევი ევთენის იმ აღმართა რიცხვს, რომლებიც ამტკიცებენ კავშირს მეცნიერებასა და სოციალიზმის მშენებლობას შორის. „ბებტერევი უმწიკვლად გაატარა თავისი ცხოვრება, — ამბობს მ. კალინინი, — კაცობრიობის ინტერესებს შესწირა თავისი სიცოცხლე, ის აქტიურად იბრძოდა ახალსამყაროსათვის, დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკური შრომის მეცნიერებასთან მიხედვების საქმეში, მუშაობდა და გლეხთა წყობილების განმტკიცების საქმეში“.

ვლადიმერ მიხეილის-ძე ბებტერევი დაიბადა 1857 წლის 20 იანვარს ვიატკის გუბერნიის სოფელ სორაღში (ამჟამად სოფ. ბებტერევი) კანკლარის მოსამსახურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელში. 9 წლის ბებტერევი მიიბარეს ვიატკის გიმნაზიაში. ამ პერიოდში რუსეთი განიცდიდა რევოლუციონერ აღშფოთებას. იმდროინდელი საუკეთესო ინტელექტუალური წარმომადგენლების გონებას ფლობდა დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწინავე იდეები. გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლინოვი, პისარევი და სხვ. ავითარებდნენ რა ფილოსოფიაში მოწინავე მატერიალისტურ პრინციპებს, ეწეოდნენ ფართო მასებში მუშაობას პრაგმატიკულ ბუნებისმეტყველების შესასწავლად. რუსულ ბუნებისმეტყველებაში ხდება ბრწყინვალე აღმოჩენები, უდიდესი

პოპულარობით სარგებლობს რუსული ფიზიოლოგიის ფუძემდებლის ი. სენენოვის უკუდაინაშრომი „თავის ტვინის რეფლექსები“. ასეთი მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულების გავლენით ჰაბტემა ბებტერევი საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლა ვადაწყვიტა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის მედიკური პირთაგულ აკადემიაში (ამჟამად სამხედრო სამედიცინო აკადემია). სასწავლო დისციპლინიდან ბებტერევი ყველზე უფრო გაიტაცა ნერვულ და ფსიქიკურ დაავადებათა შესწავლამ. ნერვოლოგია მას განსაკუთრებით იზიდავდა შედარებით ზუსტი ტომიკური დაგნოზის გამო, მაგრამ ამგვარი დიაგნოსტიკის შესაძლებლობა მაშინ უმთავრესად ცენტრალური ნერვული სისტემის დაბალ განყოფილებას — ზურგის ტვინს შეეხებოდა. თავის ტვინში ფუნქციონირებს ლოკალიზაციის შესახებ მოძღვრება ჯერ კიდევ შესწავლის დაწყებით სტადიაზე იმყოფებოდა. ეს მდგომარეობა გახდა საბაბი, რათა ახალგაზრდა ბებტერევი დაესახა გაბედული, და მიმზიდველი აზრი — დაეზუსტებინა თავის ტვინის დაგნოსტიკა.

ამრიგად, ბებტერევი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან დასისხა განათლებული ამოცანა და წინასწარ განსჭვრიტა მომავალი სამეცნიერო გზა.

1878 წელს ბებტერევი წარჩინებით დაამთავრა მედიკური-პირთაგული აკადემია; დაჯილდოეს პრემიით და ცოდნის ასაძალგებლად დატოვეს სამაროფისორო ინსტიტუტში. ადრინდელი დასახული გეგმის განსახორციელებლად ბებტერევი დაიწყო მუშაობა ნერვულ და ფსიქიკურ სნეულებათა კათედრაზე. სამი წლის განმავლობაში მან ბრწყინვალედ დაიცვა მედიცინის მეცნიერების დოქტორის ხარისხი. 1885 წელს ბებტერევი ნიშნავენ პროფესორად ყაზანის უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კათედრაზე. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ის უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერია. ამ პერიოდში რუსეთში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული რუსი თერაპევტი ს. ბოტკინი და ი. სენენოვი, რომელთა მოწინავე მეცნიერულმა იდეებმა ცხოველმყოფელი გავლენა იქონიეს ბებტერევის სამეცნიერო მუშაობაზე.

ბენტარაძის დიდი შემოქმედებით ენერჯის წყალობით ყაზანის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრა მალე გადაიქცა უდიდეს სამეცნიერო ცენტრად. იქ მოაწყო მან რუსეთში პირველი ფსიქო-ფიზიოლოგიური ლაბორატორია და ცნობილ რუს ფიზიოლოგ მისლავსკისთან ერთად ჩაატარა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ნერვული სისტემის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში.

დიდი სამეცნიერო-საეკლევო მუშაობასთან ერთად ბენტარაძე ფართოდ გაშალა საზოგადოებრივ-ორგანიზაციული მუშაობაც. ყაზანის უნივერსიტეტთან იგი აარსებს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოებას და პირველ რუსულ ნერვოლოგიურ ეთრნალს „ნერვოლოგიურ მოამბეს“. 1894 წელს ბენტარაძე მიიწვიეს პეტერბურგში სამხედრო სამედიცინო აკადემიის ნერვულ და ფსიქიკურ სნეულებათა კათედრაზე. აქ კიდევ უფრო ფართოდ გაშალა სამეცნიერო მუშაობა, ვიდრე ყაზანის უნივერსიტეტში. კლინიკისთან დააარსა მთელი რიგი ლაბორატორიები (ანატომიური, ექსპერიმენტულ-ფიზიოლოგიური, ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური და სხვ.), გამოყო სპეციალური ნერვული კლინიკა, სადაც პირველმა გამოიყენა შერბინალობის ქირურგიული მეთოდები. ამით ბენტარაძემა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ქვეყნის ნევროპათოლოგიულ მეცნიერებას. ბენტარაძის კლინიკის ავტორიტეტი და პოპულარობა არაწვეულებრივად გადიდდა. გარდა სამეტრო პერსონალისა, მის კლინიკაში და ლაბორატორიაში რუსეთის ყოველი კუთხიდან მიისწრაფოდნენ მრავალრიცხოვანი ექიმები, რათა ემუშავათ დისკრეციებზე და ჩეატარებინათ სხვადასხვა სახის სამეცნიერო-საეკლევო მუშაობა.

ბენტარაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდი უმთავრესად ეხება ნერვული სისტემის ანატომიის პრობლემას. მის გამოკვლევებს ტვინის ნატიფი სტრუქტურის დარგში უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თავისი გამოკვლევებით ბენტარაძემა ვააფართოვა ცნობები ნერვული სისტემის გამტარი გზებისა და ცენტრების შესახებ. მან პირველმა აღწერა მანამდე უცნობი მთელი რიგი ნერვული კონები და უჯრედული წარმოქმნები: მთელ სივრცეზე გამოიკვლია ყველა ის გზა, რომელიც თავის ტვინიდან მიიმართება პერიფერიისაკენ და, პირიქით, პერიფერიიდან თავის ტვინისაკენ; აღწერა ზურგის ტვინის უკანა რქების მიდამოში განსაკუთრებულ უჯრედთა ჯგუფი, რომელსაც შემდეგში მისი სახელი ეწოდა. მან პირველმა აღწერა მეოთხე პარკეტის გარეთა კუთხის არეში ბირთვი, რომელიც ცნობილია მეცნიერებაში „ბენტარაძის ბირთვის“ სახელწოდებით; შეი-

სწავლა ნათხემის აღნაგობა და მისი გამტარი გზები, ქერქი და ქერქქვეშა წერტილებზე და სხვ. თავისი უმთავრესი მორფოლოგიური მუშაობის გამოკვლევები ბენტარაძემა შეაჯამა კლასიკურ შრომაში — „ზურგის და თავის ტვინის გამტარი გზები“ (1892 — 1896). მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება ტვინის ანატომიის შესახებ ისეთი მონოგრაფია, რომელიც შეიცავდეს ავტორის იმდენ ორიგინალურ გამოკვლევებს, როგორცაა ეს წიგნი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ამ ფუნდამენტალურ ნაშრომს მიაკეთებდა ბერის პრემია. წიგნი მალე გადაითარგმნა უცხო ენებზე და გადაიქცა მთელ მსოფლიოში ნევროლოგთათვის ყოველდღიურ სამუშაო წიგნად. ბენტარაძევი მის მუშაობაში ხელშემდგენლობდა იმ სწორი, პატერიალისტური თვალსაზრისით, რომლის თანახმად ორგანო და ფუნქცია განუყოფელია ერთმანეთისაგან. იგი ამ პრინციპით მიუღდა ცენტრალური ნერვული სისტემის შესწავლას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ტვინის ანატომიის შესწავლასთან ერთად მან უნდა შეესწავლა ტვინის ფიზიოლოგიაც. ამ ამოცანის განხორციელებას მიეძღვნა ბენტარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე პერიოდი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ ყაზანის უნივერსიტეტში ფიზიოლოგ მისლავსკისთან ერთად მან შეასრულა მთელი რიგი ექსპერიმენტული გამოკვლევები ნერვული სისტემის ფუნქციის საკითხებზე. მეცნიერმა პეტერბურგში თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად კიდევ უფრო გააფართოვა მუშაობა ამ მიმართულებით. საპატიო ადგილს იკავებს ბენტარაძის გამოკვლევები წონასწორობის ორგანიზმა ფუნქციის დარგში; მან შეისწავლა მხედველობის ბორცვების როლი შინაგანი ორგანოების ინერვაციაში, მიმიკურ და ემოციურ აქტებში. ამ საკითხების შესწავლაში ბენტარაძემა გაუსწრო უცხოელ ნევროპათოლოგებს კარპლენს და კრეილს.

1905 — 1907 წლებში განმელობაში ბენტარაძემა გამოსცა შედგომიანი ფუნდამენტალური მონოგრაფია „ტვინის ფუნქციონალიზაციის საფუძვლების შესახებ“. ამ შრომაში გაერთიანებულია ბენტარაძისა და მისი თანამშრომლების უმრავი ორიგინალური გამოკვლევა.

90-იან წლებში ბენტარაძევი მისლავსკისთან ერთად შეიკვეთეს ცილის პრობლემაში იკვლევდა თავის ტვინის ქერქის როლს შინაგანი ორგანოების ფუნქციის რეგულაციაში. ქერქის ცალკეული უბნების გაღიზიანების ან ექსტრიაციის (ამოკვეთის) შედეგით იგი შეისწავლიდა ამ უბნების გაგულენას გულის, სისხლძარღვთა, კუჭის, ნაწლავების და სხვა ორგანოთა მოქმედე-

ბაზე. ამ ცდებით სახელგანთქმელი მეცნიერი მიუბღოვდა ჩვენი ქვეყნის იმ შესანიშნავ ფიზიოლოგურ მიმართულებას — ნერვიზმს, რომლის განვითარებაც ვანერვრულად დაკავშირებულია დიდი რუსი ფიზიოლოგის პავლოვის სახელთან.

ბებტერევიმ თავიდანვე შეაფასა ის უდიდესი პერსპექტივები, რომელთაც შედიცინას უსახავდა პავლოვის გენიალური მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

ჯერ კიდევ 1908 — 1909 წწ., მიკვეებოდა რა პავლოვის შავალიოს, ბებტერევი ცხოველებზე შეისწავლიდა მოძრაობითი პირობით რეფლექს ანუ, ავტორის ტერმინოლოგიით, „შეუღლებითი“ პირობით რეფლექსს. შემდეგში თავის მოწაფეებთან ერთად (პროტოპოპოვი, მალოტკოვი) დამერიდებით შეისწავლიდა შეუღლებითი პირობითი რეფლექსების წარმოშობის, ჩაჭრობის და აღდგენის მოვლენებს ადამიანებზე. ამ გზით მიღებულ მონაცემებს ბებტერევი იყენებდა ადამიანის რეფლექსოლოგიის ასაგებად (იხ. „Общие основы рефлексологии человека“).

როგორც ა. გ. ივანოვ-სმოლენსკი შენიშნავს, — ადამიანზე უმაღლესი ნერვული მოქმედების მოძღვრების გარეცლებას საწყისი ექსპერიმენტული გამოკვლევების სახით პირველად შეეცადა ნ. კრასნოვარსკი, მაგრამ „Первый опыт введения этого учения (огульные сведения) მოძღვრება უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, ს. ა.) в область невропатологии и психиатрии принадлежит (1908 — 1909) В. М. Бехтереву и его ученикам. Можно, и даже должно, не соглашаться с ним в его склонности, с одной стороны, к чрезмерному упрощению столь сложной задачи, а с другой стороны, к слишком широким и непривычным обобщениям при попытках разрешения ее, но вместе с тем необходимо признать следующее: непрекаемая и бесспорная заслуга В. М. Бехтерева состояла в том, что он был первым представителем невропатологии и психиатрии, правильно оценившим огромные перспективы, открываемые учеником И. П. Павлова для этих медицинских дисциплин. В этом его несомненная и большая заслуга перед отечественной наукой“. (А. Г. Иванов-Смоленский «Очерки патофизиологии высшей нервной деятельности», 1952, стр. 253).

კლინიკურ საკითხებიდან ბებტერევის კალამს ეკუთვნის 176 შრომა. ბებტერევიმ ფუნდამენტური წიგნები მიუძღვნა ნერვული სის-

ტემის დაავადების დაავადების, საკითხებს (1911 — 15 წწ.). აღწერა მანქანის მძღველის რეფლექსი და 10-ზე მეტს ნერვულ დაავადებებს დაზიანების მანამდე უცნობი სიმპტომები, აღნიშნულ რეფლექსებს და სიმპტომებს წარმატებით იყენებენ ნერვულ სნეულებათა დაავადებებში. ბებტერევიმ პირველად აღწერა ნერვული სისტემის დაავადების მრავალი ცალკეული ფორმა და ფსიქოპათოლოგიური სინდრომები.

ბებტერევი უცხოური მეცნიერებისადმი ბრმა თავანისმცემლობის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. იგი ეწეოდა უცხოური უაღბლო თეორიების კრიტიკულ ანალიზს. ბებტერევიმ გააკრიტიკა ვეისმანის რეაქციული „მოძღვრება“ მეჭვიდრეობის შესახებ, — კრეჩმერის და ფრეიდის შეხედულებებს პისტერიაზე ის ანტიმეცნიერულად თვლიდა. ბებტერევი ნერვულ და ფსიქიკურ დაავადებას იბილადა ერთიანობაში, როგორც ტვინის დაავადებას. წინააღმდეგ ვირხოვის შეტაფიზიური ცენტრალური თეორიისა, იგი მოითხოვდა ორგანიზმის შესწავლას შლიანობაში და გარემო პირობებთან კავშირში.

აღსანიშნავია, რომ ბებტერევი თავის შრომებშიც მეცნიერულ მოღვაწეობაში არ იყო თანმიმდევრული მატერიალისტი, და ამიტომ უშეშებდა შიულ რაც შეეძლო. მან ბოლომდე ვერ გააგრძელა მატერიალისტური პოინზის თვალსაზრისი ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის საკითხში, ტლანტი შეცდომები დაუშვა შრომაში „კოლექტური ფსიქოლოგია“ (1921), რაც უშთაერესად იმაში გამოიხატება, რომ იგი ცდილობდა დაედგინა ისეთი საყოველთაო კანონები, რომლებიც გამოადგებოდა არაორგანული, ორგანული და სოციალური მოვლენების ასახვად. ასეთ საყოველთაო კანონად ბებტერევის მიანდა ინერციის, მიზიდულობის და სხვა კანონები.

თავისი სიცოცხლის უანასკნელ წლებში ბებტერევი გაეცნო მარქსიზმის კლასიკოსების გენიალურ შრომებს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა მექანიციზმისაგან საბოლოოდ მაინც ვერ განთავისუფლდა.

ბებტერევის მეცნიერული მეჭვიდრეობისათვის არსებითი და დამახასიათებელია არა მის მიერ დამუშავებული შეცდომები არამედ ის გამოკვლევები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის და მსოფლიო მეცნიერების განვითარების საქმეში.

ბებტერევი გარდაიცვალა 1927 წლის 24 დეკემბერს.

ბებტერევის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობა სრული შესაძლებლობით გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მისი დიდი ხნის სანდუკარი ოცნება — დაეარსებინა ისეთი სამეცნიერო-საეკლავი ინსტიტუტი, სადაც ყოველმხრივ იქნებოდა შესწავლილი ტვინის აღნაგობა და მისი ფუნქციები — განზორციელდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სიციხისტური რევოლუციის შემდეგ.

მიუხედავად სამოქალაქო ომის მძიმე პირობებისა, ინტერვენციისა, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ გამოისცა დეკრეტი ტვინის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამ ინსტიტუტის სათავეში ჩაუდგა ბებტერევი. ბებტერევი რევოლუციის პირველ დღეებში დადგა გამარჯვებული ხალხის მხარეზე. მან ტვინის ინსტიტუტის კონფერენციაზე 1919 წელს საჯაროდ განაცხადა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსთან. „ისტორიის გარდატეხის მომენტში არ შეიძლება ვსაჯავრედინო დგომა და ლოდინი, — ამბობდა ბებტერევი, — საჭიროა მოქმედების, მშენებლობისა და შემოქმედებითი შრომის ნებისყოფა. და ჩვენთვის, მეცნიერ მოღვაწეთათვის, რომელნიც მთელ ძალს უწირავდით ეკობრიობის სამსახურს — ადვილი არ უნდა ჰქონდეს შერყობას. ჩვენ ანგარიში უნდა მივცეთ საკეთარ თავს, ვიქნებით თუ არა იმ ხალხთან, რომელმაც, ბრძოლით მოიპოვა რა თავისუფლება, სერს თეთორწვე აშენოს თავისი მომავალი და მოგვიწოდებს ჩვენ მონაწილეობა მივიღოთ ამ მშენებლობაში. განა შეიძლება ამ კითხვაზე პასუხი საეჭვო იყოს?“

ბებტერევი ეუფთვნის იმ სასახლო მეცნიერთა პლეადას, რომელთა საქმიანობა არ იფარგლება ვიწრო სამეცნიერო ინტერესებით; ასეთი მეცნიერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ყოველთვის რუსული პროგრესიული საქმიანობის ტელიფონის მოწინავეთა რიგებში იდგა. სამეცნიერო ყრილობებზე ბებტერევი აწუჭებდა არა

მარტო მეცნიერების საკითხებს, არამედ ხშირად ეწეოდა ცარიზმის გაშლილ კრიტიკას. 1905 წელს რუსეთის ფსიქიატრთა მეორე ყრილობაზე მან ამხილა თვითმპყრობელობის შევსნელი მხარეები, რომლებიც ხელს უშლიდნენ პიროვნების თავისუფალ განვითარებას. სიტყვა დაამთავრა ლერმონტოვის ლექსით: „Отворите мне темницу, дайте мне сыныя дна“. უკანასკნელი სიტყვები დაფარა მქუხარე ოვაციამ. ბებტერევი მაღლა აიტაცეს და ისე გამოიყვანეს დარბაზიდან. მალე შედგა სახელდახელო მიტინგი, რაც დაუყოვნებლივ შეატყობინეს მეფის მოჭედეებს და მიტინგი დაარბიეს. პოლიციამ ადგილზე იწყო მიტინგის მონაწილეთა დაპატიმრება.

1910 წელს რუსეთის ფსიქიატრთა მესამე ყრილობაზე ბებტერევი ყრილობის ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ როგორ დამლუპველად მოქმედებს მძიმე ეკონომიური პირობები ლარბი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. მან განაცხადა, რომ მეფის რუსეთი წარმოადგენს ნერვულ და ფსიქიკურ დაავადებათა წყაროს. „კაპიტალისტური წყობა — ამ ჩვენი დროის ძირითადი ბოროტება“ — ამბობდა ბებტერევი. იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წყობილების გაბედული კრიტიკის გამო მეფის მთავრობა ბებტერევეს უნდობლად ეკიდებოდა, იგი მიანდათ მუამობზე პროფესორად. 1913 წელს მეფის მინისტრმა ბებტერევი გადააყენა. სამხედრო-სამედიცინო აკადემიიდან „სამსახურის ვადის განვლის გამო“. ნამდვილად კი მშინ ენერგიით აღსაყვე ბებტერევი შემოქმედებითს აღმავლობას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ბებტერევის ერთი წუთითაც არ შეუწინებელია მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სამშობლოს სასარგებლოდ.

ბებტერევი იყო თავისი ქვეყნის მკვნიებარე პატრიოტი, ისე როგორც სხვა გამოჩენილ რუს მეცნიერებს, მასაც ჰქონდა დასახული კეთილშობილური მიზანი — მეცნიერება ჩაყენებინა ხალხის სამსახურში, მეცნიერების მონაპოვარი მოხმარებოდა ხალხს. ამ მიზანს უმწიკლოდ ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შესანიშნავი მეცნიერი — ბებტერევი.

შენიშვნები ერთი საინფორმაციო ნიშნის გამო



რსფს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სახელმწიფო სასწავლო-პედაგოგიურმა გამოცემლობამ გამოსცა ალ. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბ. ელენტიის კოლექტიური ნაშრომი — „ქართული ლიტერატურის ისტორია“. წიგნი მოწოდებულია სამსახური გაუწიოს მოძვე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიურ ფაკულტეტებს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის და, საერთოდ, საბჭოთა მკითხველს გააცნოს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა.

ამ წერილის მიზანია მიუთითოს გარკვეულ შეცდომებზე, რომლებიც ახასიათებს წიგნს, გამოაყლინოს ზოგიერთი მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია წიგნის შემდეგი გამოცემისათვის.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (ფეოდალური ქართული ლიტერატურა გვ. 9-69), დაწერილია პროფ. ალ. ბარამიძის მიერ. ეხება რა ძველი ქართული საერო ლიტერატურის ჩასახვისა და განვითარების საკითხს, ალ. ბარამიძე საერო ლიტერატურის განვითარების საფუძველს საეკლესიო-სამონასტრო წრეებსა და საერო ფეოდალურ საზოგადოებრიობას შორის პოლიტიკურ ბრძოლაში ხედავს. ავტორის პოლიტიკურ ბრძოლად მიიჩნია გრ. ხანძთელის მიერ აშოტ კურაპალატის საყვარლის მონასტერში წაყვანა.

მესხეთის მთავარს აშოტ ბაგრატიონს იჯაბისა და მთელი საზოგადოებრივობისაგან დაფარულად ერთ-ერთ მიუ-

ვალ ციხე-სიმაგრეში გამოკეტილი ჰყავდა ქალი, რომელთანაც იგი მრუშობდა. სახელმძღვანელოს ავტორის აზრით, ეს არის „გრძნობების თავისუფლება“, რომელსაც წინ გადაეღობა ბერმონაზონი გრიგოლ ხანძთელი. ავტორი წერს. «Свободе чувства таких феодалов Мерчули противопоставил идеал умерщвления чувственных побуждений и самоотречения чёрного духовенства» (გვ. 25).

რა მოხდა? გრ. ხანძთელმა ურჩია აშოტს თავი გაენებებინა დედაკაცისათვის, რომელთანაც იგი მრუშობდა, და რადგან აშოტმა დააყოვნა ამ დედაკაცის გაშვება, ხანძთელმა შეურჩია დრო და იგი დედათა მონასტერში წაიყვანა და მონაზონად აღკვეცა. როცა ვნებათა ღელვით შეპყრობილ აშოტს დანიშნულ ადგილს აღარ დაუხვდა საყვარელი და გაიგო მისი თავგადასავალი, მწარე საგონებელს მიეცა, მაგრამ საყვედურიც არ დასცდენია ხანძთელის მიმართ. ავტორი დაასკვნის: Георгий Мерчули (X в.) дает яркие образы политической борьбы между представителями церкви и светско-феодалной общественностью» (გვ. 25).

ნამდვილად, აშოტ კურაპალატის და ხანძთელის დამოკიდებულება ამ შემთხვევაში პოლიტიკურ ბრძოლას არ გამოხატავს და საერთოდ არც ჰქონია მათ შორის ადგილი ამ ბრძოლას. პირიქით, ხანძთელში აშოტ კურაპალატი ხედავდა იდეურ-პოლიტიკურ დასაყრდენს და ტყუილად როდი მიმართავდა კურაპალატის ხელქვეითი მოხელე გაბრიელ

დაფანსული (დიდებული აზნაური) მონასტრების მშენებელს გრ. ხანძთელს: „აქ ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი: და ეს შევხავენთ ურთიერთას“.

თქვენ შეგიძლიათ იდეოლოგიური საშხაბური გაგვიწიოთ, ჩვენ კი მატერიალური დახმარება მოგვცეთ! — განა ეს იდეოლოგია, რომელიც ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების ამოცანას უმსახურებოდა მაშინ, ქვეყნის შუა გულში დამპყრობელი არაბების პარპაშის დროს, რეაქციული იყო? რა მოსატანია აქ ამოტის „გრძნობათა თაერსუფლება“ ანუ მრუშობა? განა ამოტ ბაგრატიონი იგივე პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა მამამდიან დამპყრობელთაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად, როგორცაც გრ. ხანძთელი?

ავტორი X საუკუნის საეკლესიო მწერლებს თანამედროვე ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებას უყენებს: *Василий Зармели, подобно Георгию Мерчули, много внимания уделяет описанию социально-политических и бытовых сторон жизни населения самухийского края. Он хорошо подметил антагонистические отношения, существовавшие между церковно-монашеской и светской общественностью*».

რა თქმა უნდა, ვერც მერჩული და ვერც ზარმელი ანტაგონისტურ საზოგადოებას ვერ წარმოიდგენდნენ, ხოლო თუ გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ბერებს, როცა უკანასკნელნი მონასტრისათვის მიწის ფართობების დარგვალებას შეუდგნენ, ეს როდი ნიშნავს საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის ბრძოლას. გლეხები ებრძოდნენ როგორც ეკლესიას, ისე მემამულე-აზნაურებს მათგან მიწების დატაცების გამო. მაგრამ აქედან არ გამოდინარეობს, რომ ბერმონაზნულ და საერო საზოგადოებრიობათა შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება ანუ კლასობრივი ბრძოლა იყო. არ შეიძლე-

ბოდა ყოფილიყო მათ შორის ანტაგონიზმი — კლასობრივი ბრძოლა რადგან ისინი ერთ კლასს შეაბუნდნენ. ანუ არც ისაა სწორი, თითქოს დავით აღმაშენებლის დროს ეკლესიის პოლიტიკური გავლენა შემცირებულიყოს (გვ. 27). ავტორი ამ „შემცირების“ საფუძველზე ხსნის საეკლესიო ლიტერატურის ხვედრითი წონის დაწევას (!). დავით აღმაშენებელი თვითონ მწერლობდა და მას ეკუთვნის საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი ნიმუში — „გალობანი სინანულისანი“. პართალია, დავით აღმაშენებლის შემდეგ, მეტადრე თამარის ეპოქაში, ძლიერად ჩქედს საერო ლიტერატურის ნაკადი. მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ვაპტყიოთ, რომ ყოველივე ამას დაეჩრდილოს საეკლესიო მწერლობა.

პროფ. ა. ბარამიძე საეკლესიო მწერლობის განვითარებაში ეძებს ჰუმანიზმის წარმოშობის საფუძველებს (გვ. 26-27). ამავე დროს აღნიშნავს, რომ რუსთაველი მოწინავე ჰუმანიტურ იდეებს კრებს ხალხის შემეცნებიდან (გვ. 33). ავტორი ორსავე შემთხვევაში ცდება. საეკლესიო მწერლობაში ჰუმანიზმის საფუძველს ვერ ვიპოვით და არც შეიძლება ვიპოვოთ. ხოლო რუსთაველის იდეოლოგია უშუალოდ ხალხის შემეცნებიდან არ წარმოდგება.

ჰუმანიზმის, როგორც ახალი იდეოლოგიის, წარმოშობის საფუძველი საძიებელია XII საუკუნის საქართველოს საწარმოო ძალებში ანუ ეკონომიკურ-სოციალურ ძალთა ვითარებაში. XII საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ეკონომიკური ცვლილებები (რამაც წინ წამოწია „უგვარონი“ და სიმდიდრით აღზევებულთა დასის, საბით ახალი სოციალური ძალები დაუპირისპირა დიდგვარიანობას, იგივე ფეოდალურ არისტოკრატიას), უძველესი, სათანადო იდეოლოგიურ გამოხატულებას პოულობდა. თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს: ახლა ისეთი დრო

დადგა, სიმდიდრეს უფრო გასაავალი აქვს სახელმწიფო ცხოვრებაში, ვიდრე გვარიშვილობასო.

მართლაც, საქალაქო ცხოვრების განვითარებამ ძალზე შეარყია ფეოდალური კარჩაკეტილობა და პოლიტიკურ სარბიელზე წამოწია დემოკრატიული ფენები. სახელმწიფო დარბაზში დიუკატორთა მონაწილეობა, ზოლო, საეროოდ, ვაჭარ-მოქალაქეთა თანამშრომლობა სახელმწიფო დაწესებულებებში ამ დროს ჩვეულებრივი მოვლენაა. სავაჭრო კაპიტალის ფართო მიმოქცევა მაშინდელ საქართველოს უკავშირებდა მთელი მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებს. დავით აღმაშენებლის დროიდან, მეტადრე თანამედროვე დროს, საქართველო ეუწყლება ამ მსოფლიო ვაჭრობის მაგისტრალებს, რამდენადაც მახლობელ აღმოსავლეთში იგი წარმოადგენს პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალას.

სწორედ ეს ვითარება პოულობს გამოხატულებას „ვეფხისტყაოსნისა“ გმირების სარბიელში, რომ მოქმედებს წარმოებს არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ აღმოსავლეთ ქვეყნებში. იგივე ვითარება უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებულ ხალხთა თანამშრომლობის იდეას საფუძველი აქვს მაშინდელი საქართველოს ეკონომიკურ და სოციალ-პოლიტიკურ ძალთა ვითარებაში.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროისიდან თბილისში, დვინში და სხვა ქალაქებში აღმოსავლეთის ხალხების წარმომადგენლები დისკუსიებს აწყობდნენ სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ საკითხებზე. დავით აღმაშენებლის ასეთი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ქრისტიანობის, მამადიანობისა, ან სხვა რელიგიის მატარებელ ხალხებს არ ებრძოლათ თავიანთი სარწმუნოებრივი

უპირატესობისათვის და ამ უპირატესობით არ ესარგებლათ, რაშიც ყველა რელიგიას თანასწორი უფლებები უფლება მიანიჭებოდა.

რუსთაველის გმირები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები არიან, ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ მეგობრობას. საესებით შესაძლებელია, ასეთი იდეა მეგობრობისა წარმოშობილ იყო XII საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგზე, როცა სახელმწიფოს საკეთილშობილნი — დავით აღმაშენებელი და შემდეგ თამარ მეფე — თვითონ ატარებდნენ ხალხთა თანამშრომლობის პოლიტიკას, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ თავიანთ უფლებაში შეეკავებინათ მრავალეროიანი კავკასია და მასთან ერთად მოხარკე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები.

ამრიგად, რუსთაველი თავის შემოქმედების წამყვან იდეებს უშუალოდ ხალხის შემეცნებიდან კი არ კრებს, არამედ ეს იდეები გამოხატავენ და ესაბამებიან სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოთხოვნებს. თუ შეიძლება ვილაპარაკოთ ჰუმანიზმზე, ეს ჰუმანიზმი მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას გამოხატავდა და მიმართული იყო ეროვნულ-სარწმუნოებრივი კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, საესებით ესაბამებოდა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს. ეს ცვლილებები გამოიხატა იმაში, რომ დიდგვარიანთა და საყრდენ ფეოდალურ ციხეებსა და მონასტრებს, როგორც ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს, დაუბირისპირდა მესამე წოდების სარბიელი — ქალაქი თავისი ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობით. მაგრამ გაბატონებული მდგომარეობისათვის ქალაქსა და მოქალაქეებს არ მიუღწევიათ და არც შეიძლებოდა ასე მომხ.

დარიყო, რადგან სახელმწიფო ხელს-
უფლებაში მონაწილეობა მოქალაქეებს
მემამულეებად ხდიდა, და ეს გარემოე-
ბა სრულიად ბორკავდა მოქალაქეთა
რეზერვის არსებობას და მის მნიშვნე-
ლობას დიდგვარიანობის ანუ გაბატო-
ნებელი ფეოდალური არისტოკრატის
წინააღმდეგ.

საბოლოოდ გაბატონებული რჩებოდა
ფეოდალობა თავისი მორალით, თავისი
იდეურ-პოლიტიკური ბურჯით — ეკ-
ლესიით, მიუხედავად დავით აღმაშე-
ნებლისა და თამარ მეფის პოლიტიკისა,
რომელიც თავისებურ ელფერს აძლევ-
და მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ
ცხოვრებას.

მაშასადამე, რუსთაველიც არ ადას-
ტურებს, იმას, რომ ეკლესიის გავლენა
დაქვეითებულიყო, საეკლესიო მწერ-
ლობაზე საერო ლიტერატურა გაბა-
ტონებულიყო.

XIX საუკუნის ქართული ლიტერა-
ტურის ისტორიის შესავალში (ავტორი
პროფ. შ. რადიანი) ლაპარაკია საქართ-
ველოსა და რუსეთის ურთიერთ კავ-
შირზე, მაშინ როდესაც საკითხი ეხება
„საქართველოს რუსეთთან შეერთებას“,
ე. ი. ფეოდალური ქართული სამეფოე-
ბის გაუქმებას და მეფის რუსეთის პრო-
ვინციად საქართველოს გადაქცევას. გა-
მოდის რომ არარსებული პოლიტიკური
ხელისუფლება მტკიცე კავშირს ამყა-
რებს არსებულ პოლიტიკურ ხელს-
უფლებასთან! საქართველოს რუსეთთან
შეერთების მანიფესტი, რომელიც იმპე-
რატორ ალექსანდრე პირველის ხელის-
მოწერით გამოიცა, აქ წარმოდგენილია
რუსეთ-საქართველოს ახლად დამყარე-
ბული კავშირის გამოხატულებად. ქარ-
თული სამეფო ხელისუფლების წარმო-
მადგენლები — განდევნილი ქართველი
სახელმწიფო მოღვაწენი — თურმე აღ-
ფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს
სამეფოს გაუქმებას. ისინი დიდ იმე-
დებს ამყარებდნენ რუსეთ-საქართვე-

ლოს შორის „ახლად დადებულ კავშირ-
ზე“ (გვ. 73).

ნათე რუსეთ-საქართველოს ურთი-
ერთობის თვალსაზრისით შეიძლება გა-
ვავიგეოთ მეფის რუსეთი ბელინსკისა
და ჩერნიშევსკის, პლუხანოვისა და
ლენინის რუსეთთან, რომელთანაც მარ-
თლაც მტკიცე კავშირი ჰქონდა ქართ-
ველ ხალხსა და მის საუკეთესო შვი-
ლებს? სახელმძღვანელოში არც არის
დასმული ორი რუსეთის არსებობის სა-
კითხი: რომ ერთი იყო მეფის რუსეთი
თავისი სამხედრო-სამოქალაქო ბურო-
კრატით — ეს კოლონიური მწაგვრე-
ლი ძალა, რომელთანაც განუწყვეტილ
ბრძოლას აწარმოებდა ქართველი ხალხი,
ხოლო მეორე იყო რუსი ხალხის დიადი
სამშობლო, ჩერნიშევსკისა და ლენინის
რუსეთი, რომელიც თვით ხელმძღვანე-
ლობდა ქართველ და ყველა სხვა ხალხს
ცარიზმის წინააღმდეგ გამათავისუფ-
ლებელ ბრძოლაში.

ლენინი გვასწავლის, რომ არსებობს
ორი რუსული ნაცია — პურიშკევიჩე-
ბის ნაცია და ჩერნიშევსკის ნაცია. ქარ-
თველ ხალხს მტკიცე კავშირი ჰქონდა
უკანასკნელთან. სახელმძღვანელოს მი-
ხედვით კი გამოდის რომ ქართველ
ხალხს მტკიცე და მეგობრული კავშირი
ჰქონდა მის მწაგვრელ ძალასთანაც.

ამ დიდ შეცდომას სახელმძღვანელოს
ავტორი და მისი რედაქტორი სესხუ-
ლობენ პროფ. ნეჩკინასა და მის თანა-
მოაზრეთაგან, რომელთაც გამანადგუ-
რებელი ლახვარი ჩასცა ჩვენი პარტიის
მე-XIX ყრილობამ. სწორედ ისინი,
რომლებმაც ეუბნალ „ვოპროსი ისტო-
რიის“ ფურცლებზე საღისკუსიოდ ვადა-
აქციეს ცნება „უმცირესი ბოროტების
შესახებ“, განაპირა ქვეყნების ხალხებზე
ცარიზმის ბატონობას თელიდნენ ამ ხალ-
ხებისა და რუსეთის პოლიტიკურ და
კულტურულ ურთიერთობად.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ახლადგამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: «Союз с Россией (т. е. господство царизма в Грузии, А. К.) означал для Грузии изменения не только политической, но и культурной ориентации» (გვ. 73).

ასეა წიგნში მიჩქმალული ცარიზმის ხელისუფლების დამკვიდრების საკითხი საქართველოში და ამ ხელისუფლების მოქმედება წარმოდგენილია ნებაყოფლობით კავშირად საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ კავშირის თანახმად, საქართველოს თავისი პოლიტიკური წყობილება ანუ; ავტორის სიტყვით, პოლიტიკური ორიენტაცია (თავი დავანებოთ იმას, რომ პოლიტიკური ორიენტაცია გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულების გამოხატველი ცნებაა და არა შინაგანი წყობილების საკითხი) უნდა შეეცვალა.

რა თქმა უნდა, შ. რადიანი ამ მიმე შეცდომას ვერ ასწორებს იმით, რომ ლაპარაკობს ცარიზმის ანტიხალხურ კანონებზე (გვ. 14). ამით მხოლოდ წინააღმდეგობას ამჟღავნებს თავის მსჯელობაში.

„განზილულ ეპოქის ძირითად კლასობრივ წინააღმდეგობას საქართველოში წარმოადგენდა წინააღმდეგობა თავადაზნაურობასა და ყმა გლეხებს შორის“ (გვ. 74). ჩანს, კიდევ არსებობდა სხვა კლასობრივი წინააღმდეგობა ამ დროს, ე. ი. შეიძლება იყოს წყვილწყვილად ოთხი და კიდევ მეტი კლასობრივი წინააღმდეგობა ანტაგონისტურ საზოგადოებაში!

გადაჭარბებულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქართველი რომანტიკოსები რუსი ხალხის სულიერ კულტურას უახლოვდებოდნენ უფრო და უფრო ღრმად (გვ. 83). შეიძლება ითქვას, რომ ისინი (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი) უფრო ღრმად უახლოვდებოდნენ მეფის სამხედრო-სამოქალაქო ბიუროკრატს. განსაკუთრე-

ბით ეს ითქმის გრ. ორბელიანზე, რომელმაც თერგდალეულთა თაყობას ბრძოლა გაუმართა ჩინოვანთა მხრიდან.

60-70-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ვითარებისა და ამასთან დაკავშირებით ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვა ნაკლოვანია. შ. რადიანის აზრთა მსვლელობიდან გამომდინარეობს, რომ თერგდალეულები თავიანთი შემოქმედებით ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას კი არ გამოხატავდნენ, არამედ მათი გამოსვლა მხოლოდ დაემთხვა ქართველი ერის ფორმირებას (გვ. 113). აქ მიჩქმალულია თერგდალეულთა მოძრაობის ეროვნული საფუძველი და მით არა სწორად არის წარმოდგენილი მათი ბრძოლის კლასობრივი შინაარსი.

მართალია, შ. რადიანი მიუთითებს, რომ თერგდალეულები გამოხდნენ ბატონყმურ ურთიერთობას და „გრძნობდნენ ახალი ურთიერთობის დანერგვის აუცილებლობას“ (გვ. 116), მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო ეს ახალი ურთიერთობა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

შეცდომაა, როცა ლაპარაკია საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაზე XIX საუკუნის 70-იან წლებში (გვ. 119). განა ეკონომიკური ერთობა XIX საუკუნის საქართველოს ცალკე ოლქებს შორის საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ნიშნავს? შ. რადიანს ავიწყდება, რომ საქართველო ამ დროს არ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ანუ პოლიტიკურ ერთეულს.

პროფ. შ. რადიანის დასკვნით, რუსეთი XIX საუკუნის 50-იან წლების შუა ხანებიდან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას (გვ. 114). ესეც რა თქმა უნდა, შეცდომაა.

საიდან მტკიცდება, რომ ილია ჭავჭავაძე მთლიანად ქართველი თავადაზნაურობის მორალურ დაკემას ხედავს XIX საუკუნის 80-იან წლებში, რომ თავადაზნაურობა მას დასაშარებულად

მიჩნია? ან სად ამბობს ილია, რომ ხიდი წოდებათა შორის სამუდამოდ ჩატეხილია, რომ ის არასოდეს არ გამოთვლდება?

ავტორი ეწინააღმდეგება სრულიად სამართლიან და სწორ შეხედულებას ილია ჭავჭავაძის სოციალური კონცეფციის შესახებ, რომ ილია მომხრე იყო წოდებათა შერიგებისა და ლიბერალურ თავდაზნაურობას მოუწოდებდა სათავეში ჩასდგომოდა მრეწველობას (ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, მე-8 გამოცემა, გვ. 236). ამხ. რადიანს მკდარად აქვს წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის სოციალური იდეალი. ილიას არსად, არც მხატვრულ მწერლობაში და არც პუბლიცისტიკაში არ მოუყენებია თავდაზნაურობის, როგორც წოდების, მოსპობის საკითხი. მასსადავს, რა საბუთი გვაქვს, ვთქვათ — „ხიდი შეიძლება აშენდეს სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე“ (გვ. 131), ვ. ი. ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე. თუმცა ილია ჭავჭავაძეს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს, მაგრამ ამხ. რადიანს ხომ შეუძლია თავისი დასკვნა გააკეთოს, და კიდევაც წერს: «Мост может быть построен на почве совершенно новых общественных взаимоотношений (გვ. 131).

განა ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივ ან როპელიმე კლასობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობაში შეიძლება კლასებს შორის ხიდის აგება ანუ კლასების გაერთიანება? საიდან მოუვიდა ავტორს ასეთი აზრი?

შ. რადიანი არ ითვალისწინებს, რომ თერგდალეულები და მათი მეზობრალტრე ილია ჭავჭავაძე არ სცნობდნენ კლასთა ბრძოლას, ისინი ხელავედნენ მხოლოდ განხეთქილებას წოდებათა შორის. რისი მოშლაც შესაძლებლად მიანდათ განათლებისა და ცოდნის საშუალებით. ამის დამამტკიცებელი საბუთე-

ბი ბერია, მაგრამ აქ დავკმაყოფილებით ორიოდ შეგალითობთ.

„საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილებში ილ. ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ცხოვრების გარდაქმნის საფუძვლად განათლებას, მეცნიერებას აღიარებს. ასევე, გაზეთი „დროება“ თავის დაბადების დღეს მეთაურ წერილში პროგრამულ საკითხად მიიჩნევს ხალხში სამეცნიერო ცოდნის შეტანას. „ევროპა“ პირველსავე ნომერშივე საზოგადოებრივი და ეროვნული წარმატებისათვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ხალხის განათლებას აკუთვნებს.

1883 წელს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის დღეს ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვაში ხალხის წინაშე ამბობდა: „ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე მდიდარია, უფრო სავსეა, არც თვითონ ვართ უხეირონი. ღმერთი, რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ. ჯანი და ძალღონეც მოგვედეს, არც ხალხისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლისპლურელი — მას რადლა ვართ ღარიბნი? — მეოთხედავთ თქვენ: იმიტომ, რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე ჰქვას, სად რა განძია... აქი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს. მარტო ერთი რამ გვაკლია, ისა, რაც თქვენივე სიტყვით თვითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად ამოქმედებს... რაც კაცს წინ მიუძღვის ზოლმე... ამისთანა ღეთის მიერ წინამძღოლს ცოდნა ჰქვია. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია, ცოდნას უფრო დიდი ბაზარიც აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც ძლიერია... ცოდნა კიდევ იმითაა კარგი, რომ მან უფროს უმცროსობა არ იცის... ერთნაირად იშველებს ხოლმე ძონძებში განხვეულ გლეხსაც და ბუზმენტე-

ბით მორთულ თავადსაც“ („ივერია“, 1883 წ. № 9).

ახლა მოვესმინოთ, რას ამბობს მეორე თერგდალეული. 1873 წელს ნ. ნიკოლაძე პარიზში მის მიერ გამოცემულ ქართულ გაზეთ „დროშაში“ წერდა: „აღდგომა მამინ ვიდლებსაწაულოთ, როცა ჩვენ კანონებში, ჩვენ წესებში, ჩვენ ცხოვრებაში, ნამდვილად განხორციელდეს და გამოიხატოს ის ძმობაზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც გრძნობიერად ქრისტემ გამოთქვა და გონიერად ჩვენმა თანამედროვე სწავლამ გამოიკვლია, როცა ამ სწავლის გამოარჯვება მოახლოვდება, როცა მისი აზრით გადასხვაფერდება ჩვენი ცხოვრება“ (მოტანილია ს. ხუნდაძის წიგნიდან — „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 11, იხ. „სამოცდაათიანი წლების არალეგალური გაზეთი“ წიგნის გვ. 311-312).

ამრიგად, არათუ ილ. ჰავეკაძე, არამედ თერგდალეულთა ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემიურგად განათლებას, ცოდნას აღიარებდა.

მაშ რა საბუთი აქვს ყოველივე ამის წინააღმდეგ ამხ. შ. რადიანს, როცა წერს: «И. Чавчавадзе не разделял, как это ему ошибочно приписывали, принципов просветительной философии относительно того, будто просвещение является силой, могущей преодолеть социальные преграды и сблизить богатого и бедного, господина и крепостного, князя и крестьянина» (стр. 131).

ჯერ ერთი, მდიდარ-ღარიბთა და ბატონ-ყმობის ასე ერთმანეთში არევა არ შეიძლება. სიმდიდრე-სიღარიბე და ამის თანახმად მდიდრისა და ღარიბის დამოკიდებულება სოციალური ურთიერთობის ზოგადი გამომხატველია, სხვა კატეგორია და ბატონ-ყმობა კიდევ სხვა. მეორეც, ილ. ჰავეკაძე მოითხოვდა ბატონყმობის მოსპობას და არა ბატონისა

და ყმის ურთიერთ სიახლოვეს, სულ სხვა საკითხია, რომ მას შესაძლებლად მიიჩნეოდა თავისუფალი გლეხისა და შემსახურე თავადის ერთმანეთისაგან განცეკროების მოსპობა შეგნების საფუძველზე. ამის წინააღმდეგ უნდა ილაშქრებდეს ამხ. რადიანი, მაგრამ არაერთი საბუთი თავის დებულებისათვის მას არ მოეპოვება.

შ. რადიანს ჰგონია, რომ სოციალური ზღუდეების ანუ კლასობრივი წინააღმდეგობის მოსპობის საშუალებად რაციონალისტები აღიარებდნენ განათლებას. ესეც დიდი შეცდომაა. რაციონალისტებისათვის არც არსებობდა საზოგადოებრივი წინააღმდეგობის საკითხი. თუ ანალოგიები საქიროა, განათლებას და ცოდნას სოციალური უთანასწორობის მოსპობის საშუალებად სოციალისტ უტოპისტები მიიჩნევდნენ, ხოლო ილ. ჰავეკაძემ მათგან არაფერი უსესხებია.

ილია ჰავეკაძე იყო საქართველოს ეროვნული მესიტყვე, როცა ყალიბდებოდა ბურჟუაზიული ქართველი ერი, გაჩნდა განათლების, ცოდნის მოთხოვნილება. ილია ამ მოთხოვნილებას გამოთქვამდა. ნუთუ საქიროა თავის ხალხის სამსახურისათვის თერგდალეულთა ამ მედიაორალტრის პროგრამული მოთხოვნების საფუძველები ვეძიოთ მეტაფიზიკოსების კონცეფციებში!

შ. რადიანის ნაშრომში უგულუბელყოფილია საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოძრაობის კარდინალური საკითხები, რომელთა მიხედვით უნდა იყოს განხილული ლიტერატურული მოვლენები.

ნუთუ შეიძლება საზოგადოებრივი დასების — პირველი და მეორე დასის — როლისა და მნიშვნელობის უარყოფა? მაშინ როგორ გავიგოთ მესამე დასი? მესამე დასზე კი არის მსჯელობა საზღვრებში. არაფერია ნათქვამი პირველი და მეორე დასის წარმოშობაზე. მათ შორის სხვაობაზე სოციალურ და ეროვნულ საკითხებში. არაფე-

რია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა დიდი ბრძოლა ჩაატარეს პირველი და მეორე დასის წარმომადგენლებმა — მთელმა თერგდალეულთა თაობამ — 70-80-იან წლებში მდგინვარე პოლიტიკურ რეაქციასთან, რომელსაც იერიში მიჰქონდა არარუსი ხალხების ეროვნული თვითყოფობის წინააღმდეგ.

შ. რადიანი გასაოცარ შეცდომებს უშვებს, როდესაც მსჯელობს ქართველი ნაროდნიეების შესახებ.

ქართველი ნაროდნიეების „აქტიურობას“ და „გარკვეულ მსოფლმხედველობას“ ავტორი 80-იან წლებში ეძებს. ნაროდნიობა, — წერს ის, — საქართველოში ვრცელდება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, მაგრამ, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, გარკვეული მსოფლმხედველობით, ის 80-იანი წლების დასაწყისში ყალიბდება (გვ. 156).

ნამდვილად კი საქართველოში 70-იანი წლების დასაწყისში წარმოქმნილი რევოლუციურ-ნაროდნიული მოძრაობა 80-იანი წლების დასაწყისიდან ადგილს უთმობს ლიბერალიზმს. ნუთუ რევოლუციონერი ნაროდნიეების ბრძოლა პოლიტიკური მიმდინარეობა არ არის და ლიბერალი ნაროდნიეების ორიოდე უზადრუკი წერილი ლეგალური პრესის ფურცლებზე — პოლიტიკური მიმდინარეობაა?!

ხოლო ნაროდნიე მწერლებად ცნობილი ბელეტრისტების — ანტონ ფურცელაძის, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილისა და ევ. გაბაშვილის შემოქმედება არ გამოხატავს ჩამოყალიბებულ და გარკვეულ მსოფლმხედველობას. ასე, მაგალითად, ანტონ ფურცელაძის მოღვაწეობაში ვერ ვიპოვით იმ მტკიცე ერთიან ხაზს, რომელზედაც ლაპარაკობს შ. რადიანი. ავტორი ივიწყებს, რომ ანტონ ფურცელაძე იყო „ცისკოის“ ერთი მთავარი პუბლიცისტი, რომელიც თავადაზნაურული კონსერვატიზმის პოზიციებიდან ებრძოდა

თერგდალეულს. ა. ფურცელაძემ ვერ გაიგო თერგდალეულთა ~~მსოფლმხედველობა~~ და მნიშვნელობა საზოგადოებრივ მოძრაობაში და ამ მოძრაობის გამომხატველ მწერლობაში. მართალია, მან შემდეგ რამდენადმე შეიცვალა თვალსაზრისი, მაგრამ ახალიც ბევრი ვერაფერი შეითვისა. სწორედ ამიტომ არ შეეძლო ა. ფურცელაძეს მნიშვნელოვანი კვალი გაეცლო ქართულ ლიტერატურაში, რასაც დაუშახტურებლად მიაწერს მას აშხ. რადიანი.

სახელმძღვანელოში ლაპარაკია მუშათა კლასსა და ბურჟუაზიაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი? ნუთუ არ მოეთხოვებოდა ავტორს რაიმე ეთქვა კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოქმნისა და განვითარების შესახებ, მაშინ როდესაც იგი მსჯელობს ამ ურთიერთობის გამომხატველ მწერლობაზე? წიგნში ნათქვამია: 80-იან წლებში „ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წარმოიშვებოდა შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი“ (გვ. 156).

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატი, როგორც თანმიმდევრული რევოლუციური კლასი, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს. აშხ. რადიანის აზრით, შეურიგებელ ბრძოლას თვით ბურჟუაზიაც აწარმოებს.

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის ავტორი ბესარიონ ელენტი ლიტერატურის 1890 — 1907 წ. წ. პერიოდს ურთავს ისტორიულ მიმოხილვას, რათა ლიტერატურული მოვლენები აიხსნას სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე.

ეს მიმოხილვაც საკმაოდ ნაკლოვანია. ჯერ ერთი, „რევოლუციური აღმავლობის პერიოდი“ 1905 — 1907 წ. წ. რევოლუციის წინ არ არსებობს და, მეორეც, როგორ შეიძლება ასეთი განსაზღვრა: „90-იანი წლების პერიოდი“, შემდეგ „რევოლუციური აღმავლობის პე-

რიოდი — (!) თვით 90-იანი წლების პერიოდი რაღას წარმოადგენს?

სამრეწველო დაწესებულებების წარმოქმნა, სამრეწველო აღმავლობა, რკინიგზების გაჩენა, გლეხთა დიფერენციაციის საკითხები და სხვ. აქ არათანამიმდევრულად არის მოცემული. გამოდის, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ჩვენში გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია (გვ. 186). აქ ლაპარაკია საქართველოს სამრეწველო კაპიტალიზმზე, გლეხთა დიფერენციაციაზე, მუშათა კლასზე, ხოლო 90-იანი წლების, სამრეწველო აღმავლობის პერიოდის მიმოხილვაში ისევ მგორადება ეს მსჯელობა. თორმე მანამდე კლასობრივ ბრძოლას ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი სახე არ ჰქონია და მხოლოდ ამ დროიდან გამმატრდა ეს ბრძოლა: „სოფლდაც შევიწროვებული გლეხთა თავდასახმები მუშაპულეებზე და მეფის სატრაპებზე იქცა ყოველდღიურ მოვლენებად. მთავრობა ამაზე პასუხობდა მრისხანე ეგზეკუციებით და დამსჯელი ექსპედიციებით, რომლებიც ანადგურებდნენ მთელ სოფლებს.

ამ მოვლენებს არ შეეძლოთ არ ემოქმედათ საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. შეიქმნა ხელსაყრელი ნიადაგი საქართველოში მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გასავრცელებლად (!). მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოსაშობად“ (გვ. 186)“.

ჩანს, მეფის მთავრობის ეგზეკუციებს გამოუწვევიათ საქართველოში მარქსიზმის თეორიის გავრცელება?! თუმცა ავტორი იქვე წერს: «Распространение марксистских идей среди рабочего класса и революционно настроенного крестьянства Грузии в первые начали сосланные в Закавказье русские социал-демократы» (გვ. 187).

ნამდვილად კი მარქსიზმი წარმოიშვა

მუშათა მოძრაობის ნიადაგზე, და მისი პირველი თესლის შემთხვევითი ეფენს რუსი სოციალ-დემოკრატებში მუშათა წრეებში და არა გლეხთაში. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ გლეხური მოძრაობა კაპიტალიზმის პირობებში არის ბურჟუაზიული, და იგი მიმართულია ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციის ეტაპზე ეს ბურჟუაზიული მოძრაობა საქსებით შეიძლება შეუთავსდეს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას და გლეხობა იყოს პროლეტარიატის მოკავშირე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ შეტევებში.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატის იდეოლოგია — მარქსიზმი — გლეხურ იდეოლოგიად ანუ ბურჟუაზიულ იდეოლოგიად მივიჩნით? რასაკვირველია, არა.

ხოლო ასეთი „გაერთიანება“ კი აშ. ბ. ელენტს მოუხდენია.

სახელმძღვანელოში არაღეგალური და ლეგალური ბოლშევიკური განხეთქი ერთმანეთშია არეული. არ ჩანს მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა. საერთოდ, ხალხის ისტორია, რომლის გამოშატველი უნდა იყოს მხატვრული მწერლობა.

საბჭოთა პერიოდის მწერლობის მიმოხილვაში სათანადო ადგილი ეთმობა კლასობრივი ბრძოლის საკითხებს და მის გამოშატულებას მწერლობაში. მაგრამ ის უდიდესი ძვრები საბჭოთა საზოგადოებრიობის ცხოვრებაში, რომლებიც განსახიერება პოვეს ჩვენს მწერლობაში, ავტორის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ისტორიულ პროცესად და მერთალადაა ნაჩვენები კომუნისტური პარტიის მათორგანიზებელი როლი, პარტიის ხელმძღვანელი როლი ლიტერატურულ ცხოვრებაში. მართალია, ავტორი ეხება რკ (ბ) ც. კ-ის 1925 წლის

18 ივნისის რეზოლუციას პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში, სკპ (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 25 აპრილის დადგენილებას ლიტერატურისა და მხატვრული მწერლობის ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ, მაგრამ იგი გვერდს უვლის რეზოლუციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ხელოვნების კლასობრიობას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში შეუძლებელია ნეიტრალური ხელოვნება. ავტორი ნაკლებად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პარტია მხატვრული ლიტერატურის საკითხს მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს.

ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეთმობოდეს ლენინისა და სტალინის სახელმძღვანელო მითითებებს მხატვრული ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების დარგში. ამხანაგი სტალინი მწერალს უწოდებს ადამიანის სულის ინჟინერს, ხოლო ინტელიგენციას — საზოგადოების პარიუს. განა საჭირო არ იყო სახელმძღვანელოების ავტორებს, მეტადრე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ავტორს, გათვალისწინებინათ ეს ბრძნული მითითებანი და ეჩვენებინათ რამდენად გამოხატავენ ქართული ლიტერატურის მიღწევები ამ დიდ მოთხოვნილებას?

კლასობრივი ბრძოლის ამსახველი ლიტერატურა სქემებადაა წარმოდგენილი. არაფერია ნათქვამი კონკრეტულად იმის შესახებ, თუ როგორ გარემოცვაში იკავებდა გზას ჩვენში საბჭოთა მწერლობა. მართო იმის თქმა არ კმარა, რომ აკადემიური ჯგუფი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, ისწრაფოდა ბურჟუაზიულ-შემამულური წყობილების აღდგენისაკენ. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ზომ ხელოვნების საკითხებში საბჭოთა საზოგადოების საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ, საბჭოთა მწერლობის მიზნებს წარმაველ ლიტერატურულ მოღვაწეებს და

ხელოვნების ზეკლასიურობისა და მისი მარადიულობის დაცვის იდეალებს — მხატვრებოდნენ!

სადავოა საბჭოთა მწერლობის ის პერიოდიზაცია, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდებად აქ გამოცხადებულია 1926 — 1930 წ. წ., ხოლო 1931 — 1940 წ. წ. — სოციალისტური მშენებლობის დამთავრებისა და სოციალისტური საზოგადოების პერიოდად (გვ. 254, 260). ასეთი პერიოდიზაცია, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მტკიცედ ჩამოყალიბებულ და საერთოდ ცნობილ პერიოდებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც. ა. მ. ბ. ქლენტი ეხება მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურულ კრიტიკას და მის საფუძვლად მიაჩნია ალ. წულუკიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. ამით წყდება მსჯელობა მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკაზე. ალ. წულუკიძესა და ჩვენს შორის დიდი მანძილია. საკითხავია: ალ. წულუკიძის შემდეგ არაფერი გაკეთებულა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის დარგში, ანდა ლიტერატურული კრიტიკა ქართულ მწერლობაში მარქსისტული კრიტიკით დაიწყო?

საერთოდ სახელმძღვანელოს ავტორები ისტორიული მიმოხილვისათვის უხვად იყენებენ ისტორიულ ნარკვევებს, სახელმძღვანელოებს და დასახელებით კი არავის ასახელებენ. მოხსენებულია მხოლოდ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს I ნაწილი.

ჩვენი შენიშვნები უმთავრესად შეეხება ისტორიულ საკითხებს, რომლებიც აღძრულია სახელმძღვანელოში. სასურველია ჩვენი შენიშვნები გაითვალისწინონ ავტორებმა წიგნის შემდგომ გამოცემაში.

დიდია აღმზარდელობითი მნიშვნელო-

ბა სტალინური ეპოქის ადამიანთა შრომისა და მამაცობის განსაზიერებისა მხატვრულ მწერლობაში. ლიტერატურის ისტორიკოსს მართებს გვიჩვენოს საბჭოთა ლიტერატურის ეს მნიშვნელობა. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოცემული უნდა იყოს სოციალისტური ქართველი ერის წარმოქმნი-

სა და განვითარების ისტორია თავისი გამოვლენით მხატვრულ მწერლობაში, უნდა იყოს ნაჩვენები, თუ როგორ განხორციელდა სოციალური თანაწირობისა და პოლიტიკური თავისუფლების ლენინურ-სტალინური იდეები ეროვნულ ცხოვრებაში, რომელიც მიიპარებოდა კომუნისმის სხივმოსილ ვზაზე.



ბიბლიოგრაფია



მოსხარგობები სოციალისტურ სოფელსა და ახალ აღმშენებზე

არ დაკმაყოფილებთ მიღწეულით, ვიბრძოლოთ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, — საბჭოთა ადამიანის ასეთი მაღალი მორალური თვისებებით შემოღის ჩვენს ცნობიერებაში თითქმის ყველა პერსონაჟი გრაგოლ ჩიჭოვანის მოთხრობიდან „ფართო ვაზზე“. ესენი არიან ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზარდილი ახალი საკომუნისტრო სოფლის ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, უხვი მოსავლის ოსტატები, რომელთაც ასულდგმულებთ მხოლოდ ერთი ახრთ: წინსვლა, გამარჯვება, ღიდება. ამ ღიად მიზნისაკენ მუღმე და დუტკრომელ სწრაფის სრულად შეუცელია თანამედროვე სოფლის მეკიდრთა შეგნება, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, მტკიცელ დურბანშავის ისინი საერთო ამოცანის — ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღების, საკომუნისტრო დოვლათის ამადღების, ჩენი სამშობლოს ძლიერებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

ამაში უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვგრძნობთ მასების კომუნისტური აღზრდის დარგში მოზოგებულ წარმატებათა მხატვრულ ილუსტრაციას. მწერალი ყოველივე ამას გვიჩვენებს არა დეკლარაციულად, კონკრეტულ ფაქტებისა და ცოცხალი მავალითების ვარგშე, არამედ პრაქტიკულ, რეალურ საქმეებთან მკიდრო კავშირში. იგი გვატარებს ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში, სოფელ ნათქვენარისა და „ომედის“ კომუნისტრონობათა მწვანედ აბიზინებულ ველებზე და იქ, გმირული შრომის პროცესში, გვაცნობს მოწინავე, სახელგანთქმულ ადამიანთა შთამავონებულ სახეებს. ასე იხატება ჩვენს წინაშე მოთხრობის არი მთავარი გმირის მარიამის და მათს მიღიდარი იღურთ ცხოვრების განზოგადებული სურათები.

მარიამ თვალთვამე ჩაის ბრიგადის მეთურობის ნათქვენარის კომუნისტრონობაში. იგი პირადი მავალითის ძალით რანშავს ბრიგადის

წევრებს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მას იცნობენ, როგორც ჩაის კრეფის ოსტატსა და პირველ ორდენოსანს მთელს რაიონში. მძიმე და უღიმღამო იყო მისი ცხოვრება სოფლად კომუნისტრონობის ჩამოყალიბებამდე. ობლობაში აღზარდილს წილად ხედა თვითონ ყოფილიყო სამი ობოლი შეილის აღმზარდელი. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში დაიღუპა მისი ქმარი. ამ დროიდან თვითონ გახდა ოჯახის მეთურთი და მთავრესე დედაც. კომუნისტრონობამ იხსნა იგი დუტკირი, მძიმე ცხოვრების პირობებისაგან, საშუალეობა მისცა სამშობლოსათვის აღზარდა სამი სახელოვანი შეილი, რომელთაგანაც ერთი წყალქვეშა ნავის კაპიტანი გახდა, მეორე — ინჟინერი, ხოლო მესამე — ლენინგრადის საშხედრო-სამედიცინო აკადემიის მსმენელი. მარიამი პარტიისა და მთავრობის მზარუნელობას შეიღების აღზრდისათვის უმასუხებს გმირული და დაუღალავი შრომით. იგი ენერგის არ ზოგავს კომუნისტრონობის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის. მავრამ მოხდა ისე, რომ უკანასკნელ წლებში ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღებით გარდამავალი წითელი დროშა დაისაკურთრა მეზობელ რაიონის კომუნისტრონობა „ომედის“ ახალგაზრდა ბრიგადირმა მთიი ქონაქიმემ, რომელიც მარიამის მეთოდებით არის გაწავლელი.

რაიკომის მდივნის დავალებით მარიამი მიეგზავრება თავისი მოწაფის მუშაობის გამოცდილების გასაცნობად მეზობელ რაიონის კომუნისტრონობაში. ცნობები მთიის სარეკორდო წარმატებათა შესახებ მასში სიხარულისა და სიამაყის განცდებს იწვევს. იგი დაინტერესებულია თავისი „აღიკუდა“ გოგოს მუშაობის ახალი მეთოდების შესწავლით, რომ ამით კიდევ უფრო წინ წასწიოს თავისი ბრიგადის, კომუნისტრონობის, რაიონის საქმე, ჩვენს ქვეყნის ძლიერების საქმე. ასე ხდება ორი კომუნისტრონობის ბრიგადებს შორის გამიღილი სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ადამიანების იღურ-პოლიტიკური აღზრდის, მათში კომუნისტური ჩვეების, გრძნობების, შეგნდულების ფორმირების მძლავრ ფაქტორად.

¹ გრაგოლ ჩიჭოვანი, სიციუსლის გზა, საბოლტგამი, 1952 წ.

შერაღს აქედან გადაეყვავათ „იმედის“ კოლმურწეობაში. აქ იგი გვიჩვენებს ახალი სოციალისტური სოფლის სახეს, მის შავხელ წარსულსა და დიდებულ აწმყოს, მის უფრო დაღდა და ნათელ მომავალს. ეს სოფელი წინათ მთის ფერდობებზე, ტყეში იყო შეფენილი. ახლა იგი ფართო არეზე, სინათლეზე გამოსულა. განიერი ქუჩები, ჩამწკრივებული ოდა-სახლები, სკოლის, კინოთეატრის, სახატუმოს შერობები, პიროვნულადგერის მშენებლობის კონტრები — ასეთია ამ სოფლის გარეგნული სახე. აქ, ამ ახალ სოციალისტურ სოფელში, გაითქვა სახელი შაია ქოჩაიძემ — ახალგაზრდა ნოვატორმა, ჩაის საარეკორდო მოსავლის ოსტატმა.

გრ. ჩიქოვანის, როგორც მხატვრის, ძალა განსაკუთრებით იგრძნობა შაიას ლდი, მჭკეძარე ბუნების, მისი მტიცე ხასიათისა და მაღალი მორალური თვისებების დამაფრებლად ჩვენებაში, დეტალების მახელი თვალთ დაქერასა და თხრობის უბრალოებაში.

შაია სოციალისტისა და სიხარულის, ახალგაზრდული გატაცებისა და შეუბორობის, ახალი საგმრო საწყმეებისათვის მუდმივი სწრაფვის განსახორებაა. სოფლის მურწეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე შაია ქოჩაიძემ სიტყვა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ ჰქვტარზე მოკრეფდა 7 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. 7 ტონა ჰქვტარზე! ეს იყო საარეკორდო ციფრი, შვგამ სრულად რეალური, თუ ბრიგადა ყველა შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებდა.

შაიას ამ გაბედულ ნაბიჯს ექვის თვლით უქმერის თვით მისი ქმარი იგრონომი გიორგიც ეი. ამ უკანასკნელის განცვიფრება და ერთგვარი კონსერვატორში კოდე უფრო ღრმადება მაშინ, როცა შაია სრულად უყუარებოდ თანხმდება კოლმურწეობის ხელმძღვანელობის წინადადების სათავეში ჩაუდგეს ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას, რათა წინ წამოსწიოს და გაუთანაბროს იგი მოწინავეებს.

აღებულ ვალდებულება საქმედ იქცა. ბრიგადამ დისკუტორა გასდამავალი დროში. შაიას სახელი საქმეწოდ გაისმის. რით მიადწია მან ამ წარმატებას? შერაღი გვიჩვენებს, თუ როგორ სძლია შაიამ ბუნების სტიქიას, როგორ დამორჩილა და ჩააყენა იგი ადამიანის ბედნიერების სამსახურში. მან შექმნა წვიმის წყლის დიდი მარაგის დასავროვებლად საგუბრები და ამით უზრუნველყო გვარლის დღეებში პლანტაციების უწებელი მოწვევა, რამაც ერთიორად გაზარდა მოსავლა.

ამით შაიამ წინ წასწია ჩაის მოსავლის ტექნიკა, გაუწერა დროს და შექმნა მოსავლის კიდევ უფრო გადღების რეალური პერსპექტივები.

შვგამ შაია სრულადაც არ არის კმეწრფილი მიღწეული. მისთვის უცხოა თვითდამშვიდება და ქედმაღლობა, იგი კრიტიკულად შეფუება ყოველი ღლის მაჩვენებელს და შინა ჩხვანდელი, უფრო დიდი, მაღალი მოთხოვნების თვალსაზრისით ზომავს.

„შანა ყველაფერი გააკეთეთ ჩვენ? რომ დაეფქრდება სირცხვილი ამიტნს, რომდენ რამ გამოგვრჩენია, გავიშვია“, — ასე მიმართავს ის თავის ბრიგადის წევრებს, რომლებიც ახალგაზრდა ნოვატორის გარშემო ერთსულენად არიან დარაზებული. შაიას ოცნებაა მისი ბრიგადა მილიონერ ბრიგადად გადაქციოს. რა კეთილშობილური მისწრაფებაა! ასეთი შედეგებით ხედება შაია შარაიშს, რომლის ბრიგადაში, როგორც შერგოლერი, მუშაობდა იგი წინათ, მუზობულ სოფელში გათხოვებამდ.

შარაიში აღტაცებულია მისი აღზრდილის მუშაობის თვალსაზრისი შედეგებით, მუზობელი სოფლის განახლებით, აყვავებით, წინსვლით, ზეიშით. და მთელს ამ სიხარულში თვალწინ უდგას წვიმის საგუბრები, რომლის გამოგონებით შაიამ სიახლე შეიტანა ჩაის მოსავლიანობის გადღებისათვის ბრძოლის საქმეში. იგი ყურადღებით ავირდებოდა ამ საგუბრებს, გაბრწყინებული თვალებით გასცქეროდა მზრუნველობით მოვლილ პლანტაციებს და „იღიშებოდა იმ დედის დიმილით, რომელიც უახლოვდება შოლის, ესმის მისი ხმა, ხედავს მას გაუნება თვალთ და არ ყოფნის მოთმინება, სანამ გულში ჩაიკრავდეს“. შარაიშსა და შაიას შორის შეჯიბრება ახალ შინაარს იძენს, მათი ცხოვრება მიიშართება ამაღლებული, ვასხივოსნებული გზით.

მოთხრობაში ასეთივე მაღალი მორალური თვისებების შატარებლებია ჩაის მიმღები პუნქტის მწეონავეები პლანტან ჰილაქ და ნესტორ ფარცვანია, ჩაის ფაბრიკის მექანიკოსი ვარლამ როგავა და შერგოლერი გვანცა ლოშაია. თვითველი მათგანი თავის დარგში განირჩევა პარტიოსანი, ბუჯითი, გულმოდგინე შრომით, სახელის, წინსვლისა და დიდებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

და ჩვენ ვხედავთ, როგორ ვასულა ლენინისტაინის პარტიისა და საშუთა მთავრობის მზრუნველობით საყოლმურწეო სოფლის მოწინავე, ახალი ადამიანები ბედნიერი ცხოვრების ფართო და დიდ გზაზე, როგორ შეცვლილა სოფლის ახა მარტო გარეგნული სახე, არამედ ამ სოფლების მვეიდრობა იდეოლოგიაც, როგორ ამაღლებულა ხალხი სოციალისტური თანაცხოვრების შევნების მაღალ დონემდე. მოთხრობის ეს მთავარი იდეური შინაარსი შერაღის შერცოცხლად, მსუბუქი და ღია ფერებით არის დახატული.

წიგნი შეტანილ ნაწარმოებებიდან ასევე საინტერესოა გრ. ჩიქოვანის მიერ 1942 წელს დაწერილი მოთხრობა „მეორედ შეხვედრა“, რომლის სიუჟეტური ხაზი ბუნებრივი გავრცელებაა შწერლის მიერ ომამდელ პერიოდში დაწერილი მოთხრობისა „მეგობრები“. ორივე ამ მოთხრობაში თითქმის ერთი და იგივე პერსონაჟები მოქმედებენ — ძაბული, ბარდლა, მუია ბალათური.

განსაკუთრებით კლორიტულია და დასამახსოვრებელი უკანასკნელი სახე, რომელიც შწერალს ეკუთვნის. ორიგინალურად და მჭრელ ფაქიზი გრძნობით ჰყავს დაბატული.

მუია სოფლის ფოსტალიონია. ამ პროფესიასთან ბუნებრივ შესატყვისობაშია მისი ხასიათის ისეთი თვისებანი, როგორცაა: მხიარულება, ზეპრობა, ენაშტეობა, მოხერხებულობა, პატიოსნება,

შწერალი კარგად იცნობს იმ ადგილებსა და ყოფით გარემოს, რომლებშიც მისი გმირები იზრდებიან და ვითარდებიან. ორივე მოთხრობა შინაგანად ერთმანეთთან მჭიდრო და ორგანულ ურთიერთობაშია. წრფელი სიყვარულის გრძნობა აკავშირებს ერთმანეთთან ძაბულის და ბარდლას — ერთი სოფლის ორ ახალგაზრდას. ბარდლა მუიას ერთადერთი ვაჟია შამისათვის შეუმჩნეველი როდი რჩება მათი ურთიერთობის ფაქტი, იგი ჩემი, გამოუმდგანებელი სიხარული შენატრის მათ მომავალ ბედნიერებას. მაგრამ ნამდვილი სიყვარულის გვირგვინი — ახალი კომუნისტური ოჯახის შექმნა დროებით გადაიდება. ბარდლა ჯერ კიდევ სამაშულო ომის დაწყებამდე გაიწვიეს არმიამ, იგი მონაწილეობდა თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც მძიმე ჭრილობაც მიიღო. შწერალი გვიჩვენებს ძაბულის განცდებს, მის ერთგულებას სატრფოსადმი, იღვწო და მორალურ სისპეტაკეს. მეორე მხრით, ბარდლას გმირობისავე მოუწოდებს ძაბულის საყვარელი სახის მოგონება. ეს თემა უდევს საფუძვლად „მეორედ შეხვედრას“. ძაბული ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ბარდლა კი ერთ-ერთი ქვეგანყოფილის მეთაური საბჭოთა არმიის რიგებში. მუია ბალათურია ფრონტიდან მიღებული წერილების დამტარებელია სოფელში. ამაში ხედავს ის უდიდეს სიამოვნებას. ძაბულის სიყვარული ბარდლასადმი მტკიცეა და შეურყეველი. იგი სათავეში უდგას ფრონტისათვის საჩუქრების შეგროვების საყოველთაო-სახალხო კომპანიის სოფელში და ამით გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, რომლის დასაცავად იარაღით იბრძვის ბარდლა.

მუია ბალათურიას კოლმეურნეობა აგზავნის იმ დელეგაციის ზელმდგანელად, რომელსაც ქვეყნის საჩუქრების შიგნით ფრონტზე მყოფ მათთვის ეს ახლა ერთადერთი საშუალებაა — შედარებით ფოსტალიონის მოვალეობასთან — მოიხადოს ქვეყნის წინაშე თავისი პატრიოტული ვალი. იგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მხად არის საფრთხეში ზაგდოს თავისი სიცოცხლე, ოღონდ უშეაღწეველ დაუახლოვდეს ფრონტს, სადაც მისი შვილი ბარდლა გმირულად იბრძვის. — იქნებ უჭირს და დახმარება სჭირდება! — ფიქრობს ის. ასე ერთდგება ფრონტი და ზურგი მტერზე გამარჯვების ერთიანი გადაწყვეტილებით, ასე ფრთხვს ისხამს მოხუც მამაში სურვილი მოიკრიბოს უკანასკნელი ძალღონე, რათა მხნეობა და სულიერი სიმტკიცე შემატოს შვილს, შთაგონოს მას ბრძოლა ახალი საგმირო საქმეებისათვის.

„მუია ბალათურია თავისი საჩუქრებით ფრონტისპირა ხაზზეა. იგი ზედება იმ ნაწილში, სადაც მისი შვილის — ბარდლას ქვეგანყოფილი შედის. ეს შეხვედრა წუთიერი და ამალეულებულია. მაგრამ შწერალი ხაზს უსვამს არა შამისა და შვილის მოულოდნელი შეხვედრის მომენტს, არამედ მუია ბალათურიაში საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფელი გრძნობის ძალეზად გამოვლენას, რაც დაკავშირებულია ერთი შეხედვით უცნაურ, მაგრამ სრულიად დასაჯერებელ ფაქტთან. ნაწილი, რომელთანაც მუიამ საჩუქრები ჩაიტანა, იბრძვის ქ. მალიონოვის ალბისათვის. ბარდლას ქვეგანყოფილ უბრეეს ქალკს, მაგრამ მტრის საციცხლო წერტების ჩახშობა ვაძნელდა, წინსვლა შეფერხდა.

მუია 1916 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში, სწორედ ამ ქალაქში იბრძოდა. მაგრამ მის ბრძოლას მამამ თან არ ახლდა ის ცეცხლი და მგზნებარება, რაც ახლა ფრთხვით შეეხსა მას. მაშინ მუიას და მუიასთანა მილიონებს არ გააჩნდათ სამშობლო, ახლა კი, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მისი დიდი სამშობლოს დიარებასა და დამოუკიდებლობას იცავს, მუია გრძნობს, რომ მალიონოვისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა მისი ბედნიერებისათვის, მისი კოლმეურნეობის, ზეთის ლამაზი და მშვენიერი ბუნების დაცვისათვის.

შწერალმა შეძლო საბჭოთა იდეამიანის საუკეთესო თვისებები, მისი კეთილშობილური განცდები სრულყოფილად და დამაჯერებლად ჩაეჭოს მუიას სახეში. ამით ის უძველად აღიღებებს მხატვრული ხელების უნარსა და მდიდარ შესაძლებლობებს, რითაც გრ. ჩიქოვანი მკითხველთა მოწონებასა და ყურადღებას იმსახურებს.

თემატიკურად სარეცენზიო წიგნში შესული მოთხრობები შრავლფეროვანია და მათ უშუალოდ ეჭვთ ვარკვეული იდეურ-აღმწერლობითი მნიშვნელობა. მაგრამ ყველა მოთხრობა ერთნაირი ინტერესით როდი იკითხება. საერთო და უმთავრესი ნაკლი, რაც ვრ. ჩიქოვანის ამ წიგნს ახასიათებს, ის არის, რომ მწერალს თავას მოთხრობებში რაც შეიძლება მეტი ჩაოღენობის მოქმედი პირობა გამოჰყავს, ხოლო სახის ტიპიზაციაზე, მის კონკრეტულობაზე კი ნაკლებად ფიქრობს.

ამის შედეგად ზოგიერთი დაღებოთ პერსონაჟის მოქმედების მასშტაბი შეზღუდულია. შეუხედავად ამ ნაკლიანობისა, ვრ. ჩიქოვანის მოთხრობების წიგნი „სიციოტის გზა“ მოწონებს ავტორის იდეურ-შემოქმედებითს ზრდას. მწერალი კარგად ფლობს ქართულ სიტყვას, ამტკიცებს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თემებისადმი ინტერესს და ორგანულ სიახლოვეს ხალხის სულიერ განწყობილებათთან.

ა. თოფუჩია

წიგნი კორეელი ხალხის ბუნებათმცოდნეობაზე გაცოდნობაზე

პარისისლიანი ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, კორეელი ხალხის ბრძოლამ ძლიერი გამოხატულება პოემა საბჭოთა აღმშენებელში, ბოლო ყოველივე ეს განსაკუთრებული სიყვარულით გამოიხატა საბჭოთა მწერლობაში. რუსმა საბჭოთა მწერლებმა შრავლი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლებზე. ამ შრომე არც ქართული საბჭოთა მწერლობა ჩამორჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის, ივანე ურჯუმელაშვილის წიგნი „მორანბონი“, რომელიც „საბლიტგამმა“ გამოსცა. ავტორმა ამ ნაწარმოებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, მისი თემატიკის გაფართოების თვალსაზრისით.

ი. ურჯუმელაშვილის წიგნი მკაფიოდ ასახავს კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მძლავრად გამოხატავს საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელ როლს იაპონელი მილიტარისტების მიერ დაპყრობილი ხალხების მიმართ.

დამახასიათებელია, რომ ორივე ნაწარმოები „მორანბონი“ და „დღეები კორეაში“ თემისა და მისლის ღრმა გააზრების შედეგად მწერალს „ამ საქმეზე ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თვითონ იყო აქტიური მონაწილე საბჭოთა არმიის მიერ იაპონელი მილიტარისტებისაგან მანჯურიისა და კორეის განთავისუფლებისათვის.“

ი. ურჯუმელაშვილი მხატვრული დამჯერებლობით ვდამოგვემს არმიის გადასვლას საზღვარზე, ბრძოლის დაწყებას იაპონელთა წინააღმდეგ, ჯარისკაცთა დამებულ განწყობილებას. კარგად არის ასახული ხასანის ტბის მდამთებობა სანბროლო სელა, ზაოზერნაიას მდლობისათვის ბრძოლა და პირველი მძლავრი იერისმის მიტანა იაპონელთა წინააღმდეგ, რომელსაც წინ



უძღოდა ფრონტის პოლიტსამმართველოს მიმართა ჯარებისადმი: „გადასაღვროთ იმპერიალისტური იაპონია, ომის მეორე კერა! სტალინისათვისი წინ, საბოლოო გამარჯვებისაკენ!“.

ნაწარმოების ერთ-ერთი თვალსაზრისი ფიგურაა სერენტი საკირკო, — მასში ძლიერად არის გამოხატული ის ვეჟიკური სულიცვეთება, პირდაპირობა და ნებისყოფის სიმტკიცე, რომელიც საერთოდ ტიპური და დამახასიათებელია საბჭოთა ჯარისკაცისათვის. საკირკო იერიშზე გადასვლისას აცხადებს: „ჯერ ხელი თვეც არ გასულა, რაც ვერმინაში იბრძოდა ჩვენი ოცეული, უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ცუდად როდი ვიბრძოდით იქ, ამხანაგებო! გერმანიის ფაშიზმი უკვე დავამარცხეთ და გავანადგურეთ, ახლა საჭიროა დავამარცხოთ იაპონელი სამურავები, რათა კვლავ დაებრუნდეთ ჩვენი ოჯახებში და შევედგეთ მშვიდობიან ცხოვრებას. გემარჯოს საშობლოს, გემარჯოს სტალინი!“

საშობლოსათვისი სტალინისათვისი — აი ამ საბრძოლო ლოზუნგით გადაეშენენ საბჭოთა ჯარისკაცები მტრის ბანაკში. ისინი მალლობებს მალლობზე იყრობდნენ, იაპონელებისაგან ცეცხლწაკიდებულ კორეის სოფლებში შეიჭრნენ. ავტორი მძაფრად ვდამოგვემს ამ ამბებს. მთორ მატანის ბრძანებით, ჯარისკაცები ცეცხლის ჩაქრობას შეუდგნენ. ერთ სახლში საშინელი ყვირილი მოისმა. „რამდენიმე მეტროლომა ცეცხლწაკიდებუი კორეელი მამაკაცი და პატარა ბავშვი გამოთყვნა, კაცს მხოლოდ ტანისამოსზე ეკოდა ცეცხლი, ბავშვს კი სხეულზედაც მოსდებოდა. მამაკაცს სწრაფად შემოვაბიეთ ტანსაცმელი. ზომიანემა ბავშვი საწვიმარში გაახვია და მდინარისაკენ გააქანა. წულამდე წყალში რომ შევიდა, ბავშვი ჩაუშვა და ერთ ხანს ასე ეჭირა. კორეული მამაკაცი მალე გრძნობაზე მოვიდა, წამოტა და ყვირილით ზომიანეისაკენ გაექანა, რომელიც ამ დროს უკვე მდინარის ნაპირზე იდგა და ხელში ნახშირადქცეული ბავშვი ეჭირა. კორე-

ი. უ რ ჯ უ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. „მორანბონი“, საბლიტგამი, 1952 წ.

ელმა რომ ეს დანახა, საშინელი ტირილი მორთო, იგი თმებს იგლეჯდა, ფრჩხილებით სახეს იაწურავდა და დრო და დრო გაიძახოდა: — „ნანუნ, ჩენია, ნანუნ ჩენია“ (ჩემო გოგონა, ჩემო გოგონა!).

მწერალი თითოეული მოვლენისადმი თავის აქტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, რითაც ზიზღსა და სიძულვილს გვირმავებს იაპონელი სამურაებისა და მათი დამპყმეობის მიმართ. თუ რაოდენ სამართლიანია კორეელი ხალხის ბრძოლა იაპონელი მილიტარისტების წინააღმდეგ, ამას ცხადყოფს ყოველი ფაქტი, რომელიც ავტორს მკვეთრად აქვს გამოსახული ამ ნაწარმოებში.

ფენიანის განათვისტვლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა გეზი სეულისკენ იიღეს. გზადაგზა საბჭოთა ჯარისკაცებს მოსახლეობა დიდ დახმარებას უწყევდა: ხიდებს აკეთებდნენ, გზებს სწმენდნენ, მგობრულ სეფრას უშლიდნენ, ჯარისკაცებს უყვებოდნენ თავიანთი დუხჭირი ცხოვრების შესახებ.

პირველი შეხვედრისთანავე გამოირკვა, თუ რა მიზნით შემოვიდნენ ამერიკელები კორეაში. მათი მტრული, დამპყრობლური დამოკიდებულება თავიდანვე ნათელი გახდა კორეელი მშრომელებისათვის. აი პირველი ფაქტი: ლეიტენანტ ავერიანოვთან ერთმა კორეელმა მოიბოხა, ზელი ზღვისკენ გაიშვია და სთქვა: „ამერიკა, ამერიკა!“. როცა ავერიანოვმა ნახსადვარში მიიყვანა თავისი ნაწილი, დანახა, რომ ზღვაში უაღმო ნაცრისფერი სამხედრო გემი იდგა. უცებ მასთან ამერიკელი მაიორი გამოცხადდა. ავერიანოვს არ მოეწონა ამერიკელი მაიორის მლიქვნელური შეხვედრა და ხმამაღლა მიმართა — ბატონო მაიორო, საინტერესოა, როგორ მოხვდით თქვენ ამ ქალაქში, ეს ქალაქი საბჭოთა ჯარს უნდა დაეკავებინა და არა ამერიკელებს!.. თქვენი აქ ყოფნა არა კანონიერი, გიბრძანებთ დაუყოვნებლივ დასტოვოთ ქალაქი“.

მიუხედავად გაჯიუტებისა, ამერიკელი მაიორი იძულებული გახდა საბჭოთა ოფიცრის კანონიერ მოთხოვნას დამორჩილებოდა. მან განკარგულება გასცა და გემმა მიმართულება შეიცვალა. ამ დროს მალალი ტანის კორეელმა მოიბოხა და ინგლისურ ენაზე შესძახა მათ: „თქვენ ეი, პირატებო, შესდევით, სად მივბიხართ“. მაგრამ უკვე გვიან იყო კორეელმა შემდეგ ავერიანოვს უთხრა: „ამერიკელებმა შეხუბლ მთელი დამე ძარცვეს ქალაქი, ამ საქმეში იაპონელი ოფიცრებიც ეხმარებოდნენ. ამერიკელებმა იაპონელი ოფიცრები გემზე მოათავსეს, გასამრჯელოდაც იაპონელი ოფიცრების

მიერ დატყვევებული კორეელი ქალები მიიღეს“.

მეორე ფაქტი: კორეელმა ქალებმა საბჭოთა ჯარისკაცი ზიზნოვი მოკლეს. მკვლელებს ჩვენები დაედევნენ. მათ თავი შეაფარეს ამერიკელებს, საბჭოთა ოფიცრის მოთხოვნაზე — ესწავლებინათ, თუ სად იმალებოდა მკვლელი, ამერიკელმა ოფიცრმა უარი განცხადა.

მესამე ფაქტი: ერთ დღეს საბჭოთა ჯარების განლაგებაში ავტომანქანა და შოტოცკილი შემოიჭრა. შეიარაღებული ამერიკელები ძალდებით ზელში მოსდევდნენ ორ კორეელს. ამერიკელებს უნდოდათ მათი ზელში ჩავდება, მაგრამ საბჭოთა ოფიცრებმა ისინი ვადაარჩინეს. კორეელები აღმოჩნდნენ მამა-შვილი. მამა სეულის გამონაწილი ექიმი იყო. მან ლეიტენანტ ავერიანოვს გადასცა პატარა რვეული თავისი ჩანაწერებით. ამ დღეობების წყაიხვისას ტანში ერთნატივი უვლიდა. მასში აღწერილია უამრავი ფაქტი ამერიკელთა კორეაში პარპაშისა. ამთგან ერთ ფაქტს მოვიყვანო: ექიმს სახლის მეორე სართულზე სამშობიარო ჰქონდა მოწყობილი. ამერიკელმა პოლკოვნიკმა მას ძალით გამოაყრევინა შშობიარე ქალები ოთახიდან, სადაც თვითონ მოთავსდა. ექიმმა შშობიარე ქალები თავის ბინაში შეიყვანა. ერთმა ამერიკელმა ჯარისკაცმა კარები შეამტერიო, იატაკზე შშოლარე ქალებს მიმართა: „აღვიბით, მაღამ, ვიცკევოთ, თუ არ იცით, ახლავე გასწავლით“. მულოვინე ქალები, ცხადა, ვერ ადგებოდნენ, ტიროდნენ — „მაღამ, ნუ სტობით, ამერიკელ ჯარისკაცს კორეელი მაღამი უყვარს, — ვითომ ილერსით ეუბნება ქალებს ამერიკელი და ოთახში მიიზღახნება. გაისმა ავადმყოფი ქალების შემზარავი კივილი. ჯარისკაცი კარებთან ახლო შშოლარე ქალთან რომ მივიდა, უცხად დაიხარა და უხირცხვლოდ საბანი გადახადა მულოვინე დედას. შშობიარე ქალის სხეული რომ დანახა, წელთან ფეხი წაკრა შეწინებულ ქალს და მისი მისამართით ხმამაღლა შეივიდა“.

ამის სრულ კონტრასტს წარმოადგენს ის ფაქტები, რომლებიც საბჭოთა ჯარების მოქმედებას ახასიათებენ კორეაში. ეს ფაქტები შესანიშნავად აქვს მოცემული ი. ურჯუმგლას შვილს. თუ გუდღასმით წვაიკითხავთ იმ თავებს, რომლებშიც აღწერილია საბჭოთა ჯარისკაცების დამხმარება კორეელი გლეხებისა და მუშებისადმი, დავრწმუნდებით იმაში, თუ რაოდენ სასახარტოლო, ზედწიერი და დუეიწყური შეიქმნა საბჭოთა არმიის დახმარება კორეელი ხალხისადმი. ამის კიდევ უფრო კონკრეტულ მტავლითს წარმოადგენს ავტორის მიერ ვადმო-

ცემული აშავი საბჭოთა ჯარების კორეიდან დაბრუნებისა: როცა გლეხებმა გაიგეს საბჭოთა ჯარების გამოსვლა კორეიდან, ძალიან შეწუხდნენ. ლარბთა კომიტეტის თავმჯდომარემ მაიორს მიმართა: „ხომ ხედავთ, შეილებო, ამ ზემს თოვლივით თეთრ თმას და ჰალარა წვეს, 100 წელი მიცხოვრია. რას არ მოვსწრებოვარ, რა არ მინახავს. დამყრობელთა თარეში და ძალადობა, ტანჯვა-წვალები, გაჭირვება, უბედურება, მაგრამ ასეთ დღეებს არ არასოდეს არ მოვსწრებოვარ. როგორც ახლა, ასე მშვიდად არ მძინებია, ასეთი ბედნიერება არასოდეს არ განმიცდია. თქვენი წასვლა ძნელია ჩემთვის, მოსტვისათვის, ეშმაკს წაუღია ზემი თავი, მე ზემი შეილებისა და შეილიშვილების ბედი მალინებს. ნეტავ უთქვენოდაც ასე მშვიდად, ასე ბედნიერად ვიცხოვრებო?...“

ი. ურჯუშვლაშვილი „მორანბონში“ მხატვრული სიმართლით აღბეჭდა ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები, რომელიც მიქინეარებს დღეს კორეაში ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის, დემოკრატიულს, რომელსაც კორეის მეშათა პარტია კომ ორ სენის მეთაურობით ხელმძღვანელობს და იმპერიალისტებს, რომელსაც უოლსტრეტი და მათი პარტიონტი ლი სინ მანი ხელმძღვანელობენ. ავტორმა მასალის ღრმად შესწავლის სიღუფელზე შესწლო კორეელი ხალხის ცხოვრების მძაფრი სურათების დახატვა, წარმტაცო და მიწვილველი ტიპების გამოკვეთა. რა რივ დამახასიათებელია ამ მხრივ ბავშვების ინ გორისა და კაი სუს თავდადსავალი. რა რივ ტრავიზშით სავსეა მათი ცხოვრება, მაგრამ დიდი ტანჯვისა და სიმწვლეების გადარსების შემდეგ კიდევ უფროსა რა რივ ბრწყინვალეა მათი იმეჯა. პატარა ინ გორისა და კაი სუს ცხოვრებამ ჩაგონა თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა. ამ იდეამ მიიყვანა ისინი მორანბონის მთაზე სახალბო არმიის მოლაშქრე არტილერიასთან. როდესაც ინ გორი და კაი სუ თავშესაფარდნან მორანბონის მთის კალთებზე ავარდნილ ბოლს ხედავდნენ, გული მათვენ მიუწევდათ. დამწვარი სახლ-კარი, ცეცხლწაყიდებულ მშობლიური მიწა და მომპვინისაგან დაფლეთილი მშობლები შერის საძებლად მოუბმობდნენ მათ. მოვლენათა განვითარების აუცილებლობამ, საშობლოს სიევარულმა ეს ორი ბავშვი გმირებად აქცია, ნაადრევად მოაწიფა. ორივენი ისე აქტიურად ჩაებნენ ბრძოლებში, როგორც მათი მამები და უფროსი აშხანაგები. ამ ორი ბავშვის ფსიქოლოგიის ფორმირება ბუნებრივი და ძალღუტანებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალმა ინ გორისა და კაი სუს-

მხატვრული სახის შექმნით მოკვცა მთელი კორეელი მშრომელი ახალგაზრდობის ტამიერი სახე.

ბიზლიოზრაში

ავტორს დიდი სიევარული აქვს გამოსახული გამოჩენილი კორეელი რევოლუციონერის და გამოცდილი პარტიული მუშაკის ჩოსოკარამის მხატვრული სახე, პარტიოტი კორეელი დედის ნიხეცი ბოკ ლის მოქმედება, რომელიც ყოველწინაოდ უწუობდა ზელს სახალბო მოლაშქრეებს და რომელიც ისე პატრონობდა ინ გორსა და კაი სუს, როგორც საყეთარი შეილებს. მაგრამ ბოკ ლი, ჩოსოკარამი, კაი სუ და სხვები ამერიკელებმა შეიპყრეს, საფლავი გაათხრეენეს და შივ ცოცხლად ჩამარბეს. დედები კვენსოდნენ, ბავშვები ტაროდნენ, ჩოსოკარამი კი გაიძახოდა: „თქვენ, ეი, ამერიკელებო, ამას რას ჩადებართ. ბავშვებმა რა დაეპვეს, მათ რატომ და სჯით? ხალხი არ გაძატიებთ ამ დანაშაულს, თქვენი პასუხს აგებთ კაცობრიობის წინაშე, გესპით, პასუხს აგებთ!.. ხელი არ მომიკლეთ სევებო, მე ისე მიწდა საფლავში ჩავიდე, რომ ადამიანის სისხლით მოსერილი თქვენი ბინძური ხელი არ შემეხოს“... ბოლოს როდესაც გაშწარებულმა ჩოსოკარამმა ბარით გაუბო თავი ამერიკელ მაიორს, ამერიკელებმა მის ავტობატოდან ცეცხლი გაუტხნეს, ჩოსოკარამმა უკანასკნელად მაინც დაიძახა: „სიკვდილი ამერიკელ ოკუპანტებსს გაუმარჯოს კორეას! გაუმარჯოს კომ ორ სენს!“

მართალია, ფხენიანის განთავისუფლების საქმეს ბევრი პარტიოტის სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ მოთხრობის ერთი მთავარი გმირი ინ გორი ბოლომდე ცოცხალი დარჩა. ის ვეკაცურად იბრძოდა ფხენიანის ქუჩებში, ამერიკელებს მოსვენებას არ აძლევდა და თ კიდევაც ამ ბრძოლების დროს ის თავის მამას ლი გო ჩეს შეხვდა. როდესაც ჩინელმა მოხალისემ ნახა ინ გორი, თუ როგორ ებრძოდა ის ამერიკელებს, ჩინელი მოხალისე შეეკითხა ლი გორეს: „მშაო ლი გო ჩე, ეს არის შენი ბიჭი?...“

— დიხ, ეს არის — უხასუხა ლი გოჩემ. ჩინელმა მოხალისემ ბავშვს აღერსით თავზე ხელი გადაუსვა. შემდეგ ხალათის მარცხენა ჯიბესთან დაბნეული სამკრდრე ნიშანი მოიხსნა და ინ გორს კომ ორ სენის სურათის ვეერდით გაუკეთა.

— „პატარა გმირო, მათ ძე დუნის ეს სურათი გჭონდეს ზემგან სახსოვრად“.

ასე დასრულდა ეს შესანიშნავი ეპოპეა, რომლის შექმნაში ახალგაზრდა მწერალმა საკმაო დაკვირვება, მოვლენების მხატვრული გააზრების უნარი და ბელეტრისტული ნიჭი გამოამჟღავნა.



ელიზბარ ზედგინიძის მოთხრობები



ელიზბარ ზედგინიძე შეტად საყურადღებო მოთხრობების ავტორია. მის მოთხრობებში თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენები, ჩვენი ზალხის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრება ცოცხლად არის ასახული, კონკრეტულ სახეებშია გამოხატული, ამასთან ერთად მსატერული სიმაართლე და ბუნებრივობა ახასიათებთ.

ე. ზედგინიძე ერთი იმ მწერალთაგანია, რომელთა ნაწარმოების უფრადღებების ცენტრში ადამიანი დგას, ადამიანი თავისი გრძნობით, განცდილი, ფიქრით და ოცნებით. მწერალი ისეთ თემისა და სიტუაციას იღებს, რომელშიც ყველაზე უფრო ნათლად მოჩანს საბჭოთა ადამიანის ხასიათი და მისი შინაგანი ბუნება. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ე. ზედგინიძის ახალი მოთხრობა „დაუეწიარ ზაფხული“, რომელიც გასულ წელს ერთნაღ „მნათობში“ დაიბეჭდა და ამავე სათაურით გამოცემულ მოთხრობებს წიგნში არის მოთავსებული. „დაუეწიარ ზაფხული“ პერსონაჟები, მოწინავე კოლმეურნეები, ომის შემდგომი ცხოვრების მშენებლობაში აქტიურად ჩაბმული დიდი სამაბელო ომის გმირები — საბჭოთა მკითხველისათვის ნაცნობი ადამიანები არიან. მაგრამ ავტორი მკითხველის ყურადღებას იპყრობს არა მარტო ნაცნობი ადამიანების ტიპური თვისებების დახატვით, არამედ ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების მსატერული განზოგადოებითაც. მოთხრობა ეხება კოლმეურნეობის გამსხვილებისა და მასთან ერთად ადამიანის შეგნებაში კაბიტალიზმის გადამწიშობთან ბრძოლის საკითხებს. უნდა ითქვას, რომ მწერლის მიერ დასმული საკითხები მსატერული სიმაართლით არის ვადარული და არც ერთი ეპიზოდი მინაგან დამაგერებლობას მოკლებული არაა.

მოთხრობის მთავარი გმირი შალვა სამაბელო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. სოფელ ტატანისს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ის ფერმის გამგედ აირჩია. შალვა ფერმის თვალის ჩინივით უელის, ის როგორც მოქალაქე და პირიქება ყველაზე უფრო ნათლად ადამიანებთან დამოკიდებულებაში მოჩანს. შალვასათვის მთავარი და ყველაზე ძვირფასი ადამიანია. შალვა ადამიანებისადმი სოციარულს ლიტონი სიტყვებით კი არ გამოხატავს,

არამედ მოქმედებით და საქმით გვიჩვენებს. ამ გულბოღ ადამიანში სწორად სიმკაცრე იქნის ხოლმე თავს. ის მკაცრია იმათ მიმართ ვინც არაფრად აგდებს კოლმეურნეობის ქონებას. შალვა საბჭოთა ადამიანის სრულყოფილი სახეა ის პრინციპული პირიქება და სამშობლოს ერთგულებით. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის რომანს მწველავ ქალ სალომესთან. სალომე გერკიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილია. ის ზედმეტად გულმბრუვლო, წმინდა და ჯანსაღი ადამიანია. მისი გულმბრუვლობისათვის დამახასიათებელია მამასთან თქმული შემდეგი სიტყვები: „მე ჩემი ძროხები მუდამ ყარგად მოვლილი მეყოლება, ყოველთვის დროზე მოწვეული, არავის გაეკიდვინებ თავს, დანარჩენი მე არ მეკითხება“... ასეთი ინდივიდუალისტური განწყობილება არ არის დამახასიათებელი შრომის მოყვარე სალომესათვის, მაგრამ სალომეს მაინც ესაბიროება დასმარება შეზღუდულობის დაძლევაში. შალვას გულწრფელად უყვარს პატიოსანი და სათნო ქალიშვილი. შალვა სალომესათვის ახალგაზრდაა, მაგრამ მას ცხოვრების გამოცდილება მტეი აქვს. ის ყარგად ამჩნევს სალომეში ჩრდილოვან მზარეს და ყოველმხრივ ცდილობს გაეღენა მოაძინოს მასზე. მართლაც შრომაში და სოციარულში სალომე დასძლევეს თავის შეზღუდულობას, მას უკვე ერთიარად ახარებს მისა და მეგობრების გამარჯება. დიდი მსატერული სიმაართლით არის განვითარებული შალვასა და სალომეს სოციარულის ამაზი. მკითხველს სჯერა, რომ საბჭოთა ახალგაზრდები შალვა და სალომე ჯანსაღ საბჭოთა ოჯახს შექმნიან, რომ მათი ოჯახი იქნება მტკიცე, მაგრამ აქვე არ შეიძლება ავტორს არ ვუსავედუროთ. შალვა სალომესთან სოციარულის გამოშლანების საქმეში ფარგლად მობილებულია, სწორად ზედმეტათაც გაუბედავი. ეს უსათოდ მოსაწონია. იქ სადაც ნამდვილი სოციარული მობილებასაც უნდა ქონდეს ადგილი. მაგრამ სრულიად ზედმეტად მიგვანჩია შალვას მიერ სალომეს ოქროს ბეკედით დანიშნა. შალვა და სალომე ახალი ეპოქის ადამიანები არიან და მათთვის ძველი ტრადიციების თავზე მოხვევა ზედოენრად მიგვანჩია.

მოთხრობის ძირითადი სიტუეტური ხაზის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტასო ზახაძე. ტასო სალომეს მსგავსად მწველავია, ისიც შრომის მოყვარე ქალია. მაგრამ თა-

ე. ზედგინიძე. — „დაუეწიარ ზაფხული“, სახელგამი, 1952 წ.

ვისი ხასიათით იგი სალომეს აშკარა კონტრასტია. ტასო ვიწრო პირადული ინტერესებით შეზღუდული ადამიანი არაა. ტასომ სალომე სოც-შეჯიბრში გამოიწვია, ფერმაში გამართულ თათბირზე სიტყვა წარმოთქვა და გაბედულად განაცხადა: — „ამხანაგებო, მე სიტყვას ვიდევნი, რომ კარგად მოუვლო ჩემს ძროხებს, ავაძლავებ წველაობას, ვეცდები გეგმას ბევრად გადაეკარბო და რაც შეიძლება მეტი რძე მივცე ჩემს კოლმეურნეობას“... სალომემ მიიღო ტასოს გამოწვევა. მაგრამ, საზღვრული იალღებზე უფროს დროს სალომეს ხბო დაეკარგა. აი რას მოგვითხროს ამის შესახებ თვით სალომე: „ბინდღებოდა. წვიმით გახანძლი დედამიწა შრის უყანას-გრელ სხივებზე ბრწყინადა, მაგრამ ჩემს ველში კი ბნელიდა: ხბო დაეკარგა, ბავშვივით გაზრდილი ხბო. ვარდა ამისა, დღეს ათი ლიტრა რძე დამავლდა. თუ გვრტო არ ვიპოვე, ზვალ დილასაც ათი ლიტრა დამავლდება. ცხადა, შეჯიბრებაშიც დავმარცხდები, მაკობებს ტასო. ის ახლა, აღბათ, შეიმობს ჩემს მარკსზე. უხარია, არა, უსათუოდ უნდა ვიპოვო, უსათუოდ! — გულდათუთქული ვებუნოდი ჩემს თავს და ხმა მალა გაეკიოდი:

— გვრტო, გვრტო!“

მეორე დღეს სალომემ განაგრძო გვრტოს ძებნა. ზევში მას მოესმა ქალის ხმა, რომელაც მკაფიოდ გაიძახოდა „გვრტო, გვრტო“. „ნაბიჯს აფრქვამს, გვრტოს მძებნელს დაეძღვენენ, აი, სულ ახლოს მომესმა ძახილი. ნეტავი ვინ არის? ჩემზე ადრე ჩამოსულა ამ ზევში და ისევე მწუწრვალად გაქვივს, როგორც მე“. ხევში პირისპირ შეხვდნენ სალომე და ტასო. სალომე, განციფრდა. ნუთუ ტასოსაც აწუხებს ჩემი გვრტოს ბედი? აი კითხვა, რომელიც წაიპოჭრა მის წინ. ტასოს სიტყვებმა და მოქმედებამ სალომეს საბოლოოდ შეაგნებინა რომ ნამდვილ საბჭოთა ადამიანი არ ახარებს თავისი მეგობრის მარცხი. ტასო სალომეს თვალში ძაღლდება და რაც მოთარია ტასოს მოქმედებით სალომე თავისუფლდება იმ ეკუებისაგან, რომელიც მის გულს სერავდა და გონებას ამძიკებდა. მოთხოვბაში სოციალისტური შეჯიბრის წინა კარგად არის გახანძლი და საბჭოთა მეგობრობის პრინციპი დამაბ და მიმზიდველ სურათებში და სხეებში არის გამოხატული.

კოლმეურნეობათა გამსხვილება საკოლმეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ეყრდნობა. მოადგენს; ატორმა ეს უარესად სერიოზული ღონისძიება მხატვრულ ტილოზე გადაიტანა. თუ რა მიზნით ჩატარდა კოლმეურნეობათა გამსხვილება, ეს მოთხოვნაში მკაფიოდ ჩანს. უნდა ითქვას, რომ მწერალმა კოლმეურნეობათა გამსხვილების გამოხატული ეპიზოდები ცოცხლად და-

ხატა. ამასთან ერთად მხატვრული სახეებით შესანიშნავად გამოამყვანა იმ ადამიანების მოქმედება, რომლებიც კოლმეურნეობის ქარებას თავიანთ საეუთრებად სთვლიდნენ და ამიყვებდნენ მას. სოფელ სვირის კოლმეურნეობის ყოფილი ამმეჯდომეობისა და ბუხალტრის სახეები მკითხველში ზიზღსა და სიბუღილეს იწვევს. ვერ კიდევ აქა-იქ მოიპოვებთან ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნება დამამიმბებელია კაპიტალიზმის გადანაშთებით, მათთან ბრძოლა უარესად საუკირო საქმეა. მოთხოვნის დირსება ისაა, რომ მასში გამანვილებულია გადანაშთებთან ბრძოლის საკითხი. მწერალს კარგად ეხერხება მეორეხარისხოვან გმირების სხვის დაბატება. სალომეს მამა ნიკო, მოხუცი ფილო, სანდროს რადენ ზაზაზე და სხვები საყვარელი სახეები. მწერალმა შექმნა რიგითი ადამიანების მკაფიო სახე, მათი მალალი სულიერი თვისებები მკაფიოდ წინაშე სრულყოფილად გამოხატა. მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით ვვინდა შევირდეთ რადენ ზანაზე, რომლის ვაყვარებასთან არის დაევიშორებული იალღებზე მყოფი საქონლის გადარჩენის საქმე. საზღვრული იალღებზე მყოფ ფერმის საქონელს ზამთარში მოუსწრო. თოვლმა გზები დაფარა და ფერმის საქონელი საშიშროების წინ აღმოჩნდა. მაგრამ რადენი გამოცდილი, დაყვარებული და ენერგიული კაცია. მან შესძლო საქონლის ბარში უვნებლად ჩაოყვანა, დაბაკოლებებისა და სიმწვინების დაძლევა. მწერალმა, რათა უფრო სრულყოფილად გამოეხატა თავისი გმირების ხასიათი და თვისებები, ისინი სერიოზული დაბაკოლებების წინაშე დაეყვანა. შუგა, რადენი, ტასო და სხვები დაბაკოლებების სძლევენ და დავისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ. რადენის, მწველავი ქალებისა და მეკოგების მოქმედებაში, მათ სულიერ განწყობილებაში კარგად მოჩანს საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელი თვისება, რაც უმოთარესად გამოიხატება საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე უფრო მალა დაყვანებაში. მოთხოვნის მოთვარი გმირები ყოველთვის საზოგადოებრივ ინტერესებიდან გამომდინარეობენ და ზალხის კეთილდღეობისათვის თავს არ ზოგავენ. მათი მოქმედება ბუნებრივი და დამაყვრებულია. ამიტომ არიან ისინი საყვარელი და მისაბამი გმირები.

„ღარიმა“, „კალატობის სიყვლილი“, „სამშობლო“, „სიხარული“ დიდი სამამულიო ოპის თემაზე დაწერილი მოთხოვნებია. საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გრძნობა, სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება ნათელ მხატვრულ სახეებშია გამოხატული. ეს მოთხოვნები კონკრეტულ მასალაზე აყვებული და საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლების ეპიზოდებს გადმოგვცემენ. ნაწარმოებების სიუ-

ვეტი მკვეთრად ეითარდება და მეთხელს ნათელ და სწორ წარმოდგენას აძლევს იმ გზაზე, რომელიც საბჭოთა არმიამ ბრძოლით ვაწელო ბერლინამდე.

„ღროშა“-ში მოკლედ და მკაფიოდ არის გამოხატული ბრძოლის ის გზა, რომელიც ორმა გმირმა საბჭოთა მეომარმა განვლო, რაინტაგზე გამარჯვების დროის ამართვის დღემდე. მოთხრობაში ნათლად სჩანს საბჭოთა მეომრების პოლიტიკურ-მორალური სახე. გამხედრაობა და ვეფაკაობა, თავდადება და ამტანიანობა, მეგობრისადმი სიყვარული და მტრისადმი უსაზღვრო სიძულელი-საბჭოთა ადამიანის ეს თვისებები მოთხრობაში მხატვრულ ფორმავითა გამოხატულა. სოციალისტურ სამშობლოსადმი წმინდა და უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით არის გამსჭვალული ე. ზედგინიძის სამშალო თვის თემაზე დაწერილი მოთხრობები. მაგრამ ამ მოთხრობების ღირსება მართლ ამით როდი განისაზღვრება. კერძოდ „სიხარულში“ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ სულისკვეთებასთან ერთად მკვეთრად არის გამოხატული ფაშისტთა ურდოების მთელი სიმსხვე, მათი ბატბატოსული სახე. საბჭოთა არმიის იმ ნაწილმა, რომელსაც ახალგაზრდა ლეიტენანტი წინ უძღოდა, მტრისაგან კიდევ ერთი ქალაქი ვაანთავისუფლა. ლეიტენანტი ამ ქალაქის მკვიდრი შეიღი იყო. ქალაქის შუა ქუჩაში მან დაიანხა ფეხშიშველა გოგონა, რომელიც შემოდგომის წვიმიან დღეს ცივ ქაფენილზე შიბიკებდა. შეჩერდა ბავშვი და წამით შეჩერდა ლეიტენანტიც. ბავშვმა საკუთარი მამის დანახვზე სიხარულით დაიძახა „მამა“ და დედის გულის გასახარებლად სახლისაგან გაიქცა. გოგონამ ეზოში შეირბინა და უცნაოდ მალაღი ცაცხვის ხესთან შეჩერდა. ის გონს მოვიდა, მან ევლარ წარმოთქვა „დედა მამინეში მოდისო“, ცაცხვის ხემ მოაგონა მას, რომ დედა აღარ ჰყავს, რადგან ფაშისტებმა ის სწორედ ამ ცაცხვის ხეზე ჩამოხარხვეს — ასეთია ამ მოთხრობის შინაარსი.

„ღამთაჲრდა რა ომი ისტორიული გამარჯვებებით საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი სამეურნეო განვითარების ახალ, მწვედლობიან პერიოდში. საბჭოთა სახელმწიფომ მოკლედ ვაღანი, საკეთარი ძალებითა და სახსრებით, ვარდნად დაუხმარებლად, აღადგინა ომით დანგრეული მურნეობა, წინ წასწია იგი და უკან ჩამოიტოვა ომამდელი დროის სამეურნეო მანქანებლები“ (ც. მალენკოვი). ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ თავისი გამოხატულება პიოვა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში. დიდი სიამაღლო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი მხატვრული

ნაწარმოებები, რომელშიც სრულყოფილად ასახა ჩვენს ჰვეყანაში წარმოებულმა მწერლობის მშენებლობები. ქართული მწერლობის მშენებლობის პირველი პერიოდი მოთხრობის პერიოდში შემდგომი პერიოდის ცხოვრების ამსახველ სრულფასოვანი ნაწარმოებების შესაქმნელად. ე. ზედგინიძის „დაუეიწყარი ზაფხული“, „შენც მშენებელი ხარ!“ და „ნარინჯის ფთოლი“ ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. მოთხრობაში „შენც მშენებელი ხარ!“ ასახულია მტრულერგიული ქარხნის მშენებლობის პირველი პერიოდი. მოთხრობის პერსონაჟები — მშენებლობის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე, ახალგაზრდა ინჟინერი ოთაროშვილი, უფროსი მექანიკოსი ვასო დიასამიძე ახალი ქალაქის მშენებელი ენთუზიატები არიან. მთავარ ინჟინერს ალექსანდრეს მშენებლობის ყველა უბანზე ვხვდებით. იგი დაჯიჯიკებული და გამოცდილი მუშაკია. მაგრამ ზოგჯერ მისი მსჯელობა დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ალექსანდრე უფროს მექანიკოს დიასამიძეს შემდეგ სიტყვებით მიმართავს: „ხომ იცი, მე და შენ მეგობრები ვართ! თუ ვარჯად არ ვიძუშევეთ, მეგობრები ვეღარ ვიქნებით!“ ეს საყვებით სწორი მოსაზრებაა. ზალთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი ვასაწავლის: „არ შეიძლება დაეუშვათ, რომ პირადი მეგობრობის ინტერესებს საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ“ (ი. ბ. სტალინი. ტომი 12. გვ. 1-2). დიდი სტალინის ეს შითითება საბჭოთა მეგობრობის საფუძველია, რაც ვარჯად ესმის მოთხრობის მთავარ გმირს ალექსანდრეს. მაგრამ მოთხრობა გაცილებით უფრო მეტს მოიგება, რომ ავტორის მთავარი ინჟინრისა და უფროსი მექანიკოსის საუბარი მოქმედებაში გადატანა და მისთვის მტრის მხატვრული დამაჯიკებლობა მიეცა. ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებაში ავტორს ხელეწიერობა ემჩნევა, რის გამოც მოთხრობის გმირების სულიერი თვისებები მკრთალად მოჩანან, მათი სახე სქემატურიია.

ე. ზედგინიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული და თავისებური მწერალთა ცხოვრებიდან დაწერილი ნაწარმოებები. მოთხრობებში „პიოეტის სიკვდილი“ და „უკანასკნელი ღამე“ გამოყენებულია ფაქტობრივი, ბიოგრაფიული მასალა, ყოველი კონკრეტული ამბავი მხატვრულად განზოგადოებულია. როდესაც ეკითხებით „პიოეტის სიკვდილს“ თვალწინ წარმოვიდგება დიდი პიოეტის ნიკოლოზ ბარათოშვილის მშფოთვარე ცხოვრება. მეთხველი მხატვრულ სახეებში, ღამაზად დახატულ ეპიზოდებში ეცნობა ბარათოშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთ მომენტებს. ახალ-

ვაზრდა პოეტის განჯაში განწესება, მისთვის შეუფერებელ სამსახურში ყოფნა, „მერანისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორისათვის ნამდვილ ტანჯვას წარმოადგენდა. მშობლიური საქართველოს და მისი დედაქალაქის-თბილისისადმი სიყვარული და შეუნელებელი წყურვილი სამშობლოს ბედნიერებისა, რაც მის პოეზიას ახასიათებს, ე. ზედგინიძეს კარგად აქვს გამოყენებული და მართალ ეპიზოდებში გადმოცემული. მოთბობაში „უკანასკნელი ღამე“ დიდი აკაცის

სიციცხლის ბოლო დღეებია აღწერილი. ბიოგრაფიული ხასიათის მოთხრობებში, ე. ზედგინიძე იდამიანთა ხასიათებს მოღვაწეობაში კომპოტურეს, მწერალი ისეთ ეპიზოდებს გადმოგვცემს, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და თანამედროვეობას ეხმარება.

ე. ზედგინიძის მოთხრობების ენა დახვეწილი და სადაა. მისი მოთხრობები დიდი გულისყურით იკითხება.

ვლ. ჯიბუბი

ფუჩიკის ნაწარმოებთა ქართულად გამოცემის გამო

★

ჩეხი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი იულიუს ფუჩიკი (1903-1943) ჩეხო-სლოვაკიის ეროვნული გმირია. მისი ლიტერატურული შემოქმედება უკვე მსოფლიოს ყველა ხალხთა საკუთრებად გადაიტყა, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და თვით მისი გმირული ცხოვრება მისამაძ მგავალითად ვახდა კაბიტალისტური ქვეყნების პროგრესულ ადამიანებისათვის. ჩეხი და სლოვაკი, გერმანელი და ფრანგი, ჩინელი და აფრიკელი, ყველა მშრომელი ადამიანი გულწრფელი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით იხსენიებს პროგრესული კაცობრიობის ერთ-ერთ შესანიშნავ მოღვაწეს, ეტრნალისტს და მწერალს—იულიუს ფუჩიკს.

ფუჩიკის უკვდავი ნაწარმოები „რეპორტაჟი სახრობელიდან“ 37 ხალხთა ენაზეა თარგმნილი. ქართულ ენაზე იგი პირველად 1948 წელს ითარგმნა. ახლანდელ გამოცემული ფუჩიკის რჩეული ნაწარმოებთა კრებულს თითქმის სრულ წარმოდგენას აძლევს ქართველ მკითხველს ფუჩიკის წინააღმდეგ ამ შეუდრეკელი მებრძოლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

შესანიშნავ ადამიანურ თვისებებთან ერთად ფუჩიკი დაჯილდოვებული იყო ბრწყინვალე პუბლიცისტური ნიჭით. ფუჩიკის სტატიები საინტერესოა, როგორც თავისი შინაარსით და იდეებით, აგრეთვე მაღალი მხატვრობით.

ერთი ძირითადი თვისება აქვს ფუჩიკის ნაწერს. ამბავი, რომელსაც გადმოგვცემს, სურათი, რომელსაც ხატავს, ამოცანა, რომელსაც საბავს და სწავებს შექმლებელია წარმოიდგინოთ უკეთეს ფორმაში, სხვაანირად ნათქვამად და დაწერილად. ფუჩიკის სტილი ბევრ სპეციალისტსა

და ეტრნალისტს ჩააფიქრებს. მისგან ნამდვილად შეიძლება სწავლა იმისა თუ რაზე და როგორ უნდა სწერო. ფუჩიკის წიგნი მუდამ დაამშვენებს ეტრნალისტთა მაგიდას.

27 წლის ფუჩიკი პირველად ჩამოდის საბჭოთა კავშირში, თუ რა ნაზა მან სოციალიზმის ქვეყანაში, რა ფიქრი და იდეები წაიღო თან ამის შესახებ შეტყუებებს მისი წერილების კრებულში: „ქვეყანა, სადაც ჩვენი ზეალინდელი დღე უკვე გუშინდელი დღეა“.

იულიუს ფუჩიკი მეორედ ჩამოდის საბჭოთა კავშირში 1934 წელს, უკვე არაუგაღრუად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის კვლავინდებურად კითხულობს მოხსენებებს იმ ქვეყნის შესახებ, სადაც აქი არ უკახირობენ, არამედ ცხოვრობენ და განაგებენ ცხოვრებას“.

ფუჩიკის წიგნი საბჭოთა კავშირზე იყო მილიონობით მშრომელთათვის სიმართლის მიწოდება; ბურჟუაზიული სიცრუეთა ობობის ქსელიდან მათი განთავისუფლება; მომავლის, უკვე არსებულისა და მსლავრის ჩვენება; მშრომელთა მსენების კიდევ ერთხელ შეიარაღება ცოცხალი პრაქტიკით და ცოდნით.

თუ რას წერს ფუჩიკი საბჭოთა ამხანაგებისადმი მიმართულ წერილში: „ჩვენთან ხომ, ამხანაგებო, აკრძალული არ არის ლაპარაკი საბჭოთა კავშირის შესახებ. მაგრამ... ნებადართულია მის შესახებ ცრუობა“.

თუ იწმენა გადკუარბებული თუ ვიტყვიოთ რომ ფუჩიკის წერილებში მთელი სიღრმით არას გახსნილი საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის სპეციფიკა, მისი წინსვლის პერსპექტივების გარკვევა, საბჭოთა ეპოქის ხასიათი და ამ ეპოქის შეიღობა ფსიქოლოგიურად ურთულესი საშუარო. საქმე მართო ის თუ არაა რომ ფუჩიკის წერილებში ჩანს განუზომელი და უანგარო სიყვარული

იულიუს ფუჩიკი. რჩეული ნაწერები. საბჭოთა მწერალი. 1952 წ.

საბჭოთა კავშირისადმი, არამედ ისიც რომ ამ წიგნში არის დიდი სიყვარული თავისი სამშობლოსა და ჩემი მშრომელი ხალხისადმი, დიდა სურვილი ბრძოლისა, გამარჯვებისა და იმ გზაზე დადგომისა, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ გოლიათის ნაბიჯებით გაკეთა.

ფუნიკო ზღაბრულად არ საბედა ამ გზას. ის არ ფანტაზირობდა. მას ესმოდა რამდენი სიძნელე, დაბრკოლება და ბრძოლა იქნებოდა წინ, მაგრამ ახლა არსებობდა იმედი, რომელიც უტყუარი იყო, ეს იმედი-საბჭოთა ქვეყანა იყო.

საზღვარგარეთის ბურჟუაზიული პრესა თავ-გამოდებული ვაჭიოდა სოციალიზმის მშენებლობის წაყარდნის, საბჭოთა სხელმწიფოს „კრაზის“ შესახებ. საჭირო იყო ამ ცილისწამებათა და სიურრეთთა უარყოფა, მათი წარმოშობის ნამდვილი მიზეზის გახსნა და ფუნიკოც აკეთებდა ამას. აკეთებდა ნიჭიერი პუბლიცისტის, მკვნიბარე კომუნისტი რევილუციონერის კალმით.

„ნაყოფანებანი საბჭოთა ქვეყანაში—ეს რაღა ძველმანები ღარიბი-ღატაკის გამხდარსა და გათოშილ ტანზე. ეს ბავშვის ტანსაცმელია, რომელშიც ის აღარ ეტევა... ეს, პაულო, ცუდად არის საქმე, სადაცა უკულოფერი შემოგაცვლება ტანზე. ვეღარ ეტევი შენს ტანსაცმელში... და უკვე აღარ ემჩნევა მას ვიწრო შარვალი და ქურთუკი, მოჩანს მხოლოდ მისი ახალგაზრდა, ღონიერი ფიგურა; განიერი ჰყერდი და მაგარი მუხლები“. ამ როგორი იყო საბჭოთა ქვეყანა მაშინ, ამ როგორი ხატავდა მას ჩემი კომუნისტი, სადად და ცოცხალი ფერებით.

მაგრამ რა იტაცებდა ფუნიკის ამ მძლავრ საბჭოთა მშენებლობაში? — ტეში! რა იტაცებდა მის საბჭოთა ადამიანში? — ენტუზიაზმი. „ხუთასი ახალი მუშა დამკერვლ ბრვიადებში!“ — ამბობს ტეში, „ათასი!“ უმატებს ენტუზიაზმი. და „განცეიფრებული ვოლდის წყალი გყითხვებ თავის ნაბიჯებს, რა ხდება დაქანებულ ფერდობზე და გავიონილის შესახებ ხმის აერცლებს“. შენდება სტალინგრადის სტრაქტორო ქარხანა. „წლოწადში ორმოცდაათი ათასი ტრაქტორი, ვასკა! რამდენია ქვეყნად ისეთი ქარხანა, რომელსაც შეუძლია გაუტოლდეს სტალინგრადის სტრაქტორო ქარხანას?“ არცერთი, რადგან ცარიელის უკვე სტალინგრადი ჰქვია და ტრაქტორს მუშა თავის ქვეყნისთვის და არა კაპიტალისტისთვის აკეთებს.

ფასდაუდებელია ფუნიკის წერილი „გმირებისა და გვირობის შესახებ“. პირველი გაზრები-თაც რწმუნდებით რომ მხოლოდ აქ, ჩვენში, შეიძლება ვაწინილიყო ამდენი გმირი, რადგან არცერთ ეპოქას არ უნახავს და არც შეიძლება-და ენახა ასეთი გმირობანი. ფუნიკის ეს წერილი

არა თუ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისათვის იყო თავის დროზე სასარგებლო, მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს დღესაც. ჩვენი ქვეყნული სიტყვის ოსტატებისა და თეორეტიკო-ეპისთეის. გმირი, ფუნიკის აზრით, არ არის ის, ვინც გვირობას ხადის თავისდაუნებურად, შეუგნებლად, ვინც შემთხვევით აკეთებს იმას, რაც უნდა გაკეთებინა. „გმირი ეს არის ადამიანი, რომელიც ვადამწყვეტ მომენტში აკეთებს იმას, რაც უნდა გაკეთდეს ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის“. ეკვივტანელია ფუნიკის განცხადება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიის თანამედროვე ისტორიამ არ იცის გმირული მოქმედება, არ იცის გმირები. ვენაში თავის რევილენციაში კვდებოდა მძიმედ დაჭრილი აესტრატის კანცლერი დოლფუსი. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „იზრუნეთ ჩემს ოჯახზე“. წინააღი-დოლფუსის განკარგულებით სახრზობელაზე კვდებოდა ახალგაზრდა მუშა იოზეფ გერლა, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „გავუმარჯოს თავისუფლებას“. ბერლინში 1933 წელს ერნსტი-დახვრიტა 80 მუშა. ისინი „ინტერნაციონალს“ სიმღერით დაიბოცნენ. 1934 წელს გერინგმა დახვრიტა ერნსტი. ის ხელით მისატანი ვახდა დასჯის ადგილის და დაჭრეტამდე გული შეულოდა. ფუნიკის ნაამბობს უნდა დაეუმატოთ: თვითონ გერინგმა კი ნიერნბერგის პროცესზე ხალხთა სამსჯავროს შიშით — თავი მოიწამლა. და ამით გაამართლა ფუნიკის დებულება.

კითხულობ წიგნს „რეპორტაჟი სახრზობელი-დან“ და თვალწინ დგას თავისუფლებასა და დღის სინათლეზე შეუვარებელი მკვნიბარე ფუნიკი, რომელიც ვერ დამტკბარბიყო საკანის პატარა სარკმელიდან შემოჭრილი მზის სხივების ცქერით. თვალწინ დგას ნაცემი, ნაწვალეები იფლიუსი, რომელიც გონზე მოსკლისთანავე კალამს კიდებდა ხელს და უკვედვ სტრიქონებს ქმნიდა, აღსავსე იმ იმედით, რომ თუ კი თვითონ ჩამავლია მზის სხივებს შესცვროდა, მისი ხალხი, მისი საყვარელი სამშობლო ნახავდა ნამდვილი, დიდი და ჩახახა მზის ამოსკლას.

„რეპორტაჟი სახრზობელიდან“ არ არის დაწერილი საშუაო კაბინეტში, განცხრომაში მყოფ მუოცნებე პოეტის მიერ. მასში ძალიან ცოტა იდილეები და სუდაც არაა მელანქოლია. ის იწერებოდა მთარახის ქვეშ, იწერებოდა იმ ადამიანის სისხლით, რომელიც თავისუფლებას, ნებისყოფისა და მრწამსის სიმბოლოდ იქცა. ძალიან ცოტაა მასში ცისფერი, მაგრამ უხვადაა ულტრაწითელი ფერები. წითელი, რომელსაც იფლიუს ფუნიკმა „მედმივი გაზაფხულის ქვეყნის ფერი“ უწოდა.

ეს წიგნი არაა მშრალი ილუსტრაცია იდეებისა, იგი არაა ცივი გონების კარნახით ნაწერი.

მასშია სიკრებლზე, თავისუფლებზე შეყვარებული ადამიანის გული და გრძნობები. თავისუფალი, დემოკრატიული ევროპის შექმნის იდეას ამ წიგნში ათბობს სიყვარული უერთგულესი მუღღლისა, შესანიშნავი მეგობრისა: „მთელი წლების მანძილზე ის იყო ჩემი პირველი მეომრე და კრიტიკოსი. და მე წერა მივირბა თუ მის აღერსიან შემოხედვას არ ვგრძნობდი“ — წერდა ფუჩიკი გუსტინას შესახებ.

ამ სიტყვების ავტორი დღედაღამ ცემისა და წამების ქვეშ ქმნიდა წიგნს შთაბრძნობისათვის, მომავლისათვის. მან იცოდა, რომ აკეთებდა საზოგადოებისათვის, ხალხისათვის საჭირო საქმეს. მხოლოდ ამ შესანიშნავ გრძნობას, რომელიც ყოველგვარ პირადულს აღემატება, შეეძლო დაეტოვებინა ჩვენთვის „რეპორტაჟი სახრზობელიდან“.

ფუჩიკი ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირია და მის მიერ ერთ დროს განმარტებული გმირის ცნება საოცრად დაემთხვა მის საკეთარ პიროვნებას.

უმახვილესი სატირა, რომელიც ამ წიგნში გერმანული ფაშისმის წინააღმდეგ არის მიმართული ფარდას გლეჯს, ნიღაბს ხდის ყოველივე არაადამიანურს, ველურსა და ბარბაროსულს.

საკონცენტრაციო ბანაკები, მასობრივი ძლეულის ადგილები, ესეველთა საგამომჩიებლო პუნქტები მთელი სიციხადით ცოცხლებიან თვალწინ, ერთოლა გიტანს ასეთივე ბანაკების და მასობრივი ძლეულის ადგილების გახსენებაზე დღეს კორეაში.

ფუჩიკის წიგნი ერთნაირად მკვეთრი და ხასრია როგორც გერმანული ფაშისმის ისე ამერიკელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ის მძლავრი პოლიტიკური და რევოლუციური დოკუმენტია, მამხილებელი ამერიკულ-ინგლისელთა მხეცობისა, რომელიც თუ არ აჭარბებს, არაფრით ჩამოუვარდება ფაშისტურ მხეცობას. ამაშია ამ წიგნის სიკოცხლის უნარიანობა, ამაშია მისი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

მიმდინარე წლის 29 იანვრის „ლიტვატაში“ გამოქვეყნა წერილი: „კონ ვასცა ფუჩიკი“. ფუჩიკის გამკვეთი იყო ამერიკული დაზვერვის აგენტო, პროფესიული მოღალატე ბედრეის რაიკინი, რომელიც ებრაულ-სიონისტური ორგანიზაციას „ტებლერ ლეანას“ ზეგავლენით ჩეხი ხალხის საუცუფესო შვილებს მზაკერულად ჰყოფდა გერმანულ ფაშისტებზე მამინ, როცა ჩეხოსლოვაკია ფაშისტური ქუსლის ქვეშ გმინავდა. იგი უსინდისით ჰყოფდა ჩეხი ხალხის მიერ თავგანწირული ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას მამინაც, როცა ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის მშე-

ნებლობის გზას დაადგა. და ფაშისტო აგენტო, „ტებლერ ლეანას“ წევრი, იქცა ამერიკულ ჯამეშად, „ჯიონტის“ აქტიურ წევრად. ასეთია ფაქტები, რომელიც ნიღაბს ხდის ამერიკულ ფაშისმს.

სანამ მზავრელები არსებობენ, სანამ მშრომელთა მილიონების სისხლს წოვენ ამერიკელი იმპერიალისტები, „რეპორტაჟი სახრზობელიდან“ იქნება ბრძოლისა და გამარჯვების სტიმული, შთამბრძნობელი შეუპოვრობისა და სიმტყიცისათვის. ხოლო როცა ფუჩიკის ოცნება განხორციელდება, როცა პირსისხლიანი ფაშისმი პირისაგან მიწისა აღეგება, ეს წიგნი იქნება შესანიშნავი ფურცელი ამ თავგანწირული ბრძოლის შესახებ, რომელსაც კაცობრობის საუცუფესო მომავლისათვის ხალხის რჩეული შვილები ეწეოლდენ.

ფუჩიკის პიროვნება ორგანულად ატარებდა ამ პირობით თვისებებს, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრს გააჩნია. იგი იბრძოდა ხალხის ინტერესებისათვის, იზენდა ნებისყოფის სიმტყიცისა და გაუტებლობას ყოველ მომენტში, ყველა მდგომარეობაში. იგი ერთგული იყო თავისი საქმისა საკვდილამდე.

1942 წლის 24 აპრილიდან, როცა ის დააპტიმრეს, 1943 წლის 8 სექტემბრამდე, როცა ის მოკლეს, მის ზელიდან არ გაუვლია კალამი, ის არცერთი წუთით არ მიუტოვებია იმედს და გამარჯვების რწმენას.

მისი იმედის ურყვევი, ექვემდებარეული საფუძველი — საბჭოთა კავშირი იყო.

7 ნოემბრის რეკლამილიამ და 24 წლის მანძილზე შესანიშნავმა სოციალისტურმა მშენებლობამ მძლავრ ცინესიმაკრედ გადააქციეს საბჭოთა ქვეყანა... მან აღზარდა მილიონობით ადამიანები, რომლებიც მანამდე არ დაპყრიან იარაღს, ეიღერ თუნდაც ერთი ფაშისტი დაარჩება საბჭოთა მიწაწყალზე“. ასე წერდა ფუჩიკი 1941 წელს. და მართლაც არა თუ საბჭოთა, არამედ მისი საყვარელი სამშობლოს მიწა-წყალზეც იბრძოდნენ საბჭოთა ადამიანები უყანასკნელი ფაშისტის მოსპობამდე.

ფუჩიკი ლაპარაკობდა მთელი ჩეხი ხალხის სახელით დროთა მსვლელობაში დამტკიცებულ სიპართლეს: „ახლა ყოველ ჩვენიგანს ესმის, რომ ყველა ჩვენი შინაური და გარეშე მტერი მუდამ საბჭოთა კავშირის მტერია იყო, ხოლო საბჭოების ქვეყნის ყოველი მტერი ჩვენი მიწა-წყლის მთავარი მტერია“. და ეს აზრი ცოცხლობს ჩეხოსლოვაკიის ყოველ ახალ გამარჯვებაში, მის ყოველ ახალ წარმატებაში სოციალიზმისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. ფუჩიკმა ჩასწერა შესანიშნავი



თავი იმ დიად წიგნში, რომელსაც კაცობრიობას თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა ცხოვრების წიგნი ჰქვია. და ყოველ ახალ დღეს, მზის სხივებსა და დილის ნაავს კეთილი

ნების აღამიანებთან მიაქვს ფუნჯის ანდერძი: „აღამიანებო, იყავით ფიზიკური ბიზლირობაში ნოდარ ჩხიძე“

ორი ახალგაზრდა კომისის პირველი წიგნი.



ორი ქვეყნის — საბჭოთა და კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა ცხოვრების კონტრასტებზეა აგებული გ. ზუხაშვილის და თ. კვიციანიის საბავშვო პოემა „მშვიდობის სიმღერა“. ორი ბავშვობა — საბჭოთა ქვეყნის და კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვობა — ეს ძირითადი თემა პოემას ბოლომდის მთავარ ხაზად გასდევს.

ეს თემა არ არის ახალი, მაგრამ არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ იგი ახალგაზრდა ავტორებმა ახლებურად და საინტერესოდ დამუშავეს.

შეიძლება ავტორებს არ დავეთანხმოთ იმაში, რომ მათ ამ თავის პირველ წიგნს პოემა უწოდეს, რადგან ნაწარმოებს არა აქვს სიუჟეტი, აქ ვერ ნახავთ ერთი მთავარი გმირის სახეს, ხასიათის განვითარებას, მაგრამ ცალკეულ თავებო, რომლებიც სიუჟეტურად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, გაერთიანებული არიან ნაწარმოების თემით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ გ. ზუხაშვილმა და თ. კვიციანმა შეძლეს მიეღწიათ ბავშვებისათვის ადვილად გასაგები თხრობისათვის, მიეღწიათ იმ სისადავისათვის, რომელიც საბავშვო ლექსისა და მოთხრობისათვის არის დამახასიათებელი.

ნაწარმოების გმირთა სახეები, მართალია, მკრთალადაა დახატული, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ისინი — ნოდარი, სევტლანა, პოლი, და ლიუ ზუ დანი ტიპიურები არიან თავიანთი ქვეყნებისათვის.

ნაწარმოების დასაწყისში ახალგაზრდა ავტორები რამდენიმე ვერტს უთმობენ თბილისის აღწერას, ჰყვებიან ერთობ გრძლად, არაკონკრეტულად, აქ ყველაფერი ზოგადი და დეკლარაციულია.

ფილქანზე ხეთა ჩრდილი
აქანდება, დაქანდება
და დღედაღამ აესებს თბილისს
ხალხის ტალღა ნაკადებად.
— აქ ყოველ ზეს, ყოველ ავტრს
უნდა შედამ დარაჯობდე... (III)
მშენებელთა სიმღერა ქუჩს
ხარაზოდან ხარაზომდე.

თითქმის ასეთი არა გამოშაპველი, უფერული სტრიქონებისაგან შედგება წიგნის პირველი ორი თავი. ნაწარმოები ბევრად მოიგვება, რომ წიგნი ასეთი სტრიქონებისაგან გაშენდლიყო.

შემდეგ ვერტებზე ნაწარმოების მთავარ გმირს ნოდარს ქართველი პიონერები ბერლინში აგზავნიან ახალგაზრდობის ფესტივალზე. ადგილებული და გახარებული ნოდარი თავის ოთახში ზის, კვდიდან მამის სურათი დასცქერის. ნოდარს ავონდება ომის მძიმე დღეები, მამის მოულოდნელი მოსვლა ფრონტიდან, უდვდ-მამოდ დარჩენილი რუსი გოგონას სევტლანას მოყვანა, მამის ისევე მოულოდნელად წასვლა ფრონტზე, მან სევტლანა შინ დატოვა და მეუღლეს სთხოვა, მოუაროს ისე, როგორც თავისი შვილს. მძინეარებს სამკედრო-სასიცოცხლო ომი. მამა საბჭოთა ჯართან ერთად მიგრეკება მტერს ჩვენი მიწებიდან, ოვი ბერლინამდე მივიდა, მაგრამ „ის ბერლინში დატეა. დარდი ვინ გაუქარვოს შვილს დარჩენილს უმამოდ, ცოლს დარჩენილს უქმროდ?..“

ასეთი სტრიქონებით თავდება ეს თავი და ეს სტროფი მკითხველის სამართლიან გაკვირებას იწვევს. განა ჩვენს ქვეყანაში ომში დაღუპულთა ოჯახები ისე უპატირობდა მტრეებული ზენე-ნი მთავრობისა და პარტიის მიერ, ჩვენი საზოგადოების მიერ, რომ მათთვის არავინაა ნუგვესის მიმცემი, დამხმარე და გულშემატკვარი, დარდის გამაქარვებელი?

შემდეგ თავში ნაჩვენებია სურათი, სადაც ნოდარმა ზანგი მთხოვარი ბივი თეთრკანიანი ბავშვის თედასხისაგან დაიხსნა. ზანგი ჰყვება, თუ რამ მიიყვანა ოვი იმ ზომამდე, რომ სამათხოვროდ გასულიყო ქუჩაში. მამა ომში დაეღუპა, დედა ქარხანაში დაუტოვებდა, მამა კორეის ფრონტზე გაგზავნეს და თვითონ ვიოლინოთ ზელში შეტანა-ქუჩა დადის ლუკმპურის საშოვნელად. მაგრამ თეთრკანიანმა ბიჭმა ეს ვიოლინოც დაუშხვრია საბრალო ბიჭს. ნოდარი მას თავის ვიოლინოს აძუქებს.

გ. ზუხაშვილი თ. კვიციანი — „მშვიდობის სიმღერა“ საბლტკვამი 1952 წ.

ჩვენ უთვლელი ვართ, სიმატლის გზასაც უოველთვის მივაგნებთ, გზას მხოლოდ სიციხისასაკენ, გზას მხოლოდ მშვიდობისაკენ, —

ელბნება ნოდარი ზანგის ბავშვს და განაგრძობს:

მომავლისათვის, იცოდე, ჩვენც ბრძოლა გვმართებს პატარებს. პა, თეთრი მშვიდობის მტრედი, ჩემგან სახსოვრად ატარე! — და ძველი თავისუფლების თითქოს შეერთა და გაოცდა, როდესაც თეთრმა ბიჭუნამ მის წინ ზანგის ბიჭს აკოცა...

აქ ყოველი სტრიქონი კონკრეტულია, მეტყველი. ლექსი სხარტი და ნათელია. უთვალავნი არიან სიმატლისათვის მებრძოლნი, როგორც დიდები, ისე პატარებიც. მათ სწამთ, რომ სიმატლის გზით მიდიან, და დღეს თუ ხვალ, მოიბოვებენ თავისუფლებასა და მშვიდობას, მაგრამ ამისათვის უნდა იბრძოლონ პატარებმაც. უნდა იბრძოლონ, რადგან მშვიდობასაც ბრძოლა უნდა მოაოვედა.

ავტორების მიერ კარგად დაწერილ ეპიზოდებში და სტროფებშიც ხშირად ვხვდებით აზრობრივ შეცდომებს, ენობრივ ლაღუსებს. ავიღოთ თუნდაც სტრიქონები: „ჩვენ უთვლელი ვართ, სიმატლის გზასაც უოველთვის მივაგნებთ“ სიმატლის გზას კომუნისტურმა პარტიამ დიდი ხანა შიგნით, მას ძებნა არა სჭირდება, ყველა ქვეყნის კომუნისტურმა და მუსათა პარტიებმა იცან ეს გზა. ავტორებს უნდოდათ ეთქვათ, რომ მშრომელი კლასის პათიონანი ადამიანები სიმატლის გზით მიდიან და მხოლოდ ამ გზით მოიპოვებენ მშვიდობასა და თავისუფლებას. ავიღოთ ასეთი სტრიქონებიც: „პა, თეთრი მშვიდობის მტრედი, ჩემგან სახსოვრად ატარე!“ არ არსებობს თეთრი მშვიდობა. გ. ზუნაშვილს და თ. ჭილაძეს უთუოდ უნდოდათ ეთქვათ: მშვიდობის თეთრი მტრედი. აი, მხატვრულად რა მეტყველი სახე მოსდევს ამ სტრიქონებს:

და ძველი თავისუფლების თითქოს შეერთა და გაოცდა, როდესაც თეთრმა ბიჭუნამ მის წინ ზანგის ბიჭს აკოცა“.

ეტყობა, ავტორებს ერთნაირი მონდომებით არ დაუშუქებიათ წიგნის სხვადასხვა თავებით, თორემ შეიძლებოდა ბევრი სუსტი ადგილი თავიდან აეცილებინათ.

ჩვენ შევეძილა არა ერთი და ორი მოყვანით ასეთი ადგილები: „სტვენით შავალი ყმაწვილი“,

„გაზეთს ყიდიდა, რამდენჯერ არ უყინია ლოგინზე“, „მისი შვირილი შეოთაფდა მღვდლმარების დამტევი“, „გარშეო ვრთი მწვეწეც, კი არ დარჩა გუნაბავი“, „რუსთაველის პროსპექტი ღელავს განაჩალები, თითქოს ფორთოხლებია დიდ ქადრებზე კალები“.

მაგრამ წიგნში კარგი მეტია და ჩვენ ვეინდა ამ კარგზე შევაჩეროთ შეთხველის ყურადღება. ეს კარგი დააფიქრებს ჩვენ ბავშვს, დააფიქრებს კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვებზე, შეადარებინებს თავის ბედსა და მდგომარეობას მათ ბედზე და მდგომარეობაზე, კიდევ ერთხელ აგრძნობინებს, რა ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობს სამშობო ბავშვი, რა დიდი სიყვარულით ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო მათთვის და მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობს ბავშვი შეეცდება — ისწავლოს უკეთ, იმუშაოს უკეთ, გასწიროს თავი სამშობლოსათვის და, თუ საჭირო იქნება, იმ ბავშვებისათვისაც კი, რომლებიც კაპიტალისტური რეჟიმის მონობაში და სიღატაკეში ცხოვრობენ.

კარგადაა დაწერილი წიგნის უკანასკნელი თავი. ნოდარი ბერლინი. ჩვენ ვხედავთ ორ ბერლინს-ორ საწყაროს:

როგორც კრილობა საზარი ქალაქის გულში ჩამჯდარი, მდინარე შპრეეს ნაპირთან გადაჭიმულა სახლვარი. აქეთ მზეა და სიმშვიდი, იქით ქარი და მეწყერი, ასე დგას ორი ბერლინი, ერთიმეორეს შესიქერის.

შემდეგ აღწერილია იქითა და აქეთა ბერლინი. იქითა და აქეთა ბერლინს შეთხვეული ისე ხედავს ამ წიგნში, როგორც წვედიალსა და სინათლეს. ერთ მხარეზე მონობის, მწუხარების და გაჭირების ქვეყანა, მეორეზე — გულუბო მზით და ბედნიერებით გამთხარი, სიღაც:

შეყრილან პიონერები, ერთად არიან ყველანი, რუსი, ჩინელი, უნგრელი, ისმის საბელი ტელმანის. ო, რამდენ რამეს შექმნიან იმათი ნორჩი ზელები. პირველი რესპუბლიკაა გერმანულ პიონერების“.

ამ პატარა წიგნიდან ორი საწყარო შეკუთრებს ბავშვებს. აქ ისინი ხედავენ შრომითა და გაჭირებით გატარებული ზანგი ბიჭის — პოლის სახეს, რომელიც კაპიტლის ფასად ასრულებდა მისთვის აუტანელ სამუშაოს, რომელსაც მოუვლეს შავი, დაუძლევეს დედა და საზარბაზნე ხორცისათვის



წართვის მარტენალი ძმა. ბავშვები აქ ხელავენ გახეთის გამკიდველ ამერიკელ გოგონას, რომელიც, შიშნისაგან გამწარბებული, თავის დასახრზობად მდინარეში გადავარდა და რომელსაც „სიკედლიც აღარ აღირსა აქაუბულმა გეძინმა“.

ბავშვები აქ ხელავენ იმ ადამიანებს, რომლებიც ართმევენ პოლს და მისი ბედის სხვა მრავალ ბავშვს ბავშვობას, ზედავენ იმ კაცთ-მოძღვრებს, რომლებიც მცირეწლოვანთა იაფ-ფასიან შრომაზე ნაღირობენ, ზედავენ ადამიანებს, რომლებიც გამალეზით ეშაღებთან ოპისათვის ბავშვები აქ ხელავენ შოფლიოს იხალ-ვაზრდა ძალებს, რომლებიც ბერლინში შეი-ყარნენ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ აჩვენონ თავისი ძალა და ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში და უბოხრან ომს თავისი ძლიერი სიტყვა: „არა!“

ახალგაზრდობა ბერლინში დაცემულ გმირთა საფლავთან დგას, იმ გმირთა, რომლებმაც ზალხ-თა ბედნიერებისა და მშვიდობისათვის დადეს თავი. ზოგ აქ შოფლიო მამა ამ საფლავში წევს, აქ წევს ნოდარის მამაც, ნოდარს ესმის, რას

ამბობენ მის გარშემო შოფლი: „იხიმი მარად ცოცხლობენ! მათი ნათელი სისხლნი სხვად უნთია მოსკოველს, ვულში უნდა წარსწავლეს ზესს, უნგრელს თუ ბულგარელს, მოძმეებს, რომელთა მიწას ცეცხლით ვერ გადაბუგავენ“.

— ნეტავ შეგებლოს გაიგო, რომ ზეც შენი გზით მოუდივარ,

ამ გზით მიდიან ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხები. ამ გზით სიარული ნიშნავს მშვიდობასა და თავისუფლებას, სწავლასა და განათლებას, საბავშვო ბაღებსა და სასახლეებს, ბუნ-ნიერებასა და სიმდიდრეს, სიხარულსა და სიცოცხლეს... ნოდარის ეს სიტყვები ისმის, როგორც ფიცი. ასეთი ბავშვები მილიონობით იზრდებიან ქვეყანაზე და მათმა ხმამ არ შეიძლება არ დაფიქროს ომის გამაღებლები.

გ. ხუბაშვილის და თ. ჭილაძის „მშვიდობის სიმღერა“ კარგი და საჭირო საბავშვო წიგნია.

ზ. ჩიქოვანი

შირვანზადეს რომანი „ქაოსი“ ქართულ ენაზე



ქართული მკითხველი იცნობს სომხური პროზის გამოჩენილი წარმომადგენლის ალექსანდრე შირვანზადეს, გუარად მოვესისანის (მირვანზადე ფსევდონიმია, ნიშნავს შირვანის შვილს, შირვანელს, დაბადების ადგილის გამო, აზერბაიჯანის ქ. შეშაბაში) შემოქმედებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულად ცნობილი იყო მხოლოდ მისი დრამა „ვევინე“, რომელიც თარგმან ლახარე კარაბეტიანმა (1910 წ.). ჩვენს დროში კი ვალჰოთარგმანა და გამოქვეყნდა „ვი-გემით მშვიდობით“, ნაწყვეტი შემუარული თხზულებიდან „ცხოვრების ქარცეცხლში“ (ლ. კარაბეტიანის მიერ 1930 წ.). რომანი „ნამუსი“ (ი. გრიშაშვილის მიერ 1930 წ.) და მოთხრობა „არტისტ“ არტ. დავითიანის მიერ (1950 წ.).

„ქაოსი“ ქართული თარგმანი შესრულებულია სომხური დედნიდან რუსული თარგმანის ვათეალისწინებით, რაც შეიძინევა თარგმანის უოველ გვერდზე.

წიგნს ერთვის კრიტიკულ-მოიგრაფიული წყაროი დოცენტ ივ. შილაკაძისა.

მიუხედავად ყველა ღირსებისა, წიგნი არაა დაზღვეული ზოგიერთ ნაკლისაგან, რომლებზეც აღ ქვემოთ გვიქნება საუბარე (მეფარებები სომხურ დედანთან შესრულებულია შირვანზა-

დეს თხზულებათა სრული კრებულის მიხედვით, ტ. 4, ერევანი 1950 წ.).

ქართულ თარგმანში ცალკეული ამხაყები ზუსტად არ მისდევენ დედანს: ადგილ-ადგილ ასეთი გვერთიანებულია ერთმეორესთან, ზოგან კი ასეთები დედნის დამირისპირებით დაშლილია.

ქართულ თარგმანში გამოტოვებულია იეტრის რიგი შენიშვნები (სახელდობრ, სომხური დედნის გვ. 307, 308), სამაგიეროდ, შეტანილია თვით მთარგმნელთა შენიშვნები, ზოგჯერ ხელისმეორით „მთარგმნე“ (ქართ. თარგმ., გვ. 76, 78, 84-88, 91, 94, 96, 104; 138, 177, 179 — 180, 188 — 189, 235, 263, 293, 375), ზოგჯერ კი ზელმოუწერლად (გვ. 25, 40, 42, 55, 75, 77, 85, 91, 100, 105, 269, 270, 273, 295 — 296); ამიტომაც ქართული მკითხველისათვის გაუგებარია: ვინაა ეს შენიშვნები — თვით აეტორისა, ე. ი. შირვანზადესი, თუ მთარგმნელისა?

თარგმანში ადგილ-ადგილ გამოტოვებულია მთელი წინადადებები ან ცალკეული გამოთქმები. მავალითად: „მარკოს აღიმიანს... ცხოვრებისა არა ესმის რა, ფულია მისი სასოება, სტლი, ღმერთი“ (გვ. 4); „მისი ფართო სახლი, რომლის არცერთ ოთახს შხალერი არ აკრავს, ცოლ-

შელის ბირქუმ ბნელ საპრობილედ არის გა-
დაქველვა" (იქვე) „ეოსკეპატის ქამ, სერაფიონ
ვასპარინმა, ხელი მოჰყიდა მათ და მოაშორა
მიცვალებულს. საქირთა მიცვალებულს დაანებო
თავი, რათა დამშვიდებულად სული დალიოს"
(გვ. 1-1).

თვალს ეცემა აგრეთვე მთელი აბზაცის გამო-
ტრევა: „უმოწყალო, უღმერთო ახალგაზრდაე...
რატომ აგრე სწრაფად? ეგების სხეამ გაგიტაცა
და შენ ახლა მის შყერდში მხიარულობ, ანუშის
დაცინეთ. ო, თუ, ვინიკობაა, ეს ასე არის,
ანუში მას თვალებს ფრჩხილებით გამოთხრის",
(სომხ. დედ., გვ. 148, ქართ. გვ. 149 არ არის).
შემდეგ მოსდებს ანუშის სიტყვები, რომლებიც
ქართულ თარგმანში თავის ადგილზეა: „ვიქმ,
ვიქმ, ვიქმ!".

ზოგჯერ ცალკეული სიტყვები და გამოთქმები
არაა სწორად თარგმნილი ან გადმოცემული. მა-
გალითად: „კოროლკოვა" (სომხ. გვ. 124) ქარ-
თულში იკითხება როგორც „კოროლოვა"
(გვ. 125). სომხური სიტყვა „ბელჰერ" (გვ. 119)
თარგმნილია: „პროლეტარები" (გვ. 119); უნდა
იყოს: „საწყლები". „პაპანჯუმ ერ" (გვ. 151)
თარგმნილია: „უბრძანებდა" (გვ. 151); უნდა
იყოს: „მოითხოვდა". „ანდუმ ერ" (გვ. 143) თარ-
გმნილია: „უბნებოდა" (გვ. 145); უნდა იყოს:
„უმტაცებდა". „გოპ ერ" (გვ. 171) თარგმნი-
ლია: „გაზარებული იყო" (გვ. 172); უნდა იყოს:
„კმაყოფილი იყო" „ანპანგსტუთან მი თუილ
უბიტ" (გვ. 13) თარგმნილია: „სუსტი მწარე
ღიმილი". (გვ. 9); უნდა იყოს: „მოუსვენრო-
ბის სუსტი ღიმილი". „ნორაროდ ირ"
(გვ. 204) თარგმნილია: „მეორე დღეს"
(გვ. 204). უნდა იყოს: „მეოთხე დღეს".
„ვეციოთნ ტარი" (გვ. 210) თარგმნილია:
„ხუთი — ექვსი წელი" (გვ. 209); უნდა იყოს:
„ექვსი — შვიდი წელი"; „ენშიაწინ" (მრავალ
ადგილას) ტრანსკრიბირებულია: „ენშიაძინ".

ზოგჯერ შირვანზადეს მიერ ნახპარ სტეც-
ფიქტური სიტყვები სწორად არ არის გადმოცე-
მული ქართულ თარგმანში.

„პაპანინ", რომელიც შეუსწავლობარს, დასას-
რულ ლოცვის ნიშნავს, გადმოთარგმნილია, რო-
გორც „პარაკლისი", მაშინ როდესაც ამ უკანასკ-
ნელის გამოსახატვად სომხურში იხმარება
„პლოთანქ". „ატრუმან" (გვ. 118) თარგმნილია:
„სამსხვერპლო (გვ. 118); სჯობდა დატოვებული
ყოფილიყო იგივე სიტყვა, ილანდ ქართულს
სამოსელში: „ათრუმანი" ანუ „ათუმგა". „კარქ"
(გვ. 141) ერთ ადგილას თარგმნილია: „ეციპაი"
(გვ. 142), სხვაგან კი ყველგან: „ებლი"; სჯობ-
და ყველა შემთხვევაში ყოფილიყო „ებლი";
„ვერცინი" (გვ. 156) თარგმნილია: „მოიხადეს"
(გვ. 157); უნდა იყოს: „იიღეს" ან „ხელი წაე-
ღეს".

დასასრულ, ორიოდე სიტყვა, დოც ივ. შილა-
კაძის კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევის შე-
სახებ.

1. შირვანზადეს ვერ მიაბარებდნენ სასწავ-
ლებლად შემახის „საეპარქიო სასწავლებელში"
(გვ. 411), რამდენადაც ქ. შემახაში არავითარი
საეპარქიო სასწავლებელი არასოდეს არ ყოფილა.

2. შირვანზადეს რომანი „ნაპუსი" იგებულა
არა სო ფ ლ ი ს ცხოვრებაზე" (გვ. 412 — 413),
როგორც ნარკვევშია ნათქვამი, არამედ „პ რ თ-
ე ი ნ ც ი ა ლ უ რ ცხოვრებაზე".

აღნიშნული ნაკლოვანებანი სრულიადაც არ
ამცირებენ ამ წიგნის გამოცემის მნიშვნელობას.
იმედია, რომ „ქაოსის" მეორე გამოცემა დაზღ-
ვეული იქნება აღნიშნულ ნაკლოვანებათგან.

დაბოლოს, ესარგებლობთ რა შემთხვევით,
სურვილს გამოეთქვამთ, რათა სახელგამი არ
დამკაყოფილდეს ამ გამოცემით და ქართულ
შეითხველს მიაწოდოს სხვა სომეხი მწერლების
თხზულებებიც, მეტადრე საბჭოთა ავტორებისა.

პროფ. ლ. მელიქსიძე-ბერი

**საქურადღებო ნაწიგებანი XIX საუკუნის ქართული
ლიტერატურის ისტორიიდან**



სარეცენზიო წიგნი მონოგრაფიულად განხი-
ლულია გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, დ. კონჯა-
ძის, ლ. არდაზანის, ბ. ჯორჯაძის ცხოვრება და

შემოქმედება, აგრეთვე ფართოდ არის მიმოხი-
ლული ქართული თეატრის ისტორია (1850-56
წ. წ.) და ფურნალო „ცისკარი". ამრთავად, ნაწ-
როში არსებითად წარმოდგენილია — მე-19
საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ქართული
მწერლობისა და თეატრის განვითარება.

ამბერკი გაჩეჩილაძე, „ნარკვევები XIX საუ-
კუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან".
1952 წ. (საქართველოს განათლების სამინისტროს
სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცე-
მა).

ა. გაჩეჩილაძის წიგნი საყურადღებოა, რამ-
დენადაც საკითხები გაშუქებულია ახლად მოი-
ცემული მასალების საფუძველზე. ავტორს შეუ-

წელია არქივში, მეზუეუმებში, წიგნთსაცავებში დაცული მასალები და მრავალი ძვირფასი დოკუმენტი მოუპოვებია. ცხადია, ამ მიმართულებით არქივებში და მეზუეუმებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საძიებელი.

წიგნში გამოკვეთებულია ისეთი მასალებიც, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ჩვენი მოძიებლების მწერლობის ისტორიისათვის. შიგალ, საინტერესოა საბუთები, საიდანაც ჩანს, როგორ აერძალა მეფის ცენტრალს საქართველოში 1847 წ. უკრაინის დიდი სახალხო პოეტის ტარას შევჩენკოს და 1856 წ. ნ. ნეკრასოვის ნაწარმოებები (გვ. 357). ასევე საუფრადლებოა ცნობა, რომ გაზეთ „კოლოკოლის“ რედაქციას უცხოეთიდან ეკვირი ჰქონია საქართველოსთანაც (გვ. 353), ნაკვეთებში გადმოცემულია დოკუმენტები აზერბაიჯანის გამოჩენილი მწერლის ახუნდოვის შესახებ. ახუნდოვმა, როგორც მწერალმა, ფეხი თბილისში აიღვა. მისი პიესები თბილისში დაუბეჭდა. როგორც ირკვევა, ახუნდოვის ნაწარმოებთა გამოცემაში ქართველებსაც მიუღიათ მხრვალე მონაწილეობა (გვ. 188).

წიგნი იწყება გ. ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვით. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ფართოდ არის გადმოცემული გ. ერისთავის ბიოგრაფია. გ. ერისთავის მამა დავითი მრავალი ომის მონაწილე ყოფილა, განსაკუთრებით მას თავი უსახელებია თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც იგი დაჯილდოვებულია ყოფილა. ნაშრომში დადგენილია გ. ერისთავის დაბადების თარიღი (1811 წ.). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომში დადგენილია აგრეთვე ლ. არღანიანის (1815 წ.) და ივანე კერესელიძის (1829 წ.) დაბადების თარიღებიც. განსაკუთრებით საუფრადლებოა საქართველოს ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი საბუთი, რომლიდანაც ირკვევა, რომ გ. ერისთავი გადასახლებიდან დაბრუნდა არა 1838 წლის აგვისტოს, როგორც დღემდე ფიქრობდნენ, არამედ 1841 წლის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობა გადასახლებიდან დაბრუნებულ გ. ერისთავს უნდობლად უყურებდა, ამიტომაც მასზე პოლიციის ზედამხედველობა დაუწესებია. მრავალმხრივ საუფრადლებოა გ. ერისთავის შეგობრობა მეფის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიწველ პატრიოტებთან, კერძოდ თბილისში გადმოსახლებულ კახიძე ლაჩინსკისთან. გ. ერისთავი დიდად აფასებდა გრიბოედოს, პუშკინს, პოლანსკის, ცნობილ ლეკაბრისტს ბესტუევე-მარლინსკის. ამ მხრივ ნაშრომში საინტერესო დოკუმენტებია დამოწმებული.

გ. ერისთავის შემოქმედების განხილვისას ავტორი ერცლად არჩევს კომედიებს/დრამატურსა და მხატვრობის-სტილისტიკურ მოთხრობებს. მკლუვარი არკვევს იმასაც, თუ რა ზეგავლენა მოახდინეს რუსეთის დიდმა მწერლებმა გრიბოედოვმა და პუშკინმა გ. ერისთავზე.

ნაშრომში ცალკეა განხილული ზურაბ ანტონოვის შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ როგორც ნაშრომის ავტორი არკვევს, ზურაბ ანტონოვის ნამდვილი გვარი მეჩითიშვილი ყოფილა, შემდეგ ეს გვარი შეუცვლიათ ანტონოვად.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ნაშრომი „ლავრენტი არღანიანი“.

ზენ დღემდე არ გექონდა შესწავლილი ამ შესანიშნავი პროზაიკოსის ბიოგრაფია, ნაშრომში ახლად მოპოვებული მასალების საფუძველზე გამოკვეთილია არღანიანთა გვარის წარმოშობა. არღანიანთა გვარი წარმოშობილი ყოფილა არღანიანდსევილიდან (შეადარე: „ქრონიკები“, II, 349). ვარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ლ. არღანიანის პუბლიცისტური წერილები და მხატვრობის ნაწარმოებები. დღემდე კმაყოფილებოდნენ ლ. არღანიანის მხოლოდ ორი რომანი („სოლომონ ისაკიან მეგაღნაშვილი“, „მორჩილი“) ვარჩევით. საერთოდ ეს შესანიშნავი მწერალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მკრთალად იყო წარმოდგენილი. ა. გაიჩილაძე-სხვათაშორის, დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ლ. არღანიანს გუთუნის „ციხის“ ფურცლებზე მოლაყბის ფსევდონიმით გამოქვეყნებული კომედიის „სიქიტა მესხე“, რომელიც ერთგვარ პატრიოტის წარმოადგენს არქაული ენის პოტირულიებზე.

ნაშრომში გადმოცემულია გიორგი ერისთავის თეატრის (1850-56 წ. წ.) ისტორია, ნახვენებია, რა პირობებში შეჭლო გ. ერისთავმა ამ დიდი კულტურული საქმის — ქართული თეატრის გაწახლება. დადგენილია გ. ერისთავის თეატრის რეპერტუარი. აღსანიშნავია, რომ რუსულ და ქართულ თეატრებს შორის თავიდანვე მკიდრო ურთიერთობა არსებობდა. ნარკვევში აღნიშნულია, რომ მაშინდელ რუსულ სცენაზე წარმატებით იღვმებოდა გრიბოედოვის, ვოგოლის, ტურგენევის პიესები. რუსულ თეატრში იღვმებოდა გ. ერისთავის პიესაც. დაწერილი რუსულ ენაზე-რუსული თეატრის წარმოდგენებს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდი ინტერესით ესწრებოდნენ.

თეატრში წარმოდგენილი პიესების ანალიზის შედეგად დასაბუთებულია, რომ გიორგი ერისთავის თეატრი კრიტიკულ-რეალისტური მიმართულებისა იყო. ნარკვევების ბოლო თავში გან-

ხილვლია პირველი ქართული ეფრნალი „ციცკარი“. როგორც ვიცით, იმდროინდელი საზოგადოებისათვის, როდესაც ქართულ ენაზე არათუ ეფრნალი, გაზეთიც კი არ მოიპოვებოდა, „ციცკარის“ გამოცემა დიდი მოვლენა იყო. ავტორი ეფრნალ „ციცკარს“ ორ პერიოდად უფოსა პირველი 1852-53 წლები, როდესაც მას რედაქტორობდა გ. ერისთავი და მეორე — 1857-58 წლები, როდესაც განახლებულ „ციცკარს“ ივ. კერესელიძე ხელმძღვანელობდა. ნაშრომში დახასიათებულია ორივე პერიოდი. განხილულია თითქმის ყველა ის ნაწარმოები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ „ციცკარს“ იდეური მიმართულების დახასიათებისათვის.

ნარკვევების ავტორი ქართულ მწერლობას იხილავს არა როგორც ერთიან ნაყდს, არამედ გვიხვევებს ამ იდეურ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობდა დემოკრატიული იდეოლოგიისა და თავდაზნაურული იდეოლოგიის მწერლებს შორის. ამ გაჩემოებას ხაზი აქვს გასული ეფრ. „ციცკარისა“ და ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედების განხილვისას. ნაწვევებია, რომ ეფრნალში იბრძოდა ორი მიმართულება, ორი ბანაკი: დემოკრატიულ-პროგრესული და კონსერვატიული. დემოკრატიულ-პროგრესულმა მიმართულებამ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ დ. ჭონჭიძე, შალვაძე, ლ. არდაზანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და ა. ფერცელაძე მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების საწვევებლად მწერლობაში მოამარჯვა კრიტიკული რეალიზმის შეთქმა, „ისინი ამ გზით, — აღნიშნავს ავტორი, — „ციცკარის“ ფურცლებიდან ებრძოდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ — პოლიტიკურ სისტემას. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგჯერ „ციცკარში“ გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა ჩაობრჩენილი, ფეოდალურ-რეაქციული შეხედულებანი. ამ ფრთის ყველაზე ტიპური წარმომადგენლები (ბ. ჯორჯაძე, დ. ბერიძე, ა. ორბელიანი, ა. სულხანიშვილი, გ. ბარათაშვილი და სხვ.) ძლიერ გავლენის ქვეშ იყო რედაქტორი ივანე კერესელიძე, რომელსაც ერთი გარკვეული მიმართულება არ გააჩნდა“ (ცვ. 366).

ნარკვევების ავტორი ვრცლად ზეარდება ენის საკითხებზე.

ნაშრომში ნაწვევებია, რომ ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლა ე. ჭავჭავაძის მეთაურობით „ციცკარში“ დაიწყო. ამ ენის საკითხში ერთმანეთს დაეჯახა ორი ბანაკი: დემოკრატიულ-პროგრესისტებისა და რეაქციონერ-რეაქსისტებისა. პროგრესულად მოაზროვნე ახალმა თაობამ ე. ჭავჭავაძის მეთაურობით შეცნირებულ დასაბუთა ახალი ქართული ლიტერატურული ენის ფუძემდებელ წიგნში ნაწვე-

ვებია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა როლი მწერლობაში საერთო-საბუნებო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

სარეცენზიო წიგნს აქვს ზოგნერითი ნაკლებუნება:

1. ნარკვევებში ყველა მწერალი სისრულით არ არის განხილული. ავტორი ვრცლად ვებება გ. ერისთავის, დ. ჭონჭიძის, ბ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობას, მაგრამ ეს არ ითქმის ლაერენტი არდაზანიზე. შრომიდან მთლად ნათელი არ არის, რა მსოფლმხედველობის მატარებელი იყო ლაერენტი არდაზანი.

2. თაობათა ბრძოლის განხილვისას ორივე ბანაკი — „მაშეების“ და „შვილების“ ერთგვარი სიძლიერით არ არის წარმოდგენილი. ავტორი დიდ ადგილს უთმობს „ახალი თაობის“ დებულებების გადმოცემას და მოწინააღმდეგე „ძველი თაობის“ აზრებს კი სქემატურად გადმოგვცემს.

3. ეფრნალ „ციცკარის“ განხილვისას მკაფიოდ არ არის ნაწვევები, თუ რა როლი შეასრულა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემულმა „საქართველოს მოაზრებებში“ ახალი, მოწინავე იდეების დაწვრცელებაში.

4. ნაშრომში გარკვეული არ არის, რა პოზიცია ეკირა პოეტ გრ. ორბელიანს ენის საკითხებზე ბრძოლის დროს. ნარკვევის ავტორი წერს: „გ. ორბელიანი თავის წერილში ზოტბას ასხამს „საღმრთო წერილის ენას“, ხოლო ცოტა ქვემოთ აღნიშნავს, რომ ამავე წერილში „ახალი სალიტერატურო ენით დაწერილ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებს „კაცია-ადამიანს!“ გრიგოლ ორბელიანი იწონებს“. გარკვეულია თუ გრიგოლ ორბელიანი „საღმრთო წერილის ენას ზოტბას ასხამს“ და მისი ნორმების გამოყენებას მოითხოვს, როგორც იწონებს ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს!“ და სანაშეუოდ თვლის მას ენობრივად. გრ. ორბელიანს საესებით გარკვეული ადგილი უჭირავს თაობათა ბრძოლაში, ეს კი ნაშრომში ნაწვევები არ არის.

5. ნარკვევების ავტორი ზერამ ანტონოვის ადგილს ქართული დრამატურგიის განვითარებაში გ. ერისთავის შემოქმედების განხილვისას არკვევს. საჭირო იყო ამ საკითხზე ავტორს ემსჯელა იქ, სადაც განხილულია ზერამ ანტონოვის შემოქმედება.

6. ვაგნშილავაძემ ეს შენიშვნები მხედველობაში უნდა მიიღოს წიგნის შეორე გამოცემისათვის.

ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში სამსახურს გაუწევს როგორც სტუდენტობას, ისე ამ საგნის მასწავლებლებს.

იოანე ქართველიშვილის მემუარები



უსათოდ კარგი საქმე ვაკეთდა, რომ გამოიცა იოანე ქართველიშვილის მემუარები. ეს ნაწარმოებები, დაწერილი ავტორის მიერ თავისი შვილებისათვის, გამოგვეცემს 1780-იანი და 1790-იანი წლების ამბებს 1802 წლამდის თანათვლით და, რადგანაც ავტორი ხშირად სცილდება ოჯახურ ფაქტებს, ამიტომ მისი მემუარები წარმოადგენს საინტერესო საისტორიო წყაროს. დედანი თავის დროზე ხელთ ჰქონდა პოლ. კარბელაშვილს, რომელმაც ის გამოაქვეყნა კიდევ ვახ. აივრია“-ში 1889 წელს. ხელნაწერი შემდეგ პ. კარბელაშვილმა გადასცა მეზევს.

განსხვავება „იერიასში“ დაბეჭდილ ტექსტსა და ახლანდელ გამოცემას შორის (მათ შორის 63 წლის მანძილი) შემდეგში მდგომარეობს. ვახ. აივრია“-ში დაბეჭდილი გამოცემა ტექსტისა არის მარტივი (მხოლოდ ტექსტი). ახლანდელ გამოცემას კი წინ უძღვის ვრცელი წერილი—გამოკლევა, ტექსტს კიდევ დამატებად დართული აქვს იოანე ქართველიშვილის მიერ შედგენილი ზოგიერთი მოსაგონებელი (მაგ. თავისი პირადი შემოსავლის წესები), ბოლოში კიდევ ლექსიკონი და საძიებლები. მაგრამ ეს გამოცემა, სამწუხაროდ, ზოგ ნაწილში მანძ. ზერედედა შესრულებული.

დავიწყეთ იმით, რომ რედაქტორი სასევენ ნიშნებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ამიტომ ტექსტის აზრი ბევრ ადგილას ვადგებარია. დავსახელოთ ორიოდ ნიმუში.

გვ. 79 დაბეჭდილია: „წარვიდა (იუღონ ბატონიშვილი) თელავს სატირლად წმიდისა. ორმეოცისა დაწყებასა შინა ამ ეამს, იყო ტფილისში სენი მომსჯრელი“. უნდა იყოს: „წარვიდა (იუღონ) თელავს სატირლად წმიდისა ორმეოცისა (ე. ო. დიდმარხვის) დაწყებასა შინა. ამ ეამს იყო ტფილისში სენი მომსჯრელი“.

გვ. 84 დაბეჭდილია: 21 იანვარს 1801 წელს ჯარით „სალამოზედ ქიზიყს ჩავედით. ბოდბეს რომ ვათენებულებო, იოანე ბატონიშვილი დართუსის ჯარი მარტყოფს მისულაყენენ“. უნდა იყოს: „სალამოზედ ქიზიყს ჩავედით, ბოდბეს. რომ ვათენებულებო, იოანე ბატონიშვილი დართუსის ჯარი მარტყოფს მისულაყენენ“.

სულ იოანე ქართველიშვილის მემუარების ტექსტი შეიცავს ამ გამოცემის პატარა ფორმატის 28 გვერდს (გვ. 65-93), ანუ წიგნის ჩვეულებრივ 16 გვერდს. ამ 16 გვერდზე სასევენი ნიშნების დასმის მხრივ ორასამდის შეცდომაა.

ტექსტში ერთ ადგილას (გვ. 89) რატომღაც (შესაძლებელია დედნის მიზეზით) 6 სიტყვა მოკლებულია ასომთავრულით, მაგრამ ამ 6 სიტყვაში 5 შეცდომაა. მაგ., დაბეჭდილია: სუხო წმიდხო, უნდა იყოს: სულო წმიდაო და სხვ.

წიგნს დართული აქვს ლექსიკონი, ავრთვე პირთა და გეოგრაფიული სახელების საძიებლები (გვ. 114-125), ყველაფერი ეს ვრცელ კომენტარებზეა. კომენტარები შემდეგი ხასიათისაა:

„ბარძიმ-ფეშხეში“ (გვ. 114) ყოფილა „საეკლესიო სიწმინდის ფეშხალაი სასმისი“, ხოლო ფეშხეში — „ძირიანი (!) თეფში წმინდა საგნების დასალაგებლად“. რასაკვირველია, ამ განმარტებიდან მკითხველი ვერაფერს გაიგებს. ნამდვილად კი, ბარძიმ-ფეშხეში არის საეკლესიო საღვთისმსახურაო ნივთები, ბარძიმი — საზარბო ღვთისათვის და ფეშხეში — სეფისკვერის ნაწილებისათვის.

„კონდაკი“ (გვ. 114) ყოფილა „საალაპო, საწირავი წიგნი, გრანგლის ფორმისა, ჯოხზე დახვეული დაწერილი ქალაღი“. არ არის სწორი: კონდაკი საეკლესიო ღვთისმსახურების ჩვეულებრივი წიგნია.

„მოძღვარ-მასწავლებელი“ (გვ. 115) ყოფილა „გზის მაჩვენებელი, დამრიგებელი, სულიერი მამა“. ეს „გზის მაჩვენებელი“ არის ამ შემთხვევაში მხოლოდ მასწავლებელი (მოძღვარი მასწავლებელსაც ნიშნავდა).

„სახლობეცესი“ (გვ. 116) ყოფილა „მეფის შემდეგ უვაგენიანესი თანამდებობის პირი“. ნამდვილად კი, „სახლობეცესი“ იყო სახელმწიფო შემოსავლის უწყების უფროსი (და არა ხაშველო კარის გამგე, როგორც ზოგი ფიქრობს).

„ხელდებელი“ (გვ. 116) განმარტებულია როგორც „მინჯელი, დანიშნული“. მაშინადაც, იოანე ქართველიშვილის სიტყვები — „საქართველო მას ეამსა ხელდებელი იყო იმპერატორის (იმპერატრიცა) ეატერინესაგან“ — ა. ოსელიანის განმარტებით, უნდა გაეგოთ ასე: საქართველო მინჯელი თუ დანიშნული იყო ეატერინესაგან. ნამდვილად კი, ეს ნიშნავს, რომ საქართველო მიღებული იყო მფარველობაში იმპერატრიცა ეატერინეს მიერ.

ამ მიერე ლექსიკონში არის სხვა ეჭვიანუბი, მაგ. „სელოტრა“ ყოფილა სამეფო ჯოხი (უნდა იყოს: ძალა-ფელუბის კვარახი), ქორონიკონი ყოფილა „წელთაღრიცხვა დასაბამითგან

სოფლისა" (ქვეყნის გაჩენიდან), მაგრამ ქართველებს ჰქონდათ საკეთარი წელთაღრიცხვაყო. ნამდვილად კი, ქართველებიც ასევე ანგარიშობდნენ — „დასაბამითგან სოფლისა“, და სხვ.

დამახასიათებელია პირთა სახელების განმარტებანი. გერმანე ტრილელი უოფილა „მე-19 ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე“. სინამდვილეში კი, ამ გერმანეს „ცნობილი“ არავის გაუგონიავენ. გულიაგო (გვ. 118) საქართველოში 1799 წელს ჩამოსულაო (უნდა იყოს: 1800 წლის სექტემბერი). დარეჯან დედოფალი (იქვე) რუსეთს 1804 წელს გადაუსახლებათ (უნდა იყოს: 1803 წელი). თეიმურაზ II 1760 წელს რუსეთს გაგზავრებულა იმპერატორ (უნდა: იმპერატრიც) ანა ივანეს ასულთან. შემდეგ იქვე წერია (გვ. 120) რომ ეს იმპერატორი (!) ანა რომელიღა 1791 წელს. ნამდვილად კი, იმპერატრიცა ანა მეფობდა რუსეთში 1730 — 1740 წლებში, ხოლო 1741 — 1761 წლებში მეფობდა ელისაბედ პეტრეს ასული (მოკვდა მარტლაც 1761 წელს), და სხვ.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში ვარციხის შესახებ ნათქვამია, რომ „მე-18 ს-ანში იმ-შიიტაციეს თურქმა დამპყრობლებმა. 1770 წელს სოლომონ შეფემ რუსეთის მხედრობის დახმარებით იმერეთის სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად გაათავისუფლა ვარციხეც, გაწყვიტა და ვარცეა ციხეში ჩაყენებული ოსმალთა საგარნიზონი ნაწილბა“. ნამდვილად კი, ვარციხეში არასოდეს ოსმალთა მუდმივი ჯარი არ მდგარა და, მაშასადამე, სოლომონ I-ს არც მათი ამოწყვეტა შეეძლო იქ.

გეოგრაფიულ სახელებს შორის ნაჩვენებია „სარაიქილა“. ნათქვამია, რომ ეს სოფელი მდებარეობს „მტკვრის მარცხენა ნაპირზე თბილისის ჩრდ. — აღმოსავლეთით“ (გვ. 125). ნამდვილად კი, სარაიქილა მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით და მტკვარს დაშორებულია 20 და 25 კილომეტრით. „ყაზახი“ (გვ. 125) არის არა მართოდ აღიღის სახელი, არამედ მხარის სახელიც. ქართველიშვილის ტექსტში კი სწორედ მხარე იგულისხმება. სოფ. ჰალა იმერეთში ნაჩვენებია (გვ. 126) ჩხერბელას ხეობაში, ნამდვილად კი — ჰალა სხვა მხარეშია (არგვეთასთან, ზესტაფონის ჩრდილოეთით), და სხვ.

ტექსტს წამოღვარებული აქვს წერილი საათერთოთ „იოანე ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. ამ წერილში ა. ოსიელიანი გვამცნევს, რომ ქართველიშვილი იყო „მეტრ დანოკიდებულებაში მყოფი ქართველი ღარიბი გლეხის შვილი“-ო. ნამდვილად კი, როგორც ამას თვით ქართველიშვილი ვაღმოგვეცემს, მისი პაპა იყო ახატ, ვ. ი. უპაღლები კატეგორიის გლეხი. ეს კი სულ სხვაა. ჩვეულებრივი გლეხის შვილ

მაშინდელ პირობებში უაღრესად გაუქარდებოდა თბილისში ჩასვლა სწავლის შესაძლებლად და სხვ.

წერილის ავტორი დაასკვნის, თითქმის ყველგან და აგრეთვე ქართველიშვილის პირადი შემოსავლის თანდართულ წესსახ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს „ქართლ-კახეთის ეკონომიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად“; „ძნელად შეიძლება დავასახელო ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიკური ცხოვრების რომელიმე მხარე. — წერს ა. ოსიელიანი, — რომლია შესახებ ამ ძველში საინტერესო მასალა და კონკრეტული ცნობები არ იპოვებოდეს. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს შემოსავლის წესსახ, როგორც ეკონომიკური (!) მასალა“ (გვ. 57). არსებობს ამის შესახებ ამ თავისთავად საინტერესო მემორაში არ არის. ხოლო ცნობებს, მავალითა. ქართველიშვილის მიერ აღებული ჯამაგირების და საწირავების ფულის შესახებ აქვს მინიმალური მნიშვნელობა.

წერილში არის ფაქტობრივი შეცდომებაც. მემორაში ნათქვამია, რომ 12 აპრილს 1802 წელს თბილისში საზოგადოება დაფიცეს წმ. ნინოს ჯვარზე რუსეთის ერთგულებაზე (ლექსიკონში, 115-ე გვერდზე შეცდომით ნაჩვენებია ამის თარიღად 1801 წლის 12 სექტემბერი) და იქვე ნათქვამია (გვ. 36): „ამ ფიცის მიღებიდან სულ მალე რუსული მმართველობის სისტემა შევიდრდება საქართველოში“. ნამდვილად კი, რუსული მართველობა გაიხსნა სხენებული დაფიცების დღესვე, ვ. ი. 12 აპრილს.

მეორე ადგილას (გვ. 32) კიდევ ნათქვამია, რომ იოანე ქართველიშვილი ვაუოცებია რუსეთიდან მოსულ რესკრიპტს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეკატერინეს სიკედილი იყო საქართველოს უბედურებაო. გერერთი, სიტყვა „რესკრიპტი“ აქ უადგილოდაა ნახშირი („რესკრიპტი“ ნიშნავდა ბელმწიფის მიერ ქვეშევრდომის სახელზე გამოცემულ საჯარო ხასიათის სიგელს ან ბრძანებას). მაგრამ ამის ვარშეუქ ქართველიშვილი მხოლოდ ვაღმოგვეცემს იმას, რომ ეკატერინეს სიკედილი საქართველოსათვის უბედურება იყო.

„რესკრიპტს“ ა. ოსიელიანი მეორე ადგილასაც იხსენიებს (გვ. 35). მას ჰგონია, რომ თბილისში 16 თებერვალს 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ წაკითხული დოკუმენტი იყო რესკრიპტი ხალხის სახელზე. ნამდვილად კი, ეს იყო მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი, ხოლო რესკრიპტი ხალხის სახელზე არც შეიძლება ყოფილიყო. ასეთი შეცდომები ამტკიცებს, რომ ა. ოსიელიანი ფაქტების და ტერმინების ვაღმოცემისას არ ცდილობს მეცნიერული სიზუსტის დაცვას.

ა. ოსიელიანი აცხადებს, თითქოს „იეგრაში“ 1889 წელს გამოცემული ტექსტი კოპიის ემყა-

რებოდა, და მხოლოდ მისი გამოცემა იბეჭდება ავტორატვის მიხედვით (გვ. 60).

არაერთი საფუძველი ამისათვის არ არსებობს და ამის შეტყობა არც არის საჭირო. ივე-

რის" დროს ქართული გამოცემებისათვის სხვაგვარი პირობები იყო, ხოლო დღეს კი იმყოფება ტექსტი უფრო მეტი სრულყოფილობით უნდა გამოეთქა.

სარგის ქაჯაბაძე

ბრძოლისა და შრომის მრავალსაუბროსანი ისტორია



ისტორიკოსების დ. გვრიტიშვილისა და შ. მესხიას წიგნი „თბილისის ისტორია“, როგორც ავტორები წერენ, „მიზნად ისახავს მოკლედ გადმოსცეს ჩვენი დედაქალაქის წარსული, მისი და არსებიდან ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე“. წიგნი შედგება 6 თავისა, შესავლისა და ავტორების წინასიტყვაობისაგან. „ნაშრომის I, III, IV, V, VII თავები და II თავის 1—4 ქვეთავი დაწერილია შოთა მესხიას მიერ, ხოლო შესავალი, VI თავი და II თავის 5—10 ქვეთავი — დიკოტ გვრიტიშვილის მიერ“.

პირველ თავში — „ქალაქ თბილისის წარმოშობა“ მოთხრობილია თბილისის მდებარეობის, მისი უძველესი მოსახლეობის და ქალაქის წარმოშობის შესახებ. დასახლებული პუნქტი, რომელიც შემდგომ თბილისად იქცა, მიხერხებულ ადგილს მდებარეობდა. „ოგი იმ გზაზე იყო, რომელიც შტეტრის ზეობით და აღმოსავლეთ ამიერკავკასიით საქართველოს სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა“ (გვ. 14). ეს კი ქმნიდა პირობას, რომ თბილისის მიდამოებში მოსახლეობა აღრევე გაჩენილიყო. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით ირკვევა, რომ „თბილისი ჯერ კიდევ ძველთაძრიცების უკანასკნელ საუკუნეებში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული“, (გვ. 20). თბილისის სტრატეგიულმა მდებარეობამ გამოიწვია ის, რომ „მცხეთა თხელდებოდა და ტფილისი ეწინებოდა“ (ეკ. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 724). თბილისმა თანდათან მოიპოვა პოლიტიკური მნიშვნელობა და იქცა საქართველოს დედაქალაქად.

წიგნში გაშვებულია საკითხი, თუ რატომ დაერქვა ქალაქს სახელად „თბილისი“. ავტორებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ სახელი მომდინარეობს „თბილი წყაროებიდან, რომლითაც ეს ადგილი განთქმული იყო“ (გვ. 26) და ხელოვნურად თვლიან მოსაზრებას, ვითომ „ქალაქის სახელი „თბილისი“ ქართველთა უძველესი წინაპ-

რების „თებალების“, სიტომო სახელისაგან წარმოდგა“ (გვ. 27).

თბილისის პოლიტიკური ისტორია წიგნში გადმოცემულია V საუკუნიდან, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე. სპარსელები თუ არაბები, ხვარაზმელები თუ მონღოლები, ვიზილბაშები თუ ოსმალები, ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის აღზრებასა და აწიოებაში. ჩვენს ქვეყანასთან ერთად მოძალადე შტატები მიწასთან ასწორებდნენ თბილისსაც, ძარცვავდნენ და ანგრევედნენ მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლებს.

თბილისის ტერიტორიულ ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სატახტო ქალაქად გადაქცევა. წიგნში დაწერილებით არის დახასიათებული ის სამი ნაწილი, ან სამი ქალაქი, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებს, რომლისაგანაც შედგებოდა XVIII საუკუნის თბილისი. პირველი ნაწილი იყო „ძველი ქალაქის ტერიტორია, რომელსაც თბილისი ვერქვა, მაგრამ უწოდებდნენ ძველ თბილისსაც (გვ. 108). მეორე ნაწილი იყო ქალაქის ცენტრი, რომელსაც ვახუშტის დროსაც კალა ეწოდებოდა. მესამე ნაწილი კი მდებარეობდა შტეტრის მარცხენა ნაპირზე და ისინი ეწოდებოდა (გვ. 110).

ქალაქის უმთავრესი ნაგებობანი VIII—IX საუკუნეებში ხის ყოფილა. ხის ზღუდის განადგურების შემდეგ ქალაქისათვის ალიზის გამოუწვავი აგურის კედელი შემოუქვლიათ (გვ. 117). გარდა კედლებისა, ქალაქს იცავდა ციხეებიც. ყველაზე უძველესი ციხე, რომელიც თბილისში აშენდა, იყო „შურის ციხე“. ამჟამად მის ნანგრევებს ნარიყალას ეძახიან.

ჯერ კიდევ VI—VII საუკუნეებში თბილისი საიდუმლოდ და სახელისწილი ცენტრი იყო. VII საუკუნის დამდეგისათვის თბილისი ცნობილი იყო „ნებიერ, მოვარტე, სახელოვან დიდ ქალაქად“ (გვ. 148). IX—X საუკუნეებში თბილისი მჭიდროდ დასახლებული მდღიარი ქალაქი იყო. ამდროინდელი თბილისის სიმდიდრითა და ნაგებობებით მოხიბლული არიან მეზობელი ქვეყნების მოგზაურნი. XI—XII საუკუნეში თბილისი

დ. გვრიტიშვილი. შ. მესხია. თბილისის ისტორია. საბლიტგამი. 1952.

წარმოადგენს საშინაო და საგარეო ვაჭრობის მთავარ პუნქტს, რომელიც, ამავე დროს, ზელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრია იყო.

XIII — XIV საუკ. პოლიტიკურად და ეკონომიკურად თბილისი ძალზე დაქინებულია. სხვადასხვა ჯურის მტრების შემოსევების წყალობით თბილისის ეკონომიკური ცხოვრება მიანდდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ XV საუკუნედან საქართველოს ერთიანი სამეფო პოლიტიკურად დაიშალა. XVI საუკუნეში თბილისში მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 10.000 სულს.

XVII — XVIII საუკუნეებში თბილისი ისევ დაწინაურდა ეკონომიკურად. იგი ისევ გადაიქცა საგარეო და საშინაო ვაჭრობის ცენტრად.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება კიდევ უფრო დაწინაურდა, რასაც ხელს უწყობდა ვახტანგ VI საქმიანობა. მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოსათვის თბილისი ეკონომიკურად წელში გაწყდა. ქალაქი გავერანდა, მიასახლეობა გაღატაკდა, დაიშანკადა.

თბილისის მოსახლეობა სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა. ქალაქის მკვიდრთ ეწოდებოდათ მოქალაქეები. მაგრამ, რა თქმა უნდა, მოქალაქის ცნებაში თბილისის მთელი მოსახლეობა კი არ იგულისხმებოდა, „არამედ მისი ერთი ძირითადი ნაწილი, კერძოდ ვაჭრები და ზელოსნები. ამრავად, XI — XV საუკუნეებში მოქალაქე ეწოდებოდა თბილისში მოსახლე, ქალაქში მოსაქმე ვაჭარსა და ზელოსანს“ (გვ. 176).

წიგნში გაშუქებულია თბილისის კულტურული ცხოვრება. აქ ლაპარაკია იმ სასწავლებლებზე, რომლებიც არსებობდა ძველ თბილისში და რომლებიც ზღვს უწყობდა თბილისის, და, ამავე დროს მთელი ჩვენი ქვეყნის, კულტურულ დაწინაურებას; ლაპარაკია ცალკეულ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც ჩვენს ისტორიაში თავიანთი კვალი დატოვებიათ. გადმოცემულია სტამბის ისტორია, რამდენადაც სტამბა, როგორც ცნობილია, დიდად შეუწყო ხელი ჩვენში შეივანობის გავრცელებას. წარმოდგენილია ძველი თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა ნუსხაც.

თბილისის მმართველობისა და საქალაქო წესწყობილების საკითხების გაშუქებას ავტორები იწყებენ ადრეული ფეოდალური ხანიდან, ახალათები ამირასა და ციხისათვის, შერტას (საპოლიციური ზედსურველი) და მუსხიბის (წინა-ზომის მეთადგურეს), რომელსაც თავის მხრივ ემორჩილებოდა მეკორე (მესასწორე) და მებაყე. ეს მოხელეები ყველაზე მეტის მიერ იყენებენ დანიშნული და მის „ბრძანება-განკარგებლებათა ადგილობრივ შემსრულებლად ითვლებოდა“ (გვ. 247). შესასუქუნების თბილისის მოხელეები იყვნენ: მთრგაი, რომელიც ქალაქის ამირას მაგიერ XVII საუკუნის დამდეგიდან იქნა შემოღებული (გვ. 250), მელიქ მამასახლისი,

რომელიც პირველად თბილისის სინამდვილეში 1725 წელს მთილი ამხარბეგის წყალობით მოხდა. თუმცადა „თბილისის მელბეგის“ შემოქმედება პირველად ლუარსაბ I-ის 1552 წლის საბუთში მოიხსენიება“ (გვ. 255). წიგნში გარჩეულია ქალაქის სამართალი და დახასიათებულია თბილისის ვაჭართა და ზელოსანთა ამქრული ორგანიზაციები.

„თბილისის ისტორია“ თემატიკურად მტკან მრავალფეროვანია, ის შეეხება ჩვენი დედაქალაქის ისტორიის ყოველ მხარეს და თავიდან ბოლომდე იეთხება დიდი ინტერესით.

წიგნი დაწერილია სხარტა, დახვეწილი ენით და დაშუქებულია ფოტოსურათებით.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა.

არაა მართალი, თითქოს „უძველესი ცნობა, სადაც ჩვენი თბილისი იხსენიება“ (გვ. 27), იყოს თეოფანე ბიზანტიელის ცნობა. თეოფანე ბიზანტიელი VI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსია. მისი ათი „საისტორიო თხზულებიდან“, რომელიც 566 — 581 წ. წ. აშენებს ეგებობა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ოთხმა ნაწყვეტმა. ჩვენთვის საინტერესო სტრიქონები, რომელშიც ნახსენებია თბილისი, დაწერილია 572 — 581 წ. წ. (იხ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 257, შენიშვნა 1 და გვ. 252).

უძველესი ცნობა, რომელშიც იხსენიება თბილისი, არის ქართული ძეგლი — ევსტატი მცხეთელის მარტვილობა, რომელიც, პროფ. კ. კეკელიძის გამოანგარიშებით, დაწერილია მეექვსე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში (იხ. ტ. I გვ. 485). ე. ი. დაახლოებით 565 — 570 წ. წ.

ავტორები ლიპარიტ ერისთავის პირველ განდგომას ითარიღებენ 1039 წლით, როდესაც ბაგრატ IV მეორედ დაკარგა თბილისის განთავისუფლების შესაძლებლობა. ეს თარიღი სწორი არაა. ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებით, „ლიპარიტ ერისთავის განდგომა უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 1047 წ., დაახლოებით 1044 — 1045 წ.“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI — XV საუკუნეები, 1949 წ. გვ. 218).

1440 წელს საქართველოს შემოესია თათრების მფლობელი ჭანშაიხი. მან აიღო სამშვილდე, თბილისი და დანარჩენი იგი. ავტორები იმორწმუნენ თომა მეწოფელის ცნობას: „თომა მეწოფელი გვარწმუნებს, რომ თავხარადეცემული-მოქალაქეები ერთმანეთს ებეჭებოდნენ და არ იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი“ (გვ. 60). თომა მეწოფელი თავის „ლანგთეფრის ისტორიაში“ და „მეშურაგებში“, რომლის ქართული თარგმანი გამოსცა პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, ასეთ რამეზე არსად არ ამბობს (იხ. თომა მეწოფელი, 1937 წ.).

ავტორების მოსაზრება, რომ, „თუ ფეოდალური ხანის თბილისის ნაგებობათაგან რაიმე გადარ-

ჩა თავისი პირვანდელი სახით, ისიც საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ სამ საუკუნეს ეკუთვნის" (გვ. 96) მთლად გასაზიარებელი არაა. მაგ, სიონის „ამჟამად არსებული ტაძარი აშენებულია X—XI საუკუნეებში, ის ქვა-ფერხისაა და შემოსილია მოყვითალო ბილნისის ქვის პერანგით" (იხ. სიონის ტაძრისათვის მცირედი ცნობანი, 1946 წ. საქართველოს საკათალიკოსოს გამოცემა, გვ. 4).

117 გვერდზე ნათქვამია: „ჩვენი მეზობელი სომხები თბილისს, IX—X საუკუნეებში „ხის ქალაქს“ ანუ „ფაიტაკარანს“ უწოდებენ“. აქ საყურადღებოა სიტყვა „ფაიტაკარანის“ მნიშვნელობა. ამ სიტყვას ხსნიან ორგვარად. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ სიტყვაში ხედავს აზერბაიჯანის ძველ ქართულ სახელწოდებას „რანს“, ხოლო ზოგს კი მიაჩნიათ სომხურ სიტყვად, რომელიც ნიშნავს „ტყით მდიდარ ადგილს“. სარციენზიო წიგნში ეს სიტყვა ან ერთი ახსნათ უნდა ყოფილიყო ნახშირი, ან მეორით. აქ კი შევდგომით ასეა ახსნილი, რაკი IX საუკუნეში შენობები და სიმაგრეები ხისა იყო, ამიტომ ქალაქს „ფაიტაკარანი“ ეწოდებოდაო. ეს კი, ვიმეორებთ, შეეცდომა.

101 გვ. ვკითხვლობთ, რომ 1657 წ. ელისე საგინაშვილმა მეორეჯერ ააშენა სიონის გუმბათი და სხვა. ელისემ თავისი „ისტორიულიცობის პერიოდში სიონის გუმბათი შეკეთებულა კი არ ააშენა, არამედ ორჯერ ააშენა. წარწერაში ვკითხვლობთ: „მე თბილელმან ელისე საგინაშვილმან აღაშენე გუმბათი ეს სიონისა ორჯერ“.

შეეცდომა ზონგურის გამოცხადება აშუღების ინსტრუმენტად, რომელზედაც აშუღები თითქოს ბაიათებს დამღერებენ (გვ. 111).

წიგნში საერთოდ ციტაცია მოცემულია კეთილსინდისიერად და მეცნიერულად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ციტატა არასწორად არის მოტანილი. მაგალითად, 52 გვ. დაბეჭდილია: „არამ თუ ესეოდენ ზოდეს“, უნდა იყოს: „არამეთუ ესეოდენ მძინეარედ ზოდეს“. იქვე: „მოხუცები ცხენთა მიერ“, უნდა იყოს: „ბერ-ბერნი უწყალოდ ფოლორცთა შინა ცხენთა მიერ...“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1897, გვ. 515).

მის. ქავთარია

წიგნი ქართველი და ოსი ხალხის შიშობრობაზე.



დოკ. ტ. სარიშვილის შრომა „სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი სამხრეთ ოსეთში“ სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის ახ. ზ. ჯიოევის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით გამოსცა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ. შრომის ავტორი, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნულია, „ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ ისტორიულ კავშირზე, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის არსებობდა, მიუთითებს იმ მძვინვარეობებსა და მეგობრულ ურთიერთობებს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი ოსი მშრომელების მიმართ იწივდა“.

და მართლაც, შრომა უტყუარ ისტორიულიტერატურულ წყაროებზე, საარქივო მასალებზე და ქართველი საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებზე დაყრდნობით შექმს ფენს იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის

ბის ისტორიის, რომელიც ქართველ და ოს ხალხებს შორის მედამ არსებობდა და არსებობს.

ავტორი ქართველი და ოსი ხალხების კულტურულ ურთიერთობას მიმოიხილავს მესამე საუკუნედან დღევანდლამდე და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმ მძვინვარეობებზე, რომელსაც უწევდა და უწევს ქართველი ხალხი თავის ტერიტორიაზე მოსახლე ოსებს მოსაბრძოლაში კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის.

იხილავს რა ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობისა და მსხვილ სამთავროთა გაერთიანების პერიოდში (III—X ს.ს.) საქართველოს კულტურის ვითარებას, ავტორი სრულიად სამართლიანად ასკენის, რომ „ქართველთა მიწა წყალზე მოსახლე, ქართულ ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებასა და კულტურას შესისხლბორცებული დეალები, ოსები და მთის სხვა ხალხები თავიდანვე ქართველების მხრივ მძვინვარეობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ამიტომ ისინი ხშირ შემთხვევაში თავს არც კი არჩევენდნენ ქართველთა მკვიდრი ტომების:

ტ. სარიშვილი, „სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი სამხრეთ ოსეთში“, სტალინის, 1952.

ქართულ-კახელების, გურულების, იმერლების, მეგრელების, სვანებისა და სხვებისაგან და მთელი შესაძლებლობით ეწაფებოდნენ ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის შესწავლას" (გვ. 11) ეს დასვენა ემყარება იმ უტყუარ საბუთს, რომ საქართველო თავისი მდიდარი ენითა და კულტურით შორეული წარსულიდანვე იქცევდა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიოგრაფებისა და მოგზაურების ყურადღებას. ჯერ კიდევ მე-5—6 საუკუნეებიდან შემონახული როგორც ორიგინალური (იაკობ ცურტაველის „მეშინაის წამება“, ესტატე მცხეთელის „მართვრილობა“), ისე სომხური („ეპისტოლეთა წიგნი“) და ბერძნული (საბა განწმენდილის „ანდრძი“) ძეგლები ამყარებდნენ მოწმობებს ამ დროისათვის ქართული ენისა და მწერლობის თვალსაჩინო ზრდასა და მის ფართო პოპულარობას მეზობელ ქვეყნებს შორის. ცხადია, თავიდანვე ესოდენ განვითარებული ქართული კულტურის კეთილსამყოფელ გავლენას ვერ აღვებოდნენ კავკასიის მთის მოსახლეობა და, მათ შორის ოსები, რომლებიც ტერიტორიულად უვალაზე ახლოს იყვნენ ქართულ ტომებთან. „ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გრძელად ჩრდილოეთ კავკასიაშიც, პირველ რიგში ზერქეზებსა და ალანებში“ (საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 138).

მეათე საუკუნიდან იმდენად საგრძნობი გამზარა ეს გავლენა, რომ ქართული სასაუბრო ენა და მწერლობა ოსებსა და, საერთოდ, კავკასიის მთის ხალხებში საკმაოდ ფეხმოკიდებული ყოფილა. ოსეთის ისტორიის პირველი ქართული მკვლევარის ზ. კვიციანიძის ცნობით, შუა საუკუნეებში „მცხეთის გარშემო მცხოვრებთ შორის ისე აშლდა წიგნის ცოდნის სიყვარული, იგი ისე გავრცელდა, რომ მან ერთობ დიდი გავლენა იქონია თვით მთის ხალხზედ და ნამეტრ ოსებზედ“ (ზ. კვიციანიძე, ოსეთის ისტორია, 1913 წ. გვ. 78).

ქართველთა და ოსთა შორის არსებული მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ახათ შეწყვეტილა საქართველოს სამეფოს გაძლიერებისა და დაშლის ეპოქებში (XI—XVIII ს. ს.), არამედ იგი, მიუხედავად ვარეშე მტრების არაერთი შემოსევისა, კიდევ უფრო განმტკიცებულა და განვითარებულა. ოსთა საუკეთესო ვილეები დიდი მონდომებით ეწაფებოდნენ სწავლა-განათლებას, რასაც ისინი მაშინდელ ქართულ მონასტრებსა და ტაძრებთან არსებულ სასწავლებლებში იძენდნენ. ამ შხრივ განსაკუთრებული როლი შეუძრვლებია შიო მღვთის მონასტრთან არსებულ სასწავლებელს, რომელიც ამხადებდა სასულიერო კოდნით აღჭურვილ პირებს ოსთა ეკლესია მონასტრებსა და

სკოლებში „სასწავლო-საგანმანათლებლო“ მოღვაწეობისათვის“. თვითონ ეს „მცხეთის მწიგნობრობის მესამე დაქორწინებულნი“ (ქუჩუაშვილის — ხუდაბლის ასულ პერდუხანზე (თამარის დედა), ხოლო თამარი — ოსეთის მეფის წულთან, დედის მხრით ბაგრატიონთა შთამომავალ დავით სოსლანთან, თავისთავად მოწმობს იმ დიდი სიბატონესა და ურთიერთპატივისცემას, რაც ისტორიულად განმარტობებულ იყო ამ ორი ხალხის მაშინდელი სამეურნეო და კულტურული მდგომარეობით.

ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ისტორიაში ერთ-ერთ დიდშესანიშნავ კულტურულ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ ოსური დამწერლობა და ანბანი შექმნილია ქართული შრიფტის უშუალო ზეგავლენით, რაც დაკავშირებულია ერთეულ მეორის სამეფო კარზე აღზრდილ ოსან იაღღუზიძის სახელთან. ოსთა შორის ქართული დამწერლობისა და ქართული ენის გავრცელებას ყოველი მოწინავე ოსი კულტურული მოღვაწე განსაკუთრებულ გულსსმეგრებით ეკადებოდა.

შრომაში ფართო ადგილი ეძიარეს სამხრეთ ოსეთში სწავლა-განათლების მდგომარეობის მიმოხილვას საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდიდან ცარიზმის დამშობამდე. მეფის რუსეთის თვითმპყრობელები პოლიტიკას გამტარებდნენ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ შეერყიათ ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის მტკიცე ისტორიული საფუძვლები. მოცსპოთ ოსებში დანერგული ქართული ორიენტაციის ტრადიცია ამ მიზნით ისინი ყოველნაირად ზღვს უშლიდნენ სამხრეთ ოსეთის, კერძოდ, მაშინდელი გორის მაზრის ოს მოსახლეობაში ქართული სკოლების გახსნას, ქართულ წერა-კითხვისა და ანბანის გავრცელებას. „მე-18 საუკუნის ბოლომდე და თითქმის მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებამდე, — წერს ავტორი, — ქართული ენა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ სალაპარაკო და სამწერლო ენად ითვლებოდა. 1864-70 წ. წ. ქართული ენა სკოლებში ისწავლებოდა, როგორც არასავალდებულო სავანი. მეფის თვითმპყრობელობის ცენტრსა და პერფერობში მოპარპაშე რუსიფიკატორებ საქართველოს ვერც ერთ კუთხეში ვერ მომენდნენ ქართული ენის არსებობას და ოსი მოსახლეობის ძალიან გარუსების პოლიტიკას ახორციელებდნენ“... მეფის თვითმპყრობელობა „შეცდოდა სამხრეთ ოსეთის სკოლებიდან ქართული ენის განდევნას და ოსებს შორის ყოველივე ქართულის აღმოფხვრას, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით 1900 წლამდე (როგორც შემთხვევაში შემდეგაც) აღნიშნულ სკოლებში ქართული ენის სწავლება არაღვეგალდურად მაინც იყო შენარჩუნებული“ (გვ. 72).

900-იან წლებში განსაკუთრებული სიმწეაი

აგრძნობოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მჭიდვარება საქართველოში. რეაქციონერი ეგზარხოსების შენიღბული, გაიჭვრული მოქმედება მიმართული იყო იქითგან, რომ მთლიანად და სავსებით განედევნათ ქართული სკოლებიდან დადი ქართული პედაგოგის იაკობ ვოგებაშვილის სახელმძღვანელოები. მიუხედავად ამისა, ოსურ ენაზე ოს მოსწავლეთათვის გამოცემულ იქნა ვოგებაშვილის „დედა ენა“ ქართული ანბანით. ეს იყო ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ერთერთი შესანიშნავი გამოვლინება რევოლუციამდელ ხანაში.

გამოჩენილი ოსი პოეტი კოსტა ხეთაგვროვი თავის მგზნებარე ლექსებში ხალხთა მეგობრობის იდეის მქადაგებელი იყო. იგი უსახლერო სიყვარულით იყო გამსჭვალული ქართველი ხალხისადმი, პირადი ურთიერება და მეგობრობა ჰქონდა მთელ რაგ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და შწერლებთან.

ქართველი ხალხის უსაზიზღრესი მტრების — მენშევიკების ბატონობის პერიოდში შოვანიტ-გამცემლები არაერთხელ ცდილან შედლი და მტრობა ჩამოეცდომ ქართველ და ოს ხალხებს შორის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ბოროტ განზრახვას ძირი გამოეცალა. ლენინ-სტალინის პარტიამ სრული თავისუფლება მიანიჭა წინათ დაჩაგრულ ერებს და გზა გაუხსნა მათ კვლბრულ-ეკონომიკური აყვავებისათვის. მოკლე ისტორიული დროის მანძილზე მთელ ჩვენ ქვეყანასთან ერთად სრულიად იცვალა სახე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. არნახულ სისწრაფით ვითარდება და მადლდება ფორმით ნაციონალური და შინარსით სოციალისტური კვლბრუა.

წინაში მოყვანილია სამხრეთ ოსეთში სოციალისტური კვლბრის განუწყვეტილი ზრდისა და ამაღლების კონკრეტული ფაქტები. „ეკონომიურად და კვლბრულად ჩამორჩენილი, მჭვდის თვითმპყრობელობის კაბალაში დაბეჭავებული და მენშევიკების მიერ აოხრებული სამხრეთ ოსეთი ამჟამად დაშვეწებულია მსხვილ სამრეწველო ობიექტებით, ქარხნებით, ფაბრიკებით, ელექტროსადგურებით, შეპლბებული საკომერციული სოფლებით, სარწყავი არხებით, დაწყებით და საშუალო სკოლებს, მიბლიოთეკების, სამკითხველოების, სასოფლო კლბებისა და კინო

თეატრების, საავადმყოფოების, კულტურის სახლების, რადიო სადგურებისა და სხვა სოციალურ-კვლბრულ დაწესებულებათა უარსთ ქსელით“ (გვ. 99). რევოლუციამდელ პერიოდში მთელ სამხრეთ ოსეთში 30-მდე სამრველო და სამინისტრო სკოლა არსებობდა 1415 მოსწავლით, ახლა სწავლაში ჩაბმულია 24.000 მოსწავლე. მარტო სტალინის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 1000 სტუდენტი. ასეთი სწრაფი წინსვლა და კვლბრული აღმავლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

წინის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი ხელს შეუწყობს ოს მოსახლეობაში მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული კვლბრის გაენობა-პოპულარიზაციას, ქართველ და ოს ხალხთა შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული მტკიცე ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

ჭრომას აქვს ნაკლიც.

ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის და თამარის მეფობის დროინდელ საქართველოში კვლბრულ მდგომარეობას ავტორი რამდენადმე გაიდვალბებულად წარმოადგენს. ასე მაგალითად, 24-ე გვერდზე იგი წერს: „ექვსე ვარეშეა, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეშე ქართველთა სავანებში განაღბებული სამეცნიერო-სამწერლო და კვლბრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მოსახლეობის თიბქმის ყველა ფენას წვდებოდა, ყოველ ახალ ქართველ მოღვაწეს, ან მათს ნამოღვაწარს ხალხი ცხოველი ინტერესით, ხედებოდა“. თქმა ამისა, რომ ფეოდალურ საზოგადოების ეპოქაში კვლბრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ერთნაირად იყო მისაწვდომი მოსახლეობის ყველა ფენისათვის“, მართებული არ იქნებოდა. მოსახლეობის დაბალი ფენა, ყმა-გლეხობა, რა თქმა უნდა მოკლებული იყო საზოგადოების მაღალი ფენისათვის განკუთვნილ კვლბრულ პირობებს.

„კალმასობის“ ავტორად ჭრომაში იოანე ბატონიშვილის ნაცვალ შეცდომით მიჩნეულია თეიმურაზ ბატონიშვილი.

მიუხედავად ამისა, ტ. სარიშვილის ჭრომა, როგორც აღვნიშნეთ, მისასაღმებელი მოვლენაა სამხრეთ ოსეთის იდეოლოგიურ ცხოვრებაში.



სურვი ანტონოვი — გაზაფხული, მოთხრობა, თარგმანი პეტრე ბახტუვაძის მიერ 26
 შალვა აფხაიძე — ახალი ლექსები 26
 გიორგი შატბერაშვილი — უკრაინაში, ნარკვევი 26
 ივანე ვაზოვი — ლექსები, თარგმანი ირ. აბაშიძისა 42

ვ. იმედაძე — ქართულ და სომეხ ხალხთა მეგობრობის მომღერალი, წერილი 56
 ნ. ჩაბუაშვილი — მაქსიმ გორკი საქართველოში, წერილი 65
 აკაკი ხინთიბიძე — მოწინავე საბჭოთა მწერალი, წერილი 73
 შალვა კვასხვაძე — მოქანდაკე ნ. კანდელაკი, წერილი 84
 ვ. ზაიაძე — მშვიდობის შეზღებარე შედაგებელი, წერილი 95
 ოთარ ჯიწორია — გოეთე თანამედროვე გერმანელი დემოკრატიული კრიტიკის ასპექტში, წერილი 101
 კონსტანტინე კიკინაძე — ეფუხსტეფოსის* ორი ადგილის გაეებისათვის, წერილი 114
 სერგო აბშილაძე — ელადიმერ მიხეილისძე ბუბტერევი, წერილი 116
 აბელ კიკვიძე — შენიშვნები ერთი საინტერესო წიგნის გამო, წერილი 120

ა. თოფურია — მოთხრობები სოციალისტურ სოფელსა და ახალ ადამიანებზე, ბიბლიოგრაფია 131
 სიმონ წყვარაძე — წიგნი კორეელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, ბიბლიოგრაფია 134
 ვლ. ჯიბუტი — ელიზბარ ზედგინიძის მოთხრობები, ბიბლიოგრაფია 137
 ნოდარ ჩხვიძე — ფუნჯიკის ნაწარმოებთა ქართულად გამოცემის გამო, ბიბლიოგრაფია 140
 გრ. ჩიქოვანი — ორი ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი, ბიბლიოგრაფია 143
 პროფ. ლ. მელიქსეთ-მეცი — შირვანხადეს რომანი „ქაოსი“ ქართულ ენაზე, ბიბლიოგრაფია 145
 შოთა ძიძიფური — საყურადღებო ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, — ბიბლიოგრაფია 146
 სარგის კვახაიძე — იოანე ქართველი შვილის შემოქმედები, ბიბლიოგრაფია 149
 მიხ. ქავთარია — ბრძოლისა და შრომის შრავალსაუკუნოვანი ისტორია, ბიბლიოგრაფია 153
 კ. ნორაკიძე — წიგნი ქართული და ოსი ხალხის მეგობრობაზე, ბიბლიოგრაფია 153
 ახალი წიგნები გარეკანის მე-3 გვ.



ნიკოლოზ აბიანიშვილი (ასახეისმგებელი მდივანი), ლიბიტარი ბინაშვილი, ნიკო კაცხიშვილი, სანდრო ზანუაშვილი, ოთარ ჩხიძე, სპარბი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 98/4.
 შპ 03262, შეკვეთის № 187, ტირაჟი 5250.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ეკრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.
 რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5, ტელეფ. 3-23-42.